- შეთავაზებული მიდგომა იძლევა ხარჯების დაზოგვის შესაძლებლობას (თუმცა კონსტრუქციული ნაწილის ღირებულება საექსპლუატაციო ვადის ზრდის პროპორციულად არ მცირდება).
- ზემოთ მოყვანილი განხილვის მიუხედავად, კონსულტანტი არ გამორიცხავს გზების დეპარტამენტის სათანადო სურვილის შემთხვევაში უფრო ხანგრძლივი “საანგარიშის საექსპლუატაციო ვადით” ხელმძღვანელობას (სხვა სტანდარტის საფუძველზე). თუმცა, იმავდროულად, უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი გადაწყვეტა გამოიწვევს საწყისი ღირებულების გაზრდას და ნაკლებად მკაფიოდ გახდის ინვესტიციით მიღებად სარგებელს.

დატვირთვების შეფასებისა და ნაგებობების წინასწარი პროექტირების მიზნით, ზოგადად, მხედველობაში მიღებული იქნა შემდეგი სტანდარტების მოთხოვნები:

- AASHTO LRFD Bridge Design Specification (SI Units) 2007
AASHTO/LRFD -ის “ხიდების პროექტირების სპეციფიკაციები” (SI ერთეულებში), 2007წ.
ეს სტანდარტი ძირითადად გამოყენებული იყო ხიდების დატვირთვების და ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტების გაანგარიშების მიზნით.
- AASHTO Guide Specification of LRFD Seismic Bridge Design - 2011
AASHTO-ს “სახელმძღვანელო სპეციფიკაციები ხიდების სეისმომდევნი პროექტირებისთვის დატვირთვების და წინააღმდეგობების კოეფიციენტების გამოყენებით”, 2011 წ.
- სნდნ “ხიდები და მილები” (СНП 2.05.03-84). აღნიშნული სტანდარტიდან გამოიყენება მხოლოდ NK-100 ტიპის ნორმატიული დინამიკური დატვირთვების მონაცემები, რომლებიც საჭიროა ხიდის დატვირთვებზე რეაგირების გასაანგარიშებლად.
- სამშენებლო ნორმები და წესები “სეისმომდევნი მშენებლობა” (პნ 01.01.09)


ხიდის განივი კვეთი

ხიდის სავალი ნაწილისთვის შერჩეული გეომეტრიული პარამეტრები დაფუძნებულია ნორმატიულ დოკუმენტზე “გეომეტრიული და კონსტრუქციული მოთხოვნები საქართველოს საერთო დანიშნულების საავტომობილო გზებისთვის”, კერძოდ:

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

- მოძრაობის ზოლის სიგანე შეადგენს 3.0 მეტრს, საპროექტო გზის მოძრაობის ზოლის ანალოგიურად;
- განაპირა ზოლი (უსაფრთხოების ზოლი, რომლის სიგანე იცვლება გზის პროექტირების მოთხოვნების გათვალისწინებით): 2.5 მ;
- საფეხმავლო ბილიკის (ტროტუარის) მინიმალური სიგანე: 1.5 მ (0.5+0.75+0.25);
- ბეტონის ჯებირის (თვალამრიდის) სიმაღლე: 0.80 მ;
- სავალი ნაწილის საერთო განივი ქანობი: 2.5%.

ხიდის სრული სიგანე შეადგენს 15.0 მეტრს, როგორც ეს ილუსტრირებულია მომდევნო სურათზე 2.3.



სურათი 4-3 წარმოდგენილი ხიდის ნიმუში პროექტის თარგლებში

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება



ID #	CHAINAGE, km+mm მონაკვეთის კმ+მ				SUPERSTRUCTURE საფარს ნაწილი			CROSSING გაყვანილობა		DECK / საბანი					SPANs მანძილი				
	CL # წ. №	INTERSECT. გაყვანილობა	A1	A2	CROSS SECTION SHAPE საფარის ნაწილის ფორმა	MATERIAL მასალა	STRUCTURAL TYPE სტრუქტურული ტიპი	FUNCTIONALITY ფუნქციონირება	NAME სახელწოდება	NOs რაოდ.	LENGTH, m სიგრძე, მ	WIDTH, m სიგანე, მ	CURVATUR E, რკმ	SKEW," წახრიობა,"	AREA, m ² ფართობი, მ ²	NOs რაოდ.	SCHEDULE სიგანე	BOUNDARY CONDITIONS საზღვარიანი პირობები	
										1 205					21 912				
01	100		0+542.105	0+571.505	I-GIRDERS ორბინიანი კონსტრუქცია	PC წარმოების	PRECAST წარმოების	GRADE SEPARATION შანახეობა	Chumlaki Connection ჩუმლაკის გაყვანილობა	1	30.2	18			544	1	1X29.4	FREE SUPPORTED თავისუფალი დახმარების გარეშე	
02	100	3+551.655			RECTANGULAR SLAB მართკუთხედიანი შიდა	RC ბეტონი	CAST-IN-SITU წარმოების	UNDERPASS ბიძრა ნაპბაში		1	14.0	18			252	1	1x13	INTEGRAL FRAME ინტეგრალური ჩარჩო	
03	100		4+414.604	4+576.707	COMPOSITE I-GIRDERS კომპოზიტური ორბინიანი	STEEL-RC სტეელ-ბეტონი	WELDED PLATES დამკვეთი	RIVER დინი	Chemisakhevi ჩემისაკევის	1	163.5	18	450		2 943	3	49+64+49	CONTINUOUS მუდმივი	
04	100	4+682.582			RECTANGULAR SLAB მართკუთხედიანი შიდა	RC ბეტონი	CAST-IN-SITU წარმოების	UNDERPASS ბიძრა ნაპბაში		1	14.0	30			420	1	1x13	INTEGRAL FRAME ინტეგრალური ჩარჩო	
05	100	4+900.869			RECTANGULAR SLAB მართკუთხედიანი შიდა	RC ბეტონი	CAST-IN-SITU წარმოების	GRADE SEPARATION შანახეობა	Mukuzani Connection მუკუზანის გაყვანილობა	1	14.0	42			588	1	1x13	INTEGRAL FRAME ინტეგრალური ჩარჩო	
06	100		8+135.300	8+164.700	I-GIRDERS ორბინიანი კონსტრუქცია	PC წარმოების	PRECAST წარმოების	UNNAMED RAVINE შანახეობა		1	30.2	16.55			500	1	1X29.4	FREE SUPPORTED თავისუფალი დახმარების გარეშე	
07	100		9+409.490	9+502.190	I-GIRDERS ორბინიანი კონსტრუქცია	PC წარმოების	PRECAST წარმოების	UNNAMED RAVINE შანახეობა		1	93.0	18		25	1 674	3	3X29.4	FREE SUPPORTED თავისუფალი დახმარების გარეშე	
08	100		13+203.200	13+292.803	I-GIRDERS ორბინიანი კონსტრუქცია	PC წარმოების	PRECAST წარმოების	UNNAMED RAVINE შანახეობა		1	90.4	16.55			1 496	3	3X29.4	FREE SUPPORTED თავისუფალი დახმარების გარეშე	
09	100		15+750.000	15+779.400	I-GIRDERS ორბინიანი კონსტრუქცია	PC წარმოების	PRECAST წარმოების	UNNAMED RAVINE შანახეობა		1	30.8	18		25	554	1	1X29.4	FREE SUPPORTED თავისუფალი დახმარების გარეშე	
10	100	16+335.210			RECTANGULAR SLAB მართკუთხედიანი შიდა	RC ბეტონი	CAST-IN-SITU წარმოების	GRADE SEPARATION შანახეობა	Akura Connection აკურის გაყვანილობა	1	14.0	24			336	1	1x13	INTEGRAL FRAME ინტეგრალური ჩარჩო	
11	100		17+465.873	17+579.873	COMPOSITE I-GIRDERS კომპოზიტური ორბინიანი	STEEL-RC სტეელ-ბეტონი	WELDED PLATES დამკვეთი	UNNAMED RAVINE შანახეობა		1	115.4	16			1 846	3	36+42+36	CONTINUOUS მუდმივი	
12	100	18+047.802			RECTANGULAR SLAB მართკუთხედიანი შიდა	RC ბეტონი	CAST-IN-SITU წარმოების	UNDERPASS ბიძრა ნაპბაში		1	14.0	24			336	1	1x13	INTEGRAL FRAME ინტეგრალური ჩარჩო	
13	100		20+109.626	20+139.026	I-GIRDERS ორბინიანი კონსტრუქცია	PC წარმოების	PRECAST წარმოების	UNNAMED RAVINE შანახეობა		1	30.2	16.55			500	1	1X29.4	FREE SUPPORTED თავისუფალი დახმარების გარეშე	
14	100	20+250.800			RECTANGULAR SLAB მართკუთხედიანი შიდა	RC ბეტონი	CAST-IN-SITU წარმოების	UNDERPASS ბიძრა ნაპბაში		1	14.0	24			336	1	1x13	INTEGRAL FRAME ინტეგრალური ჩარჩო	
15	100		21+547.070	21+638.636	I-GIRDERS ორბინიანი კონსტრუქცია	PC წარმოების	PRECAST წარმოების	UNNAMED RAVINE შანახეობა		1	93.0	16.55		25	1 539	3	3X29.4	FREE SUPPORTED თავისუფალი დახმარების გარეშე	
16	100		22+521.863	22+635.863	COMPOSITE I-GIRDERS კომპოზიტური ორბინიანი	STEEL-RC სტეელ-ბეტონი	WELDED PLATES დამკვეთი	UNNAMED RAVINE შანახეობა		1	115.4	16			1 846	3	36+42+36	CONTINUOUS მუდმივი	
17	100	23+893.470			RECTANGULAR SLAB მართკუთხედიანი შიდა	RC ბეტონი	CAST-IN-SITU წარმოების	UNDERPASS ბიძრა ნაპბაში		1	14.0	24			336	1	1x13	INTEGRAL FRAME ინტეგრალური ჩარჩო	
18	100	24+421.793			RECTANGULAR SLAB მართკუთხედიანი შიდა	RC ბეტონი	CAST-IN-SITU წარმოების	GRADE SEPARATION შანახეობა	Kandali Connection კანდალის გაყვანილობა	1	14.0	54			756	1	1x13	INTEGRAL FRAME ინტეგრალური ჩარჩო	
19	100	27+435.253			RECTANGULAR SLAB მართკუთხედიანი შიდა	RC ბეტონი	CAST-IN-SITU წარმოების	UNDERPASS ბიძრა ნაპბაში		1	14.0	18			252	1	1x13	INTEGRAL FRAME ინტეგრალური ჩარჩო	
20	100		29+274.360	29+364.760	I-GIRDERS ორბინიანი კონსტრუქცია	PC წარმოების	PRECAST წარმოების	UNNAMED RAVINE შანახეობა		1	91.4	16.55	1000		1 513	3	3X29.4	FREE SUPPORTED თავისუფალი დახმარების გარეშე	
21	100	30+250.000			RECTANGULAR SLAB მართკუთხედიანი შიდა	RC ბეტონი	CAST-IN-SITU წარმოების	GRADE SEPARATION შანახეობა	Telavi Connection თელავის გაყვანილობა	1	14.0	24			336	1	1x13	INTEGRAL FRAME ინტეგრალური ჩარჩო	
22	100		32+896.856	32+986.456	I-GIRDERS ორბინიანი კონსტრუქცია	PC წარმოების	PRECAST წარმოების	VIADUCT ვიადუქტი		1	90.4	16.55			1 496	3	3X29.4	FREE SUPPORTED თავისუფალი დახმარების გარეშე	
23	100		34+755.356	34+845.756	I-GIRDERS ორბინიანი კონსტრუქცია	PC წარმოების	PRECAST წარმოების	VIADUCT ვიადუქტი		1	91.4	16.55	1000		1 513	3	3X29.4	FREE SUPPORTED თავისუფალი დახმარების გარეშე	

კონსულტანტი: "კოქს კონსალტი" გმბი სტეგმანსტრასე 32-38, 56088 კობლენცი, გერმანია CONSULTANT KOCKS CONSULT GMBH STEGMANNSTRASSE 32-38, 56088 KOBLENZ, GERMANY	შემამუშავებელი/DESIGNED: [Blank]	შეამოწმა/CHECKED: [Blank]	შეამოწმა/DATE: [Blank]	შეამუშავებელი/DRAWN: [Blank]	შეამოწმა/DATE: [Blank]	<p>"გურჯაანი (ჩუმლაყი) - თელავის უსაბუკვი გზის" გონაკვეთი "GURJAANI (CHUMLAKI) - TELAVI BYPASS ROAD" SECTION</p> <p>საპროექტო რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური საპროექტო რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA. ROAD DEPARTMENT OF GEORGIA</p>	<p>საპროექტო ხელშეკრულების ნომერი DESIGN BRIDGE INVENTORY</p> <p>მასშტაბი/SCALE: NA მასშტაბი/ORIGINAL DRAWING SIZE: A3 (420x297) მასშტაბი/DRAWING: BR-GN-01</p>
83606, REV.	ცვლილებები AMENDMENTS	306 BY	შეამოწმა APPROVED	თარიღი DATE	შეამუშავებელი/DESIGNED: [Blank]	შეამოწმა/DATE: [Blank]	

სურათი 4.2-4 ხილების რაოდენობა და მათი მონაცემები

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

4.3 საგზაო სამოსის პროექტირების ნორმები

საგზაო სამოსის პროექტირების პროცესი მოიცავს სათანადო საგზაო სამოსისა და მოსაპირკეთებელი მასალების შერჩევას საგზაო სამოსის ადექვატური მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით და პროექტით განსაზღვრულ პერიოდში მოსალოდნელი სატრანსპორტო მოძრაობის დატვირთვების პირობებში მინიმალური ტექნიკური მომსახურების საჭიროების გათვალისწინებით.

საკვლევი გზის საგზაო სამოსის ტექნიკური გადაწყვეტა დაფუძნებულია პროექტირების მეთოდზე, რომელიც მოცემულია AASHTO-ს “საგზაო სამოსის კონსტრუქციების პროექტირების სახელმძღვანელო”, (1993წ.), 3 ტომში (“ახალი მშენებლობის ან რეკონსტრუქციის სამუშაოების პროექტირების პროცედურები”) (*AASHTO Guide for Design of Pavement Structures, 1993, Volume 1, Design Procedures for New Construction or Reconstruction*) ეს მეთოდი უკვე აპრობირებულია საქართველოში და, აგრეთვე, აღიარებულია მსოფლიო მასშტაბით.

AASHTO-ს “საგზაო სამოსის ელემენტების პროექტირების სახელმძღვანელო” მოითხოვენ ზუსტ საწყის მონაცემებს, რომლებიც აღწერენ მასალების თვისებებს, კონსტრუქციის მუშა მახასიათებლებს, საიმედოებას და საგზაო მოძრაობის ინტენსიურობას.

ტექნიკურად და ეკონომიკურად ადექვატური აგებულების/შემადგენლობის საგზაო სამოსის შერჩევის მიზნით, უპირატესი ალტერნატიული ვარიანტისთვის, შესაძარებლად, საგზაო სამოსი აგრეთვე გაანგარიშდა საგზაო სამოსების პროექტირების გერმანული სახელმძღვანელო ინსტრუქციის – RStO-12-ის (*Richtlinien für die Standardisierung des Oberbaues von Verkehrsflächen*) შესაბამისად. აღნიშნული გერმანული სტანდარტი დაფუძნებულია არსებული გზების და სხვა სამოძრაო ტერიტორიების ექსპლუატაციის გამოცდილებასა და მეცნიერულ შეფასებაზე.

4.4 სადრენაჟე სისტემების პროექტირების ნორმები

წყლის ობიექტების გამოვლენილი გადაკვეთებისთვის წყლის პიკური ხარჯები გამოითვლება ე.წ. “როსტომოვის მეთოდით”.

როსტომოვის მეთოდი გამოყენებულია საქართველოში განხორციელებულ რიგ პროექტებში. აღნიშნული მეთოდით გათვალისწინებული გამოთვლები აღწერილია ცნობარში – “კავკასიის პირობებში მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის საანგარიშო ტექნიკური მითითებების” IV თავში. ეს ცნობარი დაფუძნებულია კავკასიის რეგიონში ატმოსფერულ ნალექებსა და მდინარეების ხარჯებზე წარმოებული გრძელვადიანი ინსტრუმენტული დაკვირვებების მონაცემებსა და სტატისტიკური კვლევის შედეგებზე.

მოცემული პროექტის მიზნებისთვის როსტომოვის მეთოდის გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს მიდგომა არ მოითხოვს გარე წყაროებიდან ატმოსფერული ნალექების მონაცემების მოპოვებას, ვინაიდან ნალექებზე გრძელვადიანი დაკვირვების მონაცემები უკვე გათვალისწინებულია კლიმატურ კოეფიციენტში (k), რომლის სიდიდეებიც ცნობარში ილუსტრირებულია შესაბამის იზონაზების რუკაზე.

აღსანიშნავია, რომ წყლის მაქსიმალური ხარჯები, რომლებიც მიიღება როსტომოვის მეთოდის გამოყენებით 15%-18%-ით აღემატებიან სსრკ-ში მდინარეებისთვის 1960-იან წლებში შედგენილ ნორმატიულ დოკუმენტში სნდნ 2.01.14-83 (“ჰიდროლოგიური მახასიათებლების განსაზღვრა”) მოცემული “ჩამონადენის ზღვრული ინტენსიურობის” ფორმულით გამოთვლილ მაქსიმალურ ხარჯებს. ეს იმით აიხსნება, რომ ზღვრული ინტენსიურობის ფორმულაში მხედველობაში არ არის მიღებული კლიმატის გლობალური ცვლილებები ბოლო ათწლეულების მანძილზე და მათთან

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

დაკავშირებული ატმოსფერული ნალექების ზრდის ტენდენცია. კლიმატის გლობალური ცვლილებებით განპირობებული ატმოსფერული ნალექების ზრდის და, შესაბამისად, წყლის მაქსიმალური ხარჯების მომატებული სიდიდეების გათვალისწინებით, წყლის ხარჯების გაანგარიშებისთვის რეკომენდირებულია როსტომოვის მეთოდის გამოყენება. მითუმეტეს, რომ აღნიშნული მეთოდი აპრობირებულია საქართველოში და აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

წყალსადინრების გადაკვეთები დაპროექტებულია 50-წლიანი საანგარიშო განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯების გათვალისწინებით, როგორც ეს მოითხოვება სტანდარტით სნდნ (СНИП) 2.05.03-84 და დადასტურებულია გზების დეპარტამენტის მიერ.

წყალშემკრები აუზების შესატყვისი მაქსიმალური წყლის ხარჯების გამოთვლის შემდეგ, აშშ-ს "საავტომობილო გზების ფედერალური ადმინისტრაციის" (FHWA) კომპიუტერული პროგრამის HY-8 საშუალებით, შესრულდება ჰიდრაულიკური გაანგარიშებები. აღნიშნული პროგრამა უშუალოდ არ არის შედგენილი წყლის ობიექტების ზედაპირების პროფილების განსასაზღვრად, არამედ გამიზნულია წყალსატარი მილების ჰიდრაულიკური გაანგარიშებისთვის. პროგრამული გამოთვლების შესრულებისას იგულისხმება, რომ მილის ტანის განიკვეთის ფორმა, ზომები და მასალა არ იცვლება გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს მილის ცალკეული ნაწილების დამტკრევის/გალევისას.

4.5 გადახვევა პროექტირების ნორმებიდან

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ეს ტექნიკურ დავალებაშია ხაზგასმული, პროექტის ერთ-ერთ უმთავრეს აქტუალურ ამოცანას შეადგენს გზის მშენებლობის და მოვლა-შენახვის ხარჯების მინიმუმამდე დაყვანა პროექტის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის მიღწევის მიზნით. ეს ნიშნავს, რომ სავალდებულოა მოქმედი პროექტირების ნორმებიდან გადახრების გათვალისწინება და, შედარებისთვის, ალტერნატიული ვარიანტების განხილვა.

გზის რენტაბელური პროექტირება საჭიროებს გრუნტის, რელიეფის, კლიმატის და საგზაო მოძრაობის პირობების რთული ურთიერთდამოკიდებულებების სიღრმისეულ გააზრებას. უფრო მეტიც, ამ ურთიერთდამოკიდებულებებით გამოწვეული სირთულეების მდგრადი გადაწყვეტების დამუშავება მნიშვნელოვანი მოცულობის საინჟინრო განსჯებს, ტექნიკური უნარებს და ადგილობრივი პირობების სრულფასოვნად ცოდნას მოითხოვს. ტიპური გადაწყვეტები ხშირად არასაკმარისად ეფექტურია, ხოლო რელიეფის პირობები შეიძლება მნიშვნელოვნად იცვლებოდეს ცალკეული ქვეყნების და რეგიონების მიხედვით. საგზაო მოძრაობის სახეობები და საჭიროებები დამოკიდებულია ინდივიდუალური დასახლებებისთვის/თემებისთვის დამახასიათებელ სპეციფიურ გარემოებებზე. რენტაბელური გადაწყვეტების მისაღწევად, სტანდარტული ტექნიკური გადაწყვეტების ხისტად მიყენების ნაცვლად, მნიშვნელოვანია ჩარევის ღონისძიებების მოქნილად მორგება კონკრეტულ სიტუაციასთან.

ამიტომ, კონსულტანტი განიხილავს და შეათანხმებს გზების დეპარტამენტთან მოქმედი სტანდარტებიდან გადახვევებს, როდესაც ეს ეკონომიკურად დასაბუთებულია და არ იწვევს უარყოფით გავლენას გზის უსაფრთხოებაზე.

გარდა ამისა, გეომეტრიული ელემენტების პარამეტრების განსაზღვრისას, მხედველობაში იქნება მიღებული მომიჯნავე საგზაო მონაკვეთების საანგარიშო პარამეტრები, რათა მოსარგებლეებს შეეძინათ საგზაო დერეფნის შედარებით გრძელი ნაწილების უწყვეტობის და ერთგვაროვნების აღქმა.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალტერნატიული ტრასების დამუშავებისას უზრუნველყოფილი იყო გზის გეომეტრიული ელემენტების სასურველი სიდიდეების დაცვა და, შესაბამისად, ნორმატივებიდან გადახვევა საჭირო არ აღმოჩნდა.

4.6 არსებული საავტომობილო გზების ქსელი

მომდევნო ცხრილში 4-2 მოცემული არსებული საგზაო ქსელის მონაცემები

ცხრილი 4-2 არსებული საგზაო ქსელი

#	მონაკვეთის დასაწყისი	მონაკვეთის დასასრული	კატეგორია	სიგრძე (კმ)
1	თელავი	აკურა	S2	17.59
2	აკურა	ველისციხის გადასახვევი	S2	12.22
3	ველისციხის გადასახვევი	ჩუმლაყი	S2	4.67
4	ჩუმლაყი	გურჯაანი	S2	5.07
5	გურჯაანი	ბაკურციხე	S2	8.17
6	ბაკურციხე	წნორი	S2	15.91

წყარო: კონსულტანტი

4.7 საგზაო მოძრაობის აღწერის მეთოდოლოგია

საგზაო მოძრაობის აღსაწერად გამოყენებული მიდგომა მოიცავს, საკვლევი საგზაო ქსელის იდენტიფიცირების შემდეგ, საგზაო მონაკვეთებზე მიმდინარე საგზაო მოძრაობის ინტენსიურობის ხარისხის და შემადგენლობის დადასტურებას სატრანსპორტო ნაკადის (“ხელის რეჟიმში”) კლასიფიცირებული დათვლების (MCC) ჩატარების საშუალებით.

სატრანსპორტო ნაკადის დათვლებთან ერთად, გზაზე მოძრავი ავტოტრანსპორტის სვლაგებების, ტიპების და მოძრაობის მანძილების განსაზღვრის მიზნით, აგრეთვე განხორციელდა “საწყისი და საბოლოო პუნქტების” (OD) გამოკითხვები. საგზაო ინფრასტრუქტურის გეგმიური გაუმჯობესებები ფიზიკურად აცდენილია არსებული გზისგან, რის გამოც საწყისი და საბოლოო პუნქტების გამოკითხვებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ საგზაო მოძრაობის ინტენსიურობის განსაზღვრისა და ეკონომიკური შეფასებებისთვის. შემოთავაზებული “ჩრდილოეთი” და “სამხრეთი” ალტერნატიული გზები შედგებიან არსებული გზის გასწვრივ მდებარე რიგი დასახლებული პუნქტების გვერდის ასავლელი მონაკვეთებისგან. მოსალოდნელია, რომ შერჩეული ახალი გზა ძირითადად გამოყენებულ იქნება გრძელ მანძილებზე მოძრავი ავტოტრანსპორტის მიერ, ხოლო ადგილობრივი სატრანსპორტო საშუალებები განაგრძობენ არსებული გზით სარგებლობას. საწყისი და საბოლოო პუნქტების გამოკითხვები შესაძლებელს ხდიან გრძელ მანძილებზე და ადგილობრივ მარშრუტებზე მოძრავი სატრანსპორტო ნაკადების ერთმანეთისგან გარჩევას, რაც სატრანსპორტო საშუალებების მიერ შეთავაზებული ალტერნატიული გზების გამოყენების მახასიათებლების აღქვას უწყობს პროგნოზირებას შეუწყობს ხელს.

საგზაო მოძრაობის აღწერის წარმოებისთვის შერჩეული ადგილების მდებარეობები მოცემულია ცხრილში 4-3, ხოლო შესაბამისი სქემა – სურათზე 4.7.1.

ცხრილი 4-3. საგზაო მოძრაობის აღწერის პუნქტების მდებარეობები

პუნქტის საიდენტიფიკაციო ნომერი	მდებარეობა	კმ ნიშნული
OD1/MCC1	ნასამხლარი	32

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება


OD2/MCC2	ნასამხლარი	33
MCC3	აკურა	44
TMC1	ველისციხის გადასახვევი	55
MCC4	ჩუმლაყი-ახაშენი	57
MCC5	გურჯაანი-ბაკურციხე	68
TMC2	ბაკურციხის გადასახვევი	103
OD3/MCC6	ვაჭერი	110
OD4/MCC7	მაშნაარი	114

აღნიშვნები: MCC სატრანსპორტო ნაკადის კლასიფიცირებული დათვლა (ხელით), OD – სანყისი და საბოლოო პუნქტების გამოკითხვა, TMC – გზიდან გასული/გზაზე შემოსული სატრანსპორტო ნაკადების დათვლა.

შენიშვნა: თელავი-ბაკურციხის მონაკვეთზე კოლიმეტრაჟი (კმ ნიშნულები) აითვლება ახმეტიდან, ხოლო ბაკურციხე-წნორის მონაკვეთზე - თბილისიდან.

წყარო: კონსულტანტი

სანყისი და საბოლოო პუნქტების გამოკითხვა ცალკეულ პუნქტებში თითო მიმართულებას მოიცავდა, რის გამოც გამოკითხვის შედეგები ორი წყვილისგან შედგება. ლოჯისტიკური და უსაფრთხოების მოსაზრებების გამო, ერთსა და იმავე პუნქტში ორივე მიმართულების აღწერა შეუძლებელი აღმოჩნდა.



სურათი 4.7.1. საგზაო მოძრაობის აღწერის პუნქტების მდებარეობები

წყარო: კონსულტანტი

ორ საგზაო მიერთებასთან სატრანსპორტო ნაკადის დათვლები შესრულდა “გადამხვევი სატრანსპორტო ნაკადების დათვლების” (TMC) სახით, რაც მოიცავდა საგზაო მიერთებაზე გავლილი თითოეული სატრანსპორტო საშუალების დათვლას და კლასიფიცირებას. “სატრანსპორტო ნაკადის დათვლების” (MCC) და “გადამხვევი სატრანსპორტო ნაკადის დათვლების” (TMC) წარმოების პროცესში ფიქსირდებოდა სატრანსპორტო საშუალებების კატეგორიები, დრო და მიმართულება.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

აღწერის პროცესში აღრიცხული სატრანსპორტო საშუალებები კლასიფიცირდებოდნენ შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

ერთღერძიანი და მაღალი გამავლობის (4x4) მსუბუქი ავტომობილები: კერძო და სხვა მცირეგაბარიტიანი ავტომობილები, მათ შორის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილები, სამგზავრო მიკროავტობუსები და ა.შ., რომლებიც გამოიყენებიან პირადი ავტომობილების სახით.

მიკროავტობუსები: მიკროავტობუსები და სხვა მცირეგაბარიტიანი ავტობუსები, მაქსიმუმ 15 სამგზავრო ადგილით, რომლებიც გამოიყენებიან მგზავრობის სატრანსპორტის გადასადგომი მგზავრობის გადასაცემად.

საშუალო/დიდი ავტობუსები: ყველა სტანდარტული და დიდი ავტობუსი 15-ზე მეტი სავარძლით, რომლებიც გამოიყენებიან მგზავრობის გადასაცემად.

მსუბუქი სატვირთო ავტომობილები (4-თვლიანი): ფურგონები და პიკაპები, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა ტვირთების გადაზიდვა.

2-ღერძიანი სატვირთო ავტომობილები: სატვირთო ავტომობილები ორი წამყვანი ღერძით და ექვსი ბორბლით.

3-ღერძიანი სატვირთო ავტომობილები: 3-ღერძიანი სატვირთო ავტომობილები ერთი წინა და ორი უკანა წამყვანი ღერძით.

4- და მეტღერძიანი სატვირთო ავტომობილები: სატვირთო ავტომობილები ან სატვირთო და მისაბმელი ავტომობილების კომბინაციები (ავტომატარებლები) 4 ან მეტი წამყვანი ღერძით

მოტოციკლები

თვითმავალი ტრანსპორტი

სატრანსპორტო ნაკადის კლასიფიცირებული დათვლები შესრულდა 2017 წლის 5 ივნისიდან 21 ივნისამდე პერიოდში. თითოეული დათვლა ერთი დღის 12 საათის განმავლობაში (08:00-20:00) ტარდებოდა, ჩუმლაყი-ახაშენის (MCC4) საკონტროლო დათვლის პუნქტის გარდა, სადაც დათვლები ჩატარდა 7 დღის განმავლობაში ყოველი 12 საათიდან 6 საათის ხანგრძლივობით, რასაც დაემატა ერთი 24-საათიანი დათვლა. აღნიშნული საკონტროლო დათვლები გამიზნული იყო სატრანსპორტო ნაკადის დღიური და საათობრივი ცვლადობის დასადგენად, ღამის მოძრაობის წილის შეფასებასთან ერთად.

საწყისი და საბოლოო პუნქტების გამოკითხვები: პოლიციის დახმარებით, წარმოებდა ავტომობილების გზისპირას გაჩერება და მძღოლების გამოკითხვა მათი მოძრაობის შესახებ.

გამოკითხვის პროცესში დაფიქსირდება შემდეგი ინფორმაცია:

გამოკითხვის დრო

ავტომობილის კატეგორია

ავტომობილში მსხდომი პირების რაოდენობა

მოძრაობის საწყისი პუნქტი

მოძრაობის საბოლოო (დანიშნულების) პუნქტი

მგზავრობის მიზანი

მოძრაობის სიხშირე

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

გადაზიდული საქონელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საწყისი და საბოლოო პუნქტების გამოკითხვები, სატრანსპორტო ნაკადის თანმხლებ დათვლებთან ერთად შესრულდა 2017 წლის 19-დან 22 ივნისის ჩათვლით, ყოველდღიურად თითოეული მიმართულების მომცველი თითო 12-საათიანი (08:00-18:00) სამუშაო ციკლების სახით.

4.7.1 საბაზისო (2017) წლის საგზაო მოძრაობა

სატრანსპორტო ნაკადის კლასიფიცირებული დათვლების (MCC) და გადამხვევი სატრანსპორტო ნაკადის დათვლების (TMC) შედეგების საშუალებით, ეკონომიკური ანალიზისთვის, ცალკეული საგზაო მონაკვეთების მიხედვით გაანგარიშდა 2017 წლის “წლიური საგზაო მოძრაობის საშუალო დღიური ინტენსიურობის” (AADT) სიდიდეები. კერძოდ, შესრულდა შემდეგი გადამყვანი გამოთვლები:

2017 წლის ივნისის თვის საგზაო მოძრაობის საშუალო დღიური ინტენსიურობის გამოთვლა საათობრივი/ღამის საათების/დღის საათების გადამყვანი კოეფიციენტების გამოყენებით, რომლებიც განისაზღვრა ახმეტა-თელავი-ბაკურციხის გზის 57-ე კილომეტრზე ჩატარებული 7-დღიანი საკონტროლო დათვლების შედეგების გამოყენებით;

საგზაო მოძრაობის გრძელვადიანი მონაცემების დამუშავებით განსაზღვრული თვიური ვარიაციული კოეფიციენტების მიყენება წინა აბზაცში მითითებული სიდიდეების მიმართ, ივნისის სატრანსპორტო ნაკადების კორექტირების და 2017 წლის “წლიური საგზაო მოძრაობის საშუალო დღიური ინტენსიურობის” (AADT) გამოსათვლელად

ცხრილში 4.7.1-1 მოცემულია წლიური საგზაო მოძრაობის დღიური ინტენსიურობის (AADT) სიდიდეები ცალკეული მონაკვეთებისთვის, ხოლო ცხრილში 4.1.4 იგივე მონაცემები გნდებულაა ავტომობილების კატეგორიების მიხედვით.

ცხრილი 4.7.1-1 2017 წლის საგზაო მოძრაობის დღიური ინტენსიურობის (AADT) სიდიდეები საგზაო მონაკვეთების მიხედვით

#	მონაკვეთის დასაწყისი	მონაკვეთის დასასრული	AADT
1	თელავი	აკურა	6 183
2	აკურა	ველისციხის გადასახვევი	6 045
3	ველისციხის გადასახვევი	ჩუმლაყი	7 336
4	ჩუმლაყი	გურჯაანი	7 128
5	გურჯაანი	ბაკურციხე	8 146
6	ბაკურციხე	წნორი	4 127

წყარო: კონსულტანტი

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ცრილი 4.6.4 2017 წლის მოძრაობის საშუალო ინტენსიურობის (AADT) კლასიფიცირებული მონაცემები ავტომობილების კატეგორიების და საგზაო მონაკვეთების მიხედვით

მონ. Ne	დასაწყისი	დასასრული	მსუბუქი ავტომობილი	მსუბუქი მიკროავტ.	საშუალო/დიდი ავტობუსი	მსუბუქი სატვირთო ავტომობილი	საშუალო სატვირთო ავტომობილი	3 მძიმე სატვირთო ავტომობილი	4 და მეტ ლერძიანი მძიმე ავტომობილი	სულ
1	თელავი	აკურა	4 743	461	17	639	121	127	76	6 183
2	აკურა	ველისციხის გადასახვევი	4 559	268	17	853	139	98	111	6 045
3	ველისციხის გადასახვევი	ჩუმლაყი	5 250	535	51	1156	132	103	108	7 336
4	ჩუმლაყი	გურჯაანი	4 765	666	53	1243	130	129	141	7 128
5	გურჯაანი	ბაკურციხე	5 099	912	64	1543	150	178	199	8 146
6	ბაკურციხე	წნორი	2 844	360	9	547	128	149	90	4 127

წყარო: კონსულტანტი

წინასწარი შეთანხმებით, მოტოციკლეტები და თვითმავალი ტრანსპორტი წლიური საგზაო მოძრაობის დღიური ინტენსიურობის (AADT) სიდიდეებში გათვალისწინებული არ არის. საგზაო მოძრაობის აღწერის შედეგებმა უჩვენა, რომ ორთავე ამ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებები უმნიშვნელოდ არიან წარმოდგენილი საკვლევე საგზაო ქსელში.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

4.7.2. საგზაო მოძრაობის ინტენსიურობის ზრდა

საგზაო მოძრაობის პროგნოზები დამუშავდა 2040 წლამდე პერიოდისთვის, რომელიც მოიცავს 20 წელიწადს მოძრაობის გახსნის პირობითი (2020) წლიდან.

საგზაო მოძრაობის ინტენსიურობის ნორმალური ზრდა

მოძრაობის ინტენსიურობის ნორმალური ზრდა განპირობებულია ეკონომიკური განვითარებით და ასახავს საზოგადოების კეთილდღეობის დონის ამაღლებას რასაც თან ახლავს კერძო საკუთრებაში არსებული ავტომობილების რაოდენობისა და მათი გამოყენების სიხშირის მატება. ეროვნული ეკონომიკის განვითარების საუკეთესო საზომია რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (“მშპ”) ზრდის ტემპი.

საქართველოს ეკონომიკის ცენტრალური ზრდის ტემპის გასაანგარიშებლად, საწყისი მონაცემების სახით, გამოყენებულ იქნა საქართველოსთვის “საერთაშორისო სავალუტო ფონდის” (IMF) მიერ 2021 წლამდე პერიოდისთვის შედგენილი პროგნოზები. შესაფასებელი პერიოდის (2040 წლამდე) დარჩენილი ნაწილისთვის გამოყენებული იქნა “ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) მიერ არანეგრი ქვეყნებისთვის დამუშავებული შედარებითი გრძელვადიანი ეკონომიკური პროგნოზები (განსაკუთრებული ფოკუსირებით საქართველოს ორ მძლავრ მეზობელზე – თურქეთსა და რუსეთზე).

მომდევნო ცხრილში 4.7.2-1 წარმოდგენილია საქართველოს მშპ-ის პროგნოზული ზრდის შედეგობრივი სიდიდეები.

ცხრილი 4.7.2-1 საქართველოს მშპ-ის ზრდის საორიენტაციო პროგნოზული ტემპები (ცენტრალური ზრდა)

-დან	-მდე	ზრდის ტემპი (% წელიწადში)
2017წ..	2021 წ.	5.00
2021 წ.	2030 წ.	4.10
2030 წ.	2040 წ.	3.30

წყარო: კონსულტანტი, IMF-ის/OECD-ის მონაცემების გამოყენებით

საგზაო მოძრაობის ინტენსიურობის ნორმალური ზრდის პროგნოზები

მჭიდროდ დამოკიდებულება ეკონომიკის ზრდასა და საგზაო მოძრაობის ინტენსიურობის ზრდას შორის ფართოდ არის აღიარებული. ზოგადად მიიჩნევა, რომ ეკონომიკის განვითარების ეტაპზე მსუბუქი ავტომობილების და სხვა მსგავსი მცირეგაბარიტიანი სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მშპ-ზე მცირედ სწრაფად იზრდება მაშინ, როდესაც სატვირთო ავტოტრანსპორტის პარკის ზრდა, რაც უშუალოდ ეკონომიკის განვითარებით არის განპირობებული, ჩვეულებრივ მშპ-ს ზრდის ტემპებს იმეორებს. დროთა განმავლობაში სამგზავრო ავტომობილების რაოდენობრივი ზრდის ელასტიურობა მდოვრდება და ამ სახეობის საავტომობილო პარკის ზრდის ტემპები მშპ-ის ზრდის ტემპებს უსწორდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მშპ-ის პროგნოზული ზრდის ტემპის მიმართ მოძრაობის ინტენსიურობის ნაზრდის კოეფიციენტის სიდიდეებად მსუბუქი და სამგზავრო ავტომობილებისთვის მიღებული იქნა 1.20 (2020 წლამდე) და 1.05 (2020 წლის შემდეგ), ხოლო სატვირთო

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ავტომობილებისთვის – 1.0, რაც ამ სახეობის ავტოტრანსპორტისთვის ტრადიციულ სიდიდეს წარმოადგენს.

ზრდის ტემპები მოყვანილია მომდევნო ცხრილში 4.7.2-2. ზრდის დაბალი და მაღალი ტემპები შეადგენენ ცენტრალური ზრდის ტემპის, შესაბამისად, 80%-ს და 120%-ს.

ცხრილი 4.7.2-2. საგზაო მოძრაობის ინტენსიურობის ნორმალური ზრდის პროგნოზული ტემპები (% წელიწადში)

პერიოდი (საწყისი და საბოლოო წლები)	სამგზავრო ავტომობილები			სატვირთო ავტომობილები		
	დაბალი	ცენტრალური	მაღალი	დაბალი	ცენტრალური	მაღალი
2017-2021	4.7	5.9	7.0	4.0	5.0	6.0
2021-2030	3.5	4.3	5.2	3.3	4.1	5.0
2030-2040	2.7	3.4	4.1	2.6	3.3	3.9

წყარო: კონსულტანტი

აღნიშნული ზრდის ტემპები გავრცელებულია ყველა კლასის სატრანსპორტო საშუალებებზე.

4.7.3 შემოთავაზებული ახალი (აცდენილი) სქემა: თელავი-ბაკურციხე-წნორი

თელავი-ბაკურციხე-წნორის გზის შემოთავაზებული მოდერნიზაციის პროექტი მოიცავს სრულიად ახალ, არსებული გზისგან აცდენილ (ალტერნატიულ) მარშრუტს, რომელიც გადის თელავის დასავლეთსა და წნორის აღმოსავლეთს შორის.

აღნიშნული ალტერნატიული მარშრუტის მომცველი პროექტი შეიძლება დაიყოს შემდეგ სამ კომპონენტად:

თელავი-ჩუმლაყი

ჩუმლაყი-ბაკურციხე

ბაკურციხე-წნორი

ამ კომპონენტებს გააჩნიათ შემდეგი ძირითადი ალტერნატიული ვარიანტები:

თელავი-ჩუმლაყი: (ა) “ჩრდილოეთი”, (ბ) “სამხრეთი”, (გ) “სამხრეთი-1”

ჩუმლაყი-ბაკურციხე: (ა) “ჩრდილოეთი”

ბაკურციხე წნორი: (ა) “ჩრდილოეთი”, (ბ) “ჩრდილოეთი-1”, (გ) “სამხრეთი”

როგორც ეს შეიძლება ინახოს, მარშრუტის შუა (ჩუმლაყიდან ბაკურციხემდე) მონაკვეთის უპირატესი ალტერნატიული გზა უკვე შერჩეულია შესაბამისი წინასწარი სამუშაოების სფუქველზე.

4.7.4 საგზაო მოძრაობის მოდელირება

აღნიშნულ ალტერნატიულ მარშრუტებზე საგზაო მოძრაობის მოდელირებისთვის გამოყენებულ იქნა საწყისი და საბოლოო პუნქტების გამოკითხვის გაანალიზებული შედეგები ცალკეული

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მონაკვეთებისთვის შედგენილ “გადასვლის მრუდებთან” ერთად. სანყისი და საბოლოო პუნქტების გამოკითხვის მონაცემები განაწილდა შემდეგი ზონირების სისტემის (ზონების) და გეგმის გამოყენებით:

თბილისი

ბაკურციხე

წნორი

ლაგოდეხი

გურჯაანი

ყვარელი

თელავი

თურქეთი

რუსეთის ფედერაცია

თბილისის რეგიონი

საგარეჯოს რაიონი

ყარაჯალა და თელავის ჩრდილოეთი

თელავსა და გურჯაანს შორის მდებარე დასახლებული პუნქტები

გურჯაანსა და ბაკურციხეს შორის მდებარე დასახლებული პუნქტები

ბაკურციხეს და წნორს შორის მდებარე დასახლებული პუნქტები

სიღნაღი და ბაკურციხის და წნორის სამხრეთით მდებარე დასახლებული პუნქტები


გურჯაანის აღმოსავლეთით მდებარე დასახლებული პუნქტები

წნორის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე დასახლებული პუნქტები

ჩრდილოეთი კახეთი

წნორსა და ლაგოდეხს შორის მდებარე დასახლებული პუნქტები

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება



სურათი 4.7.4-1. სანცისი/საბოლოო პუნქტების გამოკითხვის მონაცემების ზონალური კოდირების გეგმა, წყარო: კონსულტანტი

სანცისი და საბოლოო პუნქტების გამოკითხვის ზონების მიხედვით კოდირებული მონაცემების გაანალიზებამ შესაძლებელი გახადა საკვლევი დერეფნის დაყოფა შემდეგი გამსხვილებული კატეგორიების მიხედვით:

- ადგილობრივი სატრანსპორტო ნაკადი (არსებული გზის ერთი მონაკვეთის ექვივალენტური ალტერნატიული მონაკვეთის საზღვრებში მოძრავი ავტოტრანსპორტი.
- შუალედური სატრანსპორტო ნაკადი (არსებული გზის ერთი ან ორი მონაკვეთის ექვივალენტური ალტერნატიული მონაკვეთების საზღვრებში მოძრავი ავტოტრანსპორტი);
- გრძელ დისტანციებზე მოძრავი სატრანსპორტო ნაკადი(არსებული გზის ორი ან მეტი მონაკვეთის ექვივალენტურ მონაკვეთებზე მოძრავი ავტოტრანსპორტი).

დაშვებულია, რომ პირველი (ადგილობრივი) კატეგორიის სატრანსპორტო ნაკადი არსებულ გზაზე დარჩება და ალტერნატივის სახით სხვა მარშრუტს არ გამოიყენებს. მეორეს მხრივ, გრძელ დისტანციებზე მოძრავი სატრანსპორტო ნაკადი ახალ (ალტერნატიულ) გზაზე გადავა. აღნიშნული დაშვება ფაქტიურად შეესაბამება “ყველაფერი ან არაფერი” ტიპის გადაწყვეტილებებს.

სანცისი/საბოლოო პუნქტების გამოკითხვების შედეგების შეფასების საფუძველზე და გზების დეპარტამენტის და ვზლდ-ის სახელით “ბაკურციხე-გურჯაანის შემოვლითი გზის პროექტისთვის” შესრულებული სამუშაოს გათვალისწინებით, დაშვებულ იქნა, რომ შუალედური სატრანსპორტო ნაკადი შემოთავაზებულ ალტერნატიულ მარშრუტს გამოიყენებს. ბაკურციხე-წნორის საგზაო მონაკვეთზე ჩატარებული სანცისი და საბოლოო პუნქტების გამოკითხვის შედეგად გაანგარიშებული სვლაგეგმების კატეგორიების გამოყენებით, ასეთი დაშვება იძლევა “გადასვლის კოეფიციენტების” 50%-55% შუალედს (მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების ნაკადები ცალ-ცალკე მოდელირდა, რის გამოც მონაკვეთებს შორის მცირეოდენი ვარიაციები არსებობს). აღნიშნული შუალედი არ ემთხვევა ბაკურციხე-გურჯაანის შემოვლითი გზისთვის ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულ

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

გადასვლის კოეფიციენტს (67%), რომელიც, საგზაო მოძრაობის აღწერების შედეგების გათვალისწინებით, მიმდინარე კვლევისთვის დაუსაბუთებლად გამოიყურება.

მომდევნო ცხრილში 4.7.4-1 წარმოდგენილია მოძრაობის დროის და მანძილის საწყისი საინდიკაციო სიდიდეები არსებული გზისა და ძირითადი ახალი ალტერნატიული გზებისთვის.

ცხრილი 4.7.4-1 თელავი-წნორის არსებულ და მოდერნიზებულ მონაკვეთებზე მოძრაობის დროის და მანძილების შესადარებელი მონაცემები

მარშუტი	სიგრძე/დისტანცია (კმ)	გავლის დრო (წთ)	საშუალო სიჩქარე (კმ/სთ)
არსებული გზა	63.6	74.0	52
ჩრდილოეთით ალტერნატიული გზა	66.8	50.1	80
სამხრეთით ალტერნატიული გზა*	65.0	48.8	80

შენიშვნა: *ძალიან ემსგავსება ალტერნატიული გზას "სამხრეთი-1" გავლის დროის სიდიდეები შეესაბამება მსუბუქ ავტომობილს

წყარო: კონსულტანტი

ვინაიდან ცხრილში ალტერნატიული გზებისთვის მოცემული მანძილის და დროის სიდიდეები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან, ამიტომ ალტერნატიულ მარშრუტზე საგზაო მოძრაობის პროგნოზული მონაცემების მხოლოდ ერთი კრებული მომზადდა.

4.7.5 გენერირებული სატრანსპორტო ნაკადი

არსებული გზის მთლიანობაში ადექვატური მდგომარეობიდან გამომდინარე, გენერირებული სატრანსპორტო ნაკადი ანალის გათვალისწინებული არ არის

4.7.6 პროგნოზული სატრანსპორტო ნაკადები

მომდევნო ცხრილებში 4.7.6-1 და 4.7.6-2 მოცემულია თელავი-ბაკურციხე-წნორის არსებულ გზაზე და ალტერნატიულ მარშრუტზე საგზაო მოძრაობის ინტენსიურობის პროგნოზები დაბალი, ცენტრალური და მაღალი ზრდის ტემპების გათვალისწინებით.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ცხრილი 4.7.6-1. საგზაო მოძრაობის პროგნოზული მონაცემები _ არსებულიგზა (AADT)

დასაწყისი	დასასრული	2017 წ.	2020 წ. (გზის გახსნის წელი)			2040 წ. (გახსნიდან მე-20 წელი)		
		დაკვირვებული	დაბალი	ცენტრალური	მაღალი	დაბალი	ცენტრალური	მაღალი
თელავი	აკურა	6183	3271	3382	3487	6071	7282	8767
აკურა	ველისციხის გადასახვევი	6045	3190	3298	3400	5916	7094	8540
ველისციხის გადასახვევი	ჩუმლაყი	7336	3878	4008	4132	7189	8620	10377
ჩუმლაყი	გურჯაანი	7128	3756	3882	4002	6960	8343	10043
გურჯაანი	ბაკურციხე	8146	4280	4423	4560	7927	9501	11436
ბაკურციხე	წნორი	4127	2159	2232	2301	4003	4799	5777

წყარო: კონსულტანტი

ცხრილი 4.7.6-2. საგზაო მოძრაობის პროგნოზული მონაცემები _ ახალი მარშრუტი (AADT)

დასაწყისი	დასასრული	2020 წ. (გზის გახსნის წელი)			2040 წ. (გახსნიდან მე-20 წელი)		
		დაკვირვებული	დაბალი	ცენტრალური	მაღალი	დაბალი	ცენტრალური
თელავი	აკურა	3 804	3 933	4 055	7 058	8 465	10 191
აკურა	ველისციხის გადასახვევი	3 720	3 845	3 964	6 896	8 267	9 951
ველისციხის გადასახვევი	ჩუმლაყი	4 508	4 659	4 803	8 354	10 015	12 056
ჩუმლაყი	გურჯაანი	4 387	4 534	4 674	8 126	9 739	11 723
გურჯაანი	ბაკურციხე	5 022	5 189	5 349	9 295	11 139	13 407
ბაკურციხე	წნორი	2 556	2 642	2 724	4 735	5 676	6 832

წყარო: კონსულტანტი

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

4.8 სადრენაჟე ნაგებობების დაპროექტება

4.8.1 სადრენაჟე ნაგებობების საპროექტო უზრუნველყოფის პერიოდი

როგორც ეს მოითხოვება სტანდარტით სნდნ 2.05.03-84, საანგარიშო პიკური ხარჯების განმეორებადობის სიდიდედ აღებულია 50 წელიწადი. ყველა წყალგამტარი მილი უნდა დაპროექტდეს აღნიშნული განმეორებადობის (უზრუნველყოფის) შესაბამისად.

სახიდე გადასასვლელებისთვის განმეორებადობის პერიოდად აღებულია 100 წლიანი პერიოდი.

ცხრილი 4.8.1-1 საანგარიშო უზრუნველყოფა (სნდნ 2.05.03-84)

რკინიგზა				საავტომობილო გზები, საქალაქო ქუჩები და გზები			
ნაგებობები	გზის კატეგორია	მაქსიმალური წყალდიდობის ხარჯების გადაჭარბების ალბათობა, %		საანგარიშო	მაქსიმალური	გზის კატეგორია	მაქსიმალური საანგარიშო წყალდიდობის ხარჯების გადაჭარბების ალბათობა, %
		1	0,33				
ხიდეები და მილები	I და II (საერთო ქსელები)	1	0,33	დიდი და საშუალო ხიდეები	0,33	I-III, I-B, I-K და II-Kda საქალაქო ქუჩები და გზები	1***
იგივე	III და IV ((საერთო ქსელები)	2	1*	იგივე	1*	IV, II-B, III-B, III-K, IV-B და IV-K, V, I-cdall-c	2***
იგივე	IV და V (მისასვლელი გზები)	2**	-	მცირე ხიდეები და მილები	-	1	1****
იგივე	სამრეწველო საწარმოების შიდა გზები	2	-	იგივე	-	II, III, III-pda საქალაქო ქუჩების გზები	2****
				იგივე		IV, IV-II, V და შიდა სამეურნეო გზები	3****

* III კატეგორიის რკინიგზების მიწის ვაკის კიდეების, სარეგულაციო დაუტოვარი ნაგებობების და მენდრული კალაპოტების შემზღუდავი დამბების დაპროექტებისას მაქსიმალური წყალდიდობის ხარჯების გადაჭარბების ალბათობის სიდიდედ მიიღება 0,33%

** საწარმოების ტექნოლოგიური მოთხოვნების შედეგად მოძრაობის დროებითი შეწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, გადაჭარბების ალბათობის სიდიდედ მიიღება 1%.

*** საავტომობილო გზების სუსტად განვითარებული ქსელის მქონე რაიონებში, განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე ნაგებობებისთვის, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შემთხვევაში, გადაჭარბების ალბათობის სიდიდედ 0,33%-ს ნაცვლად შეიძლება აღებულ იქნას 1%, ხოლო 1%-ს ნაცვლად 2%.

**** საავტომობილო გზების მაღალგანვითარებული ქსელის მქონე რაიონებში, მცირე გაბარიტებიანი ხიდეებისა და მილებისთვის, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პირობით, გადაჭარბების ალბათობის სიდიდედ 2%-ის ნაცვლად შეიძლება აღებულ იქნას 1%, 3%-ის ნაცვლად – 2%, 5%-ის ნაცვლად – 3%, ხოლო II-C და III-C კატეგორიების გზებზე ჩასადები მილებისთვის – 10%.

4.8.2 მიწების ჰიდრაულიკური გაანგარიშება HY-8 (ვერსია 7.30) პროგრამის საშუალებით

წყალშემკრები აუზების წყლის მაქსიმალური ხარჯების გაანგარიშების შემდეგ, ყველა მილისთვის შესრულდა ჰიდრაულიკური გამოთვლები, რისთვისაც გამოყენებულ იქნა აშშ-ის “ფედერალური საავტომობილო გზების ადმინისტრაციის” (FHWA) მიერ დამუშავებული კომპიუტერული პროგრამა HY-8 (ვერსია 7.30). აღნიშნული პროგრამა არ არის შედგენილი უშუალოდ წყლის ზედაპირის პროფილის განსაზღვრის მიზნით, არამედ წარმოადგენს მიწების ჰიდრაულიკური გაანგარიშების ინსტრუმენტს. პროგრამული გამოთვლების შესრულებისას იგულისხმება, რომ მილის ტანის განიკვეთის ფორმა, ზომები და მასალა არ იცვლება გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს მილის ცალკეული ნაწილების მონგრევას/გალღევას. პროგრამა HY-8 იძლევა დეტალური ჰიდრაულიკური გამოთვლების შესრულების შესაძლებლობას შემდეგი საწყისი მონაცემების საფუძველზე:

წყლის ხარჯები: წყლის მაქსიმალური, მინიმალური და საანგარიშო ხარჯები

ქვედა ბიეფის მონაცემები: არხის ტიპი, ძირის სიგანე, გვერდის ქანობი, არხის გრძივი დახრილობა, მანინგის უგანზომილებო კოეფიციენტი “ნ”, არხის ძირის სიმაღლის ნიშნული.

გზის კალაპოტი: ქიმის სიგრძე, ქიმის სიმაღლის ნიშნული, საგზო სამოსის ზედაპირის დონე, ზედაპირის სიგანე


წყალგამტარი მილი: ფორმა, მანინგის კოეფიციენტი “ნ”, მილის შესასვლელის კიდის მდგომარეობა, მილის შესასვლელის ჩაღრმავება

სამშენებლო მოედანი: მილის შესასვლელის რეპერი, შესასვლელის სიმაღლის ნიშნული, მილის გამოსასვლელის რეპერი, გამოსასვლელის სიმაღლის ნიშნული, ძარღვების რაოდენობა

მომდევნო სურათზე მოცემულ სქემაზე დატანილია მილის ტანში გატარებული სრული წყლის ნაკადის დაწნევის და ჰიდრაულიკური ქანობის ხაზები. დაწნევის ხაზი ასახავს წყლის სრულ ენერჯიას მილის ტანის ნებისმიერ წერტილში. H₀ წარმოადგენს მილის შესასვლელის ძირის ჩაღრმავებას სრული დაწნევის ხაზიდან. ჰიდრაულიკური ქანობის ხაზი ასახავს მილის ტანის გვერდებთან დაკავშირებულ წარმოსახვით ვერტიკალურ მილაკებში წყლის აწევის სიმაღლეს. მილის შესასვლელთან მახლობელი უბნის გარდა, სადაც ნაკადი შევიწროებულ კვეთში გადადის, სრული ნაკადის დაწნევის და ჰიდრაულიკური ქანობის ხაზები წარმოადგენენ ურთიერთპარალელურ სწორ წირებს, რომელთა სიმაღლეებს შორის სხვაობა შეადგენს ნაკადის სიჩქარის ექვივალენტურ სტატიკურ დაწნევას.

ნაკადის პირობები შეიძლება გაანგარიშდეს ენერგეტიკული ბალანსის საფუძველზე. ნაკადის მილის ტანში გატარებისთვის საჭირო სრული ენერჯია (HL) შეადგენს მილის შესასვლელში (HE), მილის კედლებთან ხახუნზე (HJ) და მილიდან გამოსასვლელში (HO) ენერჯიის (დაწნევის) დანაკარგების ჯამს. აგრეთვე, ამ ჯამში საჭირებისამებრ შეიტანება დანაკარგები მილის მუხლებში (HB), განშტოებებთან (HJ) და ცხაურებში (HG).

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება




სურათი 4.8.2-1 ნაკადის სრული დაწნევის და ჰიდრავლიკური ქანობის ნახაზი

მიღები გაანგარიშდა ნაკადის მილიდან გამოსასვლელით რეგულირების დაშვებით, ვინაიდან პირველ საფეხურზე მიღების ზომები მოცემული საანგარიშო ხარჯების გათვალისწინებით არის დადგენილი. ნაკადის გამოსასვლელით რეგულირება ნიშნავს, რომ მილის ტანის გამტარუნარიანობა შეზღუდულია ტანის და/ან ქვედა ბიეფის ჰიდრავლიკური მახასიათებლებით. ასეთი დაშვების პირობებში, მილის ტანში ნაკადი სწორხაზოვნად (ლამინირებულად) მიედინება, რაც იძლევა ზედა ბიეფში წყლის სიღრმის გამოსათვლელად ენერჯის ბალანსის განტოლების გამოყენების შესაძლებლობას. მომდევნო ცხრილში ნაჩვენებია განსხვავებული მეთოდებით (წყლის ნაკადის მილის შესასვლელით და გამოსასვლელით რეგულირების დაშვებით) განსაზღვრულ პარამეტრებს შორის.

ცხრილი 4.8.2-1 პარამეტრები ნაკადის მილის შესასვლელით და გამოსასვლელით რეგულირებისთვის

პარამეტრი	მილის შესასვლელით რეგულირებული ნაკადი	მილის გამოსასვლელით რეგულირებული ნაკადი
წყლის დონე ზედა ბიეფში	X	X
ფართობი	X	X
ფორმა	X	X
მილის შესასვლელის ფორმა	X	X
მილის ტანის კედლის სიმქისე	---	X
მილის ტანის სიგრძე	---	X
მილის ტანის დახრილობა	X	X
წყლის დონე ქვედა ბიეფში	---	X

მომდევნო სურათზე ნაჩვენებია ნაკადის შესაძლო პროფილები გამოსასვლელით რეგულირების დაშვებით გაანგარიშებულ მილებში



სურათი 4.8.2-2 ნაკადის ტიპები გამოსასვლელით რეგულირებულ მილში (HDS 5, 2012)

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პარამეტრს ზედა ბიეფში წყლის დასაშვები დონე (HW) წარმოადგენს. ეკონომიურად ყველაზე ეფექტურია მილი, რომელშიც წყლის დაწნევა ზედა ბიეფში სრულად გამოიყენება საანგარიშო წყლის ხარჯის გატარებისთვის. ვინაიდან მილის გამტარუნარიანობა დაწნევის ზრდასთან ერთად მატულობს, საჭიროა ზედა ბიეფში წყლის ხელმისაწვდომი დონის განსაზღვრა. საანგარიშო წყლის ხარჯისთვის, წყლის მაქსიმალურ დონედ ზედა ბიეფში მიღებულია $H_{HW} = 0.5$ მეტრი მილის თავს ზემოთ. ასეთ შემთხვევაში მილის შესასვლელი მთლიანად წყლის ქვეშ არის მოქცეული.

4.8.3 საპროექტო მილების ტექნიკური მონაცემები

წყალშემკრები აუზების მაქსიმალური წყლის ხარჯების გამოთვლის შემდეგ, სრულდება ყველა წყალსადინრის გადაკვეთის ჰიდრაულიკური გაანგარიშება.

მოცემული პროექტი ხასიათდება გარკვეული სპეციფიკით, რომელიც განპირობებულია საპროექტო გზის პარალელურად, მის უშუალო მახლობლობაში მიახ. 10 კმ სიგრძეზე გამავალი მაგისტრალური სარწყავი არხით. ვინაიდან აღნიშნული არხი საპროექტო გზაზე ჰიფსომეტრიულად მაღლა გადის, წყალშემკრები ტერიტორიებიდან მოდინებული ზედაპირული წყლები არხში ჩაედინება. წყლის სხვა ნაწილი გვერდს უვლის არხს ხიდის საშუალებით და გზიდან ჩრდილო-დასავლეთ მხარეს გაედინება. ასეთ ადგილებში გათვალისწინებულია საპროექტო გზის გადაკვეთა მართკუთხა განიკვეთიანი მილებით.

ზემოაღნიშნული მიზეზით, სხვადასხვა მილების შესაბამისი წყალშემკრები ტერიტორიებიდან მოდინებული მაქსიმალური საანგარიშო წყლის ხარჯები შემცირდა სრულ მაქსიმალურ ხარჯებთან შედარებით და, აგრეთვე, ზოგიერთი წყალშემკრები ტერიტორია აღარ იქნა გათვალისწინებული.

მომდევნო ცხრილში წარმოდგენილია ყველა წყალგამტარი მილის ტექნიკური მახასიათებლები.

ცხრილი 4.8.3-1 საპროექტო მილების ტექნიკური მონაცემები

მილის №	პიკეტაჟი	ცენტრ. ღერძი	ხევის №	მაქს. ხარჯი	დიამეტრი	მილის სიგანე	მილის სიმაღლე	მილის სიგრძე	წყლის დონე ზედა ბიეფში (მაქს. ხარჯისთვის)
	[მ]			[მ³/წმ]	[მმ]	[მ]	[მ]	[მ]	[მ]
1	744	400	-	-		6.00	2.00	40.99	-

1.2	784	100	1	2.59	1500			20.57	1.24
2	828	100	-	-		6.00	2.00	25.00	-
2.1	919	400	1	2.59	1500			41.40	1.23
2.2	182	402	1	2.59	1500			31.20	1.24
3	2 078	100	2	0.99		6.00	4.50	37.80	0.23
3.1	2 240	100	2	0.99	1500			36.04	0.68
4	2 647	100	2'	1.28	1500			24.5	0.78
5	2 914	100	3	1.03	1500			24.7	0.7
6	3 553	100	4	0.36	1500			35.3	0.4
7	3 882	100	5	15.44		6.00	4.50	33.9	1.48
8	4 467	100	6	0.49	1500			31.4	0.5
9	4 589	100	6	0.49	1500			27.1	0.6
10	10 221	100	15	3.04		6.00	4.50	36.4	0.46
11	10 443	100	-	-		6.00	4.50	30.9	-
12	12 283	100	20	2.00	1500			25.9	1.0
13	13 545	100	-	-	1500			31.2	-
14	13 680	100	-	-	1500			33.3	-
15	13 815	100	22	1.94	1500			30.0	1.0
16	14 169	100	23	3.65	1500			31.1	1.5
17	14 800	100	23'	2.04	1500			39.1	1.1
18	15 353	100	23'	2.04	1500			29.4	1.0
19	15 438	100	23'	2.04	1500			29.2	1.0
20	15 549	100	23'	2.04	1500			27.0	1.0
21	15 795	100	23'	2.04	1500			32.5	1.0
22	16 252	100	23'	2.04	1500			23.5	1.1
23	16 565	100	23'	2.04	1500			27.0	1.1

ზემოთ მოცემული ცხრილში მკაფიოდ ჩანს, რომ შემზღუდავი პირობა (ზედა ბიეფში წყლის დონე $H_{Hmax} = 0.5$ მ მილის თავს ზემოთ) ყველა საპროექტო მილისთვის სრულდება. დანართში 4 წარმოდგენილია კომპიუტერული პროგრამით HYHY-8 შესრულებული მილების ჰიდრაულიკური გაანგარიშების შედეგები.

4.8.4 ენერჯის დისიპაცია

ვინაიდან საანგარიშო უზრუნველყოფის პერიოდი 50 წელს შეადგენს, ამიტომ ნაკადის გამოთვლილი სიჩქარეები მაღალია. კერძოდ, მოცემული პროექტისთვის მაქსიმალური წყლის ხარჯი 18 მ³/წმ-ს შეადგენს.

იმ შემთხვევაში თუ მილის გამოსასვლელში ნაკადის სიჩქარის და სიღრმის სიდიდეები ქვედა ბიეფის არხში გამდინარე ბუნებრივი ნაკადის ანალოგიურ მახასიათებლებთან მიახლოებულია, მაშინ საკმარისია მარტო მილის დაპროექტება. ამასთან, როდესაც მილის გამოსასვლელში ნაკადის საანგარიშო სიჩქარე უფრო მაღალია, აუცილებელი ხდება დამატებითი დამცავი ღონისძიებების გატარება მილის გამოსასვლელის წარეცხვის თავიდან ასაცილებლად.

მომდევნო ცხრილში მოცემულია მილის გამოსასვლელში გარეცხვის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების საჭიროების შეფასების კრიტერიუმები.

ცხრილი 4.8.4-1 გარეცხვისგან დამცავი ღონისძიებების საჭიროების წინაპირობები

თანაფარდობა მილის გამოსასვლელში ნაკადის სიჩქარესა და ქვედა ბიეფში ბუნებრივი ნაკადის სიჩქარეს შორის	მიახლოებითი სხვაობა სიჩქარეებს შორის	გარეცხვისგან ღონისძიება	დაცვის
--	--------------------------------------	-------------------------	--------

მიახ. ერთმანეთის ტოლი	< 10%	არ არის აუცილებელი
ზომიერად მეტი	10 - 30%	რეცხვის საწინააღმდეგო ძაბრი
მნიშვნელოვნად მეტი	> 30%	ენერჯის დისიპატორები

სვეტში “მიახლოებითი სხვაობა სიჩქარეებს შორის” მოცემული შუალედები არ არიან უპირობოდ ზუსტი, არამედ მხოლოდ საორიანტაციო ხასიათს ატარებენ, რის გამოც სიჩქარეებს შორის სხვაობები ხელაღა უნდა შეფასდეს კონკრეტული მიწების სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ ასეთი სპეციფიკა, სხვა პირობებს შორის, მოიცავს კონკრეტული სამშენებლო ადგილის სენსიტიურობას და მიწის მწყობრიდან გამოსვლის შედეგებს. ენერჯის დისიპაციის ღონისძიებების დაპროექტებისას მნიშვნელოვან საყურადღებო ფაქტორს წარმოადგენს ქვედა ბიეფის არხის (წყალსადინარის) მახასიათებლები (ნაკადის სიჩქარე, სიგანე, სიღრმე და, აგრეთვე, არხის მდგრადობა). ენერჯის დისიპაციის საშუალების (“დისიპატორის”) შერჩეული ტიპი ზოგადად დამოკიდებულია მიწის სახეობაზე (ცილინდრული თუ მართკუთხა) და ფერდობის პირობებზე.

მოცემულ პროექტში წყალსატარი მიწების გამოსასვლელები დაპროექტებულია შემდეგი კონფიგურაციებით:

- ენერჯის დისიპატორის გარეშე
- ენერჯის დისიპაციით
- ქვანაყართ
- ნაქსოვი მავთულბადის ლეიბებით და გაბიონებით

მიწის გამოსასვლელი ენერჯის დისიპატორის გარეშე

სადაც გამოსასვლელში წყლის სიჩქარე და ხარჯი მიახლოებით ქვედა ბიეფის არხში გამავალი ბუნებრივი ნაკადის შესაბამისი პარამეტრების ანალოგიურია, მიწები დაპროექტებულია მხოლოდ სათავისებით და ფრთებით, ენერჯის სადისიპაციო დამატებითი ელემენტების გარეშე.


თუ მილიდან გამოსული ნაკადის სიჩქარე და სიღრმე მიახლოებულია გამყვან არხში (წყალსადინარში) ბუნებრივი ნაკადის გატარების პირობებთან, საკმარისია მხოლოდ რისბერმის ფილის დაპროექტება, ხოლო გარეცხვის საწინააღმდეგო დამატებითი საშუალებები პროექტირების საჭიროება გასათვალისწინებელი არ არის.

ენერჯის დისიპაცია ნაკადის ქვანაყარზე გავლისას


მართკუთხა მიწები

განგარიშებული მართკუთხა მიწებისთვის, თუ მათი გამოსასვლელები ვარდნილ ზედაპირებში არ გადადის, გათვალისწინებულია ქვის მონაყარის მონყობა HEC 14 (“ტექნიკური ცირკულარი ჰიდრაულიკის საკითხებში”). ამ ტიპის დისიპატორები ადექვატურია მოცემული შემთხვევებისთვის, მათი მშენებლობის, მოვლა-შენახვისა და რემონტის სიმარტივის გამო. სხვა ტიპის ენერჯის გამფანტავი ნაგებობები უფრო ძვირია და მოითხოვენ მეტი მოცილობის ბეტონის სამუშაოებს, რაც ასევე ართულებს წყალდიდობის შედეგად მიღებული დაზიანებების გამოსწორებას. რეკომენდირებული დამანყარებელი აუზის პრინციპები ილუსტრირებულია მომდევნო სურათზე.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება



სურათი 4.8.4-1. ქვის მონაცართი მოპირკეთებული აუზის ვერტიკალური ჭრილი (HEC 14)



სურათი 4.8.4-2. ქვით ამოგებული აუზის ნახევრის გეგმა (HEC 14)

აუზი წინასწარ ფორმირებულია და სულ ცოტა 2 D50 სისქეზე მოპირკეთებულია ქვის მონაცართი. მონაცარის სისქე გაანგარიშებულია გარეცხვის მიახლოებითი სიღრმის (hs) გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია მონაცარის სქელ ბალიშზე. მასალის hs/D50სიდიდე 2-ზე მეტი უნდა იყოს.

ენერჯის სადისიპაციო აუზის სიგრძე L_S 10-ჯერ აღემატება H_s-ს, მაგრამ ამასთან ერთად, არ შეიძლება იყოს 3 ჭო-ზე ნაკლები. რისბერმის სიგრძე (L_A) უდრის 5h_s-ს და თან არ შეიძლება იყოს ნაკლები ჭო-ზე. აუზის სრული სიგრძე (აუზი და რისბერმა ერთად) – L_B = 15 h_s, მაგრამ თან არ უნდა იყოს ნაკლები 4 W₀-ზე.

მრგვალი მილები

ყველაზე გავრცელებულ ღონისძიებას გამოსასვლელის დაცვის მიზნით, განსაკუთრებით მრგვალი მილების შემთხვევაში, წარმოადგენს ქვანაყარის რისბერმა. ასეთი რისბერმების მოწყობა გათვალისწინებულია ყველა მილისთვის, რომლებიც გამიზნულია მცირეზე მეტი ხარჯების გასატარებლად. მილის რისბერმაში დასაწყობი ქვანაყარის ზომები გამოითვლება შემდეგი

$$D_{50} = 0.2 D \left(\frac{Q}{\sqrt{g} D^{2.5}} \right)^{4/3} \left(\frac{D}{TW} \right)$$

ფორმულით (ფლექტერი და გრეისი, 19726.):

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

სადაც

D50 = ქვანაყარის ზომა, მ


Q = წყლის საანგარიშო ხარჯი, მ³/წმ

D = მილის დიამეტრი, მ

TW = წყლის სიღრმე ქვედა ბიეფში (თუ ცნობილი არ არის _ 0,4), მ

G = სიმძიმის ძალის აჩქარება, 9.81 მ/წმ²

მომდევნო სურათზე ილუსტრირებულია C 14 ცილკულარში განხილული რისბერმის სქემატური ნიმუში.



სურათი 4.8.4-3 ქვანაყარის რისბერმა

ცხრილი 4.8.4-2 ქვანაყარის კატეგორიები

კატეგორია	D50 (მმ)	D50 (დიუმი)	რისბერმის სიგრძე	რისბერმის სიღრმე
1	125	5	4D	3,5 D50
2	150	6	4D	3,3 D50
3	250	10	5D	2,4 D50
4	350	14	6D	2,2 D50
5	500	20	7D	2,0 D50
6	550	22	8D	2,0 D50

1 D აღნიშნავს მილის დიამეტრს (ზომას)

ქვემოთ მოცემულია საპროექტო მილების რისბერმების სიგრძეები, რომლებიც განსაზღვრულია ქვანაყარის მოცემული ზომის (D50) და საანგარიშო კატეგორიების გათვალისწინებით

ცხრილი 4.8.4-3 საპროექტო მილების ქვანაყარის ტიპის რისბერმების მინიმალური სიგრძეები

ქვანაყარის კატეგორია	მილის დიამეტრი[მმ]	რისბერმის მინ. სიგრძე [მ]	რისბერმის მინ. სიღრმე [მ]
1	1500	6.0	0.44
2	1500	6.0	0.79

4.8.5 გზის ზედაპირის წყალარინება

გზის საფარზე მოხვედრილ ჭარბ წყალს, როგორც დაგუბებულ, ასევე გამდინარე მდგომარეობაში შეუძლია შექმნას სატრანსპორტო საშუალებების საბურავების ჰიდროპლანირების, ანუ საკონტაქტო არეში წყლის ფენის გენერირების შედეგად, საბურავის გზის ზედაპირთან მოჭიდების სრული გაქრობის რეალური საფრთხე. ამდენად, ზედაპირულმა წყალმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას სატრანსპორტო საშუალებებში მყოფ პირებს. მოძრავი ავტომობილები გამოტყორცნიან შხეფებს და მკვრივ ქაფს, რითაც ზღუდავენ მხედველობის არეს, ხოლო საგზაო საფარზე მოხვედრილი წყალი ამცირებს ხახუნს საბურავებსა და გზის ზედაპირს შორის.

ამიტომ, სადრენაჟე სისტემის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს გზაზე მოხვედრილი წყლის შეგროვება და გზის ზედაპირიდან გარეთ გადამისამართება.

მთლიანობაში, თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყის) შემოვლითი გზა აშენდება ცვალებადი სიმაღლის მიწაყრილზე და საგზაო საფარზე მოხვედრილი წყლის გადინება ინარმოებს გზის გვერდულების და ყრილების ფერდობების გავლით უშუალოდ გრუნტის ბუნებრივი ზედაპირისკენ ან მოხვედბა ღია გზისპირა კიუვეტში, რომლიდანაც მებოზელ წყლის ობიექტში ჩაიშვება.

ამასთან, გზის საკმაოდ გრძელ უბნებზე მიწაყრილის სიმაღლე 4 მეტრს აღემატება, რამაც შეიძლება შექმნას მიწაყრილის ფერდობების დაშლის (ეროზიის) პრობლემები. “საბჭოთა კავშირის საერთო დანიშნულების საავტომობილო გზების ქსელის წყალარინების ნაგებობების ტიპური საპროექტო გადაწყვეტების” (503-09-7.84) შესაბამისად, ასეთ მაღალ მიწაყრილებიან უბნებზე საჭიროა გზისპირა ღარების მოწყობა. შესაბამისად, ხისტი გვერდულის კიდესთან გათვალისწინებულია რკინაბეტონის არალრმა ღარის გაყვანა ზედაპირული წყლის სავალი ნაწილიდან გზის ნაპირზე გადადინების და ფერდოს ეროზიის გამომწვევის თავიდან ასაცილებლად. ავტომობილებისთვის უხიფათო და ლმობიერი გარემოს შესაქმნელად, ამგვარ ღარს მცირე სიღრმე და მდოვრედ დახრილი გვერდები ექნება.

კიუვეტში მოხვედრილი წყალი მიწაყრილის ფერდოზე სათანადო შუალედებით მოწყობილი საფეხურებრივი წყალსაშვების ან მოკეთებული წყალსაცემების გავლით საბოლოოდ მოხვედბა ყრილის ძირში გაყვანილ ღია კიუვეტში.

4.9 საირიგაციო ნაგებობების დაპროექტება

4.9.1 არსებული მდგომარეობა

პროექტის ტერიტორიაზე გადის მაგისტრალური სარწყავი არხი, რომელიც ბაკურციხის აღმოსავლეთიდან წნორის სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ არის დამხრობილი.

მაგისტრალური არხი დაკავშირებულია 34 გამანაწილებელ არხთან, რომლებიც უზრუნველყოფენ არხის აღმოსავლეთ მხარეს მდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მორწყვას.

არსებულ სარწყავ სისტემაში წყლის ნაკადი რეგულირდება არხში დამონტაჟებული ბრტყელი ფართით. არხის სამომსახურებო გზის მილით გადაკვეთის შემდეგ, წყალი წყალსაშვი ლუკის გავლით მიედინება სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე.

4.9.2 სამომავლო მდგომარეობა

საპროექტო გზა კმ 1.9 ნიშნულთან გადაკვეთს მაგისტრალურ არხს, რის შემდეგაც 13 კმ მანძილზე მას თითქმის პარალელურად მიუყვება.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მომდევნო ცხრილში მოცემულია ზემოაღნიშნული გამანაწილებელი არხების საპროექტო გზით გადაკვეთის ადგილები.


ცხრილი 4.9.2-1. საპროექტო გზის გადამკვეთი გამანაწილებელი სარწყავი არხები

№	გზის პიკეტაჟი [მ]	№	გზის პიკეტაჟი [მ]
1	1 993	18	6 686
2	2 068	19	7 221
3	2 281	20	7 548
4	2 703	21	8 005
5	2 811	22	8 658
6	2 956	23	8 977
7	3 259	24	9 373
8	3 290	25	10 542
9	3 522	26	10 717
10	3 716	27	10 865
11	3 876	28	11 124
12	4 344	29	11 808
13	4 945	30	12 317
14	5 226	31	12 760
15	5 504	32	13135
16	5 892	33	13 937
17	6 405	34	14 000

ანუ პროექტის განხორციელების ამჟამინდელი სქემის თანახმად, საპროექტო გზა ზემოთ მითითებულ გამანაწილებელ არხებს გადაკვეთს. არსებული სარწყავი სისტემის შენარჩუნების მიზნით გათვალისწინებულია გზის გადამკვეთი დამატებით მიღების მოწყობა. ზოგადად, ეს მოითხოვს მთლიანი საირიგაციო ინფრასტრუქტურის მოდიფიცირებას მოსარწყავი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის ნაყოფიერების დაქვეითების თავიდან ასაცილებლად.

საპროექტო გადაწყვეტის შესაბამისად, საჭიროა არსებული სარწყავი სისტემის დაგრძელება, რაც მოიცავს.

- ახალი წყალშემშვები კვანძის მშენებლობას
- ახალი მილსადენის ჩადებას
- ახალი წყალსაშვი კვანძის მშენებლობას წყლის გამანაწილებელ არხებში გადინების უზრუნველსაყოფად.



სურათი 4.9.2-1 არსებული საირიგაციო მილგაყვანილობის სისტემების დაგრძელება

4.10 აგზაო სამოსის პროექტირება

ქვემოთ აღწერილია სხვადასხვა ტიპის საგზაო სამოსების წინასწარი ტექნიკური პროექტირება არსებული საგზაო სამოსის სრული რეკონსტრუქციის და უპირატესი ტრასის გასწვრივ ახალი საგზაო სამოსების მშენებლობის დაშვებით.

პროექტირების პროცედურა დაფუძნებულია გეოტექნიკური კვლევების პროცესში მოპოვებულ ყველა ხელმისაწვდომ მონაცემზე და სხვა საანგარიშო პარამეტრებზე, საგზაო მოძრაობის მონაცემებთან ერთად. გეოტექნიკური კვლევების, გამოცდების შედეგების და საგზაო მოძრაობის მონაცემების გამოყენებით, დაპროექტდება საგზაო სამოსის წინასწარი აგებულება.

საკვლევი გზების საგზაო სამოსების პროექტირება ეფუძნება AASHTO-ს “საგზაო სამოსის კონსტრუქციების პროექტირების სახელმძღვანელოს” (1993 წ., ტომი 1, “ახალი მშენებლობის ან რეკონსტრუქციის მეთოდები”). აღნიშნული მიდგომის გამოყენება რეკომენდირებულია საკვლევი გზების საგზაო სამოსებისთვის ვინაიდან AASHTO-ს პროექტირების მეთოდი უკვე არის აპრობირებული საქართველოში. დამატებით, შედარებისა და დამონშებისთვის, საგზაო სამოსის კონსტრუქციები გაანგარიშდება საგზაო სამოსების პროექტირების გერმანული სტანდარტის – RStO12-ის შესაბამისად.

საგზაო სამოსის პროექტირების პროცესი მოიცავს სათანადო საგზაო სამოსის გაანგარიშებას და საფარის მასალების შერჩევას საგზაო სამოსის აღეკვატური მუშაობის და, ამასთან ერთად, განსაზღვრულ საანგარიშო პერიოდში მოსალოდნელი სატრანსპორტო დატვირთვების პირობებში მინიმალური ტექნიკური მომსახურების საჭიროების უზრუნველყოფის მიზნით. ამგვარი შერჩევასა უნდა განისაზღვროს საგზაო სამოსის მასალების ტიპები, დაგების სისქეები და კონფიგურაციები, რომლებიც შეესაბამებიან პროექტირების მიზნებს და ფუნქციონალურ (საექსპლუატაციო) მოთხოვნებს.

პროექტირების პროცესი მოიცავს საგზაო სამოსების ფენების შემადგენელი მასალების ტიპების, სისქეების და კონფიგურაციების განსაზღვრას პროექტირების და ფუნქციონირების მიზნების გათვალისწინებით.

ფუნქციონალური მოთხოვნები მოიცავს:

გზის ყველა მოსარგებლის, მათ შორის, ავტომობილების, მოტოციკლების და ფეხით მოსიარულეების უზრუნველყოფას გზის დასახული დანიშნულებისა და დატვირთვის შესაფერისი უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის საჭირო პირობებით;

გზის საკუთრებაში ფლობასთან დაკავშირებული (ანუ სრულ საექსპლუატაციო ვადაში გასაწევი) ხარჯების მინიმიზირებას;

საგზაო სამოსის სტანდარტებთან და სახელმწიფო საგზაო ორგანოების სხვა შესაბამის ინსტრუქციებთან და/ან ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

4.10.1 საგზაო სამოსის პროექტირების პარამეტრები

საგზაო სამოსის დაპროექტების ან შერჩევის პროცესში აუცილებელია შემდეგი სამი ფუნდამენტური გარე საანგარიშო პარამეტრის გათვალისწინება:

მიწის ვაკისის მახასიათებლები, რომელზეც უნდა აშენდეს საგზაო სამოსი;

მოქმედი დატვირთვები და გარემო.

საანგარიშო საექსპლუატაციო ვადა

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

საანგარიშო საექსპლუატაციო ვადა განისაზღვრება აკუმულირებული სატრანსპორტო ნაკადით, რომელიც შეიძლება გატარებულ იქნას საგზაო სამოსის გამაგრების აუცილებლობის შექმნამდე. ასეთ კონტექსტში, საანგარიშო საექსპლუატაციო ვადა არ ნიშნავს, რომ აღნიშნული პერიოდის ამონურვისას გზის სამოსი ბოლომდე გაცვდება და მოითხოვს რეკონსტრუქციას, არამედ გულისხმობს, რომ პერიოდის ბოლოსთან მიახლოებისას გზის სამოსს დაჭირდება გამაგრება რათა მომდევნო პერიოდში დამაკმაყოფილებლად განაგრძოს საგზაო მოძრაობის მომსახურება.

ტექნიკურ დავალებებში მოცემული მოთხოვნის შესაბამისად, გურჯაანიდან თელავამდე გამავალი საგზაო მონაკვეთების გზის საგზაო სამოსების პროექტირებისთვის განსაზღვრული საანგარიშო საექსპლუატაციო ვადად მიღებულია 20 წელი.

საგზაო მოძრაობა

ჩვეულებრივ, სატრანსპორტო დატვირთვა იანგარიშება სამომავლო საგზაო მოძრაობის ინტენსიურობის პროგნოზების, ავტომობილების დაზიანების ფაქტორების და 20-წლიანი პერიოდის მომცველი ჯამური სტანდარტული ღერძული დატვირთვის გათვალისწინებით. სატრანსპორტო დატვირთვების განსაზღვრისას, ძირითადი სანყისი სიდიდეების სახით გამოიყენება სატრანსპორტო ნაკადის დათვლის მონაცემები.

საპროექტო გზაზე მოძრავი სატრანსპორტო ნაკადის მოცულობის, საგზაო მოძრაობის აღწერების შედეგების და სახელმწიფო და რეგიონული ეკონომიკური განვითარების მოსალოდნელი მაჩვენებლების საფუძველზე, დამუშავდა საგზაო მოძრაობის ზრდის პროგნოზები. დეტალები წარმოდგენილია საგზაო მოძრაობის კვლევის ანგარიშში.

გამოკვლევული იქნა შემდეგი მონაკვეთები:

ცხრილი 4.10.1-1: ჩუმლაყი-თელავის გზის საკვლევი მონაკვეთები

#	მონაკვეთი		სიგრძე (კმ)
	საიდან	სადამდე	
1	თელავი	აკურა	17.59
2	აკურა	ველისციხეს კვანძი	12.22
3	ველისციხეს კვანძი	ჩუმლაყი	4.67

გურჯაანი-თელავის საგზაო მონაკვეთისთვის განისაზღვრა წლიური საგზაო მოძრაობის საშუალო დღიური ინტენსიურობის (AADT) ზრდის დაბალი, ცენტრალური და მაღალი ტემპები, საპროექტო გზების სავარაუდო გახსნიდან (2020 წ.) 20-წლიან პერიოდში, გადამისამართებული სატრანსპორტო ნაკადის ჩათვლით.

AASHTO-ს “საგზაო სამოსების კონსტრუქციების პროექტირების სახელმძღვანელო” შესაბამისად, სტანდარტული ღერძული დატვირთვა 18 ათას ფუნტს (8 ტ) შეადგენს, ხოლო სხვა საერთაშორისო სტანდარტები ანალოგიური ნორმატიული პარამეტრის სიდიდეებად 10-ან 11.5-ტონიან ღერძულ დატვირთვებს იყენებენ. AASHTO-ს “საგზაო გამოცდის” ანგარიშში მოცემულია კორელაციური დამოკიდებულება სხვადასხვა სტანდარტულ/საკონტროლო სატრანსპორტო დატვირთვებს შორის.

ექვივალენტური სტანდარტული ღერძული (ESAL) გამოითვალა წლიური საგზაო მოძრაობის საშუალო დღიური ინტენსიურობის (AADT) სტანდარტული ღერძების ჯამურ რაოდენობაში გადაყვანის საშუალებით, რისთვისაც გამოყენებულ იქნადატვირთვის ექვივალენტური

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

გადამყვანი კოეფიციენტები. აღნიშნული კოეფიციენტებით ნებისმიერი ღერძული დატვირთვის ეფექტი გამოისახება სტანდარტული (საკონტროლო) ღერძების რაოდენობით.

საქართველოში ადრე ჩატარებული ღერძული დატვირთვების აღწერების შედეგების გათვალისწინებით, მიღებულია შემდეგი გადამყვანი კოეფიციენტები:

ცხრილი 4.10.1-2. სტანდარტული ღერძული დატვირთვის (ESAL) გადამყვანი კოეფიციენტები (8.16 ტონიანი სტანდარტული ღერძი)

ავტომობ. ტიპი	მსუბუქი ავტომ. ავტოფურც.	მიკროავტობუსი	საშუალო ავტობუსი	მსუბ. სატვ. ავტ. „პიკაპი“	საშუალო სატვ. ავტ. (2-ღერძ.)	მძიმე სატვ. ავტ. (3-ღერძ.)	მძიმე სატვ. ავტ. (>4 ღერძით)
ESAL-ის კოეფიციენტები	0.02	0.02	0.34	0.15	0.84	2.25	3.50

ცხრილში მოყვანილი კოეფიციენტები გამოიყენება ზომიერი ზრდის ტემპის შესაბამისი პროგნოზული სატრანსპორტო დატვირთვების (საპროექტო გზების სავარაუდო გახსნიდან (2020 წ.) 20-წლიან პერიოდში გადამისამართებული სატრანსპორტო ნაკადის ჩათვლით) გადასაყვანად საკონტროლო (სტანდარტული) 8.16-ტონიანი (დატვირთული) ღერძების რაოდენობაში.

მომდევნო ცხრილებში მოცემულია საგზაო მოძრაობის პროგნოზული მონაცემები ცენტრალური ზრდის ტემპის შემთხვევისთვის.

ცხრილი 4.10.1-3. პროგნოზული სატრანსპორტო დატვირთვა ბაკურციხე-წნორის არსებულ საგზაო მონაკვეთზე (8.16-ტონიან ექვივალენტურ სტანდარტულ ღერძებში)

საგზაო მონაკვეთი		20-წლიანი სტ. ღერძ. დატვირთვა (ESAL)	
დასაწყისი	დასასრული	ჯამური (მილიონი სტანდ. ღერძი)	საანგარიშო მოძრაობის ზოლში (მილიონი სტანდ. ღერძი)
თელავი	აკურა	7.275	3.638
აკურა	ველისციხის მიერთება	8.089	4.045
ველისციხის მიერთება	ჩუმლაყი	8.618	4.309

საექსპლუატაციო მახასიათებლებზე ორიენტირებული გზის საფარის პროექტირების მეთოდები და პროგნოზები უპირველეს ყოვლისა დაფუძნებულია კუმულაციურ ღერძულ დატვირთვებზე. საანგარიშო პერიოდში გატარებული სრული სატრანსპორტო ნაკადი ორმხრივ მოძრაობას მოიცავს. ზოგადად მიიჩნევა, რომ თითოეული მიმართულებით სრული ნაკადის ნახევარი მოძრაობს. შესაბამისად, ზემოთ მოყვანილ ცხრილებში სატრანსპორტო დატვირთვის მოძრაობის ზოლებს შორის განაწილების კოეფიციენტის სიდიდედ მიღებულია 0.5 (50%).

დეტალური ინფორმაცია საგზაო მოძრაობის შესახებ მოცემულია ანგარიშის შესაბამის თავში.

მიწის ვაკისის სიმტკიცე

მიწის ვაკისი შეადგენს გზის საძირკველს (კალაპოტს), რომლის ძირითადი დანიშნულებაა სატრანსპორტო საშუალებებით გამოწვეული დატვირთვების გრუნტში უფრო ღრმად გადანაწილება თავად საძირკველის და მის ზემოთ განთავსებული ფენების დაზიანების

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

გარეშე. ეს პირობა უნდა შესრულდეს როგორც საგზაო სამოსის მშენებლობის, აგრეთვე მის სრულ საქსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში.

საგზაო სამოსის ექსპლუატაციის მანძილზე, მის საძირკველს უნდა გააჩნდეს ავტოტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეული მრავალჯერადი დატვირთვებისადმი მედეგობის უნარი. ასევე სავარაუდოა და მხედველობაშია მისაღები, რომ მიწის ვაკისში შეაღწიოს წყალმა, განსაკუთრებით როდესაც საგზაო სამოსის ზედა ფენები ექსპლუატაციის ვადის ამოწურვასთან მიახლოებისას დასუსტებას იწყებენ. სავსე სამუშაოების და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების საფუძველზე, გეოტექნიკური გამოკვლევების და მიწის ვაკისის მზიდუნარიანობის შეფასების გათვალისწინებით, განისაზღვრა მიწის ვაკისის სიმტკიცე არსებულ საგზაო მონაკვეთზე და, აგრეთვე, გეგმიური ახალი საგზაო მონაკვეთების ტრასების გასწვრივ.

საგზაო სამოსის წინასწარი პროექტირებისთვის მიღებულია მიწის ვაკისის კალიფორნიული რიცხვის (ჩ ლ) ქვემოთ მოყვანილი საანგარიშო სიდიდეები.

ცხრილი 4.10.1-4. საგზაო მონაკვეთის გასწვრივ არსებული მიწის ვაკისის კალიფორნიული რიცხვის (ჩ ლ) წინასწარი საანგარიშო სიდიდეები

საგზაო მონაკვეთი		ვაკისის ტიპი	მიწის ვაკისის კალიფორნიული რიცხვი (CBR) (%)
საიდან	სადამდე		
თელავი	ჩუმლაყი	შეკავშირებული	5
		მარცვლოანი	30

საქსპლუატაციო (ფუნქციონალური) პარამეტრები

სხვა საწყისი პარამეტრებია გზის საიმედოობის და ექსპლუატაციისთვის ვარგისიანობის მაჩვენებლები. AASHTO-ს “საგზაო სამოსების კონსტრუქციების პროექტირების სახელმძღვანელოს” შესაბამისად, მოცემული საგზაო მონაკვეთებისთვის საიმედოობის სიდიდედ მიღებულია 90%.

ექსპლუატაციისთვის ვარგისიანობის საწყის სიდიდედ მიღებულია $k=4.2$, ხოლო საბოლოო სიდიდედ $-p=2.2$.

როგორც ღრეკადი, ასევე ხისტი საგზაო სამოსის კონსტრუქციული ფენების ყველაზე შესაფერისი ვარიანტის პროექტირება დაფუძნებული უნდა იყოს 20-წლიანი საანგარიშო პერიოდის მომცველ სრულ საქსპლუატაციო (სასიცოცხლო ციკლის) ხარჯებზე და ეკონომიკურ მოსახრებებზე.

ყინვის შეღწევა

საკვლევი გზის გასწვრივ მიწის ვაკისის შეკავშირებული (კოჰეზიური) კონსისტენციის გათვალისწინებით, ყურადღებას მოითხოვდა ყინვის ტემპერატურების შესაძლო ზემოქმედება საგზაო სამოსის ფენებსა და მიწის ვაკისზე.

გრუნტის სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმეების გათვალისწინებით, გურჯაანის თელავთან დამაკავშირებელ საგზაო მონაკვეთებზე მიწის ვაკისში ყინვის შეღწევა მოსალოდნელი არ არის.

4.10.2 საგზაო სამოსის აგებულების განსაზღვრა

საკვლევი ჩუმლაყი (გურჯაანი) - თელავის საგზაო მონაკვეთის ახალი ალტერნატიული ტრასებისთვის საწყისი მიდგომის სახით გამოიყენება AASHTO-ს პროექტირების მეთოდი. AASHTO-ს “საგზაო სამოსების კონსტრუქციული პროექტირების სახელმძღვანელოს” შესაბამისად, პროექტირების საკვანძო მომენტს წარმოადგენს ღრეკადი საგზაო სამოსის

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

სტრუქტურული რიცხვის (SN) განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო სამოსის საკმარის მედეგობას პროგნოზული დონის ღერძული დატვირთვების მიმართ.

საჭირო სტრუქტურული რიცხვები გამოითვალა AASHTO-ს კომპიუტერული პროგრამის DARWin 3.1 გამოყენებით, რომელიც ხსნის AASHTO-ს პროექტირების სახელმძღვანელოში მოცემულ განტოლებას. კერძოდ, აღნიშნულ პროგრამაში შეყვანილ იქნა ზემოაღნიშნული საწყისი სიდიდეების მეტრულ სისტემაში გადაყვანილი მნიშვნელობები. გამოთვლების დეტალური შედეგები წარმოდგენილია მომდევნო ცხრილში.

არსებული საგზაო მონაკვეთებისთვის, სტრუქტურული რიცხვის დადგენა დაფუძნებულია ჩემოთვლილ CBR მაჩვენებლებზე და სატრანსპორტო დატვირთვებზე.

ცხრილი 4.10.2.-15 სტრუქტურული რიცხვები უპირატეს მიმართულებაზე მოძრავი სატრანსპორტო ნაკადებისთვის

საგზაო მონაკვეთი		სატრანსპორტო დატვირთვა (საანგარიშო მოძრაობის ზოლში) (მილიონი სტანდ. ღერძი)	მიწის ვაკისის კალიფორნიული რიცხვის (f დ) საანგარიშო სიდიდე (%)	მოთხოვნილი სტრუქტურული რიცხვი (SN)
თელავი	აკურა	3.638	5	4.17
			30	2.75
აკურა	ველისციხის მიერთება	4.045	5	4.24
			30	2.82
ველისციხის მიერთება	ჩუმლაყი	4.309	5	4.28
			30	2.85

ზემოთ მოცემული სტრუქტურული რიცხვისთვის უნდა შეირჩეს საგზაო სამოსის სისქეების ნაკრები, რომლებიც კომბინირების შემდეგ, უზრუნველყოფენ აღნიშნული სტრუქტურული რიცხვის (SN) შესაბამის მზიდუნარიანობას.

სტრუქტურული რიცხვის დამოკიდებულება ფენების კოეფიციენტების (ai) და სისქეების (Di) სიდიდეებზე გამოიხატება შემდეგი ტოლობით:

$$SN = S \sum_{i=1} a_i D_i$$

ფენების კოეფიციენტები (ai) განისაზღვრა AASHTO-ს “საგზაო სამოსის კონსტრუქციების პროექტირების სახელმძღვანელოში” მოცემული გრაფიკების და ცხრილების გამოყენებით. კონკრეტული ფენების კოეფიციენტები გამოიყენება საგზაო სამოსის აგებულების საპროექტო გაანგარიშებაში.

საგზაო სამოსის სტრუქტურული ფენების სისქეები განისაზღვრა AASHTO-ს კომპიუტერული პროგრამით DARWin 3.1, რომელშიც გამოყენებულია AASHTO-ს “საგზაო სამოსის კონსტრუქციების პროექტირების სახელმძღვანელოს” შესაბამისი მეთოდი და პარამეტრები.

4.10.3 საგზაო სამოსის ფენების გაანგარიშება

4.10.3.1 საგზაო სამოსის დრეკადი და შეუკავშირებელი ფენების გაანგარიშება

საპროექტო საგზაო მონაკვეთის თავსა და ბოლოში მიერთებულ გზებზე დაგებულია ასფალტის საფარი. ამიტომ, პირველი ვარიანტის სახით, რეკომენდირებულია ახალ გზაზე დრეკადი საგზაო სამოსის მოწყობა.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ქვემოთ განხილულია წინასწარ შეთავაზებული დრეკადი საგზაო სამოსები და ცალკეული ფენების სისქეები, რომლებიც გაანგარიშებულია საპროექტო გზის 20-წლიანი საანგარიშო საექსპლუატაციო ვადის გათვალისწინებით და ასფალტის საფარის სისქის AASHTO-ს სპეციფიკაციის შესაბამისად განსაზღვრის პირობით, რომლის თანახმადაც გზის 2.0 მილიონ სტანდარტული ლერძის ექვივალენტზე მაღალი საანგარიშო სატრანსპორტო დატვირთვის შესაბამისი ასფალტის საფარის მინიმალური სისქე შეადგენს 3.5 დიუმს (მიახ. 90 მმ).

I ალტერნატიული ვარიანტი: ასფალტის საფარის ფენების დაგება მარცვლოვან ფენებზე

აღნიშნული ალტერნატიული საგზაო სამოსი შედგება ასფალტის საფარის ზედა და ქვედა ფენებისგან და მათ ქვეშ დაგებული ღორღოვანი საფუძველისგან, რომლის ქვემოთ განთავსებულია საფუძველის შესასწორებელი ფენა. შეკავშირებული ფენის თავზე საჭირო იქნება დამატებით 300 მმ მარცვლოვანი ფენის მოწყობა.

საგზაო სამოსის ფენების სისქეები გამოთვლილია AASHTO-ს ავტომატიზირებული პროექტირების პროგრამით DARWin 3.1, რომელშიც გამოყენებულია AASHTO-ს “საგზაო სამოსების კონსტრუქციების პროექტირების სახელმძღვანელოში” მოცემული მეთოდი და პარამეტრები.

ცხრილი 4.10.3.1-1 საგზაო სამოსის საგარაუდო წინასწარი აგებულება

ასფალტის საფარის ზედა ფენა (მმ)	ასფალტის საფარის ქვედა ფენა (მმ)	ღორღოვანი საფუძველი (CBR>80%) (მმ)	მარცვლოვანი მასალის საფუძველის შესასწორებელი ფენა (CBR>25%) (მმ)	მარცვლოვანი მასალის საფუძველის დამატებითი ფენა (ჩ ღ>25%) (მმ)	საგზაო სამოსის საერთო სისქე (მმ)
40	120	150	150	300	760

დეტალური გამოთვლები მოცემულია მე-13 დანართში.

შეთავაზებულ ალტერნატიულ საგზაო სამოსის აგებულება წარმოდგენილია ასფალტ-ბეტონის თხელი ზედაპირული ფენით, რომელსაც თანმიმდევრულად მოსდევნ ასფალტის ქვედა ფენა, ღორღოვანი საფუძველი და მარცვლოვანი (ბუნებრივი ქვიშა-ხრემოვანი ნარევის) საფუძველის შესასწორებელი ფენა. შეკავშირებული ფენის თავზე საჭირო იქნება დამატებით 300 მმ მარცვლოვანი ფენის მოწყობა. საგზაო სამოსის სრული სისქე შეადგენს 760 მმ-ს.

II ალტერნატიული ვარიანტი: ასფალტის საფარის დაგება ცემენტით გამაგრებულ მარცვლოვან საფუძველზე

ამ სახის საგზაო სამოსი აგებულია ასფალტის ერთი ფენით და მის ქვეშ დაგებული გამაგრებული (შეკრული) მარცვლოვანი საფუძველით, რომელსაც ქვემოთ მოყვება ასევე მარცვლოვანი კონსისტენციის საფუძველის შესასწორებელი ფენა. შეკავშირებული ფენის თავზე საჭირო იქნება დამატებით 300 მმ მარცვლოვანი ფენის მოწყობა.

საგზაო სამოსის ფენების სისქეები გამოთვლილია AASHTO-ს ავტომატიზირებული პროექტირების პროგრამით ლჭინ 3.1, რომელშიც გამოყენებულია AASHTO-ს “საგზაო სამოსების კონსტრუქციების პროექტირების სახელმძღვანელოში” მოცემული მეთოდი და პარამეტრები.

ცხრილი 4.10.3.1-2. საგზაო სამოსის აგებულების II ალტერნატიული ვარიანტი

ასფალტის საფარის ზედა ფენა (მმ)	ასფალტის საფარის ქვედა ფენა (მმ)	ღორღოვანი საფუძველი (CBR>80%) (მმ)	მარცვლოვანი მასალის საფუძველის შესასწორებელი ფენა (CBR>25%) (მმ)	მარცვლოვანი მასალის საფუძველის დამატებითი ფენა (CBR>25%) (მმ)	საგზაო სამოსის საერთო სისქე (მმ)
40	120	150	150	260	720

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

აღნიშნული ალტერნატიული საგზაო სამოსი შედგება ასფალტის საფარის თხელი ზედა (ასფალტბეტონის) და ქვედა (ასფალტის) ფენებისგან, რომლებიც დაგებულია ცემენტით გამაგრებულ საფუძველზე და მის ქვედა, ბუნებრივი ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით შედგენილ, საფუძველის შესასწორებელ ფენაზე. შეკავშირებული მასალებით აგებულ მიწის ვაკისზე უნდა განთავსდეს დამატებითი მიწის ვაკისის დამცავი ფენა. გზის სემენტებზე, რომლებიც მიწაყრილებზე აშენდება, მიწაყრილის მასალების მზიდუნარიანობა არ უნდა იყოს ნაკლები $CBR=5\%$ -ზე. საგზაო სამოსის სრული სისქე შეადგენს 720 მმ-ს.

ასეთი ალტერნატიული აგებულების საგზაო სამოსი გამაგრებული საფუძველით მცირედ გაზრდილი სისქისაა. როგორც სტრუქტურული რიცხვის სიდიდიდან ჩანს, ცემენტით გამაგრებული საფუძველი ვერ უზრუნველყოფს კონსტრუქციის საერთო სიმტკიცის საგრძნობ ზრდას. ამასთან, გამაგრებული ფენის მასალის წარმოების და დაგების ხარისხის კონტროლირება რთულია საფუძველის შეუკავშირებელი მასალით დაგებასთან შედარებით.

ალტერნატიული დრეკადი საგზაო სამოსის ფენების სისქეები გაანგარიშდა AASHTO-ს მიერ მოთხოვნილი მინიმალური სისქეების, სხვადასხვა შემესები მასალების ნარევების მაქსიმალური ფრაქციული ზომების და სამშენებლო მოსაზრებების გათვალისწინებით, როგორებიცაა მშენებლობის პრაქტიკულობა და ცალკეული ფენების მაქსიმალური სისქეები დატკეპნის შესაძლებლობის თვალსაზრისით. აგრეთვე, მხედველობაში იქნა მიღებული მასალების ადგილობრივი წყაროებიდან მოწოდების ხელმისაწვდომობა.

4.10.3.2 ხისტი საგზაო სამოსის დაპროექტება

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) საავტომობილო გზის ახალ შესაძლო გზებზე დრეკადი საგზაო სამოსის დაგების ალტერნატივას ხისტი საგზაო სამოსი წარმოადგენს. ჩვეულებრივ, ხისტ საგზაო სამოსებად პორტლანდცემენტიანი ბეტონის საფარის მქონე საგზაო სამოსები მიიჩნევა. ზოგადად, ბეტონის საგზაო სამოსები სხვა ალტერნატივებისგან გამოირჩევიან უფრო ხანგრძლივი საექსპლუატაციო ვადით, ნაკლები მოვლა-შენახვის საჭიროებით და საანგარიშო საექსპლუატაციო პერიოდში გასაწევი მცირე ჯამური ხარჯებით.

ხისტია ისეთი საგზაო სამოსები, რომლებსაც გააჩნიათ ღუნვაზე საკმარისი მედეგობა, რათა შეძლონ მიწის ვაკისის ლოკალურად შესუსტებული და არაადეკვატური საყრდენის მქონე უბნების საიმედოდ გადაფარვა. ხისტი საგზაო სამოსის ბეტონის ფენაში დატვირთვის ზემოქმედებით ვითარდება ღუნვის მომენტი და შედეგად ეს ფენა მუშაობს ფილის სახით, რომლითაც ბორბლებიანი ტრანსპორტის დატვირთვა საფუძველის შესასწორებელ ფენასა და მიწის ვაკისის ფართო უბნებზე ნაწილდება და მათში დაძაბულობებისა და დეფორმაციების შემცირებას განაპირობებს.

AASHTO-ს საგზაო სამოსების პროექტირების სახელმძღვანელოს შესაბამისად, ხისტი საგზაო სამოსების გაანგარიშებისთვის საჭირო საწყისი პარამეტრების უმეტესობა დრეკადი საგზაო სამოსების საწყისი პარამეტრების ანალოგიურია და წარმოდგენილია შემდეგი სახით:

სატრანსპორტო დატვირთვა (იხ. წინა პარაგრაფი): 4.309 მილიონი სტანდ. ლერძი საანგარიშო ზოლზე
საიმედოობა: 90%

საერთო სტანდარტული გადახრა (S_o): 0.35

ექსპლუატაციისთვის ვარგისიანობა (სამსახურის უნარი):

საწყისი: $p_o=4.5$

საბოლოო: $p_t=2.5$

ექსპლუატაციისთვის ვარგისიანობის

მაჩვენებლის ჯამური ცვლილება: $PSI = 4.5 - 2.5 = 2.0$

ხისტი საგზაო სამოსების გაანგარიშება მოითხოვს რამდენიმე დამატებითი საწყის მონაცემს, როგორებიცაა:

ბეტონის დრეკადობის მოდული: 4 900 000 პსი (34 000 000 კპა)

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

(ბეტონის ფილის დრეკადობის მოდულის საშუალო სიდიდე 28-დღიანი გამკვრივების შემდეგ)

ბეტონის ზღვრული წინაღობა გაგლეჯაზე 600 პსი (4 400 კპა)

სიმტკიცე ღუნვაზე: 600 პსი (

საფუძველის დეფორმაციის მოდული და სისქე: $b = 200000$ კპა, სისქე: 200 მმ

(დამატებით – 150 მმ სისქის საფუძველის შესასწორებელი ფენა)

მიწის ვაკისის რეაქციის ეფექტური (დაყვანილი) მოდული:

მიწის ვაკისის რეაქციის ეფექტური მოდულის სიდიდე იზომება/იანგარიშება დასრულებული გზის ვარცლის გრუნტის თავზე, რომელზეც შემდგომში უნდა დაიგოს ბეტონის ფილა. აღნიშნული მოდულის (კ) სიდიდე, რომელიც ახასიათებს მიწის ვაკისის მდგომარეობას, შეიძლება გაანგარიშდეს გრუნტის ტიპებსა და კალიფორნიული რიცხვის (CBR) სიდიდეებს შორის კორელაციური დამოკიდებულებების გამოყენებით.

ჩატარებული გამოცდების შედეგების თანახმად, მიწის ვაკისის გრუნტები მიეკუთვნება AASHTO-ს გრუნტების კლასიფიკაციით განსაზღვრულ -2-4, -4 და -6 ჯგუფებს, რომელთა შესაბამისი კალიფორნიული რიცხვის სიდიდე -2-4 ჯგუფისთვის (CBR) 5%-ს, ხოლო -4 და -6 ჯგუფისთვის 30%-ს შეადგენს. AASHTO-ს სახელმძღვანელოს მე-2 ნაწილის (“ხისტი საგზაო სამოსების პროექტირების ინსტრუქციები”) I დამატებაში მოცემული მე-11 ცხრილის თანახმად, -4 და -6 ჯგუფის გრუნტებისთვის k-ს სიდიდეები შეიძლება აღებულ იქნან 10-60 კპა/მმ (25-225 psi/in) დიაპაზონში ხოლო -2-4 ჯგუფის გრუნტებისთვის – 300-500 psi/in (81-135 კპა/მმ). კალიფორნიული რიცხვის განსაზღვრული სიდიდის გათვალისწინებით, AASHTO-ს “ხისტი საგზაო სამოსების კონსტრუქციული ელემენტების ინსტრუქციებში” მოცემული 41-ე სურათის (გრაფიკის) შესაბამისად, CBR=5%-ის ტოლის კალიფორნიული რიცხვის მქონე მიწის ვაკისისთვის კ-ს სიდიდეების განისაზღვრება 11 კპა/მმ-დან (40 psi/in) 220 კპა/მმ-მდე (500 psi/in) შუალედით, რომლის გასაშუალოებული სიდიდე შეადგენს 35 კპა/მმ-ს (130 პსი/ინ), ხოლო CBR=30%-ის ტოლის კალიფორნიული რიცხვის მქონე მიწის ვაკისისთვის კ-ს სიდიდეების განისაზღვრება 11 კპა/მმ-დან (175 პსი/ინ) 247 კპა/მმ-მდე (500 პსი/ინ) შუალედით, რომლის გასაშუალოებული სიდიდე შეადგენს 86 კპა/მმ-ს (320 psi/in)

საფუძველის შესასწორებელი ფენის და საფუძველის ჯამური სისქის (500 მმ) გათვალისწინებით, AASHTO-ს საგზაო სამოსების გაანგარიშების პროცედურების II ნაწილში (გრაფიკის) შესაბამისად, მიწის ვაკისის სრული რეაქციის მოდული შეადგენს 81 კპა/მმ-ს (400 psi/in).

მოცემული საწყისი მონაცემებიდან, “ამერიკის ბეტონის საგზაო სამოსების ასოციაციის” მიერ დამუშავებული კომპიუტერული პროგრამის WinPAS12 გამოყენებით, გამოითვალა ბეტონის ფილის სისქეები, რომლებიც წარმოდგენილია მომდევნო ცხრილში:

“ამერიკის ბეტონის საგზაო სამოსების ასოციაციის” (ACPA) მიერ დამუშავებული “სტატიკური -სიდიდეების” გამოთვლის პროგრამის გამოყენებით განსაზღვრული კომბინირებული k-სიდიდე შეადგენს 403 პსი-ს (ფუნტს კვ. დიუმზე).

ბეტონის ფილის სისქე გამოითვალა “ამერიკის ბეტონის საგზაო სამოსების ასოციაციის” მიერ დამუშავებული კომპიუტერული პროგრამით ჭინ შ12, საწყისი სიდიდეების გამოყენებით. გამოთვლის შედეგები მოცემულია მომდევნო ცხრილში.

ცხრილი 4.10.3.2-1. ხისტი საგზაო სამოსის აგებულება – ფენების სისქეები AASHTO-ს მიხედვით

ბეტონის ფილა (მმ)	მარცვლოვანი საფუძველის ფენა (მმ)	მარცვლოვანი საფუძველის ფენა (მმ)	სამოსის ჯამური სისქე (მმ)
230	300	200	730

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ხისტი საგზაო სამოსის აგებულებაში (ზევიდან ქვევით) წარმოდგენილია 230 მმ სისქის ბეტონის ფილა, 300 მმ სისქის ღორღოვანი საფუძველი და 150 სისქის საფუძველის შესასწორებელი ფენით. ასეთი საგზაო სამოსის სრული სისქე 730 მმ-ს შეადგენს.

მომდევნო სურათზე გრაფიკულად არიან მიმოხილული შეთავაზებული ალტერნატიული საგზაო სამოსები.

სურათი 4.10.3.1-1. შეთავაზებული ალტერნატიული საგზაო სამოსების აგებულებები

ალტერნატივა 1

მარცვლოვან საფუძველზე მოწყობილი ასფალტბეტონის საგზაო სამოსი

40მმ ასფალტ ბეტონი
120მმ ასფალტ ბეტონი
150მმ ღორღოვანი საფუძველი
150მმ მარცვლოვანი საფუძველის ქვედა ფენა
≥ 300მმ მარცვლოვანი საფუძველის დამატებითი ფენა
საგზაო ყრილის მასალა (CBR>5%), ცვალებადი სიმაღლით 0.0 დან> 7.0მ
ვაკისი (თიხა, თიხნარი)

ალტერნატივა 2

ცემენტით სტაბილიზებულ საფუძველზე მოწყობილი ასფალტბეტონის საგზაო სამოსი

40მმ ასფალტ ბეტონი
120მმ ასფალტ ბეტონი
150მმ ცემენტით სტაბილიზებული საფუძველი
150მმ მარცვლოვანი საფუძველის ქვედა ფენა
> 260მმ ცემენტოვანი საფუძველის დამატებითი ფენა (ან არსებული გრუნტი)
საგზაო ყრილის მასალა (CBR>5%), ცვალებადი სიმაღლით 0.0 დან> 7.0მ
ვაკისი (თიხა, თიხნარი)

ალტერნატივა 3

მარცვლოვან (ღორღოვან) საფუძველზე მოწყობილი ბეტონის ფილა

230მმ ცემენტ ბეტონის ფილა
300მმ ღორღოვანი საფუძველი
200მმ მარცვლოვანი საფუძველის ქვედა ფენა
საგზაო ყრილის მასალა (CBR>5%), ცვალებადი სიმაღლით 0.0 დან> 7.0მ
ვაკისი (თიხა, თიხნარი)

4.10.3.3 საგზაო სამოსის აგებულების გაანგარიშება გერმანული სტანდარტის (RStO) შესაბამისად

შედარების და გადამოწმების მიზნით, საგზაო სამოსის წინასწარი აგებულება განისაზღვრა გერმანული სტანდარტის RStO-12-ის (“საგზაო სამოსების კონსტრუქციების სტანდარტიზაციის ინსტრუქციები”) მოთხოვნების შესაბამისად.

აღნიშნულ სტანდარტში მოცემულია ხისტი და დრეკადი საგზაო სამოსების კონსტრუქციული გადაწყვეტების კატალოგი სატრანსპორტო დატვირთვების და საგზაო სამოსის ფენების მასალების მიხედვით. ძირითად საწყის პარამეტრს წარმოადგენს სატრანსპორტო დატვირთვა, რომელიც დაყოფილია დატვირთვების კლასებად (BK), სხვადასხვა ჯერადობის მილიონი სტანდარტული ღერძის მიხედვით. გერმანული გაანგარიშების მეთოდი დაფუძნებულია 10-ტონიან ერთეულოვან სტანდარტულ ღერძულ დატვირთვაზე, AASHTO-ს მეთოდში გამოყენებული 8.1-ტონიანი სტანდარტული ღერძული დატვირთვისგან განსხვავებით.

უპირატესი ტრასის გასწვრივ, პროგნოზირებული სატრანსპორტო დატვირთვა პროგნოზირებულია ველისციხის გადასახვევსა და ჩუმლაყს შორის უბანზე დაშეადგენს წლიურად 3.888 მილიონი (8.1-ტონიანი) სტანდარტული ღერძის ექვივალენტს. აღნიშნული სატრანსპორტო დატვირთვის გადასაყვანად 10-ტონიანი ღერძების ექვივალენტში გამოიყენება AASHTO-ს გადამყვანი კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{გადამყვანი (ექვივალენტური) კოეფიციენტი} = (\text{ღერძული დატვირთვა}) / 8.164.5$$

10-ტონიანი ღერძული დატვირთვისთვის, გადამყვანი კოეფიციენტის გამოთვლილი სიდიდე შეადგენს 2.50-ს.

ზემოთ მითითებული გადამყვანი კოეფიციენტის მიყენებით, საანგარიშო მოძრაობის ზოლზე მოსული სატრანსპორტო დატვირთვა შეადგენს 1.555 მილიონ სტანდარტულ ღერძს (10-ტონიანი).

აღნიშნული სატრანსპორტო დატვირთვა მიეკუთვნება გერმანული საპროექტო გადაწყვეტების კატალოგის ცხრილში 1 მოცემულ დატვირთვის კლასს Bk1.8, რომელიც ვრცელდება 1.0 მილიონზე მეტი და 1.8 მილიონზე ნაკლები სტანდარტული (10-ტონიანი) ღერძის ოდენობის სატრანსპორტო დატვირთვებზე.

დატვირთვის კლასისთვის კ1.8, RStO12-ში მოყვანილ სტანდარტული გადაწყვეტების კატალოგში (მე-3 რიგში) მოცემულია Ev2>45 მგპა (CBR>15%) სიმტკიცის ღორღოვან საფუძველზე დაგებული ასფალტის საფარიანი საგზაო სამოსის ქვემოთ წარმოდგენილი აგებულება.

ცხრილი 4.10.3.3-3 ალტერნატიული დრეკადი საგზაო სამოსის აგებულება გერმანული სტანდარტის (RStO12) შესაბამისად

ასფალტის საფარის ზედა ფენა	ასფალტის საფარის ქვედა ფენა	ღორღოვანი საფუძველის ფენა	ყინვაგამძლე ფენა (სიმტკიცე ფენის ზედაპირზე – 120 მგპა)	არსებული გრუნტი ან გრუნტის ჩანაცვლება, გზის ფორმირების დონეზე გრუნტის მოთხოვნილი სიმტკიცის (45 მგპა) უზრუნველსაყოფად	საგზაო სამოსის სრული სისქე
(მმ)	(მმ)	(მმ)	(მმ)	(მმ)	(მმ)
40	120	150	340	300	950

ყინვაგამძლე ფენის დანიშნულებაა არა მარტო მიწის ვაკისის დაცვა ყინვის ტემპერატურებისგან, არამედ, მოცემულ შემთხვევაში, 120 მგპა სიდიდის მზიდუნარიანობის უზრუნველყოფა ყინვაგამძლე ფენის ზედაპირზე, რაც ამ ფენისთვის ცხრილში მითითებულ სისქეს მოითხოვს. იგივე შეეხება გრუნტის ჩანაცვლებას. მიწის ვაკისის კალიფორნიული რიცხვის (5%) გათვალისწინებით, გზის ფორმირების დონეზე გრუნტის მზიდუნარიანობის 45

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მგპა-მდე გასაზრდელად საჭიროა ამ დონემდე მიახლოებით 300 მმ სისქის სანაცვლო მარცვლოვანი ფენის დაგება.

გერმანულ სტანდარტში მოცემული ტექნიკური გადაწყვეტების კატალოგში, აგრეთვე წარმოდგენილია კ1.8 კლასის სატრანსპორტო დატვირთვის გათვალისწინებით გამაგრებული მარცვლოვანი საფუძველით დაპროექტებული საგზაო სამოსის ელემენტები, რომელთა მონაცემები მომდევნო ცხრილშია მოყვანილი.

ცხრილი 4.10.3.3-2 ალტერნატიული დრეკადი საგზაო სამოსი გამაგრებული საფუძველის ფენით (RStO12)

ასფალტის საფარის ზედა ფენა	ასფალტის საფარის ქვედა ფენა	სტაბილიზებული მარცვლოვანი საფუძველის ფენა	ყინვაგამძლე ფენა გრადაციით I 18196-ის მიხედვით	არსებული გრუნტი ან გრუნტის ჩანაცვლება, გზის ფორმირების დონეზე გრუნტის მოთხოვნილი სიმტკიცის (45 მგპა) უზრუნველსაყოფად	საგზაო სამოსის სრული სისქე
(მმ)	(მმ)	(მმ)	(მმ)	(მმ)	(მმ)
40	120	150	240	300	850

ხისტი საგზაო სამოსების ელემენტები წარმოდგენილია გერმანული სტანდარტული საპროექტო გადაწყვეტების კატალოგის მე-2 ცხრილში (პუნქტი 3.2). ცხრილის თანახმად, მოცემული კ1.8 დატვირთვის კლასისთვის, ღორღოვანი საფუძველზე დაგებული ცემენტობეტონის საფარიანი საგზაო სამოსი შედგება ქვემოთ მოცემული ელემენტებისგან.

ცხრილი 4.10.3.3-3 ალტერნატიული ხისტი საგზაო სამოსი (RStO12)

ბეტონის ზედაპირული ფენა	ღორღოვანი საფუძველი	ყინვაგამძლე ფენა (სიმტკიცე ფენის ზედაპირზე - 120 მგპა)	არსებული გრუნტი ან გრუნტის ჩანაცვლება, გზის ფორმირების დონეზე გრუნტის მოთხოვნილი სიმტკიცის (45 მგპა) უზრუნველსაყოფად	საგზაო სამოსის სრული სისქე
(მმ)	(მმ)	(მმ)	(მმ)	(მმ)
240	200	310	300	1050

ყინვაგამძლე ფენის დანიშნულებაა არა მარტო მიწის ვაკისის დაცვა ყინვის ტემპერატურებისგან, არამედ, მოცემულ შემთხვევაში, 120 მგპა სიდიდის მზიდუნარიანობის უზრუნველყოფა ყინვაგამძლე ფენის ზედაპირზე, რაც ამ ფენისთვის ცხრილში მითითებულ სისქეს მოითხოვს. იგივე შეეხება გრუნტის ჩანაცვლებას. მიწის ვაკისის კალიფორნიული რიცხვის (5%) გათვალისწინებით, გზის ფორმირების დონეზე გრუნტის მზიდუნარიანობის 45 მგპა-მდე გასაზრდელად საჭიროა ამ დონემდე მიახლოებით 300 მმ სისქის სანაცვლო მარცვლოვანი ფენის დაგება.

4.10.3.4 ამერიკული (AASHTO) და გერმანული (RStO) პროექტირების ნორმების შესაბამისად გაანგარიშებული საგზაო სამოსის აგებულებების შედარება

ამერიკული (AASHTO-ს პროექტირების მეთოდი) და გერმანული (RStO – საგზაო სამოსების პროექტირების ინსტრუქციები) ნორმების შესაბამისად გაანგარიშებული საგზაო სამოსების აგებულებების ურთიერთშედარება უჩვენებს, რომ ასფალტის საფარის სისქეები ერთმანეთის

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მსგავსია, ხოლო ბეტონის ზედაპირული ფენების სისქეები ერთმანეთისგან მხოლოდ მინიმალურად განსხვავდება.

ყველა შემთხვევაში, გერმანული RStO-ს შესაბამისად გაანგარიშებული საგზაო სამოსი უფრო მეტი სისქისაა AASHTO-ს შესაბამისი საგზაო სამოსის სისქესთან შედარებით. ასეთი განსხვავება ნაწილობრივ განპირობებულია გერმანული პროექტირების მეთოდის მოთხოვნით, რომლის თანახმადაც გზის ფორმირების (მიწის ვაკისის ზედაპირის) დონეზე განთავსებული მასალის მზიდუნარიანობა უნდა შეადგენდეს 45 მგპა-ს მის თავზე გადაფარებული საგზაო სამოსის ფენების სისქეების და ხარისხის მიუხედავად.

გერმანულ სტანდარტში მოცემულ ტიპური საპროექტო გადაწყვეტების კატალოგში სტანდარტიზირებული სახით არის წარმოდგენილი სხვადასხვა სატრანსპორტო დატვირთვების შესაბამისი საგზაო სამოსების აგებულებები. გრუნტის შედარებით დაბალი მზიდუნარიანობა უნდა კომპენსირდეს გზის ფორმირების დონის (მიწის ვაკისის) გრუნტის გაუმჯობესების ან ჩანაცვლების ზომების გატარებით, სატრანსპორტო დატვირთვის ან საგზაო სამოსის აგებულების მიუხედავად.

მომდევნო ცხრილში წარმოდგენილია ამერიკული (AASHTO) და გერმანული (RStO) სტანდარტების შესაბამისად გაანგარიშებული ალტერნატიული საგზაო სამოსების აგებულებების მიმოხილვა და ურთიერთშედარება.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ცხრილი 4.10.3.4-1 შეთავაზებული ალტერნატიული საგზაო სამოსების აგებულებები RSt12-ის მიხედვით

საგზაო სამოსის კონსტრუქციის შედარება AASHTO-ს და RStO 12-ს მიხედვით

ალტერნატივა 1: არახისტი საგზაო სამოსი ღორღოვან საფუძველზე

ჩუმლაყი-თელავი	საპროექტო მეთოდი და საექსპლუატაციო ვადა	ასფალტის სისქე მმ	ზედა ფენა მმ	ბიტუმივანი საფუძველი მმ	ღორღოვანი საფუძველი მმ	საფუძვლის დამ. ფენა მმ	გრუნტის ამოცვლა მმ	ჯამური სისქე მმ
Flexible Pavement with crushed stone base	AASHTO 20 წლიანი ვადით	160	40	120	150	150	300	760
	RStO 20 წლიანი ვადით	160	40	120	150	340	300	950

ალტერნატივა 2: არახისტი საგზაო სამოსი სტაბილიზებულ მარცვლოვან საფუძველზე

ჩუმლაყი-თელავი	საპროექტო მეთოდი და საექსპლუატაციო ვადა	ასფალტის სისქე მმ	ზედა ფენა მმ	ბიტუმივანი საფუძველი მმ	სტაბილიზებული საფუძველი მმ	საფუძვლის დამ. ფენა მმ	გრუნტის ამოცვლა მმ	ჯამური სისქე მმ
Flexible Pavement with stabilised granular base course	AASHTO 20 წლიანი ვადით	160	40	120	150	150	260	720
	RStO 20 წლიანი ვადით	160	40	120	150	240	300	850

ალტერნატივა 3: ხისტი საგზაო სამოსი ბეტონის ზედაპირით

ჩუმლაყი-თელავი	საპროექტო მეთოდი და საექსპლუატაციო ვადა	ბეტონის ფენა მმ	ღორღოვანი საფუძველი მმ	ქვედა/ყინვა გამძლე ფენა მმ	გრუნტის ამოცვლა მმ	ჯამური სისქე მმ
Rigid pavement with concrete surface course	AASHTO 20 წლიანი ვადით	230	300	200	-	730
	RStO 20 წლიანი ვადით	240	200	310	300	1050



4.10.3.5 ძირითადი მოთხოვნები საგზაო სამოსის შეუკავშირებელი და შეკავშირებული მასალების მიმართ

საგზაო სამოსის მშენებლობის პროცესში მოსალოდნელია გზის საძირკველზე დატვირთვების გადაცემა სატვირთო ავტოტრანსპორტის, დამგები დანადგარების და სხვა სამშენებლო ტექნიკის მხრიდან. ნებისმიერ დონეზე, რომელზეც ხდება ასეთი ზემოქმედება, მასალების სიმტკიცე და სისქეები საკმარისი უნდა იყოს დატვირთვების გასაძლევად რაიმე დაზიანების გარეშე, რომელმაც შეიძლება რაიმე საგრძნობად უარყოფითი გავლენა იქონიოს საგზაო სამოსის სამომავლო მუშაობაზე.

გზის საძირკველი (ვარცლი) საკმარისად გამკვირვებული უნდა იყოს მასზედ საგზაო სამოსის ფენების დაგებისა და აღექვატურად დატკეპნის საჭიროების გათვალისწინებით.

უაღრესად მნიშვნელოვანია სადრენაჟე სისტემამ არ დაუშვას წყლის აკუმულირება საგზაო სამოსის ფენებსა და გზის კალაპოტში და უზრუნველყოს ჭარბი ნესტის გაფანტვა.

მიწაყრილის მასალა

უპირატესი ტრასის გასწვრივ მოთხოვება ახალი მიწაყრილის მოწყობა, რომლის სიმაღლე 1.0 მეტრიდან 7.0 მეტრამდე და უფრო მეტად იცვლება. მიწაყრილი უნდა მოეწყოს ადგილობრივად ხელმისაწვდომი გრუნტის მასალით, რომელშიც წვრილმარცვლოვანი ფრაქციის შემცველობა შეზღუდული ოდენობის უნდა იყოს, ხოლო ხოლო მაქსიმალური ფრაქციული ზომა არ უნდა აღემატებოდეს 100 მმ-ს.

კერძოდ, მიწაყრილის მასალაში წვრილმარცვლოვანი ფრაქციის (<0.063 მმ) წილი არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს, ხოლო 0.425 მმ ზომის უჯრიან საცერში გასული მასალის პლასტიკურობის რიცხვი (PI) 20-ზე ნაკლები უნდა იყოს.

მიწაყრილის მასალასთან დაკავშირებით, სატენდერო დოკუმენტაციაში რეკომენდირებულია ქვემოთ მოცემული პირობების შეტანა.

ცხრილი 4.10.3.5.-1 მიწაყრილის მასალის რეკომენდირებული მახასიათებლები

მიწაყრილის მასალის პარამეტრი	რეკომენდაცია
დატკეპნის ხარისხი	95 %
მასალის კალიფორნიული რიცხვი (CBR) მშრალი მასის მაქს. სიმკვრივის (MDD) 95%-მდე დატკეპნილ მდგომარეობაში	5%
მაქსიმალური ფრაქციული ზომა	100 მმ
წვრილმარცვლოვანი ფრაქციის (<0.063მმ) შემცველობა	< 50%
მასალის პლასტიკურობის რიცხვი (<0.425მმ ფრაქციის)	< 20

მიწაყრილის მასალაში არ უნდა იყოს თიხის ბეღტები და ორგანული მინარეგები.

საჭირო მიწაყრილის მასალების დიდი მოცულობის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია ადგილობრივად ხელმისაწვდომი ყრილის მასალების გამოყენება. მინიმალური სავალდებულო მოთხოვნები ადგილობრივად ხელმისაწვდომი, ძირითადად შეკავშირებული მასალების მიმართ მოყვანილია ზედა ცხრილში. აღნიშნული ტიპის მასალა, რომლის კალიფორნიული რიცხვის (CBR) მინიმალური სიდიდე 5%-ს შეადგენს, ხელმისაწვდომია საპროექტო გზიდან ეკონომიურად გონივრულ მანძილებზე.

მარცვლოვანი დამატებითი ფენა

შემოთავაზებულ უპირატეს მიმართულებაზე საჭიროა საფუძვლის დამატებითი ფენის მოწყობა. შეუკრავი მარცვლოვანი ფენა უნდა წარმოადგენდეს ბუნებრივი მასალით დაგებულ (მაქსიმუმ 63 მმ გრადაციის) ფენას, რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ცხრილი 4.10.3.5.-2 რეკომენდირებული გრანულომეტრიული შემადგენლობა საფუძვლის დამატებითი ფენისთვის

საცერის უჯრედის ზომა [მმ]	გასული ფრაქციის მასური წილი [%]
63	100
31.5	75 -100
16	43 – 81
8	23 – 66
4	12 - 53
2	6 - 42
1	3 - 32
0.063	0 - 9

დაგების შემდეგ, საფუძვლის მარცვლოვანი დამატებითი ფენა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს, რომლებიც რეკომენდირებულია აისახონ სატენდერო დოკუმენტაციაში:

ცხრილი 4.10.3.5.-3 რეკომენდირებული დამატებითი ფენის მახასიათებლები

საფუძვლის დამატებითი ფენის პარამეტრები	რეკომენდირებული სიდიდეები
დატკეპნის ხარისხი	98%
CBR მაჩვენებელი 98%-იან მშს-სთვის	15%
პლასტიკურობის ინდექსი	6

მარცვლოვანი საფუძველი

შეუკავშირებელი მარცვლოვანი საფუძველი უნდა წარმოადგენდეს მაქსიმუმ 45 მმ ფრაქციის ღორღის ფენას, რომელსაც უნდა გააჩნდეს ქვემოთ მოცემული მახასიათებლები.

ცხრილი 4.10.3.5.-4: რეკომენდირებული მარცვლოვანი (ღორღოვანი) საფუძვლის მასალის გრანულომეტრიული შემადგენლობა

საცერის უჯრედის ზომა [მმ]	გასული ფრაქციის მასური წილი [%]
45	100
31.5	90 -100
16	55 – 85
8	35 - 68
4	22 – 59
2	16 – 47
1	9 – 40
0,5	5 - 35
0.063	0 - 7

სატენდერო დოკუმენტაციაში დაგებული საფუძველის ფენისთვის რეკომენდირებულია აისახოს მომდევნო ცხრილში მოცემული პირობები.

ცხრილი 4.10.3.5.-5 რეკომენდირებული საფუძველის ფენის მახასიათებლები

საფუძველის მარცვლოვანი ფენის პარამეტრები	რეკომენდირებული სიდიდეები
დატკეპნის ხარისხი	100 %



მზიდუნარიანობა, კ2	150 /მმ2
ფარდობა კ2/ კ1	2,2
უსწორმასწორობა (4-მეტრიანი საკონტროლო ლარტყით გაზომილი)	20 მმ
სისქის (სიმაღლის) დასაშვები გადახრა	20 მმ

მშრალი მასის მაქსიმალური სიმკვრივის 100%-მდე დატკეპნილი (100% MDD) მასალის სიმტკიცე (CBR) არ უნდა იყოს 80%-ზე ნაკლები.

მასხასიათებლები Ev1 და Ev განისაზღვრებიან მარცვლოვანი საფუძველის თავზე ჩატარებული ფილის სტატიკური დატვირთვებით გამოცდების საშუალებით.

ცემენტით გამაგრებული საფუძველის ფენა

გამაგრებული მარცვლოვანი საფუძველი უნდა წარმოადგენდეს მაქსიმუმ 45 მმ ფრაქციის ღორღის ფენას ქვემოთ მოცემული მასხასიათებლებით.

ცხრილი 4.10.3.5.-6 რეკომენდირებული გრანულომეტრიული შემადგენლობა

საცერის უჯრედის ზომა [მმ]	გასული ფრაქციის მასური წილი [%]
45	100
31.5	90 -100
16	55 – 85
8	35 - 68
4	22 – 59
2	16 – 47
1	9 – 40
0,5	5 - 35

ცემენტის მინიმალური შემცველობა უნდა აღემატებოდეს მშრალი გრუნტის მასალის წონის 3%-ს.

გამაგრებული (სტაბილიზირებული) მასალის დატკეპნის ხარისხი უნდა შეადგენდეს მშრალი მასალის მოდიფიცირებული მაქსიმალური სიმკვრივის სულ ცოტა 98%-ს.

გამაგრებული საფუძველის მასალის სიმტკიცე, რომელიც განისაზღვრება 7-დღიანი სანიმუშო კუბების (ზომები: 150×150×150) გამოცდის საშუალებით უნდა იმყოფებოდეს 3.0-5.0 მგპა შუალედში. თუ სანიმუშო კუბების დამზადებისთვის სათანადო ყალიბები ხელმისაწვდომი არ არის, დასაშვებია ცილინდრული ნიმუშების გამოყენება. ასეთ შემთხვევაში, ექვივალენტური კუბის სიმტკიცის გამოსათვლელად, მიღებული შედეგები უნდა გამრავლდეს სათანადო მაკორექტირებელ კოეფიციენტებზე.

ასფალტის საფარის ქვედა ფენა

ასფალტის საფარის ქვედა (ბიტუმიტ შეკრული) ფენის სახით რეკომენდირებულია არაუმეტეს 22 მმ ფრაქციის ინერტული მასალის შემცველი ასფალტბეტონის დაგება, რომელსაც ინტენსიური სატრანსპორტო დატვირთვების შესაბამისი მზიდუნარიანობის უზრუნველსაყოფად, უნდა გააჩნდეს შემდეგი მასხასიათებლები:

ცხრილი 4.10.3.5.-7 ასფალტის საფარის ქვედა ფენის რეკომენდირებული შემცველი (ინერტული) მასალის გრანულომეტრიული შემადგენლობა

საცერის უჯრედის ზომა [მმ]	გასული ფრაქციის მასური წილი [%]
31.5	100
22.4	90 - 100
16	75 - 90
2	25 -40
0.125	4 - 14
0.063	2 - 9
ნარევის მახასიათებლები	
ბიტუმი, 50/70 მარკის	3.8 %
ნარევი სიცარიელების პროცენტული წილი	მოცულობის 5.0 - 7.0 %
ინერტული შემესების მახასიათებლები	
ნამსხვრევი ქვიშის წილი	>50 %
ნასხვრევი ზედაპირების წილი (> 4 მმ)	50 %
შემესებში მომრგვალებული ნაწილაკების წილი (> 4 მმ)	3 %
აბრაზიული ცვეთადობა (ლოს ანჯელესური დოლით გაზომილი)	25 %

ასფალტის გაშლილი და დატკეპნილი ფენისთვის, სატენდერო დოკუმენტაციაში რეკომენდირებულია ქვემოთ მოცემული პირობების შეტანა.

ცხრილი 4.10.3.5.-8 რეკომენდირებული ასფალტის საფარის ქვედა ფენის მახასიათებლები

ასფალტის ფენის პარამეტრი	რეკომენდირებული დიაპაზონი
დატკეპნის ხარისხი	97 %
სიცარიელების პროცენტული წილი (ფენაში)	7.0 %
უსწორმასწორობა (4-მეტრიანი საკონტროლო ლარტყით გაზომილი)	6 მმ

ასფალტის საფარის ზედა ფენა

ასფალტის საფარის ზედა (საცვეთი) ფენის სახით რეკომენდირებულია მაქსიმუმ 11 სმ ფრაქციის ინერტული შემესებით დამზადებული ასფალტბეტონის დაგება, რომელსაც ინტენსიური საგზაო მოძრაობით გამოწვეული ძვრის ძალების საპასუხოდ უნდა გააჩნდეს შემდეგი მახასიათებლები:

ცხრილი 44.10.3.5.-9 ასფალტის საფარის ზედა ფენის რეკომენდირებული შემესები (ინერტული) მასალის გრანულომეტრიული შემადგენლობა

საცერის უჯრედის ზომა [მმ]	გასული ფრაქციის მასური წილი [%]
16	100
11.2	90 - 100
8	70 - 85
5.6	-
2	40 -50
0.125	7 - 17
0.063	5 - 9



საცერის უჯრედის ზომა [მმ]	გასული ფრაქციის მასური წილი [%]
ნარევის მახასიათებლები	
ბიტუმი, 50/70 მარკის	6 %
სიცარიელეების მოცულობითი წილი მარშალის ნიმუშში	2.5 - 3.5 Vol.-%
ინერტული შემკვების მახასიათებლები	
ნამსხვრევი ქვიშის წილი	>50 %
ნასხვრევი ზედაპირების წილი (> 4 მმ)	90 %
შემკვებში მომრგვალებული ნაწილაკების წილი (> 4 მმ)	1 %
აბრაზიული ცვეთადობა (ლოს ანჯელესური დოლით გაზომილი)	20 %

ასფალტის გაშლილი და დატკეპნილი ფენისთვის, სატენდერო დოკუმენტაციაში რეკომენდირებულია ქვემოთ მოცემული პირობების შეტანა.

ცხრილი 4.10.3.5.-10 რეკომენდირებული ასფალტის საფარის ზედა ფენის მახასიათებლები

ასფალტის ფენის პარამეტრი	რეკომენდირებული დიაპაზონი
დატკეპნის ხარისხი	97 %
სიცარიელეების პროცენტული წილი (ფენაში)	6.5 %
უსწორმასწორობა (4-მეტრიანი საკონტროლო ლარტყით გაზომილი)	4 მმ

4.10.4 საგზაო სამოსის კვლევის შეჯამება

არსებულ გზაზე დაგებული ასფალტის საფარი ძირითადად ცუდ, ხოლო ლიკალურად – დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. არსებული საგზაო სამოსის მზიდუნარიანობის და ალტერნატიული მარშრუტების გასწვრივ მიწის ვაკისის გრუნტის სიმტკიცის და კუმშვადობის წინასწარი შეფასება დაფუძნებულია საწყის საველე და ლაბორატორიული სამუშაოების შედეგებზე.

ალტერნატიული ტრასების აღწერების და შეფასების დასრულების შემდეგ განისაზღვრა უპირატესი ტრასა, რომლის გასწვრივაც შესრულდა გეოტექნიკური კვლევები. უპირატესი ტრასის გასწვრივ გავრცელებულ ძირითად გრუნტს წარმოადგენს თიხა თიხნარი. გავრცელების მხრივ, მეორე ადგილზე დგას ძირითადად მომრგვალებული ქვებით და კენჭებით შედგენილი ხვინჭი, რომელიც მეტწილად თიხნარის ქვეშ მდებარეობს ან მონაცვლეობს შეკავშირებულ მასალასთან. გეოტექნიკური კვლევების და გამოცდების შედეგების საფუძველზე, განისაზღვრა მიწის ვაკისის კალიფორნიული რიცხვის (CBR) საანგარიშო სიდიდე.

დამუშავდა სამი განსხვავებული აგებულების საგზაო სამოსის სტრუქტურა, რომლებიც აღწერილია წინამდებარე ანგარიშში. საგზაო სამოსების განხილული ალტერნატიული აგებულებები მოიცავენ ორ დრეკად და ერთ ხისტ საგზაო სამოსს.

საგზაო სამოსის ყველა კონსტრუქციული ფენა შეიძლება დაიგოს უშუალოდ მარცვლოვან მიწის ვაკისზე, ან შეკავშირებული კონსისტენციის მიწის ვაკისზე განთავსებულ დამატებით ფენაზე. გზის საწყისი ტექნიკური გადაწყვეტა ითვალისწინებს, რომ გზა მიწაყრილზე აშენდება. ამიტომ ხარჯთაღრიცხვის შედგენის მიზნებისთვის დაშვებული უნდა იქნას, რომ საგზაო სამოსი მთლიანი უპირატესი ტრასის გასწვრივ

შეკავშირებულ მიწის ვაკისზე დაიგება, ვინაიდან ასეთი დაშვება დამატებით მასალებს ან ფენას არ მოითხოვს.

პირველი სახის საგზაო სამოსი შედგება (ზევიდან ქვევით) ასფალტის საფარის ზედა და ქვედა ფენებისგან, რომელთა ქვეშ დაგებულია მარცვლოვანი (დორდოვანი) საფუძველი, ხოლო მის ქვემოთ – ქვიშა-ხრეშოვანი მასალისგან შედგენილი საფუძველის შესასწორებელი ფენა. საჭირო სიმტკიცის მისაღებად უნდა მოეწყოს საფუძველის დამატებითი ფენა, შეკავშირებული ვაკისის თავზე.

მეორე ალტერნატიული დრეკადი საგზაო სამოსი აგებულია ერთფენიანი ასფალტის საფარით, მის ქვეშ დაგებული ცემენტით გამაგრებული საფუძველით და უფრო ქვემოთ განთავსებული საფუძველის შესასწორებელი მარცვლოვანი ფენით.

ხისტ სამოსიანი ალტერნატივა წარმოდგენილია ცემენტობეტონის ზედაპირული ფენით, რომელიც დაგებულია მარცვლოვან საფუძველზე, ხოლო ეს უკანასკნელი – ასევე მარცვლოვან საფუძველის შესასწორებელ და დამატებით ფენაზე.

შედარების და გადამოწმების მიზნით, AASHTO-ს მეთოდით განსაზღვრული საგზაო სამოსის წინასწარი აგებულება გაანგარიშდა გერმანული სტანდარტის ლშტ -12-ის (“საგზაო სამოსების კონსტრუქციების სტანდარტიზაციის ინსტრუქციები”) მოთხოვნების შესაბამისად. შედარება უჩვენებს, რომ ზოგადად ორივე მეთოდით გაანგარიშებულ საგზაო სამოსების ზედაპირული (საფარის) ფენები ერთმანეთის მსგავსია, ხოლო ქვედა მარცვლოვანი ფენები ურთიერთგანსხვავებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ საგზაო სამოსების განხილული წინასწარი ალტერნატიული ვარიანტები შესაბამისობაშია სათანადო ტექნიკურ მოთხოვნებთან, როგორებიცაა მიწის ვაკისის სიმტკიცის და საგზაო მოძრაობის მოცულობის წინასწარი სიდიდეები. უპირატესი ტრასის გასწვრივ გრუნტის პირობების დამატებითი გამოკვლევის შედეგად, მიწის ვაკისის სიმტკიცის საწყისი სიდიდე შეიძლება შეიცვალოს, რაც გამოიწვევს საგზაო სამოსის წინასწარ გაანგარიშებული ელემენტების კორექტირებას.

თუ გზის ტექნიკური პროექტის შესაბამისად საგზაო სამოსი ძირითადად გარკვეული მინიმალური სიმაღლის მიწაყრილზე უნდა განთავსდეს, მაშინ AASHTO-ს პროექტირების მეთოდით გათვალისწინებული მიწის ვაკისის დამცავი ფენა საკმარისი სიმაღრის და ხარისხის მქონე მიწაყრილის მასალით შეიძლება შეიცვალოს.

საწყისი გამოკვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ხიდების და გზის ქვედა გასასვლელებისთვის რეკომენდირებულია ხიმინჯოვანი სიდრმული საძირკვლების დაპროექტება. ლოკალურად და შედარებით დრმად გავრცელებული ხრეშოვანი და კენჭნაროვანი მასალები ხიმინჯების დატვირთვების მიმართ საკმარისი მზიდუნარიანობისაა. სადაც მხოლოდ შეკავშირებული მასალებია დაფიქსირებული, საძირკვლებისთვის კიდული ხიმინჯები უნდა დაპროექტდნენ.

მდინარეების ჭალებში და ნაპირებთან ახლოს გრუნტის პირობები მოკლე მანძილებზე შეიძლება მკვეთრად ცვალებადი იყოს. ამიტომ ცალსახად არის რეკომენდირებული ხიდების ფაქტიურ სამშენებლო უბნებზე დამატებითი გეოტექნიკური კვლევების ჩატარება ხიდების საძირკვლების დეტალური პროექტირებისთვის საჭირო მონაცემების მოსაპოვებლად.

4.11 გზის დაპროექტება და საპროექტო გეომეტრიული სტანდარტების გამოყენება

4.11.1 პორიზონტალური და ვერტიკალური ტრასირება

უპირატესი ალტერნატიული ტრასის საფუძველზე დამუშავდა გურჯაანი/(ჩუმლაყი)-თელავის შემოვლითი გზის წინასწარი საინჟინრო-ტექნიკური პროექტი.


გურჯაანი/(ჩუმლაყი)-თელავის საგზაო მონაკვეთი გამოეყოფა ამჟამად მშენებლობის სტადიაში მყოფ ბაკურციხე-გურჯაანის შემოვლით გზას მიახლოებით 14.06 კმ ნიშნულთან. ამ პუნქტიდან გზა გაგრძელდება ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, ძირითადად არსებული რკინიგზის ხაზის გასწვრივ, შემოუვლის მუკუზანს, ვაზისუბანს, კალაურს, შრომას, აკურას, ვანთას, ბუშეთს, წინანდალს, კისისხევს და თელავს, რის შემდეგაც მოუხვევს მარჯვნივ და შეუერთდება ჟინვალი-წნორის საგზაო დერეფნის ახმეტა-თელავის მონაკვეთს, გომბორის გზის მიერთებასთან. ახალი გზის სიგრძე 36.67 კმ-ს შეადგენს.

ახალი გზის საპროექტო გეომეტრიული პარამეტრები განსაზღვრულია 100 კმ/სთ სიდიდის საანგარიშო მოძრაობის სიჩქარის გათვალისწინებით, ბოლო 14 კმ სიგრძის სეგმენტის გარდა, სადაც ახალი გზა 7%-მდე ვერტიკალური ქანობის მქონე არსებულ გზას მიუყვება. ახალი გზის ცენტრალური ღერძის მინიმალური ჰორიზონტალური რადიუსი შეადგენს 450 მეტრს, ხოლო მინიმალური და მაქსიმალური ვერტიკალური ქანობები, შესაბამისად – 0.4%-ს და 7%-ს.

ბოლო 14 კმ სიგრძის მონაკვეთზე, სადაც საპროექტო გზა არსებულს მიუყვება, გასათვალისწინებელია დროებითი გაუმჯობესების ღონისძიებანი, ძინვალისკენ მიმავალი შემოვლითი გზის მშენებლობამდე.


ახალი გზის ტრასის მოგრძო სეგმენტები არსებულ რკინიგზის ხაზს მიუყვებიან. ამიტომ გზის მიწაყრილის სიმაღლე შესაბამისობაშია რკინიგზის მიწაყრილის სიმაღლესთან, რათა რკინიგზის მიწაყრილში გაყვანილი წყალგამტარი მილების ზომები უწყვეტად იყონ შესაზებელი გზის ქვეშ დაპროექტებული შესაბამისი მილების ზომებთან.

გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე გასვლის დროს გადაწყდა, რომ კმ 2+750 და კმ 4+250 საპროექტო ნიშნულებს შორის, მდ. ჭერმისხევის სამხრეთით მდებარე სასოფლო-სამეურნეო და საკარმიდამო ნაკვეთებზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, ახალი გზა მდინარის ნაპირის გასწვრივ გაივლის.




სურათი 4.11.1-1 გზა მდ. ჭერმისხევის გასწვრივ საპროექტო კმ 2+750 და კმ 4+250 ნიშნულებს შორის უბანზე.

აღნიშნული გადაწყვეტის შესაბამისად, მდინარის ახალი გადაკვეთა მოეწეობა დაგრძელებული მრუდის გასწვრივ და არ იქნება არსებული ხიდის პარალელური. აქედან გამომდინარე, მდ. ჭერმისხევეზე გადასასვლელი ხიდი ასეთი დაშვებით არის დაპროექტებული. ახალი ხიდის სიგრძის მინიმუმირების და არსებული ხიდის სიოს ზომებთან მორგების მიზნით, დაპროექტებულია ნაბურღი ხიმინჯების კედლის სახის მდინარის კალაპოტის მარეგულირებელი ნაგებობა. ამასთან ერთად, წინასწარი პროექტი ითვალისწინებს კალაპოტის მარეგულირებელი კედლის ზურგის მხარის უკუშეფხვებას და ბალახეულობით გამწვანებას.




სურათი 4.11.2-2. მდ. ჭერმისწყლის გადაკვეთა და კალაპოტის მარეგულირებელი კედელი

გზის წინასწარი გეომეტრიული (ჰორიზონტალური და ვერტიკალური) ელემენტების დაპროექტება შესრულდა საავტომობილო გზების კომპიუტერული პროექტირების პროგრამის ჩ დ /1 გამოყენებით. წინამდებარე ანგარიშის მე-2 ტომში წარმოდგენილია 1:1000 მასშტაბში შესრულებული შესაბამისი წინასწარი საპროექტო ნახაზები.



სურათი 4.11.2-3: თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) –მონაკვეთის რუკა

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება



სურათი 4.11.2-4: გაგრძელება

4.11.2 სატრანსპორტო კვანძები

ჩუშლაყი-თელავის საგზაო მონაკვეთის ბაკურციხე-გურჯაანის შემოვლით გზასთან დასაკავშირებლად დაპროექტდა “საყვირის” ფორმის გზაგამტარი, რომელიც აგრეთვე შეასრულებს თელავიდან ახალ ტრასაზე მისასვლელი გზის ფუნქციას. ახლად შეთავაზებულ გზაგამტართან დაკავშირება მოითხოვს ამჟამად მშენებარე ბაკურციხე-გურჯაანის შემოვლითი გზის კმ 14+06-დან კმ 14+56-მდე გამავალ მიახლოებით 500 მ სიგრძის უბნის მოდიფიცირებას. კვანძის ადგილი შერჩეული იქნა საპროექტო გზის სამხრეთ აღმოსავლეთით კერძო საკუთრების ათვისების მინიმალური გათვალისწინებით.



სურათი 4.11.2-1: თელავის- ჩუშლაყი დასაწყისი, ბაკურციხე-გურჯაანის ასაქცევი გზა

ჩუშლაყი-თელავის შემოვლითი გზის ბოლოში, ახმეტა-თელავის გზასთან გადაკვეთისთვის დაპროექტდა თ-ფორმის საგზაო მიერთება არსებული მიერთების გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ ახალი მიერთება განიხილება როგორც დროებითი გადაწყვეტა, რომელიც იმოქმედებს მხოლოდ ახმეტა-თელავის საგზაო მონაკვეთის მოდერნიზაციის დასრულებამდე, მასზედ, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად, მოეწეება სპეციალური (განცალკევებული) მოსახვევი ზოლები და კუნძულები. დიდი ბრიტანეთის “ძირითადი/ მეორეხარისხოვანი საგზაო მიერთებების

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება


გეომეტრიული ელემენტების პროექტირების სახელმძღვანელოს” (ესიგნ ანუალ ფორ ეომეტრიც ესიგნ ოფ აჯორ/ ინორ როორიტყ უუნცტიონს) შესაბამისად, თ-ფორმის საგზაო მიერთების გამტარუნარიანობა, კუნძულების გათვალისწინებით, საკმარისია მოსალოდნელი ინტენსიურობის სატრანსპორტო ნაკადების გასატარებლად



სურათი 4.11.2-2: ჩუმლაყი-თელავის ასაქცევი გზის კვანძი საპროექტო მონაკვეთის ბოლოში

კუნძულები გამიზნულია მარცხნივ მომხვევი ავტომობილების საკმარისი მანძილით განცალკევებისთვის პირდაპირ მოძრავი ნაკადისგან. ისინი გამოირჩევიან მაღალი ეფექტურობით უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესების კუთხით და რენტაბელობით, განსაკუთრებით ერთ სავალ ნაწილიან გზებზე, სადაც მათი მოწყობა ძალზედ მცირე სამშენებლო ხარჯებს მოითხოვს.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება



ძირითადი და მეორეხარისხოვანი ერთ სავალ ნაწილიანი (2-ზოლიანი) გზების თ-სებრი მიერთებების მოწყობის დონეები (გარიანტები) საანგარიშო წლის საგზაო მოძრაობის მოცულობების მიხედვით
 წყარო: “ძირითადი/ მეორეხარისხოვანი საგზაო მიერთებების გეომეტრიული ელემენტების პროექტირების სახელმძღვანელო”, დიდი ბრიტანეთის საავტომობილო გზების სააგენტო, TD/95

Geometric Design of Major/Minor Priority Junctions, The Highway Agency, UK, TD/95

ვინაიდან თელავის-გურჯაანის/ჩუმლაყი გზა სასოფლო ხასიათის დაუსახლებელ ტერიტორიებზე გადის, გზების დეპარტამენტთან განხილული იქნა გზაჯვარედინების რაოდენობა და მდებარეობები. განხილვის მიზანს შეადგენდა საგზაო გადაკვეთების რაოდენობის შემცირება სატრანსპორტო სატრანსპორტო ნაკადის შემსვლელი/ გამომსვლელი ავტომობილებით შემწვითების შესარბილებლად. შედეგად, ადგილობრივ საგზაო ქსელთან დაკავშირებისთვის მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის საგზაო გადაკვეთები დაპროექტდა.

ურთიერთგადამკვეთი სატრანსპორტო ნაკადების უსაფრთხოდ გატარებისთვის დაპროექტდა გზაგამტარები, რომლებიც უზრუნველყოფენ ორი გზის სხვადასხვა (განცალკევებულ) დონეებზე გადაკვეთას.

AASHTO-ს განმარტებით, გზაგამტარი წარმოადგენს ერთი ან მეტი განცალკევებული დონით ურთიერთდაკავშირებულ სავალი ნაწილების სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ორ ან მეტ გზას ან გზატკეცილს შორის ტრანსპორტის სხვადასხვა დონეებზე გატარებას². გზაგამტარების ტიპებსა და ტექნიკური გადაწყვეტებზე გავლენას ახდენენ რიგი ფაქტორები, როგორებიცაა გზის კატეგორია, საგზაო მოძრაობის ხასიათი და შემადგენლობა, საანგარიშო მოძრაობის სიჩქარე და გზაგამტარზე შესვლის მართვის ხარისხი. აღნიშნულ ფაქტორებს, ეკონომიკურ პარამეტრებთან, რელიეფის პირობებთან და გასხვისების ზოლის საჭიროებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ეძლევათ ნაგებობების პროექტირებისას საგზაო მოძრაობის მოთხოვნილებების ადექვატური გამტარუნარიანობის უზრუნველსაყოფად. მართალია თითოეულ გზაგამტარს ინდივიდუალური

² ამერიკის შეერთებული შტატების საგზაო და სატრანსპორტო უწყებების წარმომადგენელთა ასოციაცია (AASHTO), 1990 წ., “გზატკეცილებისა და ქუჩების გეომეტრიული პროექტირების ზოგადი წესები”.

American Association of State Highway and Transport Officials, 1990, A Policy on Geometric Design of Highways and Streets.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

სირთულეები ახასიათებს, პროექტირებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მეზობელი გზაგამტარები და დონეების განმაცალკეველები სხვა საპროექტო ნაგებობები. ეს მოითხოვება გზის ერთგვაროვანი და უწყვეტი სახით დასაპროექტებლად, რათა თავიდან იქნას აცილებული მძღოლის მოლოდინის შემაშფოთებელი (დამაბნეველი) პირობები.

გზაგამტარის ტიპი

გზაგამტარის ფორმა დამოკიდებულია რელიეფის ტოპოგრაფიულ პირობებზე, საგზაო მოძრაობის მოცულობასა და შემადგენლობაზე და გადამკვეთი გზის ტიპზე. სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობის ხელშესაწყობად, წლების მანძილზე დამუშავებულია რამდენიმე სახეობის განცალკეველ დონეებიანი გზაგამტარები. თითოეული სახეობის გზაგამტარი ხასიათდება სპეციფიური უპირატესობებითა და ნაკლოვანებებით, რომლებიც აისახება მათს ტექნიკურ პროექტებში. ქვემოთ მიმოხილულია ძირითადი სახეობების გზაგამტარები.

რომბისებრი გზაგამტარები

რომბისებრი გზაგამტარები გაყოფილ დონეებიანი საგზაო გადაკვეთების ყველაზე გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს. ამ ტიპის გზაგამტარები მოიცავს თითოეულ კვადრატში ცალმხრივ დიაგონალურ პანდუსებს/ესტაკადებს, მეორეხარისხოვან გზაზე ორი ერთდონიანი გზაჯვარედინის მოწყობასთან ერთად. ჩვეულებრივ, რომბისებრი გზაგამტარი საუკეთესო არჩევანს წარმოადგენს იქ, სადაც გადამკვეთი გზა არ რეგულირდება. ქვემოთ მოყვანილია აღნიშნული გადაწყვეტის უპირატესობები და ნაკლოვანებები:

რომბისებრი გზაგამტარის უპირატესობები

ყველა გასასვლელი მთავარი გზიდან მოწყობილია გზაგამტართან მიღწევამდე, რაც შეესაბამება მძღოლების მოლოდინს და, ამიტომ, განაპირობებს მათი დაბნეულობის მინიმუმამდე დაყვანას;

ყველა ავტომობილს შეუძლია მთავარ გზაზე შესვლა ან მისი დატოვება შედარებითი მაღალი სინქარით. ჩვეულებრივ, შესაძლებელია ადექვატური ხილვადობის მანძილის უზრუნველყოფა და რთული მანევრირების საჭიროების თავიდან აცილება;

მოთხოვნილი გასხვისების ზონა შედარებით მცირე ფართობისაა;

ამ ტიპის გზაგამტარები ფართოდ გამოიყენება, რაც ხელს უწყობს მძღოლების კარგი ინფორმირებულობას.

რომბისებრი გზაგამტარის ნაკლოვანებები

გაზრდილია არასწორ პანდუსზე შესვლის პოტენციალი;

მეორეხარისხოვან გზებზე აუცილებელია საკმარისი ხილვადობის მანძილის უზრუნველყოფა.

“საყვირის” ტიპის გზაგამტარები

“საყვირის” ტიპის გზაგამტარები შემუშავებულია ერთი გზის მეორესთან თ-სებრი მიერთებებისთვის. ასეთი გზაგამტარები ექსკლუზიურად გამოიყენება, როდესაც სახეზეა სამი გადამკვეთი ტოტი (“ფეხი”). გამჭოლი მოძრაობა წარმოებს სწორ ტრასაზე მაშინ, როდესაც მარცხნივ მომხვევი შედარებით დაბალი ინტენსიურობის მოძრაობა უნდა შესრულდეს მარჯულის ფორმის პანდუსის გავლით.

უპირატესობები:

ხილების / გზისქვესა გასასვლელების მშენებლობის დაბალი ხარჯები;

ფასიან გზებზე “საყვირის” ტიპის გზაგამტარები ეკონომიკურად ეფექტიანი სახით იძლევიან საღაროების ჯიხურებთან ყველა ავტომობილის თავმოყრის საშუალებას.

ნაკლოვანებები:

საჭიროებს მაღალ ხარჯებს ძვირი მიწების პირობებში მშენებლობისას და ტოვებს გამოუყენებელ მიწას მარჯულების შიგნით;

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ხშირად გზაგამტარის ზომების შემცირება იწვევს უსაფრთხოების ხარისხის დაქვეითებას.

სრული და არასრული “სამყურას ფოთლის” ფორმის გზაგამტარები

“სამყურას ფოთლები” წარმოადგენენ “ოთხფეხიან“ გზაგამტარებს, რომლებშიც პანდუსების მარყუქები გამოიყენება მარცხნივ მომხვევი ტრანსპორტის გატარებისთვის. გზაგამტარები, რომლებსაც მარყუქები თითოეულ მეოთხედში გააჩნიათ მოიხსენიებიან “სრული სამყურას ფოთლის” სახელით, ხოლო ყველა სხვა მსგავსი კონსტრუქციის გზაგამტარი – “არასრული სამყურას ფოთლის” სახელით. რადგან მარცხნივ მოხვევა მარყუქისებრი პანდუსების გავლით წარმოებს, ამიტომ რომბულ გზაგამტარებზე დონის შეცვლისთვის მარცხნივ მოხვევასთან დაკავშირებული უსაფრთხოების პრობლემები “სამყურას ფოთლებზე” თავიდან არის აცილებული.

“სამყურას ფოთლის” ტიპის გზაგამტარების ძირითად ნაკლოვანებას მარცხნივ მოხვევისთვის დამატებითი მანძილის გავლისა და ზიგზაგისებრი მანევრირების საჭიროება, მარყუქების ძალზედ მოკლე ხელმისაწვდომი სიგრძე და შედარებით მეტი ფართობის გასხვისების ზონის გამოყოფის აუცილებლობა შეადგენს. რადგან “სამყურას ფოთლები” რომბულ გზაგამტარებზე მეტ მიწას მოითხოვს, ამიტომ ისინი შედარებით ნაკლებად გვხვდება ურბანულ არეებში და უკეთესად არიან მორგებული გარეუბნებსა და სასოფლო ტერიტორიებთან, სადაც მეტი ფართობია ხელმისაწვდომი.

ზოგიერთ შემთხვევაში, არსებული საგზაო მოძრაობის ინტენსიურობა არ არის საკმარისი “სამყურას ფოთლის” ტიპის გზაგამტარის ყველა პანდუსის თავდაპირველადვე ასაშენებლად, რის გამოც განიხილება “არასრული სამყურას ფოთლის” აგება. “არასრული სამყურას ფოთლის” ტიპის გზაგამტარი სრული ანალოგის მსგავსია იმ განსხვავებით, რომ მასზე შესასვლელი პანდუსები სამ ან უფრო ნაკლები რაოდენობის მეოთხედშია მოწყობილი. “არასრულ სამყურას ფოთლს” ახასიათებს უმრავლესობა ნაკლოვანებები, რომლებიც თან სდევნენ მის სრულ ანალოგს მარყუქისებრი პანდუსებისა და ზიგზაგების ზომების შეზღუდულობის კუთხით.

უპირატესობები:

მარყუქის ფორმის პანდუსების კონფიგურირება მარცხნივ მომხვევი სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოდ გატარების მიზნით, რაც კარგად ერგება ორი ავტომაგისტრალის გადაკვეთას;

მოსახერხებელია სასოფლო ტერიტორიებზე ან ქალაქების გარეუბნებში აშენებისთვის, სადაც ფართობი უფრო მარტივად არის ხელმისაწვდომი.

ნაკლოვანებები:

ამ ტიპის გზაგამტარი მეტი ფართობის მქონე გასხვისების ზონას მოითხოვს რომბულ გზაგამტარებთან შედარებით;

მარცხნივ მოხვევისთვის აუცილებელია მეტი მანძილის გავლა რომბულ გზაგამტარებთან შედარებით;

მარყუქის ფორმის პანდუსების გამოყენება იწვევს მცირე მანძილზე ზიგზაგისებრი მოძრაობის აუცილებლობას;

გამტარუნარიანობას ზღუდავს “გადახლართვის” ეფექტი, რაც გამოიხატება გზაჯვარედინის ცენტრში შემომავალი და გამავალი სატრანსპორტო საშუალებების ურთიერთხელშეშლაში.

გზაგამტარების ტიპების შერჩევა

გზაგამტარის ტიპის შერჩევა მჭიდროდ არის დამოკიდებული ობიექტის კონკრეტულ პირობებზე. გზაგამტარის ფორმაზე გავლენას ახდენს რელიეფის ტოპოგრაფიული პირობები, საგზაო მოძრაობის ინტენსიურობა და შემადგენლობა და ურთიერთგადამკვეთი გზების სახეობები. საკვლევი გზისთვის გზაგამტარების ტიპები წინასწარ შეირჩა შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

როდესაც გასხვისების ზონის ხელმისაწვდომი ფართობი შეზღუდულია, უპრიანია რომბული გზაგამტარების დაპროექტება, რადგან ისინი შედარებით ნაკლებ ფართობს იკავებენ;

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

“არასრული სამყურას ფოთლის” ტიპის გზაგამტარი ხასიათდება მეტი გამტარუნარიანობით რომელსე გზაგამტართან შედარებით. ამიტომ, მომავალში საგზაო მოძრაობის ინტენსიურობის ზრდის გათვალისწინებით, თუ გასხვისების ზონასთან დაკავშირებული შეზღუდვები არ მოქმედებს, გათვალისწინებულია “არასრული სამყურას ფოთლების” დაპროექტება;

ორი კონტროლირებად შესასვლელიანი გზატკეცილის გადაკვეთებზე რეკომენდირებულია “სრული სამყურას ფოთლის” ტიპის გზაგამტარის აშენება;

“საყვირის” ტიპის გზაგამტარები გამოიყენება სამი ურთიერთგადამკვეთი ტოტის (“ფეხის”) შემთხვევაში;

სასურველია გზაგამტარები მარშრუტის გასწვრივ ერთგვაროვანი სახის იყონ, რაც დაეხმარება მძღოლებს შესვლისა და გამოსვლის ადგილების იდენტიფიცირებაში და ხელს შეუწყობს მათი დაბნეულობის შესაძლებლობის შემცირებას.

შეთავაზებული გზაგამტარები

გურჯაანი/(ჩუმლაყი)-თელავის საგზაო მონაკვეთზე განიხილება შემდეგი გზაგამტარების საჭიროება:

საპროექტო პიკეტაჟი 0.556 სამყურა (მიერთება ბაკურციხე-გურჯაანის შემოვლით გზასთან)

საპროექტო პიკეტაჟი 4+900 რომბი


საპროექტო პიკეტაჟი 16+336 არასრული სამყურას ფოთლი / რომბი (რკინიგზის ხაზის გზასთან სიახლოვის გათვალისწინებით)

საპროექტო პიკეტაჟი 24+422 არასრული სამყურას ფოთლი

საპროექტო პიკეტაჟი 30+250 არასრული სამყურას ფოთლი




სურათი 4.11.2-3: კვანძი კმ 4+900 (მუკუზანი)



სურათი 4.11.2-4: კვანძი კმ 16+336 (აკურა)

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება




სურათი 4.11.2-5: კვანძი კმ 24+422 (კონდორი)

სურათი 4.11.2-6: კვანძი კმ 30+250 (თელავი)

გზაგამტარების წინასწარი ტექნიკური გადაწყვეტები ნაჩვენებია წინამდებარე ანგარიშის მე-2 ტომში მოცემულ გეგმების და ჭრილების ნახაზებზე.

4.11.3 მისასვლელი გზები

გურჯაანი(ჩუმლაყი)-თელავის შემოვლითი გზის ჩრდილოეთით მდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მისადგომობა უზრუნველყოფილი იქნება საპროექტო გზის გასწვრივ გამავალი სასოფლო ტიპის მოხრეშილი გზით, რომელიც საჭიროებისამებრ იქნება დაკავშირებული ადგილობრივ ძირითად საგზაო ქსელთან საპროექტო გზის ქვედა გასასვლელების საშუალებით. აღნიშნული მოხრეშილი გზის სიგანე შეადგენს 4.50 მეტრს, რაც შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ გზების გეომეტრიული დაპროექტების სტანდარტთან.



სურათი 4.11.3.-1: საპროექტო გზის მიმართ სასოფლო სამეურნეო მიწებიდან მისასვლელი ხრეშოვანი გზების განლაგება

ცხრილი 4.11.3.-1: მისასვლელი ხრეშოვანი გზების შეჯამება

დერძის ხაზის №	კილომეტრაჟი (მ)				ხრეშოვანი გზის სიგრძე (მ)
	მარცხენა		მარჯვენა		
	დასაწყისი	დასასრული	დასაწყისი	დასასრული	
100			63	542	479
200	0	173			173
202			0	122	122
100	713	1,977			1,264
100			754	1,549	795

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

302			0	142	142
304			175	275	100
100			5,150	5,980	830
100	5,778	6,645			867
100			6,442	8,134	1,692
100	7,016	7,022			6
100			8,172	9,395	1,223
100	8,322	8,393			71
100	9,096	9,109			13
100			9,470	13,200	3,730
100	9,965	13,220			3,255
100			13,297	15,740	2,443
100	14,590	14,703			113
100	15,340	15,345			5
100			15,765	16,145	380
402			0	120	120
405	0	151			151
403			0	86	86
100			16,910	17,460	550
100	16,935	16,942			7
100			17,310	17,320	10
100			17,560	20,122	2,562
100	19,075	19,235			160
100			20,150	20,375	225
100			20,984	21,532	548
100			21,647	22,444	797
100	22,166	22,172			6
100	22,754	22,770			16
100			22,770	24,182	1,412
502			0	36	36
100	23,250	23,313			63
100	23,892	23,957			65
505	76	88			12
100			24,600	29,200	4,600
100	26,385	26,423			38
100	27,140	27,146			6
100	27,428	27,577			149
100	28,069	28,500			431
100	28,795	29,193			398
100			29,547	30,078	531
100	29,547	29,952			405
602			0	103	103
605	0	138			138
100			30,257	32,440	2,183
100	30,850	31,620			770
100	31,790	32,233			443
100			32,966	33,325	359
100	33,158	33,870			712
100			33,780	34,373	593
მთლიანად					36,387

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

საპროექტო გზის მშენებლობის გამო, გურჯაანი-თელავის არსებული გზა მცირედით (5 მეტრით) უნდა გადამისამართდეს კმ 3+492 – კმ 4+270 მონაკვეთზე, გადამისამართებული გზა იმოქმედებს როგორც ადგილობრივი მისასვლელი მიმდებარე საკუთრებებამდე.

4.12 საგზაო ნიშნები, მონიშვნა და გზის სხვა კუთვნილებანი

საპროექტო გზის მოტიანი სიგრძეზე განთავსდება/მოეწეობა ურთიერთთავსებადი საგზაო ნიშნები და მონიშვნა. გზაზე ყველგან იქნება დატანილი კიდეების და ღერძის ხაზები. გამოყენებული იქნება შუქამრეკლი მასალები (საღებავები, ნიშნები და რეფლექტორები).

საგზაო ნიშნები დაიდგმება შთ 10807-78 სტანდარტის შესაბამისად, რომელიც საქართველოში საგზაო ნიშნების მარეგულირებელ მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტს წარმოადგენს.

გზას ყველა უბანზე ექნება კიდეების და ღერძის ხაზები. საგზაო მონიშვნა მოეწეობა GOST 13508-74 სტანდარტის შესაბამისად, რომელიც არეგულირებს საქართველოში საგზაო მონიშვნის მოწოდებას. კიდის ხაზები მოეწეობა აუდიო ტაქტილური პროფილირებული მონიშვნით.

დამცავი ზღუდარები

სადაც მიწაყრილების ვერტიკალური სიმაღლე 3 მეტრს აღემატება, გზის ნაპირის გასწვრივ დაიდგმება შეჯახებისგან დამცავი ზღუდარები, რომლებიც 15-15 მ-ით იქნებიან გადასული გზის დასაცავი უბნის ორივე მხარეს.

ზღუდარები უნდა აკმაყოფილებდნენ სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს და იყონ გამართულ მდგომარეობაში. მკვეთრ ქანობებიან და მცირე რადიუსებიან მონაკვეთებზე, სადაც დიდგაბარიტიანი ავტომობილების გზიდან გადასვლის გაზრდილი საფრთხე არსებობს, რისკის შესამცირებლად უნდა დაიდგას საკმარისი სიმტკიცის და სიმაღლის ზღუდარები. ზღუდარები აღჭურვილი უნდა იყონ შუქამრეკლებით.

ძალზედ მნიშვნელოვანია ზღუდარი სახიფათო ზონამდე საკმარისად ადრე იწყებოდეს. ასეთი დამატებითი სიგრძე დამოკიდებულია გზაზე მოძრაობის სიჩქარესა და მანძილზე ზღუდარასა და გზის ნაპირს შორის.

სასურველია ზღუდარების კიდეები შეიკეცონ 1:20 კუთხით. ეს დამატებითი სიგრძე შეიძლება გათვალისწინებულ იქნას დასაცავი მონაკვეთის სიგრძეში. ასევე ზღუდარების ბოლო 15-15 მეტრის თანდათანობით მიწისკენ დაშვება. ამასთან, ასეთი დაშვებული ნაწილი არ გაითვალისწინება ზღუდარის სიგრძის განსაზღვრისას. ზღუდარები უნდა შეესაბამებოდეს 1317-ის შემაკავებელ 1 დონეს და შეჯახების კლასს.

ქვემოთ ცხრილში 4.12.-1 წარმოდგენილია ზღუდარების წინასწარი ადგილმდებარეობანი.

ცხრილი 4.12.-1: ზღუდარების ადგილმდებარეობა

ღერძის ხარის №	კილომეტრაჟი (მ)		მარჯვენა დასაწყისი		სიგრძე (მ)
	მარცხენა დასაწყისი	დასასრული	დასაწყისი	დასასრული	
100			150	542	392
100	187	260			73
100	353	542			189
100	572	634			62
100			572	592	20
100			625	708	83
100	676	3,562			2,886
100	3,562	3,785			223

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ღერძის ხარის №	კილომეტრაჟი (მ)		მარჯვენა		სიგრძე (მ)
	მარცხენა დასაწყისი	დასასრული	დასაწყისი	დასასრული	
100	3,785	4,414			629
100			744	4,414	3,670
100	4,577	4,684			107
100			4,577	4,679	102
100	4,744	5,052			308
100			4,762	5,063	301
100	5,132	6,600			1,468
100			5,130	6,599	1,469
100	6,941	7,101			160
100			6,940	7,101	161
100			7,740	8,135	395
100	7,838	8,135			297
100	8,164	9,409			1,245
100			8,164	9,409	1,245
100			9,502	10,400	898
100	9,643	10,354			711
100			10,597	11,392	795
100	10,728	11,392			664
100			11,446	12,710	1,264
100	11,526	12,591			1,065
100	13,292	14,042			750
100			13,292	14,071	779
100	14,618	14,706			88
100			14,618	15,750	1,132
100	15,030	15,750			720
100	15,779	16,145			366
100			15,779	16,144	365
100			16,184	16,259	75
100	16,192	16,476			284
100			16,293	17,465	1,172
100	16,546	16,637			91
100	16,863	17,465			602
100	17,580	18,382			802
100			17,580	18,431	851
100	18,669	19,456			787
100			18,649	19,571	922
100	19,843	20,109			266
100			19,809	20,109	300
100	20,139	20,540			401
100			20,139	21,547	1,408
100	20,640	21,547			907
100	21,638	21,817			179
100			21,638	22,522	884
100	21,954	22,522			568
100	22,636	23,491			855
100			22,636	24,184	1,548
100	23,654	24,253			599

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ღერძის ნომრის №	კილომეტრაჟი (მ)		მარჯვენა		სიგრძე (მ)
	მარცხენა დასაწყისი	დასასრული	დასაწყისი	დასასრული	
100			24,221	24,297	76
100	24,290	24,364			74
100			24,331	27,557	3,226
100	24,401	25,297			896
100	25,897	26,034			137
100	26,371	27,495			1,124
100			27,733	29,274	1,541
100	27,856	28,006			150
100	28,180	29,274			1,094
100			29,365	30,078	713
100	29,365	30,304			939
100			30,112	30,177	65
100	30,339	30,405			66
100			30,213	32,670	2,457
100	30,440	32,407			1,967
100			32,708	32,896	188
100	32,757	32,896			139
100			32,986	34,755	1,769
100	32,986	34,755			1,769
100			34,845	35,000	155
100	34,845	35,000			155
200			0	80	80
200	0	95			95
200			385	493	108
200	397	493			96
201			0	109	109
201	32	90			58
202			0	121	121
202	18	88			70
203			163	402	239
203	144	315			171
204			0	115	115
204	43	129			86
301			52	199	147
301	52	134			82
302			0	215	215
302	81	185			104
303			46	191	145
303	33	131			98
304			0	170	170
304	80	192			112
401			0	107	107
401	18	77			59
402			0	120	120
402	40	104			64
403			63	183	120
403	50	135			85

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ღერძის ხარის №	კილომეტრაჟი (მ)				სიგრძე (მ)
	მარცხენა დასაწყისი	დასასრული	მარჯვენა დასაწყისი	დასასრული	
404			0	163	163
404	70	155			85
405			87	151	64
405	70	151			81
501			0	105	105
501	19	74			55
502			0	122	122
502	37	104			67
503			0	110	110
503	37	94			57
504			0	109	109
504	37	94			57
505	33	88			55
505			58	88	30
506			143	166	23
506	159	166			7
601			0	102	102
601	18	69			51
602			0	102	102
602	34	86			52
603			0	103	103
603	35	89			54
604			0	103	103
604	18	70			52
605	56	138			82
605			67	138	71
606	131	152			21
606			141	152	11
თოტალ					62,253

ავტობუსის მოსაცდელეები

თელავი- ჩუმლაყის გზა გვერდს აუქცევს დასახლებულ პუნქტებს და გაივლის სასოფლო ტიპის დაუსახლებელ ტერიტორიაზე. ამიტომ ახალ გზაზე ავტობუსის მოსაცდელეების მოწყობა გათვალისწინებული არ არის, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ ავტობუსების სვლაგეზები დასახლებებზე გაივლის.

საქონლის და გარეული ცხოველების დამცავი შემოღობვა

შეჯახებები ავტომობილებს და ცხოველებს შორის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მნიშვნელოვან ასპექტს შეადგენენ და იწვევენ გარეული და შინაური ცხოველებისა და ადამიანების დაშავებებს და სიკვდილს. ამასთან, მსგავსი ავტოსაგზაო შემთხვევები მეტწილად ნაკლებად აღირიცხებიან, ვინაიდან მათ თაობაზე პოლიციას ყოველთვის არ ეცნობება.

ადგილებში, სადაც კონფლიქტური სიტუაციები საგზაო მოძრაობასა და ცხოველებს შორის ქმნიან უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ცხოველებთან ასოცირებული ინციდენტების რისკების შესამცირებლად მოეწყობა გზის შემოღობვა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების აუდიტის რეკომენდაციების გათვალისწინებით. შინაური რქოსანი პირუტყვის და ველური ცხოველების შემზღუდავი შემოღობვის მიზანია გზის მიღმა შეკავება და, აგრეთვე, ცხოველების უსაფრთხოდ

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

გადასარეკ გზის ქვედა გასასვლელამდე ორგანიზებულად (თანდათანობით შევიწროებადი ღერეფნის გასწვრივ) გადაადგილების ხელშეწყობა.

გზა თითქმის მთლიანად განლაგებულია მაღალ მიწაყრილზე და ორივე მხრიდან შემოსაზღვრულია ზღუდარებით. აქედან გამომდინარე, ცხოველების მიერ გზის გადაკვეთა მოსალოდნელი არ არის, თუმცა ისეთ ადგილებში, სადაც საგზაო მიწაყრილი დაბალია და შინაური და გარეული ცხოველების გზაზე გადასვლის საფრთხე არსებობს, გათვალისწინებული იქნება გზის შემოღობვა.

ღობების მონტაჟის და მოვლა-შენახვისთვის გასაწევი მნიშვნელოვანი ხარჯების გათვალისწინებით, ღობეები შეზღუდული სიგრძის სეგმენტებზე მოეწყობა. გზის შეღობვის საჭიროება ძირითადად განიხილება ისეთ უბნებზე, სადაც მიწაყრილები 3 მეტრზე დაბალია და დამცავი ზღუდარების მოწყობა არ იგეგმება. ვინაიდან მეტწილად მოსალოდნელია გზის გადაკვეთა შინაური რქოსანი პირუტყვის მიერ, ამიტომ გათვალისწინებულია 1.80 მ სიმაღლის მავთულბადის ღობის მოწყობა. მომდევნო ცხრილში 4.12-2 მითითებულია გზის შესაღობი სეგმენტების მონაცემები.

ცხრილი 4.12-2. ცხოველების შემკავებელი შემოღობვის ადგილები

გზის ცენტრალური ღერძის საიდენტიფიკაციო ნომერი	მდებარეობა (კილომეტრაჟი კმ+მ-დან კმ+მ-მდე)				სიგრძე (მ)
	გზის მხარეს	მარცხენა	გზის მარჯვენა მხარეს		
100	0+000	0+197			197
100			0+000	0+160	160
100			6+600	6+951	351
100	6+600	6+951			351
100			7+100	7+750	650
100	7+100	7+850			750
100	9+510	9+661			151
100	10+350	10+735			385
100			10+395	10+602	207
100			11+387	11+452	65
100	11+387	11+532			145
100	12+587	13+202			615
100			12+705	13+201	496
100	14+038	14+625			587
100			14+067	14+622	555
100	14+702	15+036			334
100	16+635	16+871			236
100	18+377	18+674			297
100			18+427	18+655	228
100	19+451	19+849			398
100			19+566	19+814	248
100	20+535	20+645			110
100	21+812	21+960			148
100	23+485	23+658			173
100	25+292	25+902			610
100	26+029	26+376			347
100	27+490	27+861			371

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

გზის ღერძის ნომერი	ცენტრალური საიდენტიფიკაციო ნომერი	მდებარეობა (კილომეტრაჟი კმ+მ-დან კმ+მ-მდე)			სიგრძე (მ)
		გზის მხარეს	მარცხენა	გზის მარჯვენა მხარეს	
100				27+552 27+738	186
100		28+001	28+186		185
100		32+402	32+762		360
100				32+665 32+713	48
200		0+095	0+185		90
203				0+000 0+172	172
204				0+110 0+236	126
301				0+017 0+057	40
302				0+210 0+253	43
303				0+016 0+051	35
304				0+168 0+273	105
403				0+007 0+068	61
404				0+157 0+209	52
405		0+008	0+075		67
505		0+002	0+038		36
506				0+006 0+148	142
605		0+001	0+061		60
606		0+006	0+144		138
მოლიანი სიგრძე					11,111

4.13 ხიდების დაპროექტება

გურჯაანიდან თელავამდე გამავალი შემოვლითი გზის პროექტირების პროცესში გადაკვეთებზე მოთხოვნის გაანალიზების შედეგად გამოვლიდნა ქვემოთ მითითებული სახიდე ნაგებობების აუცილებლობა, რომლებიც დაჯგუფებული არიან დანიშნულებების და რაოდენობების მიხედვით: მდინარის გადაკვეთები – 10 ხიდი, მათ შორის ერთი ხიდი მდ. ჭერმისწყალზე და 9 ხიდი ღვარცოფული ნაკადებით ფორმირებული ბუნებრივი ხეობების გადასაკვეთად.

ღონეების განცალკევება – 5 ხიდი, რომლებიც უნდა აშენდნენ საგზაო კვანძებთან საპროექტო გზაზე სატრანსპორტო ნაკადების გატარებისთვის ადგილობრივ საგზაო კავშირებზე რაიმე შემაფერხებელი ზემოქმედების გარეშე.

გზის ქვედა გადასვლელები – 6 ხიდი, რომლებიც დაპროექტებულია ადგილობრივი სატრანსპორტო ნაკადების შეუფერხებლად გატარებისთვის საჭირო მცირე ზომის ნაგებობების სახით. აღნიშნული ნაგებობები გამიზნულია ძირითადი ადგილობრივი გზების გატარებისთვის საპროექტო გზის მიწაყრილში. სხვა ადგილობრივი გზების გზები, რომლებიც მეტწილად სასოფლო-სამეურნეო ხასიათის საგზაო მოძრაობას ემსახურებიან, საპროექტო გზას გადაკვეთენ მართკუთხა განიკვეთიანი (კოლოფისებრი) მიღებით.

ვიადუკები – ეს ჯგუფი მოიცავს მთავარ ტრასაზე მდებარე ორ ვიადუკის ტიპის სახიდე ნაგებობას, რომლებიც კვეთენ საირიგაციო არხს და ადგილობრივ გზას ხეობაზე გადასასვლელი შედარებით გრძელი კონსტრუქციების სახით.

ჯამში, მოცემული პროექტის ფარგლებში ასაშენებლად იდენტიფიცირებულია 23 სახიდე გადასასვლელი.


4.13.1 ხიდების სავალი ნაწილები

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

გურჯაანიდან თელავამდე გამავალი საავტომობილო გზა აშენდება 2 მოძრაობის ზოლით, საქართველოში მოქმედი გზების გეომეტრიული დაპროექტების სტანდარტის შესაბამისად.


საპროექტო გზის მოთხოვნების გათვალისწინებით, ხიდების სავალი ნაწილების განიკვეთები განისაზღვრება შემდეგი სახით:

ორზოლიან გზაზე აგებული ხიდის მინიმალური სიგანე შეადგენს 16.00 მეტრს. დიდრადიუსებიან მოხრილ უბნებზე აშენებული ხიდები შედარებით ფართო იქნებიან, ორივე მხარეს, დამცავი ზღუდარების განთავსებისთვის მინიმუმ 275 მმ სიგანის ზოლების გამოყოფის გათვალისწინებით. ხიდის სავალი ნაწილი შეხაზებული იქნება გზის სავალ ნაწილთან, გზის ცენტრალური (№100) ღერძის მიმართებით, გარკვეული გაფართოებებით მოხრილ უბნებზე და ტროტუარებისთვის საჭირო ფართობების ხარჯზე.




სურათი 4.13.1-1 ხიდების სავარაუდო განიკვეთი

მთავარ ტრასაზე დონეების განსაცალკევებელი ხიდების და განცალკევებულ დონეებთან მიმდებარე სახიდე ნაგებობების (დამატებითი აჩქარების/შენელების ზოლებისთვის) სიგანეები შეადგენენ 18.0 მეტრს.



სურათი 4.13.1-2. დონეების განსაცალკევებელი ხიდების სავარაუდო განიკვეთი

საპროექტო გზის ქვეშ ადგილობრივი გზის გასასვლელის და, აგრეთვე, სარწყავი არხის გატარებისთვის საჭირო ხიდების დიობების სიგანეები შეადგენს 12.0 მეტრს. ადგილობრივი გზების ან არხის სიგანეებმა ასეთი დიობი შეიძლება სრულად ვერ შეავსონ, თუმცა მკაცრად რეკომენდირებულია 2-2 მეტრის დარეზერვება დიობის ორთავე ბოლოში არსებული ან სამომავლო წყალარინების საშუალებების და კომუნალური დანიშნულების ხაზობრივი ნაგებობების უპრობლემოდ გატარებისთვის თუ საპროექტო მიწაყრილი დაბრკოლებას შეუქმნის ადგილობრივ დამაკავშირებელ გზებს/ხაზობრივ ნაგებობებს. ზოგიერთ დონეების განსაცალკევებელ კვანძში მთავარი ტრასის და მეორადი/დამხმარე პანდუსების არახელსაყრელი კუთხეებით გადაკვეთის შედეგად, ასეთი კონსტრუქციული სახეობის ხიდის გამოყენება ასევე უპრიანია პანდუსების მთავარი გზის მიწაყრილში გასატარებლად.



სურათი 4.13.1-1. გზის ქვეშ გასასვლელი/დონეების განსაცალკევებელი ხიდის საგარეულო განივი კვეთი

4.13.2 კონსტრუქციული ტიპები და ფორმები

4.13.2.1 მასალების შერჩევა

ხიდებისთვის შესაფერისი ტიპის მასალების შერჩევის მიზნით, გამოკვლეული იქნა მშენებლობის მეთოდები მონოლითური ბეტონის (რკინაბეტონის და წინასწარ დაძაბული ბეტონის კონსტრუქციების კომბინაცია) და კონსტრუქციული ფოლადის გამოყენებით. კერძოდ, შესწავლილი იქნა შემდეგი ფაქტორები/პარამეტრები:

მასალების ხელმისაწვდომობა

ადგილობრივი გამოცდილება

მოვლა-შენახვის მოთხოვნები

მშენებლობის ხანგრძლივობა და სიმარტივე

უსაფრთხოების პირობების დაცვა მშენებლობის პერიოდში

ეკოლოგიური საფრთხეები მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდებში

ღირებულება

თითოეული სახიდე ნაგებობისთვის შეიძლება განხილული იქნას სხვადასხვა კონსტრუქციული ფორმები და მასალები. თითოეულ ასეთ ფორმას და მასალას კონკრეტული უპირატესობები და ნაკლოვანებები ახასიათებს, თუმცა მათგან “აბსოლუტურად საუკეთესო” არც ერთი არ არის. საპროექტო ხიდებისთვის კონსტრუქციული ფორმების/მასალების შერჩევის პროცესში, კონსულტანტი უპირატესობას ანიჭებს შემდეგ პარამეტრებს (რიგითობის დაცვით):

სამშენებლო სამუშაოების სიმარტივე

სტრუქტურული და ჰიდროლოგიური მოთხოვნები

მასალების და რესურსების ხელმისაწვდომობა

მოვლა-შენახვის მოთხოვნები

ესთეტიური შესახედაობა

ღირებულება


4.13.2.2 კლასიფიკაცია და ფორმების შერჩევა

საავტომობილო გზაზე ასაგები ხიდების კონსტრუქციული ტიპები განსხვავდებიან სიგრძეების მიხედვით და კლასიფიცირდებიან შემდეგი სახით:

პატარა ხიდები, 13 მეტრზე ნაკლები სიგრძით, რომლებიც გამიზნულია საპროექტო გზის ქვედა გასასვლელების მოსაწყობად და რეალიზებულია მონოლითურად შეუღლებული რკინაბეტონის ფილებით. ელემენტების მონოლითური შეუღლების გამო, ასეთი ხიდები საყრდენ ნაწილებს არ საჭიროებენ. გარდა ამისა, ამ ტიპის ხიდები გათვალისწინებულია აშენდნენ მიწისქვეშა ნაგებობების სახით, ფილის თავზე მინიმუმ 600 მმ სისქის საფარველით, რაც გამორიცხავს გარდამავალი ფილების, საგზაო სამოსის, წყალსარინი საშუალებების და მოაჯირების საჭიროებას. ასეთი ნაგებობების აშენება დამატებით დროს მოითხოვს, მაგრამ ხიდის კუთვნილებებზე ეკონომიის და მოვლა-შენახვის ნაკლები საჭიროების წყალობით, მსგავსი ხიდები ყველაზე ეკონომიურ და შესაფერის არჩევანს წარმოადგენენ. მცირე ზომების გამო, აღნიშნული ტიპის ხიდებზე ტემპერატურის ცვალებადობით, ცოცვით და შეკვებით გამოწვეული ეფექტები ნაკლებად არიან გამოხატული და მარტივად შეიძლება კომპენსირდნენ დაარმატურების სათანადოდ დაპროექტებით.

მოკლე ხიდები, 30 მეტრამდე სიგრძით, გამიზნულია რამდენიმე დონიანი გადაკვეთების, მდინარეზე გადასასვლელების და ვიადუკების მოსაწყობად ასაკრები წინასწარ დაძაბული ბეტონის კოჭების გამოყენებით. ასეთი სამშენებლო მეთოდი ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული ქვეყანაში მსგავსი სიგრძეების ხიდების ასაგებად.

საპროექტო გზატკეცილზე გადასასვლელი ხიდებისთვის, სავალი ნაწილის მთლიან სიგანეზე ვერტიკალური სიო შეადგენს 5.0 მეტრს. დონეების განცალკევებისთვის საჭიროა დაპროექტდეს 1×30 მ კონფიგურაციის ერთმალისანი ხიდი. მდინარეების გადაკვეთები და ვიადუკები რეალიზდება სამ და ოთხმალისანი ხიდების სახით, შესაბამისად, 3×30 მ და 4×30 მ სქემებით. მალის ნაშენების მოსაწყობად გათვალისწინებულია წინასწარ დაძაბული ასაკრები ფოლადის ორტესებრი კოჭების გამოყენება. აღსანიშნავია, რომ ხიდის რკინაბეტონის ფენილთან კომბინირებული ასაკრები ორტესებრ-კოჭოვან-ფილოვანი სისტემების გამოყენება ძალზედ ფართოდ გავრცელებას პოულობს საქართველოს ხიდმშენებლობაში და ანაცვლებს ბაზარზე საბჭოთა პერიოდში მოქმედ გადაწყვეტებს, რომლებიც დაფუძნებულია მოძველებული ორტესებრი კოჭების გამოყენებაზე. ქვეყანაში ხიდების ასაკრებ კონსტრუქციულ ელემენტებს რამდენიმე კომპანია ამზადებს. სახიდე კოჭები ჩამოსისხმება ქარხანაში საჭირო სიგრძეებით, გადაიზიდება სამშენებლო მოედანზე და ამწის საშუალებით ფიქსირდება საბოლოო პოზიციაში. შესაძლებელია მაქსიმუმ 31 (ოცდათერთმეტი) მეტრი სიგრძის კოჭების დამზადება და გადაზიდვა. მალის ნაშენის კომბინირებული კვეთის მისაღებად, ორტესებრი კოჭების თავზე ეწყობა მონოლითური რკინაბეტონის ფენილის ფილა, რომელზეც იდება ჰიდროსაიზოლაციო და გზის საფარის ფენები. ხიდის ფენილის სისტემა ნაჩვენებია მომდევნო სურათზე.



სურათი 4.13.2.2-1. ორტესებრ-კოჭოვანი ხიდის ფენილის სისტემა ორტესებრი კოჭების რეკომენდირების მიზეზებია:

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

სათანადო ვერტიკალური გაბარიტის უზრუნველყოფა სავალი ნაწილის ვირაჟული შემაღლების თავზე, მალის ნაშენის გასწვრივ კოჭების თანდათანობით შემაღლებულად განთავსების საშუალებით, რაც მომიჯნავე კოლოფისებრი კოჭებით შესაძლებელი არ არის;

სამშენებლო ტექნოლოგიების ადგილობრივად ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, ასეთი გადაწყვეტა ყველაზე ეკონომიურია მოცემული სიგრძის ხიდებისთვის;

აღნიშნული გადაწყვეტა მშენებლობის ნაკლებ დროს მოითხოვს;


სამშენებლო მოედანზე შესასრულებელი სამუშაოების ნაკლები მოცულობა, რაც განაპირობებს ჯანმრთელობასთან და გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკების შემცირებას;

ყველა მასალა და ტექნოლოგია ადგილობრივად არის ხელმისაწვდომი.

საშუალო მალეებიანი ხიდები, 30 მეტრზე გრძელი მალეებით

სამ ადგილში მოითხოვება საპროექტო ხიდების მალეების კონფიგურაციის ძველ რკინიგზის ხაზზე არსებული ხიდების მალეების სიგრძეებთან მორგება, რაც თავის მხრივ შედარებით გრძელ მალეებს საჭიროებს. ასეთ გადაკვეთებზე გათვალისწინებულია ფოლადრკინაბეტონის ფილოვან-კოჭოვანი ხიდების აშენება. აღნიშნული გადაწყვეტა აგრეთვე შესაბამისობაშია ადგილობრივად აპრობირებულ სამშენებლო მეთოდთან. ასეთი გადაკვეთებიდან ყველაზე გრძელია მდ. ჭერმისწყალზე გადასასვლელი სახიდე ნაგებობა (ხიდი №3) მალეების კონფიგურაციით 49+64+49 (მ). დანარჩენი ორი ხიდი, რომლებიც არსებული სარკინიგზო ხიდების პარალელურია და გამიზნულია შესაბამისი დვარცოფული ხეების გადაკვეთისთვის, აიგება 36+42+36 (მ) მალეების სქემებით.

მომდევნო სურათზე ილუსტრირებულია ხიდის ფენილის სისტემა.



სურათი 4.13.2.2-2. ფოლად-რკინაბეტონის ფილოვან-კოჭოვანი ხიდის ფენილის სისტემა

4.13.3 ხელმისაწვდომი რესურსები

საბჭოთა კავშირის დროინდელი უმეტესობა დიდი ბეტონის ქარხნები ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გაჩერდა და დღეისთვის მხოლოდ შედარებით მცირე წარმადობის ბეტონის ქარხნები ფუნქციონირებენ. დამატებით, რამდენიმე უცხოური კონტრაქტორი თავად ამზადებს ასაკრები რკინაბეტონის კონსტრუქციებს, როგორც საკუთარი გამოყენებისთვის, ასევე სხვა კონტრაქტორების დაკვეთებით. ცხრილში 4.9.1 მოცემულია ასაკრები რკინაბეტონის კოჭოვანი ელემენტების დამამზადებელი ქარხნების მონაცემები.

ცხრილი 4.13.3-1. ასაკრები ბეტონის კონსტრუქციების დამამზადებელი ქარხნების ჩამონათვალი

რ ი ბ №	დასახელება და მისამართი	პროდუქცია	შენიშვნები
1	შპს “ხიდმშენი-XXI”	რ/ბ ტესტური კოჭა, 18 მ	

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

	გორის რაიონი, სოფ. კარალეთი მობ. ტელ.: 599453693 საკონტაქტო პირი: ზაზა კობინაშვილი	რ/ბ ტესებრი კოჭა, 12 მ რ/ბ -სებრი კოჭა, 12 მ რ/ბ -სებრი კოჭა, 18 მ	
2	“ბეტონის კონსტრუქციების ქარხანა” ქუთაისი, აღმაშენებლის გამზ. 55 ტელ.: 0431272864	წინასწარ დაძაბული ორტესებრი კოჭები, 21 მ, 24 მ, 27 მ, 30 მ, 31.6 მ	
3	“აკორდ ჯორჯია” სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია “აკორდის” საქართველოს ფილიალი თბილისი, ბაშის რიგი 7 მობ. ტელ.: (577) 95 98 46 akkord-georgia@akkordgroup.com	წინასწარ დაძაბული ორტესებრი კოჭები: 21 მ, 24 მ, 27 მ, 30 მ, 31.6 მ	ბოლოდროინდელი პრაქტიკის თანახმად, რამდენიმე საერთაშორისო კონტრაქტორი საკუთარი გამოყენებისთვის და დაკვეთით თავად ამზადებს რ/ბ-ის კონსტრუქციებს
4	შპს “ჩინეთის ატომური ენერჯეტიკული კომპანია” China Nuclear Engineering Co., Ltd (CNEC) თბილისი 0186, მარგინის ქ. 15 მობ. ტელ.: 995-571196116 საკონტაქტო პირი: ჯეინ ვანგი jane@cni23.com		

ბეტონის ძირითადი ინგრადიენტები, როგორებიცაა ცემენტი, არმატურა და ინერტული მასალები იწარმოება ან ბუნებრივის სახით მოიპოვება საქართველოში. მომდევნო ცხრილში მოცემულია ბეტონის ზოგიერთი დამამზადებლის მონაცემები

ცხრილი 4.13.3-2. ბეტონის ძირითადი მასალების მომწოდებლები

ცემენტი	არმატურა	ინერტული შემკვსები მასალები
Hydelbergcement Caucasus თბილისი, ლერმონტოვის ქ. 18 ტელეფონი: 2474747 info@heidelbergcement.ge	რუსთავის მეტალურგიული ქარხანა რუსთავი, გაგარინის ქ. 12 ტელეფონები: +995322606699; +995322492233 contacts@rustavisteel.com	Black Sea Group თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71 ტელეფონები: 2207474; 2207475 info@bsg.com.ge
“თბილცემენტი” / Tbilcement Group თბილისი, ზაჰესის დასახლება ტელეფონები: 2656261; 2656260 tbilcement@yahoo.com	“ინტრეკ ჯორჯია” თბილისი, ქერჩის ქ. 12 ტელეფონები: 2609707; (მობ) 557802802 info@armatura.ge	შპს “ტრანსკავკასიის კრისტალი” თბილისი, პეკინის გამზ. 5 ტელეფონები: 2333007; 2333009 ctranscaucasus@yahoo.com
“კავკასცემენტი” / Caucascement თბილისი, ანდრონიკაშვილის ქ. 29 ტელეფონები: 2619090; 2629200 info@kavkazcement.ge	“მეტალ ჯორჯია” თბილისი, ქინძმარაულის ჩიხი 5/7 ჰონე - 2715737; 2710280 info@mg.com.ge	“ევიოლ ჯორჯია” თბილისი, თარხნიშვილის ქ. 9 ტელეფონი: 2434399 info@ev-yol.ge
	“ორიონი” თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. 6 ტელეფონები: 2355144; 2356644, (მობ) 574070007; info@orionmittal.com	

4.13.4 ნორმები და სტანდარტები

დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, საქართველოში და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებში ხიდების პროექტირების საკითხები რეგულირდებოდა “სამშენებლო ნორმებით და წესებით” (“სნდწ”/СНП). დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ხიდების პროექტირების ნორმები ცალკე სახით მიღებული ჯერ კიდევ არ არის და სანაცვლოდ სახიდე ნაგებობების პროექტირებისას შერეული სახით გამოიყენება შესაბამისი ამერიკული და ევროპული სტანდარტები. ფართოდ არის აპრობირებული 93 ტიპის სტანდარტული საკონტროლო სატრანსპორტო დატვირთვა, რომელიც განმარტებულია “აშშ-ის საგზაო-სატრანსპორტო ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირების გაერთიანების” (AASHTO) მიერ მიღებულ ნორმატიულ დოკუმენტში “ნაგებობების პროექტირება დატვირთვის და წინააღმდეგობის კოეფიციენტების გამოყენებით” (LRFD). აღნიშნული საკონტროლო დატვირთვის გამოყენებით გაანგარიშებული ხიდები, რომლებიც აგებულია როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო დაფინანსებით განხორციელებული პროექტების ფარგლებში, დამაკმაყოფილებლად ფუნქციონირებენ.

კონსულტანტი ითვალისწინებს ხიდების პროექტირებას AASHTO-ს/LRFD-ის “ხიდების პროექტირების სპეციფიკაციების” შესაბამისად, რომელშიც წარმოდგენილია მაქსიმალური დატვირთვების შემდეგი საკონტროლო უზრუნველყოფის (განმეორებადობის) სიდიდეები:

HL-93 ტიპის საანგარიშო დატვირთვა – 75-წლიანი განმეორებადობის მაქსიმალური დინამიკური დატვირთვა;

საანგარიშო მიწისძვრის ინტენსიურობა – 75 წლის განმავლობაში გადაჭარბების 7%-იანი ალბათობი (1000-წლიანი განმეორებადობის) სეისმური მოვლენა;

საანგარიშო ქარი – 50-წლიანი განმეორებადობის;

საანგარიშო წყალდიდობა – 100-წლიანი განმეორებადობის.

დატვირთვების შეფასებისა და ნაგებობების წინასწარი პროექტირების მიზნით, ზოგადად, მხედველობაში მიიღება შემდეგი სტანდარტების მოთხოვნები:

AASHTO LRFD Bridge Design Specification (SI Units)/2007

AASHTO-ს LRF -ის “ხიდების პროექტირების სპეციფიკაციები” (შე ერთეულებში), 2007წ.

AASHTO Guide Specifications for LRFD Seismic Bridge Design – 2011

AASHTO-ს “სახელმძღვანელო სპეციფიკაციები ხიდების სეისმომედეგი პროექტირებისთვის დატვირთვების და წინააღმდეგობების კოეფიციენტების გამოყენებით”, 2011 წ.

სნდწ “ხიდები და მილები” (СНП 2.05.03-84). აღნიშნული სტანდარტიდან გამოიყენება მხოლოდ – 100 ტიპის ნორმატიული დინამიკური დატვირთვების მონაცემები, რომლებიც საჭიროა ხიდის დატვირთვებზე რეაქციის გასაანგარიშებლად.

სამშენებლო ნორმები და წესები “სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01.09)

ზემოთ ჩამოთვლილ ნორმატიული დოკუმენტების ცალკეულ დებულებებს შორის რაიმე წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება AASHTO-ს LRFD-ის “ხიდების პროექტირების სპეციფიკაციებს” (2007 წ.)

4.13.5 სამშენებლო მასალები

ქვემოთ წარმოდგენილია სახილო ნაგებობების ძირითადი სამშენებლო მასალების მახასიათებლები. ბეტონი

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ზოგადად, ხიდის კონსტრუქციული ელემენტების ბეტონის საანგარიშო სიმტკიცეები განისაზღვრა AASHTO-ს/LRFD-ის 5.4.2 პუნქტის შესაბამისად. კერძოდ, პროექტირების პროცესში გამოყენებისთვის გათვალისწინებულია შემდეგი მარკების ბეტონების გამოყენება:

შუალედი ბურჯი/კედელი	C30/37
ხიმინჯი/ხიმინჯის ძირი	C25/30
მაღის ნაშენი / ხიდის ფენილი	C30/37
ყველა სხვა ელემენტი, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული	C25/30
მჭლე ბეტონი	C12/15

ბეტონის მარკების CX/Y სახის აღნიშვნაში, პირველი და მეორე ასოები მიუთითებენ ბეტონის 28-დღიანი ცილინდრული (X) და კუბის ფორმის (Y) ნიმუშების სიმტკიცეებს.

იგულისხმება, რომ ბეტონის ხარისხის მართვა და მიღების კრიტერიუმები განისაზღვრება ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისი პუნქტებით. ამასთან, ნებისმიერ შემთხვევაში, ბეტონის სიმტკიცის მარაგი (სხვაობა სამიზნე და ნორმატიულ სიმტკიცეებს შორის) არ უნდა იყოს ნაკლები სამიზნე საანგარიშო სიმტკიცის 1/3-ზე.

ფოლადის არმატურა

ფოლადის არმატურა წინასწარ დაძაბული ტიპისაა და აკმაყოფილებს AASHTO-ს 31 ტიპის 72 მარკის ფოლადის (ASTM-ის A-615 ტიპის 72 მარკის ფოლადის) არმატურისთვის დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს 500.0 მგპა დენადობის ზღვრის გათვალისწინებით. არმატურის დეროები საკონტრაქტო გეგმებსა და სპეციფიკაციებში მიეთითებიან დიამეტრების მიხედვით, რომლებიც 10 მმ-დან 32 მმ-მდე იცვლება.

წინასწარ დამძაბავი ფოლადი

ყველა წინასწარ დამძაბავი მასალა უნდა აკმაყოფილებდეს მასალების გვარობის და გამოცდების მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია სტანდარტში ASTM 416/416 -02 (ან სტანდარტში EN 10138-3, “წინასწარ დამძაბავი ფოლადები”), კერძოდ – სტანდარტულ სპეციფიკაციებს, რომლებიც არეგულირებენ რკინაბეტონის წინასწარ დამძაბავ არაიზოლირებულ (შიშველ) შეიდარღვიან ფოლადის გვარლებს. ნაგებობის დეტალური პროექტირების პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ექვივალენტური სტანდარტები.

კონსტრუქციული ფოლადი და ფასონური დეტალები

ყოველგვარი გამოყენებული კონსტრუქციული ფოლადი უნდა იყოს კონსტრუქციული ფოლადის ნაკეთობების მარეგულირებელი ევროპული სტანდარტით EN 10025-2:2004 განსაზღვრული S355 მარკის. ყველა ჭანჭიკი უნდა იყოს შთ A325ST/N სტანდარტით განსაზღვრული მაღალი სიმტკიცის ჭანჭიკის ტიპის. ყოველგვარი შედუღება უნდა შესრულდეს მეტალის დნობადი ელექტროდით ელექტრორკალური (SMAW) შედუღების სახით, დაბალწყაღბადიანი ელექტროდის გამოყენებით.

4.13.6 ხიდების დატვირთვები

4.13.6.1 მუდმივი დატვირთვა

ხიდის მუდმივი დატვირთვა მოიცავს თავად ნაგებობის და ხიდის სხვა კუთვნილებების საკუთარ წონას, როგორებიცაა (1) მოსაშენდაკებელი ბეტონის საფარი, (2) საცვეთი და ჰიდროსაიზოლაციო ფენები, (3) ხიდის მოაჯირები და ზღუდარები. აღნიშნული გარეგანი დატვირთვების გარდა, სადაც

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება


შესაფერისია, მუდმივი დატვირთვის სახით აგრეთვე განხილული უნდა იქნას ბეტონის შეკვებით (ჩაჯდომით) გამოწვეული დაძაბულობა.

ხიდის კონსტრუქციული ელემენტების წონები იანგარიშება შემდეგი ხვედრითი სიდიდეების გამოყენებით:

- რკინაბეტონი – 25.00 კნ/მ³
- ფოლადი – 78.50 კნ/მ³
- საცვეთი ფენა – 23.00 კნ/მ³ – ჰიდროიზოლაცია და საგზაო სამოსი
- გრუნტი – 20.00 კნ/მ³ – სანაპირო ბურჯის/კედლის ზურგის შესავსებად შერჩეული ყრილის მასალა


4.13.6.2 სატრანსპორტო დატვირთვა

ხიდებზე მოძრავი ავტოტრანსპორტის საანგარიშო დატვირთვების სახით, ზოგადად, განიხილება AASHTO-ს/LRFD-ის 93 ტიპის ნორმატიული სატრანსპორტო დატვირთვა. ქვემოთ მოხერხებულობისთვის წარმოდგენილია ნორმატიული სატრანსპორტო დატვირთვების განმარტებითი დიაგრამები. აღსანიშნავია, რომ 100 ტიპის სტანდარტული ღერძული დატვირთვა გამოიყენება მხოლოდ დამუშავებული ტექნიკური პროექტის ადეკვატურობის შესამოწმებლად. სატრანსპორტო დატვირთვების მოქმედება განისაზღვრება AASHTO/LRFD-ის სპეციფიკაციების გამოყენებით.



სურათი 4.13.6.2-1 93 ტიპის სატრანსპორტო დატვირთვის განმარტებითი დიაგრამა

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება



სურათი 4.13.6.2-1 100 ტიპის სატრანსპორტო დატვირთვის განმარტებითი დიაგრამა СНиП-ის შესაბამისად

4.13.6.3 გარემოს დატვირთვა

გარემოს დატვირთვა ხიდებზე განპირობებულია ქარის, ტემპერატურის და თოვლის საფარის ზემოქმედებით. ასეთი დატვირთვების გასაანგარიშებლად სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებულია სათანადო საწყისი მონაცემები.

ქარის დატვირთვა

ხელმისაწვდომი მონაცემების თანახმად, ქარის 20-წლიანი განმეორებადობის მაქსიმალური სიჩქარეებია:

22 მ/წმ-ს (80.0 კმ/სთ) – გურჯაანის მეტეოსადგურის მონაცემებით

27 მ/წმ-ს (100.0 კმ/სთ) – წნორის მეტეოსადგურის მონაცემებით

ტემპერატურა

სამშენებლო ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურის 50-წლიანი განმეორებადობის ზღვრული სიდიდეები განისაზღვრება შემდეგი სახით:

მინიმალური ტემპერატურა -22.0 0C

მაქსიმალური ტემპერატურა +38.0 0C

სამუშაო სეზონის საშუალო ტემპერატურა 8.0 0C

(ყველაზე ცივი და ცხელი თვეების საშუალო სიდიდე)

კონსტრუქციულ ელემენტებზე მოქმედი ტემპერატურული დატვირთვების გაანგარიშებისას გამოიყენება შემდეგი კოეფიციენტები:

ბეტონის სითბური გაფართოების კოეფიციენტი, $\alpha = 10.8 \times 10^{-6}$

ფოლადის სითბური გაფართოების კოეფიციენტი, $\alpha = 11.7 \times 10^{-6}$

თოვლის საფარის დატვირთვა

საპროექტო საგზაო მონაკვეთის გარსმომცველ რეგიონში თოვლის საფარის მაქსიმალური წნევის სიდიდედ მიღებულია 0.5 კნ/მ².


4.13.6.4 სამშენებლო ტერიტორიის სეისმურობა

პროექტით გათვალისწინებული ხიდები დაპროექტდება AASHTO-ს LRFD-ში მოცემული “ხიდების პროექტირების კონცეპტუალური მიდგომის” გამოყენებით, რომლის თანახმადაც – “ხიდები უნდა

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

დაპროექტდნენ მწვობრიდან გამოსვლის დაბალი ალბათობით, თუმცა შეიძლება განიცადონ მნიშვნელოვანი დაზიანებები და საექსპლუატაციო ხასიათის შეფერხებები 75-წლიან პერიოდში გადაჭარბების 7%-იანი ალბათობის მქონე სეისმური მოვლენებით გამოწვეული მიწის რყევების მოქმედებით”.

მათემატიკური გამოთვლებით შეიძლება ინახოს, რომ ზემოთ მითითებული გადაჭარბების ალბათობის მქონე მოვლენის განმეორებადობის პერიოდი მიახლოებით 1000 წელს შეადგენს. 1000-წლიანი განმეორებადობის სეისმური საფრთხის საანგარიშო სიდიდეები საქართველოში ხელმისაწვდომი არ არის. ნორმატიულ დოკუმენტში “სნღწ სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01.09) მოცემულ “სეისმური საშიშროების რუკაზე” ნაჩვენებია დასახლებული პუნქტებისთვის განსაზღვრული “მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარებები” და “სეისმური ინტენსიურობები” (ბალები), რომლებიც შეესაბამებიან 50-წლიან პერიოდში გადაჭარბების 2%-იან ალბათობას (2475-წლიან განმეორებადობის პერიოდს).



სურათი 4.13.6.4-1. სეისმური საშიშროების რუკა (სნღწ “სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01.09))

საპროექტო გზის გარსომცველი ტერიტორია შედის 9-ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში, რომლისთვისაც განსაზღვრული მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარებები 0.26გ-0.28გ შუალედში იცვლება.

სხვა სიდიდის გადაჭარბების ალბათობის შესაბამისი მონაცემები, რომელთა ინტერპოლირებით შესაძლებელი იქნებოდა 1000-წლიანი განმეორებადობის სეისმური საფრთხის გაანგარიშება, ხელმისაწვდომი არ არის. ამიტომ “მაქსიმალური საანგარიშო მიწისძვრის” () პარამეტრების გასაანგარიშებლად, არსებული მონაცემები მრავლდება 2/3-ის ტოლ გამაძევეან კოეფიციენტზე.

აღსანიშნავია, რომ ერთმალისანი ხიდი სეისმურ დატვირთვებზე გაანგარიშებას არ მოითხოვს. სადაც ეს პროექტით გათვალისწინებულია, რამდენიმე მაღიანი ხიდების წინასწარი პროექტირება შესრულებულია კონკრეტული ტერიტორიის საანგარიშო სეისმურობის (“სეისმური მოთხოვნის”) გათვალისწინებით, რომელიც გამოითვლება “რეაქციის სპექტრის” დატვირთვის სახით.

4.8.6.5 მეორადი დატვირთვები

შეკლება

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება


ზოგადად, შეკლებით გამოწვეული დეფორმაციის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება, რომ ხიდის ბეტონის ელემენტები დაიტვირთება მათ მიერ სრული სიმტკიცის აკრეფის შემდეგ. შეკლების ეფექტი იანგარიშება AASHTO-ს შესაბამისი დებულებების მიხედვით.

დაშვებულია, რომ შეკლებით გამოწვეული მაქსიმალური ფარდობითი დეფორმაცია შეადგენს 0.0005-ს. აგრეთვე გათვალისწინებულია, რომ ტრადიციულ რკინაბეტონის ელემენტებში შეკლებით გამოწვეული დეფორმაცია შეიძლება მოდელირდეს როგორც “ტემპერატურის დაწვეის” შედეგი. “ელემენტების ტემპერატურული (სითბური) დატვირთვების” მონაცემების შესაბამისად, 0.0005-ის ტოლი ფარდობითი დეფორმაციის შესატყვისი ტემპერატურის ცვლილება შეადგენს $\Delta T = \frac{0.0005}{10.8 \times 10^{-6}} \cong 46.3^\circ \text{C}$ -ს.

წინასწარი დაძაბული კონსტრუქციების გაანგარიშებისთვის შეკლების დაძაბულობის დეტალური გამოთვლები დაფუძნებულია სამუშაოს თითოეულ საფეხურზე განსაზღვრულ ბეტონის სიმტკიცეზე, ცემენტის მოხმარების ტიპზე და სხვა შესაბამის პარამეტრებზე.

ცოცვადობა

წინასწარ დაძაბული კონსტრუქციების გაანგარიშებისას, ცოცვადობის ეფექტი დეტალურად განისაზღვრება AASHTO-ს/LRFD-ის დოკუმენტში მოცემული “ცოცვადობის გაანგარიშების” ინსტრუქციის შესაბამისად. ცოცვადობის კოეფიციენტის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება ელემენტის დატვირთვა და გეომეტრიული მახასიათებლები. სავარაუდო ცოცვადობის კოეფიციენტის მრუდი ილუსტრირებულია მომდევნო სურათზე.



სურათი 4.13.6.5-1 ცოცვადობის კოეფიციენტის ტიპური მრუდი

4.13.7 წინასწარი პროექტირება

4.13.7.1 საძირკვლები


გრუნტის პირობების წინასწარი გამოკვლევის შედეგების თანახმად, გრუნტის ზედაპირული ფენა წარმოდგენილია თიხნარებით. წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე დაშვებულია, რომ ხიდებისთვის საჭირო იქნება სიღრმული საძირკვლების მოწყობა საკმარისი სიმტკიცის მქონე ხვინჯოვანი აგებულების მქონე გეოლოგიურ ფორმაციამდე ჩაღწევის მიზნით.

ქვედა გასასვლელების მოსაწყობი ხიდებისთვის გათვალისწინებულია 1000 მმ დიამეტრის მონოლითური ხიმინჯების გამოყენება, ხოლო კოჭოვანი მალის ნაშენის მქონე ხიდების საძირკვლები 1200 მმ დიამეტრის ხიმინჯებით მოეწყობა.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება


ხიმინჯების რაოდენობა, სიგრძეები და განთავსების სქემები განსაზღვრულია კონსტრუქციული გაანგარიშებების შედეგების საფუძველზე და მოგვიანებით ოპტიმიზირდება მშენებლობის პერიოდში გრუნტების სიღრმული აგებულების დეტალური შესწავლის შედეგად განსაზღვრული მახასიათებლების გათვალისწინებით. წინასწარი პროექტირების მიზნებისთვის, კომერციულად ხელმისაწვდომი კონსტრუქციული გაანგარიშების კომპიუტერული პროგრამის საშუალებით, შესრულდა ხიდების ტიპური კონსტრუქციების მოდელირება. მომდევნო სურათებზე ილუსტრირებულია ხიმინჯების საანგარიშო რეაქცია ცალკეული კონსტრუქციული სახეობების ხიდებისთვის.

თავისუფლად დაყრდნობილი კიდის სასაზღვრო პირობების გათვალისწინებით, შესრულდა ორმალიანი კონფიგურაციის მქონე ორტესებრ-კოჭური ხიდების მოდელირება. სანაპირო ბურჯების საძირკველისთვის მოდელირდა ხიმინჯოვანი როსტვერკი ერთ რიგად განთავსებული 5 ხიმინჯით, ხოლო შუალედი ბურჯების საძირკველებისთვის გათვალისწინებული იქნა 5-5 ხიმინჯის ორ რიგად განთავსება. სანაპირო ბურჯის საძირკველის ხიმინჯის სათავისთან ვერტიკალური რეაქციის ძალები შეადგენენ მიახლოებით 367 ტონას, ხოლო შუალედი ბურჯის საძირკველის ხიმინჯის სათავისთან – მიახ. 336 ტონას.




სურათი 4.13.7.1-1 ორტესებრ-კოჭური ხიდების (№ 02 და № 03) ხიმინჯების სათავისებთან განვითარებული ვერტიკალური (დერძული) რეაქციის ძალების წინასწარი საანგარიშო სიდიდეები ხიმინჯების რეაქციის ძალების გაანგარიშებული სიდიდეები გრაფიკულად არიან ნაჩვენები მომდევნო სურათზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხიდი ერთმალიანია, მოდელირება შესრულდა ზოგადი შემთხვევისთვის, რომელიც დაფუძნებულია ორმალიანი კონფიგურაციაზე, რაც არ ახდენს გავლენას სანაპირო ბურჯის საძირკველში განვითარებულ რეაქციის ძალების სიდიდეებზე. მოდელირების შედეგების თანახმად, სანაპირო ბურჯების საძირკველების ინდივიდუალურ ხიმინჯებზე მოსული მაქსიმალური რეაქციის ძალის სიდიდეები მიახლოებით 315 ტონას აღწევს.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება



სურათი 4.13.7.1-2 № 01 ორტესებრ-კოჭური ხიდის ხიმინჯების სათავისებთან განვითარებული რეაქციის ძალების წინასწარი საანგარიშო სიდიდეები

პატარა ხიდებისთვის, რომელთა ღიობის ზომა 12 მეტრს შეადგენს, შესრულდა ხიდის 6 მეტრი სიგრძის სეგმენტის მოდელირება. საკმარისი მარაგის უზრუნველსაყოფად, მოდელირებისას ხიდის ფენილის ფილოვან ელემენტზე მოდებული იქნა საანგარიშო კომბინირებული დატვირთვა, რომელიც შედგებოდა ფენილის 600 მმ სისქის საფარით განვითარებული დაწნევისა და ერთ ზოლზე მოსული სატრანსპორტო დატვირთვისგან. ხიდის სეგმენტის თითო გვერდზე დაინიშნა ორი ხიმინჯი, რომელთაგან თითოეულში განვითარებული მაქსიმალური რეაქციის ძალვა მიახლოებით 225 ტონას შეადგენს.



სურათი 4.13.7.1-3. პატარა ხიდების ხიმინჯების სათავისებთან განვითარებული ვერტიკალური (ღერძული) რეაქციის ძალების წინასწარი საანგარიშო სიდიდეები

შემოწმდა ხიმინჯების გეოტექნიკური მზიდუნარიანობის სიდიდეების საკმარისობა რეაქციის ძალების გაანგარიშებული მოთხოვნილი სიდიდეების მიმართებით. შემოწმების შედეგად დადგინდა,


თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

რომ გაანგარიშებული ხიმინჯი საკმარისი მზიდუნარიანობისაა (იხ. დანართებში 16-18 მოცეული საპროექტო გაანგარიშებების უწყისები).


4.13.7.2 ხიდების საყრდენი კონსტრუქციები და მალის ნაშენები

ხიდის შუალედი და სანაპირო ბურჯების კონსტრუქციული ელემენტების ზომები განისაზღვრა წინასწარი პროექტირების ფარგლებში შესრულებული გემოთვლების და მსგავსი კონსტრუქციული ხიდების მშენებლობის შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე. ამ პროცესის ამოცანას შეადგენდა გამოთვლილი ზომებით დაპროექტებული კონსტრუქციული ელემენტების მხრიდან მოთხოვნილი მუშაობის მიღწევის გადამოწმება.

შუალედი ბურჯის კონსტრუქციული სიმტკიცის გადამოწმების შედეგები წარმოდგენილია კომპიუტერული მოდელირების პროგრამის შედეგობრივ უწყისში, რომელიც თან ერთვის და მოიცავს შუალედი ბურჯის ღუნვაზე მედეგობის გაანგარიშებებს. აღნიშნულ გაანგარიშებაში შუალედი ბურჯი მოდელირებულია ცალ-ცალკე როგორც კოჭოვან-ხიმინჯოვანი და კოჭოვან-დგაროვანი კონსტრუქცია. მომდევნო სურათებზე, მოხერხებულობისთვის, გრაფიკულად არიან წარმოდგენილი მონოლითური რკინაბეტონის ხიდის სანაპირო ბურჯების კედლების ფილოვან ელემენტებზე, ფრთებზე, როსტვერკზე და ფენილის ფილაზე მოქმედი საანგარიშო მომენტები. ფილოვანი ელემენტების კონსტრუქციული სიმტკიცის ადეკვატურობა ნაჩვენებია თანდართულ გამოთვლის უწყისებში, რომლებიც შედგენილია წინასწარ დაძაბული ასაკრები ბეტონის ორტესებრივი კოჭების წინასწარი პროექტირებისთვის და მოიცავენ როგორც კონსტრუქციების დამზადების, ასევე მათი ადგილზე მუშაობის ფაზებს.




სურათი 4.13.7.2-1. შუალედი ბურჯის ხიმინჯოვანი როსტვერკის ფილოვან ელემენტზე მოქმედი მომენტების (მარცხნივ) და ძერის ძალების განაწილების დიაგრამები




თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

სურათი 4.13.7.2-12. სანაპირო ბურჯის კედლის ფილოვან ელემენტზე მოქმედი მოემენტების (მარცხნივ) და ძერის ძალების განაწილების დიაგრამები




სურათი 4.13.7.2-3 სანაპირო ბურჯის ფრთის ფილოვან ელემენტზე მოქმედი მოემენტების (მარცხნივ) და ძერის ძალების განაწილების დიაგრამები



სურათი 4.13.7.2-4 მონოლითური რკინაბეტონის ხიდის კონსტრუქციების ფილოვან ელემენტებზე მოქმედი მოემენტების განაწილების დიაგრამა

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება



სურათი 4.13.7.2-5 მონოლითური რკინაბეტონის ხიდის კონსტრუქციების ფილოვან ელემენტებზე მოქმედი ძერის ძალების განაწილების დიაგრამა

ცხრილი 4.13.7.2-1 ხიდების ნუსხა

ხიდის №	პიკეტაჟი (კმ+მ)	განიკვეთის ფორმა	დანიშნულება	ხიდის სიგრძე (მ)	ხიდის სიგანე (მ)	ლატე-რება ()	მალის წყობა
01	0+556.805	ორტესებრ-კოჭოვანი	ორდონიანი გადაკვეთა, ჩუმლაყის დაერთება	30.2	18		1X29.4
02	3+551.655	მართკუთხა ფილოვანი	გზაგამტარი	14.0	18		1x13
03	4+495.656	კომპოზიტურ-კოჭოვანი	მდინარე ჭერმისხევი	163.5	18		49+64+49
04	4+682.582	მართკუთხა ფილოვანი	გზაგამტარი	14.0	30		1x13
05	4+900.869	მართკუთხა ფილოვანი	ორდონიანი გადაკვეთა, მუკუზანის დაერთება	14.0	42		1x13
06	8+150.000	ორტესებრ-კოჭოვანი	უსახელო ხევი	30.2	16.55		1X29.4
07	9+455.840	ორტესებრ-კოჭოვანი	უსახელო ხევი	93.0	18	25	3X29.4
08	13+248.002	ორტესებრ-კოჭოვანი	უსახელო ხევი	90.4	16.55		3X29.4
09	15+764.700	ორტესებრ-კოჭოვანი	უსახელო ხევი	30.8	18	25	1X29.4
10	16+335.210	მართკუთხა ფილოვანი	ორდონიანი გადაკვეთა, აკურას დაერთება	14.0	24		1x13

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ხიდის №	პიკეტაჟი (კმ+მ)	განიკვეთის ფორმა	დანიშნულება	ხიდის სიგრძე (მ)	ხიდის სიგანე (მ)	დაცმ-რება ()	მალის წყობა
11	17+522.873	კომპოზიტურ-კოჭოვანი	უსახელო ხევი	115.4	16		36+42+36
12	18+047.602	მართკუთხა ფილოვანი	გზაგამტარი	14.0	24		1x13
13	20+124.326	ორტესებრ-კოჭოვანი	უსახელო ხევი	30.2	16.55		1X29.4
14	20+250.800	მართკუთხა ფილოვანი	გზაგამტარი	14.0	24		1x13
15	21+592.853	ორტესებრ-კოჭოვანი	უსახელო ხევი	93.0	16.55	25	3X29.4
16	22+578.863	კომპოზიტურ-კოჭოვანი	უსახელო ხევი	115.4	16		36+42+36
17	23+893.470	მართკუთხა ფილოვანი	გზაგამტარი	14.0	24		1x13
18	24+421.793	მართკუთხა ფილოვანი	ორდონიანი გადაკვეთა, კონდორის დაერთება	14.0	54		1x13
19	27+435.253	მართკუთხა ფილოვანი	გზაგამტარი	14.0	18		1x13
20	29+319.560	ორტესებრ-კოჭოვანი	უსახელო ხევი	91.4	16.55		3X29.4
21	30+250.000	მართკუთხა ფილოვანი	ორდონიანი გადაკვეთა, თელავის დაერთება	14.0	24		1x13
22	32+941.656	ორტესებრ-კოჭოვანი	ვიადუკი	90.4	16.55		3X29.4
23	34+800.556	ორტესებრ-კოჭოვანი	ვიადუკი	91.4	16.55		3X29.4


4.13.8 ხიდის კუთვნილებანი

ქვერმოთ აღწერილი ხიდის კუთვნილებანი წარმოდგენილია საქართველოში მიღებულ სამშენებლო პრაქტიკაზე დაყრდნობით. ხიდის კუთვნილებების დეტალები უნდა დამუშავდეს დეტალური დაპროექტების ეტაპზე, რაც ასევე უნდა მოიცავდეს გამოყენებული სტანდარტების შერჩევას.

დრენაჟი

ხიდის ფენილზე მოხვედრილი წვიმის წყალი ძირითადად ბუნებრივად გაედინება ხიდის ქანობის მიმართულებით. ხიდის ფენილიდან წყლის არინების მიზნით, მის მთლიან სიგრძეზე, სათანადო შუალედებით მოეწყობა განივი დრენაჟი. ფენილიდან მოდინებული წყალი შეგროვდება სადრენაჟე მილში და გადამისამართდება მიწის ზედაპირზე შესაფერისი მილგაყვანილობით. შეთავაზებული სადრენაჟე სისტემა დაიფარება ბეტონის საფარით. (იხ. სურათი 4.8.17). დრენირებისთვის რეკომენდირებულია თუჯის მილების გამოყენება 545 და 598-ის შესაბამისად


თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება



სურათი 4.13.8-1 წყლის არინება ხიდის ფენილიდან

მოაჯირები

ხიდების მოაჯირები მოეწყობა საქართველოში ფართოდ გავრცელებული “საფეხმაველო მოაჯირების” სახით. აღნიშნული კონსტრუქცია შედგება ფოლადის პროფილისა და ბოძკინტებისგან და მისი საორიენტაციო სიმაღლე 1070 მმ-ს შეადგენს. შეთავაზებული მოაჯირის ფორმა და ზომები ნაჩვენებია სურათზე 4.8.18.




სურათი 4.13.8-2 “საფეხმაველო მოაჯირის” სქემა

ჰიდროიზოლაცია

ხიდების ფენილების ჰიდროიზოლირებისთვის ტრადიციულად ფართოდ გამოიყენება ჰიდროსაიზოლაციო ფენის მოწყობა დაბეტონებული არმატურის ბადის თავზე. ასეთი კონსტრუქცია კარგად მუშაობს რაიმე მნიშვნელოვანი საჩივრების გარეშე. შესაბამისად, საპროექტო ხიდების ფენილების ჰიდროიზოლირებაც იგივე ტრადიციული მეთოდით შესრულდება. ხიდების ფენილების ჰიდროიზოლაციის სქემა ილუსტრირებულია სურათზე 4.8.19.


თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება



სურათი 4.13.8-3. ხიდის ფენილის ჰიდროიზოლაციის შეთავაზებული გადაწყვეტა

საგზაო ზღუდარი (თვალამრიდი)

ხიდზე მოძრაობის უსაფრთხოების პირობები დაკმაყოფილდება საქართველოში მოქმედი პროექტირების ნორმების შესაბამისად. კერძოდ, ხიდზე ფეხით მოსიარულეთა დაცვის და ავტომობილების ხიდიდან გადავარდნის აღკვეთის მიზნით, ხიდებზე, ტროტუარსა და სავალ ნაწილს შორის დამონტაჟდება 850 მმ სიმაღლის ფოლადის ზღუდარები (ბოქინტებით და ჰორიზონტალური პროფილით). ხიდზე შემსვლელი ავტომობილების უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, ზღუდარები რამდენიმე მეტრით გაგრძელდება ხიდის ბოლოებს მიღმა და მდოვრედ დაეშვება შესასვლელიდან გარეთ.



სურათი 4.13.8-4 საგზაო ზღუდარის ტიპური გადაწყვეტა

სადეფორმაციო ნაკერები

ხიდებზე სადეფორმაციო ნაკერები მოეწყობა მხოლოდ სანაპირო ბურჯებზე. გათვალისწინებულია ხიდის მალის ნაშენის უწყვეტად (უჭრი სახით) მოწყობა ხიდის მთლიან სიგრძეზე, რაც გააუმჯობესებს მოძრაობის კომფორტულობას და შეამცირებს მოვლა-შენახვის მოთხოვნებს. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, სადეფორმაციო ნაკერები მოწოდებული უნდა იყოს აღიარებული დამამზადებლებისგან.

საყრდენი ნაწილები

ხიდის კონსტრუქციული ნაწილების შეუღლებისთვის გამოყენებული იქნება მარტივი ტიპის რეზინის და მეტალის ფენებიანი (ლამინირებული) საყრდენი ნაწილები. საყრდენი ნაწილები განთავსდება სანაპირო და შაუღედ ბურჯებზე, მალის ნაშენის დასაყრდნობად. იგულისხმება, რომ საყრდენი ნაწილების დრეკადობა ვერტიკალური მიმართულებით აბსოლუტური იქნება, ხოლო ხიდის

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მიმართულებით – სასრული. ექსტრემალური მოვლენის (მაგ., მიწისძვრის) დროს საყრდენი ნაწილების ჩამქრობი (მადემპფირებელი) მოქმედება უმნიშვნელოდ მიიჩნევა და მხედველობაში არ მიიღება.

საინჟინრო კომუნიკაციების გასატარებელი არხები უნდა მოეწიოს ელექტროგაყვანილობა და სხვა საინჟინრო კომუნიკაციების არხები, რომლებიც კონკრეტულად მოითხოვება გზაგამტარის ტიპის ხიდებისთვის. ელექტროგაყვანილობის/საკაბელო არხების პროექტირების დროს მთავარი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ნაგებობის ესთეტიურ შესახედაობას.

4.14 საყრდენი ნაგებობანი

საპროექტო გზის მხრიდან გარემოზე ზემოქმედების შერბილების და მიწის საჭიროების შემცირების მიზნით, ახალი გზის ტრასა გადის არსებული რკინიგზის ხაზის ახლოს. თავის მხრივ, რკინიგზის ხაზი განთავსებულია მიწაყრილზე, რომლის სიმაღლე გარსმომცველი გრუნტის ზედაპირიდან 7-8 მეტრამდე აღწევს. ახალი შემოვლითი გზის მთლიანი სიგრძიდან (36.6 კმ) მიახლოებით 20 კმ რკინიგზის ხაზის ახლოს გადის. უმეტეს ადგილებში, სადაც ახალი გზის ტრასა რკინიგზის ხაზს მიუყვება, გზა განთავსებულია მიწაყრილზე, რომელიც რკინიგზის მიწაყრილის მსგავსი სიმაღლისაა. მიუხედავად იმისა, რომ ახალი გზა მეტწილად მიწაყრილზე განთავსდება, მხოლოდ შეზღუდული ჯამური სიგრძის საყრდენი ნაგებობების მოწყობაა გათვალისწინებული. ყველგან, სადაც საჭიროა საყრდენი ნაგებობების აშენება, ასეთი ნაგებობების სიმაღლეები 8.0 მეტრს აღწევენ, რაც ტექნიკურად ეკონომიკურად მიზანშეუწონელს ხდის ტრადიციული გრავიტაციული / ნახევრად გრავიტაციული (როგორებიცაა რკინაბეტონის, კონსოლური ან გაბიონური და სხვ.) კედლების გამოყენებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პრიორიტეტი მიენიჭა “მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის” (MSE) სისტემებს. მომდევნო ცხრილში 4.9.1 წარმოდგენილია პროექტით გათვალისწინებული მექანიკურად სტაბილიზირებული (არმირებული) გრუნტის კედლების მდებარეობის მონაცემები.

ცხრილი 4.14-1. რკინაბეტონის მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის საყრდენი კედლების მდებარეობები და სიმაღლეები

ცენტრალური ღერძის №	კედლის მდებარეობა (კილომეტრაჟი)		სიგრძე (მ)	სიმაღლე (მ)
	დასაწყისი (მ)	დასასრული (მ)		
მთავარი საპროექტო გზა				
CL-100	3562	3580	18	8.40
CL-100	3580	3635	55	7.80
CL-100	3635	3680	45	7.20
CL-100	3680	3715	35	6.60
CL-100	3715	3755	40	6.00
CL-100	3755	3785	30	5.40
პანდუსები				
CL-300	98	110	12	7.00
CL-300	150	162	12	7.00
CL-500	147	155	8	7.00
CL-500	208	220	12	7.00
CL-600	104	112	8	7.00
CL-600	135	147	12	7.00

4.14.1 მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის კედლები

ტერმინი “მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის კედელი” (MSE/MSEW) კრებსითი ხასიათისაა და მოიცავს არმირებულ გრუნტებს (ეს დასახელება გამოიყენება, როდესაც ყრილში განთავსებული გრუნტები გამაგრებულია (არმირებულია) ჩანართების რამდენიმე ფენით).

მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის კედლები წარმოადგენენ რენტაბელურ გრუნტის შემკავებელ ნაგებობებს, რომელთაც გააჩნიათ რკინაბეტონის კედლებთან შედარებით გაცილებით დიდი ჯდენების ატანის უნარი. ყრილის გრუნტში ჭიმვაზე მომუშავე არმირების ელემენტების (ჩანართების) განთავსება იძლევა გრუნტის სიმაგრის მნიშვნელოვნად გაზრდის შესაძლებლობას.

მექანიკურად სტაბილიზირებული (არმირებული) გრუნტის (MSE) კედლების ერთ-ერთ უმთავრეს უპირატესობას შეადგენს ნაკლები მოთხოვნა გასხვისების ზონის ფართობზე. ასეთი თვისება მნიშვნელოვან სარგებელს განაპირობებს, განსაკუთრებით გზების გაფართოების (ან ახალი საგზაო მშენებლობის) პროექტების ურბანულ ტერიტორიებზე განხორციელებისას, სადაც გასხვისების ზონისთვის ახალი ფართობების შექმნა ყოველთვის დიდ ხარჯებს მოითხოვს, ხოლო ზოგჯერ საერთოდ შეუძლებელია.

მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის კედლების კიდევ ერთი უპირატესობა მათ სიმაღლეებს უკავშირდება. ასეთი კედლები შეიძლება გამოყენებულ იქნან მაღალი მიწაყრილების გვერდების გასამაგრებლად. ფასადური მოპირკეთების სისტემების გამოყენება გრუნტის არმირების ელემენტებს შორის განშრეგების პრევენციის მიზნით, იძლევა ძალზედ დამრეცი ფერდობების და ვერტიკალური კედლების უსაფრთხოდ აშენების შესაძლებლობას. მექანიკურად სტაბილიზირებული კედლების ფასადური/მოსაპირკეთებელი ასაკრები რკინაბეტონის ელემენტები შეიძლება დამზადდნენ ესთეტიურ მოსაზრებებთან მორგებული სხვადასხვა ფორმებითა და ტექსტურებით.

მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის კედლები გამოიყენებიან არა მარტო ხიდების სანაპირო ბურჯებისა და ფრთების გამაგრებისთვის, არამედ ფერდობების მდგრადობის და მიწაყრილებისთვის საჭირო გასხვისების ზოლების სიგანეების შემცირების მიზნებითაც.



სურათი 4.14.1-1. ტიპური მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის კედლები

4.14.2 პროექტის ნორმები და გამოყენებული კომპიუტერული პროგრამები

ყველა საყრდენი/ნაპირდამცავი ნაგებობის გაანგარიშება შესრულებულია AASHTO-ს “დატვირთვების და მდგრადობის კოეფიციენტებზე დაფუძნებული პროექტირების მეთოდის” (LRFD) გამოყენებით. საერთო, სეისმური და გარეგანი და შინაგანი მდგრადობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დაპროექტებულია ხისტი გრავიტაციული და ნახევრად გრავიტაციული (რკინაბეტონის, გაბიონური და ბეტონის ბლოკებიანი) საყრდენი კედლები. დაცურებისადმი მდგრადობის პარამეტრები გადამოწმებულია სეისმური მოვლენებით ინდუცირებული გრუნტის წნევის და ინერციული ძალების მოქმედების გათვალისწინებით, როგორც ეს მოითხოვება AASHTO-ს LRFD-ის “ხიდების პროექტირების სპეციფიკაციებით”.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის (MSE) კედლების გაანგარიშება დაფუძნებულია აშშ-ის “საავტომობილო გზების ფედერალური ადმინისტრაციის” ნორმატიულ დოკუმენტზე – “მექანიკურად არმირებული გრუნტის კედლების და არმირებული გრუნტის ფერდობების პროექტირება” (I და II ტომები, № FHWA-NHI-10-024, ნოემბერი, 2009 წ.) (Design and Construction of Mechanically Stabilized Earth Walls and Reinforced Soil Slopes, Volumes I and II, No. FHWA-NHI-10-024, November 2009).

საყრდენი ნაგებობები გაანგარიშდა გეოტექნიკური კომპიუტერული პროგრამების Geo-5 და MacStars 2000 (მხოლოდ მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის კედლებისთვის) გამოყენებით.

კედლების კონსტრუქციული გაანგარიშებები შესრულდა ყველაზე არახელსაყრელი სცენარების გათვალისწინებით და მოიცავდა თითოეული ტიპის ყველაზე მაღალი ნაგებობების გაანგარიშებას ყველაზე უარეს გეოტექნიკურ პირობებში. ზოგიერთი ნაგებობის კონსტრუქციული გაანგარიშების შედეგები მოცემულია წინამდებარე ანგარიშის დანართში 20.

კმ 3+562-დან კმ 3+785-მდე ნიშნულებს შორის უბანზე, რომელზეც მაღალი (8.0 მ სიმაღლის) საგზაო მიწაყრილი გურჯაანი-თელავის არსებული მთავარი გზის მიმდებარედ გადის, დაპროექტებულია რკინაბეტონის ფასადურ-პანელებიანი სტაბილიზირებული გრუნტის კედელი. გადაწყვეტილება ამ უბანზე სტაბილიზირებული გრუნტის კედლის მოწყობის შესახებ განპირობებულია გასხვისების დერეფნის შეზღუდული სიგანით.

4.14.3 პროექტირებისთვის საჭირო პარამეტრები და დაშვებები

საწყისი გეოტექნიკური მონაცემები

კომპიუტერული პროგრამით შესრულებული გაანგარიშების საწყისი სიდიდეების სახით გამოყენებულ იქნა საველე გეოტექნიკური სამუშაოების ანგარიშის მონაცემები და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები. ლაბორატორიის გუნდის მიერ იდენტიფიცირდა რამდენიმე ე.წ. “საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი” (“სგე”), რომელთათვისაც, სამშენებლო ტერიტორიაზე, მათ შორის საცდელ შურფებში და ჭაბურღილებში აღებული ნიმუშების გამოკვლევის შედეგების საფუძველზე, განსაზღვრულია მომდევნო ცხრილში 4.14.3-1. მოცემული ნომინალური გეოტექნიკური პარამეტრები, რომლებიც გამოყენებულ იქნა მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის კედლების კონსტრუქციულ გაანგარიშებებში.

ცხრილი 4.14.3-1. მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის კედლების გასაანგარიშებელი გეოტექნიკური პარამეტრები

საინჟინ-რო გეოლ. ელემენტი (სგე) №	გრუნტის აღწერილობა	ნომინ. შინაგანი ხახუნის კუთხე (O)	შექი-ღულობა, C (კპა)	კალიფორ-ნიული რიცხვი მშრალი მას. 95%-მდე შემჭიდ. ნიმუშის (%)	ხვერდითი წონა (კნ/მ3)	გრუნტის ნომინ. წინაღობა RO (kpa)
4	თიხნარი, ყავისფერი, ნახევრად მყარი, ძლიერ კარბონატული, წვრილი ზომის კენჭების ჩანართებით (20%-30%), თიხაქვიშის და ქვიშის ლინზებით	21.4	22.9	10.75	18.1	206
5	კენჭნაროვანი გრუნტი, საშუალო და წვრილი მარცვლოვნების, ხრეშის ჩანართებით, ყავისფერი-მონაცრისფრო, საშუალო- და მსხვილმარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით (20%-25%), თიხაქვიშის და თიხნარის თხელი და სასუალო ზომის ლინზებით	45	12	36.14	19.5	600

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

10	სრეშოვანი ფრაქციული ჩანართებით ქვიშის შუაშრეებით	გრუნტი, ზომების (10%-15%), შემავსებლით,	სხვადასხვა კენჭის თიხის და ქვიშის	45	10	35.39	19.5	450
----	--	---	-----------------------------------	----	----	-------	------	-----

ზემოთ მითითებულ გეოტექნიკურ პარამეტრებთან ერთად, აგრეთვე გამოყენებულ იქნა ჭაბურღილებიდან აღებული ნიმუშებიდან და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგებიდან ამოკრეფილი გარკვეული დამატებითი ინფორმაცია. კომპიუტერული პროგრამით გამოთვლების წარმოებისას მხედველობაში მიიღებოდა საველე გასვლების და გეოტექნიკური დაკვირვებების მონაცემები და საწყისი დაშვებები.

გრუნტების გამოკვლევის შედეგების დამატებითი დეტალები წამორდგენილია წინამდებარე პროექტირების ანგარიშზე დართულ გეოტექნიკური კვლევის ანგარიშში.


მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის კედლების ტიპები და არმირება

პროექტის მიზნებისთვის გამოყენებულია ორი ტიპის მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის კედლები. პირველი ტიპის კედლები მოკეთებულია ბეტონის პანელებით, ხოლო მეორე ტიპის – გაბიონებით (ე.წ. “ტერამეშის” ან “მაკაფერის” კედლები). პირველი ტიპის კედლები გაანგარიშდა რკინაბეტონის პანელების და გრუნტის არმირების მასალების სახით ორტრაც-ის (კომპანიის უესკერ მბ სავაჭრო ნიშანი) სერიის გეოცხაურების გამოყენების გათვალისწინებით. რკინაბეტონის ფასადური პანელების ზომებია 1.2მ×0.6მ×0.3მ, ხოლო ბეტონის კლასი – ჩ 30/37. პანელურ-ფასადური ბლოკები დაყრდნობილია ასაკრები რკინაბეტონის ბლოკებით შედგენილ ფუძეზე.

“ტერამეშის” კედლებსაც გააჩნიათ საკუთარი არმირება (იხ. მომდევნო სურათი 4.14.3-1) მოთუთიებული, ორმაგი გრესვით დაწნული პოლივინილქლორიდით (PVC) დაფარული ლითონის ბადით.

“ტერამეშის” სისტემის კედელი გაბიონების ყუთებით (1.0მ×1.0მ×2.0მ) შედგენილი ფასადით =5.0 მ სიგრძის საფუძვლის მათულობადით, რომელიც გამოიყენება შემავსებელი მასალის შესაკავებლად (იხ. სურათი);

ნაგებობის ზურგის მხარეს უნდა მოეწყოს კარგი ხარისხის ხრეშო-ვანი ფილტრი, უკუშევისების მასალასთან საკონ-



სურათი 4.14.3-1 “ტერამეშის” ტიპის მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის სისტემის ელემენტი

ტაქტო არეში განთავსებული გეოტექსტილის მემბრანით და გეოტექს-ტილში შეფუთული ღარებით და პერფორირებული მილებით ნაგებობიდან წყლის სწრაფად გამოდენის მიზნით. არმირების მათულობადის კუთრი სიმტკიცე ერთ გრძივ მეტრზე მიახ. 40-50 კნ-ს შეადგენს.

“ტერამეშის” არმირებული გრუნტის (MSE) კედლები წარმოადგენენ მოქნილ ნაგებობებს, რომლებიც ნაკლებად სენტიტიური არიან უკუშევისების მასალის ხარისხის მიმართ და ხასიათდებიან მცირე დაჯდომების ატანის უნარით. ამასთან, როგორც გამოთვლებიდან ჩანს, პროექტის ტერიტორიაზე გავრცელებულ გრუნტებში ასაგები კედლები =8.0 მეტრამდე სიმაღლეებისაა, ხოლო მათი

და

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ფასადური ზედაპირები ვერტიკალურია, რის გამოც სასურველია მათ ძირებში წმინდა ხრეშოვანი/ქვიანი (≈ 0.50 სისქის) საგების მოწყობა ნაგებობების ქვეშ გავრცელებული ფუძის გრუნტების სიმაგრის გასაზრდელად.

4.14.4 გამოთვლების შედეგები და მიგნებები

მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის კედლები რკინაბეტონის პანელური ბლოკების ფასადებით

მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის კედლები რკინაბეტონის პანელური ბლოკების ფასადებით გაანგარიშდა სერთიფიცირებული კომპიუტერული პროგრამის ეონ გამოყენებით. გამოთვლების შედეგების თანახმად, ბეტონის ბლოკებით ფორმირებული კედლის ძირის დონე, სულ ცოტა, 0.75-1.0 მეტრით უნდა ჩაღრმავდეს ნულოვანი დონიდან. კომპიუტერულ პროგრამაში ჩაშენებულია რამდენიმე მონაცემთა ბაზა სხვადასხვა ტიპის არმირების მონაცემებით, რომელთაგან, მოცემულ შემთხვევაში, პირველი 6 რიგის არმირებისთვის და რიგებს შორის 0.6 მ მანძილებზე გათვალისწინებულია კომპანია უესკერ მბ -ის “ორტრაც“-ის სავაჭრო ნიშნით წარმოებული გეოცხაურები “ორტრაც 800/100-30თ” (საანგარიშო სიმტკიცე ჭიმვაზე – 800 კნ ერთ მეტრ სიგანეზე) (ან სხვა მსგავსი სპეციფიკაციების მქონე არმირების საშუალებების) გამოყენება. დანარჩენ 14 არმირებულ ფენაში შეიძლება გამოყენებულ იქნას “ორტრაც ღ 200/30-30” ტიპის (საანგარიშო სიმტკიცე ჭიმვაზე – 200 კნ ერთ მეტრ სიგანეზე) გეოცხაურები. არმირების საშუალო კუთრი ხარჯი შეადგენს 7.3 გრძივი მეტრის სიგრძის მასალას, რომელიც იშლება უკუშეფსების გრუნტის ყოველი 0.6 მ სისქის დატკეპნილ ფენაზე.

უკუშეფსების მასალა უნდა შეირჩეს სათანადო გულმოდგინებით და აკმაყოფილებდეს მომდევნო ცხრილში მოცემულ პარამეტრებს.

ცხრილი 4.14.4-1. უკუშეფსების მასალის სპეციფიკაცია

საცერში გასული მასალის ფრაქციული ზომები	საცერის უჯრედის ზომა	გასული მასალის პროცენტული წილი
	100 მმ	100
	0.425 მმ	0-60
	0.063 მმ	0-15
პლასტიკურობის რიცხვი, I	I 6	

ფასადური პანელურ-ბლოკური საძირკველი მოეწეობა ნამზადი რკინაბეტონის ბლოკებით (ბეტონის კლასი C 30/37), ზომებით (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე) 1.0მ × 1.0მ × 0.4მ.

საერთო მდგრადობის პირობები შემოწმდა ბიშოპის მეთოდით. მიღებული მარაგის კოეფიციენტი შეადგენს 1.75-ს, რაც მეტია 1.5-ზე როგორც ეს სტანდარტით მოითხოვება.

“ტერამეშის” სისტემის მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის კედლები


“ტერამეშის” სისტემის კედლები გაანგარიშდა სპეციალური კომპიუტერული პროგრამის აცშტარს-2000 (“მაკაფერის” სავაჭრო ნიშანი) გამოყენებით. გამოთვლების შედეგების თანახმად, კედლის საძირკველი 0.6 მეტრით (მინიმუმ ≈ 0.5 მეტრით) უნდა ჩაღრმავდეს ნულოვანი დონიდან. ამასთან, მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის ქვეშ უნდა მოეწყოს ხრეშის საფუძველი, რომელზეც დაეწეობა “ტერამეშის” ელემენტების პირველი რიგი. უკუშეფსების მასალას უნდა გააჩნდეს გზის ცენტრალური ღერძის (ჩ -100) გასწვრივ აშენებული მიწაყრილის მასალის მსგავსი შემადგენლობა/პარამეტრები. “ტერამეშის” სისტემის კედლები გამოყენებული იქნებიან მთავარი გზის მიწაყრილის შესაკავებლად გზის ქვედა გასასვლელების მოსაწყობი ხიდების დიობების გარშემო. უკუშეფსების მასალის მახასიათებლები წარმოდგენილია ცხრილში 4.9.3.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

საერთო მდგრადობის პირობები შემოწმდა ბიშოპის მეთოდით. მიღებული მარაგის კოეფიციენტი შეადგენს 1.53-ს, რაც მეტია 1.5-ზე როგორც ეს მოითხოვება სტანდარტით.

4.14.5 მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის კედლების მშენებლობა

ისევე როგორც ყველა სხვა ნაგებობას, მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის კედლებიც საიმედო საძირკველიდან უნდა აიგონ. სამშენებლო მოედნის სწორად მომზადება კედლის გამართულად ფუნქციონირების პოტენციალს. ნაგებობის საძირკველს ქმნის სათანადოდ მოშანდაკებული ნულოვანი ზედაპირი, რომლის სიგანე არ უნდა იყოს ნაკლები არმირებული გრუნტის ნაგებობის სიგანეზე.



ზრდის

დონის

უნდა
ხოლო

მიწაყრილის შუაში უკუშევსების მასალა დაიტკეპნოს მძიმე დოლური სატკეპნელით, მიწაყრილის ნაპირებთან, კედლის ფასადის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს მცირე ზომის ვიბრატორებს ან ხელის მოწყობილობას.



სურათი 4.14.5-1. მექანიკურად სტაბილიზირებული გრუნტის კედლების უკუშევსების მასალის დატკეპნის პროცესი

საკედლე ფასადური პანელების დანიშნულებაა გრუნტის შეკავება კედლის ზედაპირთან. ტიპურად, პანელები ბეტონისაა, თუმცა აგრეთვე შეიძლება დამზადებული იყოს მეტალის, ხის, ლოდების, ბადეების ან სხვა მასალების გამოყენებით. ფორნტალური ფასადს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის მოპირკეთების, ფორმის, ტექსტურის და/ან სხვაგვარი დამუშავების შედეგად ფორმირებული ზედაპირი. დეტალური პროექტირების ეტაპზე, კედლის ფასადური პანელების ტიპი და აგებულება უნდა შეთანხმდეს გზების დეპარტამენტთან.

პანელებთან ზურგის მხრიდან მიერთებული არმირების ელემენტების (“მიერთებების”) რაოდენობა დამოკიდებულია კედლის სიმაღლეზე. ჩვეულებრივ, პანელები ყველაზე მეტი მიერთებებით განთავსებულია კედლის ქვედა ნაწილში, ხოლო ზედა რიგებში მიერთებების რაოდენობა ნაკლებია. მნიშვნელოვანია პანელების სწორ პოზიციებში განთავსება. პანელების პირველი რიგის სწორად დაფიქსირება უაღრესად მნიშვნელოვანია ყველა სხვა პანელის სწორად განთავსებისთვის. პანელები დაწყობილი უნდა იყოს სათანადო სისწორის, დონეების და დახრილობების დაცვით. ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია პანელებს შორისი ღრეჩოების დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში პანელების კუთხეები გაიხლიჩება და აიტკეჩება ნაგებობის დაჯდომის შედეგად. ამ მიზნით აუცილებელია განმზღვრების (შუასადებების) გამოყენება.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

პანელების უკან უნდა ჩაიდოს ფილტრაციული ტილო, რომელიც დაიცავს უკუშევისების გრუნტს ნაკერებს შორის ეროზიისგან და უზრუნველყოფს ნაგებობის ეფექტურ დრენაჟს. მნიშვნელოვანია ნაკერების დიობების სიგანეების სპეციფიკაციით განსაზღვრული სიდიდეების დაცვა და ფილტრაციული ტილოს სწორად განთავსება. ტილოს და ნაკერების სისტემის არასათანადოდ განთავსების/მოწყობის შემთხვევაში, ნაგებობის სულ რამოდენიმე წლის ექსპლუატაციის შემდეგაც კი უკუშევისების მასალა შეიძლება მნიშვნელოვნად გაილიოს.

4.15 საზოგადოებრივი ნაგებობანი

გასხვისების ზოლში წარმოდგენილია კომუნალური დანიშნულების საზოგადოებრივი ნაგებობები, რომელთა შორისაა ელექტროენერჯის გადამცემი სახები, წყლის და ბუნებრივი აირის მილსადენები და ციფრული კავშირგაბმულობის კაბელები. პროექტის ტერიტორიაზე ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ცნობილი საზოგადოებრივი ნაგებობები ნაჩვენებია ნახაზებზე. მომდევნო ცხრილებში წარმოდგენილია ზემოქმედების ქვეშ მოქცეული წყალმომარაგების მილსადენების და ელექტროგადამცემი სახების მონაცემები.

ცხრილი 4.15-1. პროექტის ტერიტორიაზე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული წყალმომარაგების მილების მონაცემები

კილომეტრაჟი (კმ+მ)	გადამცემი მილსადენის ზემოქმედ. ქვეშ მოქცეული სიგრძე (მ)	საპროექტო გზის პარალელური მილსადენის ზემოქმედ. ქვეშ მოქცეული სიგრძე (მ)	შენიშვნები
13+280 - 13+580	-	315	გზის მარცხენა მხარეს გადასატანი მილი
13+540	45		
13+576	55		
16+130	50		
16+330	180		
16+427	70		
20+533	35		
24+630	50		
27+274 - 27+374	-	110	გზის მარცხენა მხარეს გადასატანი მილი
27+370	45		
28+908	50		
30+236	50		
30+236	30		
35+642	25		

ცხრილი 4.15-2. პროექტის ტერიტორიაზე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ელექტროგადამცემი სახების ("ე.გ.ხ.") მონაცემები

ე.გ.ხ.-ის მდებარეობა (კმ+მ)	გადასატანი მონაკვეთის სიგრძე (მ)		შენიშვნები
	გზის მარცხენა მხარე	გზის მარჯვენა მხარე	
0+470			მაღალი ძაბვის (≥ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.-ის საყრდენი
2+710		20.0	დაბალი ძაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
3+277	10.0		მაღალი ძაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
3+315	10.0		მაღალი ძაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
3+317	10.0		მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორი
3+344	15.0		დაბალი ძაბვის საჰაერო ე.გ.ხ.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ე.გ.ხ.-ის მდებარეობა (კმ+მ)	გადასატანი მონაკვეთის სიგრძე (მ)		შენიშვნები
	გზის მარცხენა მხარე	გზის მარჯვენა მხარე	
3+405	20.0		დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
3+747	10.0		დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
3+786	10.0		დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
3+825	10.0		დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
3+864	15.0		დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
3+903	20.0		დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
3+942	20.0		დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
3+981	20.0		დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
4+020	20.0		დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
4+545		30.0	მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
4+660	6.0		მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
4+690		10.0	დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
4+695	5.0		დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
4+712	3.0		დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
4+855	15.0		დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
4+882		20.0	დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
4+900		35.0	დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
0+13		5.0	მაღალი დაბვის (≥ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.-ის საყრდენი
4+910		20.0	მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
4+884	35.0		მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
4+900	35.0		მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
4+950	15.0		მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
5+070		10.0	მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
5+090		22.0	მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
5+130	5.0		მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
5+155	5.0		მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
5+155		5.0	მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
5+790		25.0	მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
5+840	15.0		მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
5+825		25.0	მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
5+885		5.0	მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
5+895		12.0	მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
5+900	30.0		მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
5+905	35.0		მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
5+930	35.0		მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
5+950		10.0	მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
5+960	25.0		მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
5+975		10.0	მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
5+990	15.0		მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
8+138		5.0	დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
10+442	5.0		დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
12+440		3.0	დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
12+457	5.0		დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
14+507		10.0	მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
14+559		10.0	მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
14+615		2.0	მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
14+623		5.0	მაღალი დაბვის ტრანსფორმატორი
0+12	15.0		მაღალი დაბვის (≤ 10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ე.გ.ხ.-ის მდებარეობა (კმ+მ)	გადასატანი მონაკვეთის სიგრძე (მ)		შენიშვნები
	გზის მარცხენა მხარე	გზის მარჯვენა მხარე	
16+405		10.0	მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
16+425	25.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
16+475	5.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
20+690		20.0	დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
21+035		25.0	მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
21+335			მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
22+663	5.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
22+725	5.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
22+780	10.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
22+795	15.0		მაღალი დაბვის ტრანსფორმატორი
23+250		15.0	მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
23+888		15.0	დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
23+898	15.0		დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
27+147		20.0	დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
27+274		15.0	მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
27+320	5.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
27+363	10.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
27+378	5.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
29+400			მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
30+255		20.0	დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
30+298		20.0	დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
30+315	20.0		დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
30+340		40.0	დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
30+400		5.0	დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
31+780	25.0		დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
32+44			დაბალი დაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
34+320			მაღალი დაბვის (≥10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.-ის საყრდენი
34+810	10.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
34+842		15.0	მაღალი დაბვის (≥10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.-ის საყრდენი
34+850		5.0	მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
35+0273		5.0	მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
35+100		15.0	მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
35+100		15.0	მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
35+172	15.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
35+172	15.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
35+237	10.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
35+237	10.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
35+300	5.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
35+300	5.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
35+342	5.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
35+342	5.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
35+800	3.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
35+867	5.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
35+933	5.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
36+000	5.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
36+066	5.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
36+140	5.0		მაღალი დაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ე.გ.ხ.-ის მდებარეობა (კმ+მ)	გადასატანი მონაკვეთის სიგრძე (მ)		შენიშვნები
	გზის მარცხენა მხარე	გზის მარჯვენა მხარე	
36+210	5.0		მაღალი ძაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
36+277	7.0		მაღალი ძაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
36+345	10.0		მაღალი ძაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
36+415	10.0		მაღალი ძაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
36+430		5.0	მაღალი ძაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
36+458	5.0		დაბალი ძაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
36+470		5.0	მაღალი ძაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
36+510	5.0		დაბალი ძაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
36+542	5.0		დაბალი ძაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
36+550		5.0	მაღალი ძაბვის (≤10 კვ) საჰაერო ე.გ.ხ.
36+559	5.0		დაბალი ძაბვის საჰაერო ე.გ.ხ.
36+585	5.0		დაბალი ძაბვის საჰაერო ე.გ.ხ.

ხაზობრივი ნაგებობების მდებარეობის გამოვლენასთან და გადატანასთან დაკავშირებული საკითხები გზების დეპარტამენტის, კომუნალური კომპანიების და კონტრაქტორების მხარდ შეშფოთებებს იწვევს, ვინაიდან გასხვისების ზოლში არსებულ კომუნალური დანიშნულების ხაზობრივ ნაგებობებს შეუძლიათ განაპირობონ სამუშაოების მსვლელობის დაყოვნებები, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, ხარჯების ზრდა და დამატებითი უხერხულობები შეუქმნან ადგილობრივ მოსახლეობას.

პროექტის განხორციელება გათვალისწინებულია “პროექტირება-მშენებლობის“ ტიპის საკონტრაქტო სქემით, რაც პროექტირების და მშენებლობის ერთდროულად წარმოების შესაძლებლობას იძლევა. პროექტირების და მშენებლობის ერთ კონტრაქტში გაერთიანების შედეგად, კონტრაქტორს შეუძლია საკუთარი შეხედულებით შეარჩიოს ხაზობრივი კომუნალური ნაგებობების გადატანის ვადები, თუმცა იმავედროულად იგი პასუხისმგებელია სამშენებლო სამუშაოების დაყოვნებებზე ასეთ ობიექტებთან დაკავშირებული მიზეზებით.

პროექტირების და მშენებლობის კონტრაქტორის მოვალეობებში შედის არსებულ ხაზობრივ ნაგებობებთან (საინჟინრო კომუნიკაციებთან) დაკავშირებული ყველა სამუშაოს შესრულება, რომლებიც აუცილებელია საპროექტო ობიექტის გეგმიური განვრცობის უზრუნველყოფის მიზნით. ზოგადად, ასეთი სამუშაოების შესრულების შედეგად უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადატანილი კომუნიკაციების, სულ ცოტა, არსებული კომუნიკაციების ანალოგიურად ფუნქციონირება. პროექტირების და მშენებლობის კონტრაქტორის მოვალეობები შეიძლება შემდეგი სახით შეჯამდეს:

პოტენციური ხელშემშლელი ხაზობრივი ნაგებობების გამოვლენა, გადასატანი ხაზობრივი ნაგებობების მდებარეობების სხვა აუცილებელი მონაცემების გადამოწმება;

გადასატანი ხაზობრივი ნაგებობების აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც თავდაპირველად არ იყო იდენტიფიცირებული, ყველა ზომის მიღება ასეთი აქტივების საკუთრების მონაცემების და მასთან დაკავშირებული ყველა სხვა აუცილებელი ინფორმაციის მოსაპოვებლად;

ყოველგვარი კოორდინირება ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრებებთან, რამდენადაც საჭიროა პროექტისთვის ან შესაბამისი კომუნიკაციების გამართულად მუშაობისთვის;

ხაზობრივი ნაგებობების გადატანის დაპროექტება და შესრულება;

შესაბამისი ნებართვების მოპოვებისთვის საჭირო ყველა წინასწარი კვლევის შესრულება, წინასწარი ნებართვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიღება და ხაზობრივი ნაგებობების გადატანის/კორექტირების და მათთან დაკავშირებული ყველა სამუშაოს მომცველი ხელშეკრულებების მომზადება;

საპროექტო ობიექტის აშენების შედეგად მიტოვებული ყველა ხაზობრივი ნაგებობის მოშლა და გატანა.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მშენებლობის პერიოდში უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადატანის საჭიროების არმქონე (ადგილზე დასატოვებელი) საზოგადოებრივი ნაგებობების დაუზიანებელ მდგომარეობაში შენარჩუნება და სათანადოდ დაცვა, რისთვისაც მშენებლობის დაწყებამდე უნდა გატარდეს სათანადო ღონისძიებები.

საგზაო მოძრაობის სამეთვალყურეო სისტემა

გზების დეპარტამენტი გეგმავს საპროექტო გზის გასწვრივ ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის დამონტაჟებას. საგზაო მოძრაობის სამეთვალყურეო ვიდეოკამერების დანიშნულებაა საგზაო მოძრაობის მონიტორინგის წარმოება და პოტენციურად ანომალური სიტუაციების თვალმიდევნება.


საგზაო მოძრაობის სამეთვალყურეო სისტემის დამონტაჟება მიმდინარე პროექტით გათვალისწინებულ სამუშაო მოცულობაში არ შედის, თუმცა გზების დეპარტამენტს სურს სარეზერვო კაბელსატერების მოწყობა სამომავლო გამოყენების მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზის გვერდულების ქვეშ ჩაიწყოება 50 მმ-იანი დაწყვილებული საკაბელო არხები და მიახ. 2 კმ-იანი ინტერვალებით მოეწყობა სათანადო ჭები.

4.16 კარიერები

გზის მშენებლობისას კონტრაქტორის მიერ იქნება შემოთავაზებული: კარიერები, მისასვლელი გზები, ნაგავსაყრელები და ა.შ. პროექტის მსვლელობისას არსებითი არა ლეგალური წყარო არ იქნება გამოყენებული.

კარიერების ადგილმდებარეობა შემოთავაზებული იქნება საინჟინრო გუნდის მიერ და პროექტების საბოლოო ეტაპზე. კარიერების ექსპლოატაცია უნდა განხორციელდეს ლიცენზირებული კომპანიის ან სამშენებლო კონტრაქტორის მიერ, რომელიც მიიღებს საკუთარ ლიცენზიას. არსებობს კარიერების გამოყენებით გამოწვეული პოტენციური ზემოქმედებები მდინარის კალაპოტსა და ჭალის მდებარეობაზე.

დეტალური დაპროექტებისას შეირჩა ქვემოთ მოყვანილი კარიერები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გზის მშენებლობისთვის აუცილებელი მასალის მისაწოდებლად.



ცხრილი 4.16-1 საპროექტო ობიექტთან ახლოს მდებარე კარიერები

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მშენებლობისას კონტრაქტორმა უნდა შეამოწმოს მასალის პროექტისთვის ვარგისიანობა. ამავდროულად კონტრაქტორმა შეიძლება გადაწყვიტოს ახალი წიაღისეულისარგებლობის ლიცენზიის მოპოვება.

4.17 საგზაო მოძრაობის ნიშნები, გზის მონიშვნა და გზის სხვა კუთვნილება/მონყოლა

სატრანსპორტო მოძრაობის კონტროლისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გზის პროექტი ითვალისწინებს გამყოფი ზოლების მონყოლას, საგზაო მოძრაობის ნიშნების მონტაჟს, სავალი ნაწილის მონიშვნას, მოაჯირებისა და გზის მიმართულების მაჩვენებელი ბოძების მონყოლას.

მოძრაობის ნიშნები დაყენებული იქნება GOST 14918-80, GOST P 52289-2004, GOST P 52290-2004 სტანდარტის მოთხოვნების და ISO/EN, ASTM სტანდარტების შესაბამისად.

სავალი ნაწილის მონიშვნა განხორციელდება საქართველოს კანონის „სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოების“ შესაბამისად (2013 წ.), GOST P 51256-2011, GOST P 52289-2004, ISO 9001, EN 1436, EN 1871, EN 1423, EN 1424 სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. [პროექტი მოიცავს: უწყვეტ ხაზებს (სიგანე 100-150 მმ); გვერდით მონიშვნას (სიგანე 100-200 მმ); წყვეტილ ხაზებს (თანაფარდობა 1:3, სიგანე 100-150 მმ); წყვეტილ ხაზებს (თანაფარდობა 3:1, სიგანე 100 მმ); გზაჯვარედინისა და წყვეტილ ხაზების მონიშვნა (სიგანე 100 მმ); წყვეტილ ხაზებს (სიგანე 400 მმ); მონიშვნას ისრის სახით.]

მიეწოება გზის დამცავი ბარიერები ლითონის მოაჯირების სახით - F-3 GOST P52289-2004, GOST 26804-86 და EN 1317 (1-5) H1-B-W2 სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

რკინაბეტონის ბარიერები მონყობილი იქნება გამყოფ ზოლზე GOST P 52289-2004, GOST P 52607-2006, GOST P 52721-2007 და EN 1317 (1-5) H1-B-W2 სტანდარტის გათვალისწინებით.

გზის მიმართულების მაჩვენებელი პლასტმასის ბოძები დამონტაჟებული იქნება გვერდულებზე და დამაგრებული გამყოფ ზოლზე (GOST P 52289-2004, GOST P 50970-2011 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად).

სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით პროექტი ითვალისწინებს ტერმინალებს ლითონის დამცავ ბარიერებსა და დარტყმის ჩამქრობებს.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

5 გზ-ს მეთოდოლოგია

გარემოზე ზემოქმედების შეფასება ექვს ძირითად კომპონენტს მოიცავს, რომლებიც ყველა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შესრულებული შეფასების პროცესში ერთნაირია და გულისხმობს:

1. პროექტის შესრულების ტერიტორიაზე შესაძლო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული გარემოს კომპონენტების (ფიზიკური, ბიოლოგიური, სოციალური) ფონური მდგომარეობის შესახებ მონაცემების შეგროვებას კამერალური და საველე სამუშაოების მეშვეობის ინფორმაციის მოპოვების გზით.
2. ზემოქმედების იდენტიფიკაციას, მნიშვნელოვნების შეფასებას და შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას (მსოფლიო ბანკის მოთხოვნების და საგზაო დეპარტამენტის პოლიტიკის მიხედვით ზემოქმედების თავიდან აცილებას პრიორიტეტი ენიჭება შერბილებასთან შედარებით)
3. ალტერნატივების ანალიზს-ადგილმდებარეობის, ტექნოლოგიის, ღირებულების და ოპერირების თვალსაზრისით, ნულოვანი ალტერნატივის ჩათვლით.
4. გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმის მომზადებას მსოფლიო ბანკის OP 4.01 დანართი C შესაბამისად.
5. კონსულტაციებს დაიტერესებულ მხარეებთან და ინფორმაციის გასაჯაროებას (საქართველოს კანონმდებლობის და მსოფლიო ბანკის პოლიტიკის შესაბამისად).
6. გზ-ს ანგარიშის სამუშაო ვერსიის და დაინტერესებულ მხარეებისგან მიღებული კომენტარების/შეკითხვების და/ან შენიშვნების გათვალისწინებით საბოლოო ვერსიის მოზადებას.

5.1 ბოტანიკური და ფაუნისტური კვლევები

შეფასების და ანგარიშის მომზადების პროცესში გამოყენებული იყო პირველადი და მეორადი წყაროები (ანგარიშები, სტატიები, სამეცნიერო ლიტერატურა და ა.შ.) ჩატარდა ბოტანიკური და ფაუნის კვლევა. საველე სამუშაოები შესრულდა ბიომრავალფეროვნების ჯგუფის მიერ 2017 წლის ოქტომბერი-ნოემბერში.

ბოტანიკური კვლევის შეფასები მიზანი იყო პროექტის განხორციელების ზოლში მოხვედრილი მცერანარეთა ნარისსახეობის განსაზღვრა, სენსიტიური/დაცული სახეობების გამოვლანა და მათი დაფიქსირება. შესაძლო პირდაპირი და ირივი ზემოქმედების გათვალისწინებით შეფასებულ იქნა 50მ ღერძულა ხაზიდან. ჩატარდა ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერება.

შეფასდა მცენარეთა ძირითადი ტიპები, სახეობრივი შემადგენლობა, განისაზღვრა დომინანტი სახეობები, ბიომის სენსიტიურობა და მცენარეთა კომერციული ღირებულება. შესწავლილ იქნა ენდემური, იშვიათი და სხვა დაცული სახეობების არსებობა პროექტის ზემოქმედების ზონაში.

ფაუნის შესწავლის მიზანი იყო სახეობების შესახებ ლიტერატურაში არსებული მონაცემების გადამონმება-დაზუსტება და მათი კვლევის ზონაში არსებობის დაფიქსირება. ცხოველთა ძირითადი სახეობების შესახებ საველე ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოყენებული იყო მარტივი მეთოდი - ნაკვალევის, ექსკრემენტების და საცხოვრებლის დაფიქსირება, ვიზუალური დაკვირვება. კვლევა დაეფუძნა არსებულ სამეცნიერო პუბლიკაციებს, წინა კვლევებისას მოპოვებულ ინფორმაციას (კერძოდ, 2014-დღემდე გურჯაანი-ბაკურციხის მშენებლობისთვის მომზადებულ გზ-სა და მშენებელი და საზედამხედველო კომპანიების მიერ მონოდებული ანგარიშებს), საცნობარო და მეორად მონაცემებს, ასევე ინტერვიუებს ადგილობრივ მოსახლეობასთან.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

გზის მშენებლობითა და ექსპლუატაციით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება შეფასდა ველური ბუნების შესახებ კანონის, წითელი წიგნის და წითელი ნუსხის შესახებ კანონის და დაცულ სახეობებთან დაკავშირებული საერთაშორისო რეგულაციების მხედველობაში მიღებით/დაცვით.

შეფასების პროცესში საქართველოს კანონმდებლობასთან/ რეგულაციებთან ერთად გათვალისწინებული იყო საერთაშორისო მოთხოვნები მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ევროკავშირის ღირებულებები.

5.2 ნიადაგის დაბინძურება

ნიადაგზე უარყოფითი ზემოქმედებისა და ნიადაგის დაბინძურების შეფასება განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობისა და ევრორეგულაციების შესაბამისად.

ნიადაგის ფონური მდგომარეობის დასადგენად სინჯების აღება მოხდა 2017 წლის ოქტომბერში. იმის გათვალისწინებით, რომ ტერიტორია ძირითადად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, აღებული იყო ოთხი გასაშუალოებული სინჯი.

ნიადაგის ანალიზის მეთოდები

Cu, Zn, Pb, Ni, Co, Co, Cd	ISO 11047, ISO 11466 - Cu, Mn, Fe, Mn, Co, Pb, Cd, Ni, Zn, Cr, Ni. Al-ის სამეფო წყლის ექსტრაქტის განსაზღვრა
As	SO 2590 - დარიშხანის განსაზღვრის ზოგადი მეთოდი - ვერცხლის დიფილდითიოკარბამატის ფოტომერული მეთოდი

ნიმუშის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ყველა ლითონის კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტებით დასაშვებ მაქსიმალურ მაჩვენებელზე დაბალია.

საინჟინტო-გეოლოგიური კვლევები ჩატარდა გეოტექსერვისის მიერ დანართი 6

5.3 ნარჩენები

პროექტის ფარგლებში მოსამზადებელი სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ნარჩენებიდან განთავისუფლება, რისთვისაც განსახორციელებელია აღნიშნული ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და უახლოეს ნაგავსაყრელზე განთავსება.

5.4 ფონური დაბინძურება

მსოფლიო ბანკის პოლიტიკის შესაბამისად, ჰაერზე ზემოქმედების შეფასება უნდა ეყრდნობოდეს ორივე - მსოფლიო ბანკის და მსესხებელი ქვეყნის რეგულაციებსა და სტანდარტებს. იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის განსხვავებაა - გამოყენებულ უნდა იქნას უფრო მკაცრი ნორმა. მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაცია საქართველოს ნორმატივების შესაბამისად (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს 38/ნ ბრძანების (2003) შესაბამისად “გარემოს ხარისხობრივი სტანდარტები დამტკიცების შესახებ: დასახლებული პუნქტების ატმოსფერული დამაბინძურებლების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები”) და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციები (გარემოსდაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების რეკომენდაციებში (EHS) ”ემისიები ატმოსფერულ ჰაერში და ჰაერის ხარისხი”, შექმნილი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის რეკომენდაციების საფუძველზე) მოცემულია ცხრილი. 30 წუთიანი ერთჯერადი მაქსიმალური კონცენტრაციები საქართველოს სტანდარტების შესაბამისად მიჩნეულ იქნა ყველაზე მკაცრად და მაშასადამე გამოყენებულ იქნა შეფასების პროცესში.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ითვლება, რომ თუ ყველაზე უარეს მეტეოროლოგიურ პირობებისთვის მოდელირების ჩატარებისას 30 წუთიანი ერთჯერადი მაქსიმალური კონცენტრაციები არ აჭარბებს ქვემოთ მოცემულ მნიშვნელობებს, ამ ზღვრის გადაჭარბება უფრო ხანგრძლივ პერიოდში ასევე მოსალოდნელი არ არის.

5.4.1 ჰაერი

ავტოსატრანსპორტო წყაროებიდან ჰაერის დაბინძურების კონტროლი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციაში შედის. ტრანსპორტის ემისიას რაც შეეხება, საქართველოში ამჟამად არსებული შესაბამისი სტანდარტები საბჭოთა პერიოდიდანაა და ეხება ჭვარტლს, კარბონმონოქსიდს, ნიტროგენ ოქსიდებს, სულპურ დიოქსიდს და ჰიდროკარბონს. თუმცა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიხედვით, ამ სტანდარტების განხორციელება, პრაქტიკულად, არ ხდება და არ არსებობს ტრანსპორტის ემისიის თანდათან შემცირების ეროვნული პოლიტიკა თუ სტრატეგია. ტექნიკური შემონახვა მაინც საჭირო იქნება მძლავრი მანქანებისათვის (რომელშიც შედის მშენებლობისას გამოყენებული სატვირთო მანქანები).

5.4.1-1 მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციები (MAC) საქართველოს სტანდარტებისა და WHO-ს სახელმძღვანელო დოკუმენტების შესაბამისად

		EHS სახელმძღვანელო დოკუმენტები	საქართველოს სტანდარტები
CO	1 საათი	30 მგ/მ ³ (25 ppm)	-
	8 საათი დღიური მაქსიმუმი	10 მგ/მ ³ (10 ppm)	-
	30 წთ ერთჯერადი მაქსიმუმი	-	5 მგ/მ ³
	24 საათი	-	3 მგ/მ ³
NO ₂	1 საათი	200 მკგ/მ ³ (0.11 ppm)	-
	წლიური	40 მკგ/მ ³ (0.026 ppm)	-
	30 წთ ერთჯერადი მაქსიმუმი	-	200 მკგ/მ ³
	24 საათი	-	40 მკგ/მ ³
PM ₁₀	24 საათი	50 მკგ/მ ³	300 მკგ/მ ³
	წლიური	20 მკგ/მ ³	-
	30 წთ ერთჯერადი მაქსიმუმი	-	500 მკგ/მ ³

* EHS სახელმძღვანელო დოკუმენტები ეფუძნება WHO-ს ჰაერის ხარისხის სახელმძღვანელო დოკუმენტებს ევროპისათვის

5.4.2 ხმაური

სატრანსპორტო ხმაურის კონტროლი რეგულირდება ტექნიკური რეგლამენტით „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დანესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №398. მსოფლიო ბანკის პოლიტიკის შესაბამისად გზის ექსპლუატაციის დროს ხმაურისა და ვიბრაციის შეფასება

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ხორციელდება EHS-ის "გარემოს ხმაურის მართვის" ზოგადი სახელმძღვანელო დოკუმენტის შესაბამისად (შემუშავებული საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის მიერ, 2007). საქართველოსა და EHS-ის სტანდარტების შესაბამისი ხმაურის დასაშვები დონეები მოცემულია ქვემოთ.

საქართველოს ხმაურის სტანდარტების და EHS-ის სახელმძღვანელო დოკუმენტების შესაბამისი ხმაურის დასაშვები ნორმები

	საქართველოს ხმაურის სტანდარტები		EHS-ის სახელმძღვანელო დოკუმენტები	
	7:00 – 11:00	11:00 – 19:00	7:00 – 11:00	11:00 – 19:00
	dBA	dBA	ექვივალენტი, LAEQ, 1 h, dBA	ექვივალენტი, LAEQ, 1 h, dBA
საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმდებარე ტერიტორია	55	45	55	45
სამედიცინო დაწესებულებების მიმდებარე ტერიტორია	45	35	-	-
საცხოვრებელი გარემო: საცხოვრებელი სახლები, დასასვენებელი სახლები, საერთო საცხოვრებლები, საბავშვო სახლები და სკოლა პანსიონები	40	30	35	30
სასტუმროს შენობა, საცხოვრებელი ოთახები	45	35	-	-

არც საქართველოს სტანდარტები და არც EHS რეკომენდაციები არ იძლევიან გარემოში ტრანსპორტით გამოწვეული ხმაურის მაქსიმალური დასაშვები დონის მნიშვნელობას. საერთაშორისო პრაქტიკის და ევროპული სტანდარტების შესაბამისად ურბანული ტერიტორიისთვის ხმაურის მაქსიმალური დონე (რომელიც ძირითადად ტრანსპორტით არის განპირობებული) დღის საათებში 65 dBA-ს, ხოლო ღამის საათებში 55 dBA შეადგენს. სწორედ ეს მნიშვნელობები იქნა გამოყენებული ზემოქმედების შეფასებისთვის.

5.5 მეთოდოლოგია ალტერნატივების ანალიზისათვის (რანჟირება)

ალტერნატივების ანალიზის პრინციპები შემდეგია:

- ა) დაგეგმარებული საქმიანობის პროექტის გადანყვეტილებების ტექნიკური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, სოლიალური და ეკონომიკური პარამეტრების ყოვლადმომცველი განხილვა;
- ბ) პროექტის გადაჭრის ვარიანტები გარემოს დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობისა და ალტერნატიული ვერსიების გათვალისწინებით;
- გ) რეგიონალური და ადგილობრივი ფაქტორების ყოვლისმომცველი განხილვა.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

6. საბაზისო ინფორმაცია

წინამდებარე პარაგრაფში ძირითადად განხილულია თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობა.

ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით პროექტის განხორციელების არეალი ივერიის ოლქში შემავალი ალაზნის ანუ კახეთის ვაკის დასავლეთ ნაწილის ფარგლებშია მოქცეული (ლ.ი. მარუაშვილის მიხედვით). ალაზნის ვაკე თავის მხრივ ისაზღვრება შემდეგი ფიზიკურ-გეოგრაფიული ერთეულებით: ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან - კახეთის ვაკეკასიონით, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან გომბორის ქედის ჩრდილო, ნაკლებ ციცაბო კალთებით.

თელავის მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით და დასავლეთით ესაზღვრება ახმეტის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო-აღმოსავლეთით დაღესტნის რესპუბლიკა, აღმოსავლეთით ყვარლის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-აღმოსავლეთით გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით საგარეჯოს მუნიციპალიტეტი.

6.1 ბიოფიზიკური გარემო

6.1.1 კლიმატი

კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები

საკვლევი უბნის კლიმატური პირობების შეფასება ეყრდნობა ქ. გურჯაანის (40) მეტეოსადგურების მონაცემებს. მონაცემები მიღებულია სამშენებლო კლიმატოლოგიის სტანდარტით (36.01,05-08).

საქართველოს სამშენებლო კლიმატური დარაიონების რუკის მიხედვით რაიონი მიეკუთვნება II კლიმატურ და II-ბ ქვერაიონს. იანვრის საშუალო ტემპერატურა -5°C -დან -2°C -დე იცვლება, ხოლო ივლისის საშუალო ტემპერატურა $+21^{\circ}\text{C}$ -დან $+25^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებშია.

გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ:

თიხოვანი და თიხნარი - 0;

წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი - 0;

მსხვილი და საშ. სიმსხვილის ხრეშისებური ქვიშის - 0;


მსხვილნატეხოვანის - 0.

ჰაერის ტემპერატურული პარამეტრები მოცემულია ცხრილებში

ჰაერის ტემპერატურა ცხრილი 6.1.1.1

თვეები												წლის საშუალო
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
0.9	2.5	6.5	11.8	16.8	20.5	23.6	23.6	19.0	13.5	7.6	2.7	12.4

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება



ჰაერის ტემპერატურა ცხრილი 6.1.1.2

აბსოლუტური მინიმუმი	აბსოლუტური მაქსიმუმი	ყველაზე ცხელი თვის საშ. მაქს.	ყველაზე ცივი ხუთდღიანი საშ.	ყველაზე ცივი დღის საშ.	ყველაზე პერიოდის საშ.	საშუალო ტემპერატურა 13 სთ-ზე	
						ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის
-22	38	29.8	-8	-4	0.8	3.2	27.9

ჰაერის ფარდობითი ტენიანობა ცხრილი 6.1.1.3

თვეები												წლის საშუალო
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
76	73	72	72	72	68	65	64	72	78	80	78	72

- ატმოსფერული ნალექების რაოდენობა წელიწადში შეადგენს – 802მმ;
- ნალექების დღელამური მაქსიმუმი – 84მმ;
- თოვლის საფარის წონა – 0.50კპა;
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი – 25;

ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა წ 5 წელიწადში ერთხელ 0.23კპა;

ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა წ 15 წელიწადში ერთხელ 0.30კპა;

1 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 16 მ/წმ;

5 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 19 მ/წმ;

10 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 21 მ/წმ;

15 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 22 მ/წმ;

20 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 22 მ/წმ;

ქარის მახასიათებლები ცხრილი 6.1.1.4

ქარის მიმართულების განმეორადობა (%) იანვარი, ივლისი								ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ	
ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	იანვარი	ივლისი

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

6/5	8/10	8/12	8/3	5/8	34/30	19/18	12/9	3.8/0.8	2.7/1.2
-----	------	------	-----	-----	-------	-------	------	---------	---------

ქარის მახასიათებლები ცხრილი 6.1.1.5

ქარის მიმართულების და შტილის განმეორადობა (%) შტილი								
ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
5	8	12	9	7	33	18	8	8

6.2 გეომორფოლოგია და ნიადაგები

რელიეფი

ალაზნის ვაკე წარმოადგენს მთათაშუა აკუმულაციური ვაკეს კახეთის ვაკეკასიონსა, გომბორის ქედსა და ივრის ზეგანს შორის. იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 200–470 მ სიმაღლეზე. ვაკე დახრილია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და გავრცელებას პოულობს აზერბაიჯანის ფარგლებში ავრიჩაის ველის სახით. ვაკის მთლიანი სიგრძე თითქმის 200 კმ-ს აღწევს. საქართველოს ფარგლებში ვაკე გაჭიმულია დაახლოებით 110 კმ-ზე. მისი უდიდესი სიგანე კი 28-30 კმ-ს უდრის.

ალაზნის ვაკის ფიზიკურ-გეოგრაფიული ერთეულის თავისებურება მდგომარეობს პირველ რიგში, მის რელიეფში, რომელიც კონტინენტური გეოსინკლინის ტიპობრივ თავისებებს ატარებს. ალაზნის ვაკე ბრტყელი ვაკის შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ სინამდვილეში იგი გართულებულია მდინარე ალაზნის მარცხენა და მარჯვენა შენაკადების მძლავრი გამოზიდვის კონუსებით და მცირე სიღრმის მქონე და იშვიათი ეროზიული ფორმებით, რომლებიც ჩაჭრილია გამონაზიდვებში და არ ქმნიან ერთობლივ ქსელს.

თელავი განლაგებულია ზ.დ. 550-800 მ სიმაღლეზე. უშუალოდ ქალაქის ტერიტორიის (განსაკუთრებით მისი სამხრეთი ნაწილი) რელიეფი ძლიერ დახრილი და ღრმად არის დანანეგრებული V-სებრი ციცაბოფერდობებიანი ხეობებით. ქალაქიდან ჩრდილოეთის მიმართულებით რელიეფის აბსოლუტური ნიშნულები თანმიმდევრულად იკლებს და მდ. ალაზნის კალაპოტის სიახლოვეს (ძველი გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიასთან) ზ.დ. 350-360 მ-ს შეადგენს. საკვლევი დერეფნის გასწვრივ არ შეინიშნება რელიეფის მკვეთრად გამოხატული უარყოფითი ან დადებითი ფორმები. წყნარი რელიეფით ხასიათდება უშუალოდ გამწმენდი ნაგებობის ტერიტორია.

საპროექტო გზის ტერიტორია გეომორფოლოგიური თვალსაზრისით შედის ამიერკავკასიის მთათაშუა არეში, აღმოსავლეთ დაძირვის მოლასური ზონა (მტკვრის მთათაშუაროფი), ალაზნის ზედნადები მოლასური ქვეზონა. ნაოჭა კომპლექსი, ალპური, გვიანოროგენული (კოლიზიური), გვიანკოლიზიური (მეოთხეული) სუსტად დანაოჭებული. დანალექი ქანების გეოდინამიკური კომპლექსი, მოლასური უხეში.

გეოლოგიური და ტექტონიკური პირობები

შპს „გეოტექსერვისმა“ შ.პ.ს. „ბითი“-სთან 2017 წლის ივლისის თვეში დადებული ხელშეკრულების თანახმად მიიღო ტექნიკური დავალება ჩაეტარებინა ტექ. - ეკონ. დასაბუთება, გარემოზე და სოციალური ზემოქმედების, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება პროექტირება - მშენებლობისათვის „გურჯაანი (ჩუმლაყი) – თელავის ასაქცევი გზის (30კმ) მონაკვეთისათვის, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა (დანართი 5 - საინჟინრო გეოლოგიური კვლევა).

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2017 წლის 25-27 ივლისი, (ინჟ. გეოლოგი: შ.პ.ს. „გეოტექსერვისი“-ს მხრიდან ზ. ლალანიძე).

ლაბორატორიული კვლევები მიმდინარეობდა 2017 წლის 25 აგვისტო 4 სექტემბერი (გ. ნაცვლიშვილი, ბ. ხატიაშვილი, ქ. თედლიაშვილი).

კამერალური სამუშაოები მიმდინარეობდა 1 - 5 სექტემბერი (გ. ტლაშაძე, თარჯიშანი – ე. ჯიჯიაშვილი).

საველე კვლევებისას ყველა გამონამუშევარი (ჭაბურღილი, შურფი) შესრულებულია დამკვეთის მიერ მითითებული რაოდენობით, სიღრმით და კოორდინატების შესაბამისად (ცხრილი 1.1) (სახელმძღვანელოდ გამოყენებულია СНиП 1,02,07-87).

გამონამუშევრებიდან, მათი შემდგომი ლაბორატორიული კვლევისათვის აღებული იქნა დაშლილი და დაუშლელი სტრუქტურის ნიმუშები. ნიმუშების ნუსხა გადაეცა დამკვეთს, რის შემდგომ - ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა დამკვეთის მიერ მითითებული ცდებით და რაოდენობის შესაბამისად.

გეოლოგიური თვალსაზრისით ალაზნის ვაკე საქართველოს ტერიტორიის ფრიად თავისებურ ტექტონიკურ ერთეულს წარმოადგენს. ეს არის ინტენსიური დაძირვის ზონა - ცოცხალი კონტინენტური გეოსინკლინი, რომელიც ნალექების დაგროვების სტადიაში იმყოფება. ამ გეოსინკლინის ფორმირება პლიოცენიდან დაიწყო. როდანულ მთაგამჩენ ფაზამდე (შუა და ზედა პლიოცენის მიჯნაზე) ალაზნის ვაკის ადგილას კავკასიონის მთისწინეთი იყო, რაც მტკიცდება ე.წ. პროლუქტული (შუაპლიოცენური) წყების მინერალოგიური შედგენილობით ივრის ზეგანზე. ზედა პლიოცენიდან მიმდინარეობს ალაზან-აგრიჩაის დეპრესიის ევოლუციის პროცესი. დაძირვა თანადროულ ეპოქაშიც გრძელდება, რაც მტკიცდება სტრატეგრაფიული და გეომორფოლოგიური ფაქტებით - დამარხული ნიადაგური და კულტურული ჰორიზონტების შემცველი უხეშგრეული სქელი წყების არსებობით, კავკასიონიდან და გომბორის ქედიდან ჩამომავალი მდინარეების მძლავრი გამონაზიდი კონუსების დეფორმაციის ნიშნებით და ა.შ.

ვაკეზე ჩრდილოეთიდან მიბჯენილი კავკასიონის მთისწინეთი აგებულია ალპინოტიპურად დანაოჭებული ზედა იურული და ცარცული ნალექებით და წარმოადგენს დაძირული ზონის ნაშთს. კავკასიონი აქ განიცდის სამხრეთ-დასავლეთისაკენ წამოცოცებას. კახეთი და მასთან მოსაზღვრე შირვანი კავკასიონის სამხრული ფერდობის მთისწინა ზოლის ერთადერთი ნაწილია, რომელიც აგებულია არა მესამეული, არამედ მეზოზოური ფორმაციებით და სადაც ბორცვნალი ზოლი ძლიერ შევისწროებულია.

გომბორის ქედი აგებულია მეზოზოური და კაინოზოური წყებებით, რომლებიც მკაფიოდ იყოფა ორ, ტექტონიკური და ლითოლოგიური თვალსაზრისით განსხვავებულ კომპლექსად. უფრო ძველი კომპლექსი აერთიანებს ნაირგვარი შედგენილობის (თიხები, ქვიშაქვები, კირქვები, ტუფოგენები) წარმონაქმნებს, ხოლო უფრო ახალგაზრდა კომპლექსი წარმოდგენილია ნეოგენური (სარმატულ-კიმერიული) უხეშგრეული მოლასური წყებით. ამ კონგლომერატ-ქვიშაქვურ წყებას ცივის ანუ ალაზნის წყებას უწოდებენ.

ზემოთაღწერილ ორ გეომორფოლოგიურ ელემენტს შორის მოქცეული ალაზნის აკუმულაციურ ვაკე აგებულია მეოთხეული ალუვიური, პროლუვიური და პროლუვიურ-დელუვიური კენჭნარით, ქვიშაქვებითა და თიხებით.

საფონდო მასალების დამუშავების და რეკონოსტირებით სამუშაოების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საკვლევი დერეფნის ფარგლებში წარმოდგენილია მეოთხეული ნალექები (კენჭნარი, ქვიშაქვები). დერეფნის მიმდებარე ტერიტორიები ინტენსიურად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და შესაბამისად ზედაპირული ფენა წარმოდგენილია საკმაოდ პროლუქტიული ჰუმუსოვანი ფენით.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

გეოლოგიური აგებულება და სეისმურობა


გეომორფოლოგიური თვალსაზრისით შედის ამიერკავკასიის მთათაშუა არეში, აღმოსავლეთი დაძირვის მოლასური ზონა (მტკვრის მთათაშუა როფი), ალაზნის ზედადები მოლასური ქვეზონა. ნაოჭა კომპლექსი, ალპური, გვიანოროგენული (კოლიზიური), გვიანკოლიზიური (მეოთხეული) სუსტად დანაოჭებული. დანალექი ქანების გეოდინამიკური კომპლექსი, მოლასური უხეში.

გეოლოგიურად აგებულია: N₂ak-ap აკნაგილური და აფშერონული სართულით, კასპის ზღვის პროვინციალ. კონგლომერატი და ზღვიური მოლასა: კონგლომერატები, ქვიშაქვები, თიხები, თიხნარები და ვულკანური ფერფლის შუაშრები. ალუვიურ-პროალუვიური ნალექებით, ცარცული ასაკის კლდოვანი და ნახევრად კლდოვანი ნალექებით. K₂km-m კირქვები, მერგელოვანი და ქვიშიანი კირქვები, მერგელები, ზოგან დაციტური შემადგენლობის ტუფები და ტუფიტები. Q მეოთხეული სისტემის აქ გენეტიკური ტიპების ნალექები: რიყნარი, ლოდნარი, ხრეში, ქვიშაქვები, კონგლომერატები, თიხები და თიხნარები. (დანართი 6)

საქართველოს სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია ე. თელავი (#1604), განლაგებულია 9 ბალიან სეისმურ ზონაში MSK64-სკალა), სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0.32. ჩუმლაყი (#1582), განლაგებულია 9 ბალიან სეისმურ ზონაში (MSK64-სკალა), სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0.28 (სამშენებლო ნორმები და წესები - „სეისმომდეგი მშენებლობა“ - პნ 01.01-09).

სეისმური საშიშროების რუკა

მაქსიმალურ პორიზონტულ აჩქარებასა და ბალებში



საავტომობილო გზის 30.0კმ მონაკვეთზე „ თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) შემოვლითი გზის მონაკვეთის“-ს მიმართულებით გაბურულია 14 ჭაბურღილი (Bf 1-დან 14-მდე) საპროექტო ხიდების მშენებლობისათვის და 7 ჭაბურღილი (შოილ 1, 2, 3, 4, 5, 6 და 7) გზის პროექტირებისათვის.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

გეოლოგიურად გზის გასწვრივ გამოკვლეული ტერიტორია აგებულია სამხრეთ, სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ პერიფერიებზე ცარცული და პლიოცენური ასაკის ნალექებით, რომლებიც ზემოდან გადაფარებულია ძირითადად ტექნოგენური (tQIV) და ელუვიურ-დელუვიური (edQIV) ნალექებით, ხოლო აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიებზე – ალუვიურ-პროლუვიური (apQIV) გენეზისის თანამედროვე ნალექებით.

სახიდე გადასასვლელის შესასწავლად გაყვანილი ჭაბურღილები წარმოდგენილია მეოთხეული წარმოშობის სხვადასხვა კონსისტენციის თიხნაროვანი და კენჭნაროვანი გრუნტებით. კერძოდ: ნიადაგის ფენით, საგზაო სამოსის ფენებით, წარმოდგენილი წვრილი და საშუალო ზომის კენჭნარით, ხრემის ჩანართებით, საშუალო და მსხვილმარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით 20-30%-მდე; მყარი თიხნარით, მუქი ყავისფერი, თიხაქვიშის და ქვიშის შუაშრეებით; ნახევრად მყარი თიხნარით, ყავისფერი, წვრილი ზომის კენჭის ჩანართებით 20-30%-მდე, თიხაქვიშის და ქვიშის ლინზებით; ძნელპლასტიკური თიხნარით, მოყვითალო-ყავისფერი, ხრემის და კენჭის 10-20% ჩანართებით, თიხაქვიშის - ქვიშის ლინზებით და შუაშრეებით; რბილპლასტიკური თიხნარით, მონითალო-ყავისფერი, ხრემის და კენჭის 15-20% ჩანართებით, თიხაქვიშის - ქვიშის ლინზებით და შუაშრეებით; მყარი თიხებით, ყავისფერი, მარილების ჩანაწინკლებით და ბუდობებით, ხრემის 10-15%-მდე ჩანართებით, ქვიშის შუაშრეებით; პლასტიკური თიხაქვიშებით, ყავისფერი, ხრემის და კენჭის 20-25%-მდე ჩანართებით, თიხის და თიხნარის შუაშრეებით, იშვიათად კაჭარის გამოვლინებებით; კენჭნაროვანი გრუნტით, საშუალო და წვრილი ზომის, ხრემის ჩანართებით, ყავისფერი-მონაცრისფრო, საშუალო და მსხვილმარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით 20-25%-მდე, თიხაქვიშის და თიხნარის თხელი და საშუალო ზომის ლინზებით. ასევე ხრემოვანი გრუნტით, სხვადასხვა მარცვლოვანი, კენჭის 10-15%-მდე ჩანართებით, თიხის და თიხაქვიშის შემავსებლით, ქვიშის შუაშრეებით. გაბურღულ #Br-11 ჭაბურღილში წყალის გამოვლენა დაფიქსირდა 5.8 მ ინტერვალში, ხოლო დამყარება 5.3მ ინტერვალში.

ტრასის სამშენებლო მოედანის შესასწავლად გაყვანილია 7 ჭაბურღილი: შოილ 1, 2, 3, 4, 5, 6 და 7. ჭაბურღილები წარმოდგენილია ტექნოგენური გრუნტით, მეოთხეული წარმოშობის სხვადასხვა კონსისტენციის თიხნაროვანი და კენჭნაროვანი გრუნტები. კერძოდ: ტექნოგენური გრუნტით - თიხაქვიშით, ყავისფერი, მყარი; ღორღის და კენჭის 10-15%-მდე ჩანართებით, ქვიშის ლინზებით, მცენარეული ფესვების შემცველობით; წარმოდგენილია ასევე ნახევრად მყარი თიხნარი, ყავისფერი, წვრილი ზომის კენჭის ჩანართებით 20-30%-მდე, თიხაქვიშის და ქვიშის ლინზებით; რბილპლასტიკური თიხნარით, მონითალო-ყავისფერი, ხრემის და კენჭის 15-20% ჩანართებით, თიხაქვიშის - ქვიშის ლინზებით და შუაშრეებით; მყარი თიხით, ყავისფერი, მარილების ჩანაწინკლებით და ბუდობებით, ხრემის 10-15%-მდე ჩანართებით, ქვიშის შუაშრეებით; კენჭნაროვანი გრუნტით, საშუალო და წვრილი ზომის, ხრემის ჩანართებით, ყავისფერი-მონაცრისფრო, საშუალო და მსხვილმარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით 20-25%-მდე, თიხაქვიშის და თიხნარის თხელი და საშუალო ზომის ლინზებით. ასევე ხრემოვანი გრუნტით, სხვადასხვა მარცვლოვანი, კენჭის 10-15%-მდე ჩანართებით, თიხის და თიხაქვიშის შემავსებლით, ქვიშის შუაშრეებით.

გაბურღულ ჭაბურღილებში წყალის გამოვლენა არ დაფიქსირდა.

გაბურღულ ჭაბურღილებში (ტექნიკური დავალების შესაბამისად) ჩატარდა სტანდარტული პენეტრაციის SPT(C)-ს ცდები, სულ 30 ცდა. SPT(C)-ს ჩატარებისას გამოყენებულია საშუალო სიმძიმის ჩაქეჩი რომლის წონა 60კგ-ს შეადგენს, ხოლო ვარდნის სიმაღლე 800მმ. გამოყენებული კონუსის მაქსიმალური დიამეტრი 74მმ-ია, წონა 1კგ, წვეროს კუთხე 600-ია.

ცდის შედეგები მოცემულია ჭაბურღილების ჭრილებზე. ცხრილში 4.1 მოყვანილია ჩატარებული SPT(C)-ს შედეგები ინტერვალების მიხედვით, მოცემული რიცხვები შეესაბამება კონუსის ჩაღრმავების A, B, C და B+C ინტერვალებს, B+C ინტერვალის სიგრძე 30სმ-ის ტოლია.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ჭაბურღილებში ჩატარებულია სტანდარტული პენეტრაციის ცდები, როგორც მეოთხეული ასაკის: თიხა-თიხნარებში (სვე 3, 6 და 8), თიხაქვიშებში (სვე 9) და კენჭნარ-ხრეშოვანი გრუნტში (სვე 5, 10). ჩატარებული ცდები საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ჭრილში წარმოდგენილი გრუნტების სიმკვრივეები ურთიერთ მიმართებაში. ქვემოთ ცხრილში 4.1 მოცემულია სტანდარტული პენეტრაციის ცდების შედეგები და მათი გასაშუალოებული მნიშვნელობები თითოეული გამოყოფილი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტებისათვის.

როგორც ცხრილიდან ჩანს, სვე 3 თიხნარებისათვის $B+C=N$ მაჩვენებელი საშუალოდ 44-ის ტოლია, რაც მიუთითებს, რომ მიეკუთვნება მყარი კონსისტენციის გრუნტს. სვე 6 თიხნარებისათვის $b+f=n$ მაჩვენებელი საშუალოდ 18-ის ტოლია, რაც მიუთითებს, რომ მიეკუთვნება ძნელპლასტიკური კონსისტენციის გრუნტს. სვე 8 თიხებისათვის $B+C=N$ მაჩვენებელი საშუალოდ 44-ის ტოლია, რაც მიუთითებს, რომ მიეკუთვნება მყარი კონსისტენციის გრუნტს. სვე 9 თიხაქვიშებისათვის $b+f=n$ მაჩვენებელი საშუალოდ 27-ის ტოლია, რაც მიუთითებს, რომ მიეკუთვნება პლასტიკური კონსისტენციის გრუნტს. სვე 5 კენჭნაროვანი გრუნტებისათვის $B+C=N$ მაჩვენებელი საშუალოდ >50 -ის ტოლია, რაც მიუთითებს, რომ მიეკუთვნება ძლიერ მკვრივ გრუნტებს. სვე 10 ხრეშოვანი გრუნტებისათვის $B+C=N$ მაჩვენებელი საშუალოდ >50 -ის ტოლია, რაც მიუთითებს, რომ მიეკუთვნება ძლიერ მკვრივ გრუნტებს.

ცხრილი 6.2-1

#	ჭაბ №	სიღრმე	სვე	A	B	C	B+C
1	Br-14	9.0-9.45	3	20	20	23	43
2	Br-14	1.0-1.45	3	18	20	24	44
საშუალო							44
3	Br-4	1.0-1.45	5	23	22	23	45
4	Br-1	4.0-4.45	5	20	21	>25	>50
5	Br-1	2.0-2.45	5	16	>50		>50
6	Br-1	6.0-6.45	5		>50		>50
7	Br-1	8.0-8.45	5		>50		>50
8	Br-1	10.0-10.45	5	23	>50		>50
9	Br-1	12.0-12.45	5		>50		>50
10	Br-1	14.0-14.45	5		>50		>50
11	Br-4	3.0-3.45	5		>50		>50
12	Br-14	11.0-11.45	5	22	>50		>50
13	Br-14	13.0-13.45	5		>50		>50
14	Br-14	14.5-14.95	5		>50		>50
საშუალო							>50
15	Br-7	12.0-12.45	6	8	9	9	18
16	Br-7	14.0-14.45	6	10	7	9	16
17	Br-7	6.0-6.45	6	8	8	11	19
საშუალო							18
18	Br-7	10.0-10.45	8	23	22	22	44
საშუალო							44
19	Br-14	5.0-5.45	9	8	15	11	26
20	Br-14	7.0-7.45	9	16	12	15	27

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

საშუალო							27
21	Br-7	8.0-8.45	10	21	21	24	45
22	Br-4	5.0-5.45	10		>50		>50
23	Br-4	7.0-7.45	10	22	>50		>50
24	Br-4	9.0-9.45	10		>50		>50
25	Br-4	11.0-11.45	10		>50		>50
26	Br-4	13.0-13.45	10	19	>50		>50
27	Br-4	14.5-14.95	10		>50		>50
28	Br-7	2.0-2.45	10		>50		>50
29	Br-7	4.0-4.45	10	19	>50		>50
30	Br-14	2.3-2.75	10		>50		>50
საშუალო							>50

საკვლევ ტერიტორიაზე გაყვანილი 21 ჭაბურღილიდან აღებულია 70 გრუნტის და 1 წყლის ნიმუში, დამკვეთის დავალების შესაბამისად ჩატარდა ლაბორატორიული კვლევა საქართველოში მოქმედი სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად (ГОСТ 9,015-74, СНиП 2,03,11-85, ბმ 1377, შარტ 4).

ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა შ.პ.ს. „გეოტექსერვისი“-ს კუთვნილ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში, დამკვეთის მოთხოვნის რაოდენობით და სახესხვაობების შესაბამისად.

ლაბორატორიული კვლევა მოიცავდა როგორც გრუნტების დაუშლელი მონოლითური სტრუქტურის, ასევე დაშლილი ნიმუშების კვლევას.

საველე და ლაბორატორიული კვლევებით სამშენებლო უბანზე გამოიყო ნიადაგის ფენა და ათი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სვე).

სვე 1 საგზაო სამოსის ფენები, წარმოდგენილი წვრილი და საშუალო ზომის კენჭნარით, ხრემის ჩანართებით; საშუალო და მსხვილმარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით 20-30%-მდე;

სვე 2 ტექნოგენური გრუნტი, წარმოდგენილი თიხაქვიშით, ყავისფერი, მყარი; ღორღის და კენჭის 10-15%-მდე ჩანართებით, ქვიშის ლინზებით, მცენარეული ფესვების შემცველობით;

სვე 3 თიხნარი, მუქი ყავისფერი, მყარი, თიხაქვიშის და ქვიშის შუაშრეებით;

სვე 4 თიხნარი, ყავისფერი, ნახევრად მყარი; წვრილი ზომის კენჭის ჩანართებით 20-30%-მდე, თიხაქვიშის და ქვიშის ლინზებით;

სვე 5 კენჭნაროვანი გრუნტი, საშუალო და წვრილი ზომის, ხრემის ჩანართებით; ყავისფერი-მონაცრისფრო, საშუალო და მსხვილმარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით 20-25%-მდე, თიხაქვიშის და თიხნარის თხელი და საშუალო ზომის ლინზებით;

სვე 6 თიხნარი, მოყვითალო-ყავისფერი, ძნელპლასტიკური, ხრემის და კენჭის 10-20% ჩანართებით, თიხაქვიშის - ქვიშის ლინზებით და შუაშრეებით;

სვე 7 თიხნარი, მონითალო-ყავისფერი, რბილპლასტიკური, ხრემის და კენჭის 15-20% ჩანართებით, თიხაქვიშის - ქვიშის ლინზებით და შუაშრეებით;

სვე 8 თიხა, ყავისფერი, მყარი, მარილების ჩანაწინკვლებით და ბუდობებით, ხრემის 10-15%-მდე ჩანართებით, ქვიშის შუაშრეებით;

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

სგე 9 თიხაქვიშა, ყავისფერი, პლასტიკური, ხრემის და კენჭის 20-25%-მდე ჩანართებით, თიხის და თიხნარის შუაშრეებით, იშვიათად კაჭარის გამოვლინებებით;

სგე 10 ხრემოვანი გრუნტი, სხვადასხვა მარცვლოვანი, კენჭის 10-15%-მდე ჩანართებით, თიხის და თიხაქვიშის შემავსებელით, ქვიშის შუაშრეებით.

აღსანიშნავია, რომ ლაბორატორიული კვლევები არ ჩატარებულა ნიადაგის ფენაზე და სგე 1-ზე.

გრუნტების ქიმიური შედგენილობა შესწავლილია სგე 4, 6, 7 და 8 გრუნტებისათვის 4 ნიმუშის ანალიზზე დაყრდნობით.

ქიმიური შედგენილობის მიხედვით გრუნტები ჰიდროკარბონატულ კალციუმის დამარილიანების ტიპისანი არიან.

გრუნტები არ ამჟღავნებენ აგრესიულობას არცერთი სახის ბეტონის მიმართ (დანართი 8).

გრუნტის წყლის ქიმიური შედგენილობა შესწავლილია ჭაბურღილი Br -11-დან აღებული ნიმუშის საფუძველზე.

ქიმიური შედგენილობის მიხედვით წყალი ჰიდროკარბონატულ კალციუმის დამარილიანების ტიპისაა.

ნიმუში ამჟღავნებს სუსტ აგრესიულობას წყალბადიონის მაჩვენებლით (განლაგებულ ქანებში $K_f < 0 < 0.1$ მ/დღ.დ), W4 სახის ცემენტის მიმართ.

წყლის აგრესიული ზემოქმედების ხარისხი რკინაბეტონის არმატურაზე, პერიოდული დასველებით არის სუსტი, ხოლო ქანების აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლაღზე, გრუნტის წყლის ღონის დაბლა იმ ქანებისათვის რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი > 0.1 მ/დღე-ღამეში, არის საშუალო.

გამოყოფილი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტებიდან, სგე 1 და 2 გრუნტები მიეკუთვნებიან ვვ კლასის ტექნოგენური შეკავშირებული და შეუკავშირებელი გრუნტების ჯგუფს (ГОСТ 25100-966 Грунты, классификация).

სგე 3, 4, 6, 7, 8 და 9 გრუნტები მიეკუთვნებიან ვვ კლასის შეკავშირებული გრუნტების ჯგუფს (ГОСТ 25100-966 Грунты, классификация), სგე 5 და 10 გრუნტები მიეკუთვნებიან ვვ კლასის შეუკავშირებელი გრუნტების ჯგუფს (ГОСТ 25100-966 Грунты, классификация).

გრუნტების სეისმურობა დადგენილია სამშენებლო მოედნის 9 ბალიანი სეისმურობის ზონაში მდებარეობის და მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გათვალისწინებით („სეისმომდეგი მშენებლობა” ჰნ 01.01-09). აღნიშნულის თანახმად, სეისმურობის მიხედვით გრუნტები განეკუთვნება: სგე 1, 3, 4, 5, 6, 8, 9 და 10 - II კატეგორიას და განისაზღვრება 9 ბალით. სგე 7 - III კატეგორიას და განისაზღვრება > 9 ბალით. სგე 2 - IV კატეგორიას და სეისმურობა ზუსტდება სპეციალური კვლევის შედეგად.

გრუნტების (სგე) საანგარიშო მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში # 6.2-2

დასკვნა

ჩატარებული კვლევების შედეგების და არსებული მასალების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. საქართველოს სამშენებლო კლიმატური დარაიონების რუკის მიხედვით რაიონი მიეკუთვნება II კლიმატურ და II-ბ ქვერაიონებს;
2. საველე და ლაბორატორიული კვლევებით სამშენებლო უბანზე გამოიყო ნიადაგის ფენა და ათი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე):

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

- სვე 1 საგზაო სამოსის ფენები, წარმოდგენილი წვრილი და საშუალო ზომის კენჭნარით, ხრეშის ჩანართებით; საშუალო და მსხვილმარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით 20-30%-მდე;
 - სვე 2 ტექნოგენური გრუნტი, წარმოდგენილი თიხაქვიშით, ყავისფერი, მყარი; ლორღის და კენჭის 10-15%-მდე ჩანართებით, ქვიშის ლინზებით, მცენარეული ფესვების შემცველობით;
 - სვე 3 თიხნარი, მუქი ყავისფერი, მყარი, თიხაქვიშის და ქვიშის შუაშრებით;
 - სვე 4 თიხნარი, ყავისფერი, ნახევრად მყარი; წვრილი ზომის კენჭის ჩანართებით 20-30%-მდე, თიხაქვიშის და ქვიშის ლინზებით;
 - სვე 5 კენჭნაროვანი გრუნტი, საშუალო და წვრილი ზომის, ხრეშის ჩანართებით; ყავისფერი-მონაცრისფრო, საშუალო და მსხვილმარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით 20-25%-მდე, თიხაქვიშის და თიხნარის თხელი და საშუალო ზომის ლინზებით;
 - სვე 6 თიხნარი, მოყვითალო-ყავისფერი, ძნელპლასტიკური, ხრეშის და კენჭის 10-20% ჩანართებით, თიხაქვიშის - ქვიშის ლინზებით და შუაშრებით;
 - სვე 7 თიხნარი, მონათალო-ყავისფერი, რბილპლასტიკური, ხრეშის და კენჭის 15-20% ჩანართებით, თიხაქვიშის - ქვიშის ლინზებით და შუაშრებით;
 - სვე 8 თიხა, ყავისფერი, მყარი, მარილების ჩანაწინკლებით და ბუდობებით, ხრეშის 10-15%-მდე ჩანართებით, ქვიშის შუაშრებით;
 - სვე 9 თიხაქვიშა, ყავისფერი, პლასტიკური, ხრეშის და კენჭის 20-25%-მდე ჩანართებით, თიხის და თიხნარის შუაშრებით, იშვიათად კაჭარის გამოვლინებებით;
 - სვე 10 ხრეშოვანი გრუნტი, სხვადასხვა მარცვლოვანი, კენჭის 10-15%-მდე ჩანართებით, თიხის და თიხაქვიშის შემავსებელით, ქვიშის შუაშრებით.
3. შესწავლილი უბნის აგებულებაში მონაწილეობენ ტექნოგენური და მეოთხეული ასაკის გრუნტები;
 4. გრუნტების ქიმიური შედგენილობა შესწავლილია სვე 4, 6, 7 და 8 გრუნტებისათვის 4 ნიმუშის ანალიზზე დაყრდნობით;
 5. ქიმიური შედგენილობის მიხედვით გრუნტები ჰიდროკარბონატულ კალციუმის დამარილიანების ტიპისანი არიან;
 6. გრუნტები არ ამჟღავნებენ აგრესიულობას არცერთი სახის ბეტონის მიმართ;
 7. გრუნტის წყლის ქიმიური შედგენილობა შესწავლილია ჭაბურღილი ბრ-11-დან აღებული ნიმუშის საფუძველზე.
 8. ქიმიური შედგენილობის მიხედვით წყალი ჰიდროკარბონატულ კალციუმის დამარილიანების ტიპისაა;
 9. ნიმუში ამჟღავნებს სუსტ აგრესიულობას წყალბადიონის მაჩვენებლით (განლაგებულ ქანებში $K_f < 0.18$ /დღ.ღ), W4 სახის ცემენტის მიმართ;
 10. წყლის აგრესიული ზემოქმედების ხარისხი რკინაბეტონის არმატურაზე, პერიოდული დასველებით არის სუსტი, ხოლო ქანების აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის ღონის დაბლა იმ ქანებისათვის რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი > 0.18 /დღე-ღამეში, არის საშუალო;
 11. გამოყოფილი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტებიდან, სვე 1 და 2 გრუნტები მიეკუთვნებიან ვეკლასის ტექნოგენური შეკავშირებული და შეუკავშირებელი გრუნტების ჯგუფს (ГОСТ 25100-966 Грунты, классификация);

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

12. სვე 3, 4, 6, 7, 8 და 9 გრუნტები მიეკუთვნებიან ვვ კლასის შეკავშირებული გრუნტების ჯგუფს (ГОСТ 25100-966 Грунты, классификация), სვე 5 და 10 გრუნტები მიეკუთვნებიან ვვ კლასის შეუკავშირებული გრუნტების ჯგუფს (ГОСТ 25100-966 Грунты, классификация);
13. საქართველოს სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია ე. თელავი (#1604), განლაგებულია 9 ბალიან სეისმურ ზონაში (MSK64 -სკალა), სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი $A=0.32$. ჩუმლაყი (#1582), განლაგებულია 9 ბალიან სეისმურ ზონაში (MSK64 -სკალა), სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი $A=0.28$ (სამშენებლო ნორმები და წესები - „სეისმომდებელი მშენებლობა“ - პნ 01.01-09);
14. სეისმურობის მიხედვით გრუნტები განეკუთვნება: სვე 1, 3, 4, 5, 6, 8, 9 და 10 - II კატეგორიას და განისაზღვრება 9 ბალით. სვე 7 - III კატეგორიას და განისაზღვრება >9 ბალით. სვე 2 - ვვ კატეგორიას და სეისმურობა ზუსტდება სპეციალური კვლევის შედეგად;
15. დეტალური პროექტის შედგენისას აუცილებლად მიგვაჩნია ნაგებობებისთვის მიწისძვრის საწინააღმდეგო ღონისძიებების გათვალისწინება;
16. საანგარიშო წინააღმდეგობა R_0 შეადგენს: სვე 1 – 450კპა, სვე 2 – 195კპა, სვე 3 – 233კპა, სვე 4 – 206კპა, სვე 5 – 600კპა, სვე 6 – 179კპა, სვე 7 – 157კპა, სვე 8 – 468კპა, სვე 9 – 230კპა, სვე 10 – 450კპა;
17. სამშენებლო მონაკვეთზე, რაიმე სახის, აქტიური, საინჟინრო გეოლოგიური მოვლენა ან პროცესი, რომელიც ხელს შეუშლის სამუშაოების ჩატარებას მოსალოდნელი არ არის;
18. კვლევების შედეგად მიღებული საინჟინრო გეოლოგიური ელემენტებისათვის ყველა მშენებლობისათვის საჭირო საანგარიშო მაჩვენებლები მოცემულია ტექსტის ბოლოს ცხრილში 6.2-2

ცხრილი 6.2-2 გრუნტების საანგარიშო მაჩვენებლები

	გრუნტის კატეგორია და მუშავების მიხედვით (შპს-ს მონაწილეობით სსე-IV-5-82)	გრუნტის კატეგორია და მუშავების მიხედვით (სე-ლით, სსე-IV-5-82)	გრუნტის კატეგორია სეისმურობის მიხედვით (პნ 01.01-91)	ჯრუბითი ქანობი			ბუნებრივი ტენიანობა W , %	პლასტიკურობის რიცხვი I_p	ბუნებრივი ρ	წინააღმდეგობა ერთეულის კუბურზე ტენიანობის შემთხვევაში, R_C კპა	წინააღმდეგობა ერთეულის კუბურზე წყალზე, R_{CW} კპა	პირობითი საანგარიშო წინააღმდეგობა, R_0 , კპა	ოპტიმალური ტენიანობა, W_{opt} %	ჩონჩხის მაქსიმალური სიმკვრივე, $\rho_{d max}$ გ/სმ ³	CBR-ის ცდა, 95 %
				1.5 მ	3.0 მ	5.0 მ									
1	6ა-I	6ა-II	II	1:0.67	1:1	1:1.25	-	-	1.75	-	-	450	-	-	-
2	24ბ-III	24ბ-III	IV	1:0.67	1:1	1:1.25	-	-	-	-	-	195	-	-	-
3	33გ-II	33გ-II	II	1:0	1:0.50	1:0.75	23.7	12.4	1.82	433	347	233	-	-	-
4	33გ-III	33გ-III	II	1:0	1:0.50	1:0.75	25.3	13.2	1.81	363	288	206	13.7	1.77	10.75
5	6ბ-II	6ბ-III	II	1:0.50	1:1	1:1	18.5*	13.2*	1.95	-	-	600	6.2	2.17	36.14
6	33გ-II	33გ-II	II	1:0	1:0.50	1:0.75	26.6	15.7	1.77	192	155	179	-	-	-
7	33გ-II	33გ-II	III	1:0	1:0.50	1:0.75	28.6	12.8	1.80	-	-	157	15.3	1.72	9.31

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

8	6დ-IV	6დ-IV	II	1:0	1:0.25	1:0.50	17.5	19.0	1.95	500	455	468	20.8	1.64	6.91
9	3აგ-I	3აგ-II	II	1:0.25	1:0.67	1:0.85	26.0	6.2	1.85	-	-	230	-	-	-
10	6ბ-II	6ბ-III	II	1:0.50	1:1	1:1	23.3*	13.0*	1.95	-	-	450	7.9	2.15	35.39

შენიშვნა: * მონაცემები მოცემულია შემავსებლისათვის

6.3 ჰიდროლოგია

თელავი-გურჯაანის საპროექტო გზა იკვეთება მდინარეების სახელით ცნობილი 10 შედარებით დიდი ხევით, 41 მცირე ხევით და ირიგაციული დანიშნულების ზემო ალაზნის მაგისტრალური არხის რამდენიმე გამანაწილებლით.

სამშენებლო გზის გადამკვეთი ხევები სათავეს იღებენ ცივ-გომბორის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე და ცალკეულ უხვნალექიან წლებში ერთიან მდ.ალაზნის მარჯვენა მხრიდან. აღნიშნულ ხევებში წყლის შედარებით მუდმივი დინება ფიქსირდება ცივ-გომბორის ქედის ფერდობებზე, ქვემოთ არსებულ დასახლებულ პუნქტებთან და ალაზნის ველზე ხევების კალაპოტები მშრალია. ამ მონაკვეთებზე ხევების კალაპოტებში წყლის ნაკადი აღინიშნება მხოლოდ თოვლის დნობის და ინტენსიური წვიმების პერიოდში. ცალკეული ინტენსიური წვიმების დროს შედარებით დიდ ხევებზე, მათი კალაპოტების მაღალი ქანობების პირობებში, ყალიბდება ღვარცოფული ნაკადები, რომლებიც დიდ მატერიალურ ზარალს აყენებენ დასახლებულ პუნქტებს და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. ცალკეული დიდი მდინარეების/ხევების მოკლე ჰიდროგრაფიული დახასიათება მოცემულია ქვემოთ.

მდინარე **ჭერემისხევი** სათავეს იღებს ცივ-გომბორის ქედის სამხრეთაღმოსავლეთ კალთებზე, მთა დასტეპეს (1522,8 მ) სამხრეთით 1 კმ-ში 1515 მეტრის სიმაღლეზე და ერთვის მდ. ალაზნის მარჯვენა მხრიდან. მდინარის აუზის ზედა ზონა მთიანია. სოფელ მუკუზანის ქვემოთ მთიანი ზონა იცვლება ალაზნის ველით. მთიანი ზონის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებენ ქვიშაქვები, მერგელები და ძველი კონგლომერატების მძლავრი განფენები. ალაზნის ველის გეოლოგია წარმოდგენილია შედარებით ახალი ალუვიური დანალექებით. აუზში გავრცელებულია ტყის ყომრალი, მთა-მდელოს და მდელოს კარბონატული ნიადაგები. მცენარეული საფარი წარმოდგენილია ხშირი ფოთლოვანი ტყით და ბუჩქნარით. სოფელ ახაშენის მიმდებარე ტერიტორიიდან მდ. ალაზნამდე აუზის ტერიტორია ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით.

მდინარის ხეობა სათავიდან სოფ. მუკუზნამდე V-ეს ფორმისაა, სოფ. მუკუზანთან ყუთისმაგვარი, ხოლო ალაზნის ველზე არამკაფიოდ არის გამოხატული.სამოდერნიზაციო გზის ქვემოთ მდინარეს გააჩნია მძლავრი გამოზიდვის კონუსი, რომელზეც გაშენებულია სოფ. ველისციხე. მდინარის კალაპოტი ქვა-ხრეშიანია, ზემო დინებაში გვხვდება ფერდობებიდან ჩამოვარებული დიდი ზომის ლოდები, შუა დინების ფარგლებში მდინარის ნაპირები ძალზე ციცაბო და ჩამონგრეულია, რაც ხელს უწყობს მდინარის კალაპოტში უხვი მყარი მასალის დაგროვებას და ღვარცოფული ნაკადების ფორმირებას.

მდინარე საზრდოობს თოვლის, წვიმისა და გრუნტის წყლებით. თოვლის წყალი მდინარის საზრდოობაში მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. მდინარის წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება გაზაფხულის წყალდიდობით და ზაფხულ-შემოდგომის წყალმოვარდნებით. წყალმცირობის პერიოდში მდინარის ჩამონადენი აღინიშნება მხოლოდ ზედა და შუა დინებაში, ქვემოთ მდინარის ნაკადი იკარგება ალუვიურ განფენებში და მშრალია.

მდინარე **ჭერემისხევი** სიგრძე სამოდერნიზაციო გზის გადაკვეთამდე 28,1 კმ, საერთო ვარდნა 1102 მ, საშუალო ქანობი 39,2 ‰, წყალშემკრები აუზის ფართობი კი 103 კმ²-ია.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მდინარე **მღვრიეხევი (შაშიანისხევი)** სათავეს იღებს ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე 1355 მეტრის სიმაღლეზე და ერთვის მდ. ალაზნის მარჯვენა მხრიდან. მდინარის აუზის ზედა ზონა მთიანია. სოფელ შაშიანის ქვემოთ მდინარის აუზი გამოდის ალაზნის მარჯვენა ტერასაზე. მთიანი ზონის გელოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებენ მერგელები და ძველი კონგლომერატები, ალაზნის ტერასა კი აგებულია ახალი ალუვიური დანალექებით. აუზში გავრცელებულია ტყის ყომრალი და მდელოს კარბონატული ნიადაგები. მცენარეული საფარი წარმოდგენილია ხშირი ფოთლოვანი ტყით და ბუჩქნარით. სოფელ შაშიანის ქვემოთ აუზის ტერიტორია ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით.

მდინარის ხეობა სათავიდან 6 კმ-ის მანძილზე V-ეს ფორმისაა, ქვემოთ კი ყუთისმაგვარი. ალაზნის ველზე ხეობა არამკაფიოდ არის გამოხატული. ყუთისმაგვარი ხეობის ფარგლებში ხეობის ფსკერი განივრდება, ნაპირები კი დამეწყრილია. ამ უბანზე რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა მეწყერთ ხევის კალაპოტის გადაკეტვას და წყლის დაგუბებას, რაც ზღუდარის გაგზრდვის შემდეგ წარმოქმნიდა ძლიერ ღვარცოფს.

მდინარე საზრდოობს თოვლის, წვიმისა და გრუნტის წყლებით. თოვლის წყალი მდინარის საზრდოობაში უმნიშვნელო როლს ასრულებს. მდინარის ჩამონადენი აღინიშნება მხოლოდ აუზის ზედა ზონაში. აუზის შუა და ქვემო ზონაში მდინარის კალაპოტი წლის ხანგრძლივი დროის მანძილზე მშრალია.

მდინარე მღვრიეხევის სიგრძე სამოდერნიზაციო გზის გადაკვეთამდე 14,0 კმ, საერთო ვარდნა 899 მ, საშუალო ქანობი 64,2 ‰, წყალშემკრები აუზის ფართობი კი 17,1 კმ²-ია.

მდინარე **შრომისხევი** სათავეს იღებს ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე 1435 მეტრის სიმაღლეზე და ერთვის მდ. ალაზნის მარჯვენა მხრიდან. მდინარის აუზის ზედა ზონა მთიანია. სოფელ შრომას ქვემოთ მდინარის აუზი გამოდის ალაზნის ველზე. მთიანი ზონის გელოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებენ მერგელები და ძველი კონგლომერატები, ალაზნის ველი კი აგებულია ახალი ალუვიური დანალექებით. აუზში გავრცელებულია ტყის ყომრალი, მთა-მდელოს და მდელოს კარბონატული ნიადაგები. მცენარეული საფარი წარმოდგენილია ხშირი ფოთლოვანი ტყით და ბუჩქნარით. სოფელ შრომას ქვემოთ აუზის ტერიტორია ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით.

მდინარის ხეობა სათავიდან სოფ. შრომამდე V-ეს ფორმისაა, სოფ. შრომასთან ყუთისმაგვარი, ალაზნის ველზე კი არამკაფიოდ არის გამოხატული. მდინარის ხეობაში გვხვდება გამიშვლებები, რომელთა სიმაღლე 150-200 მეტრს აღწევს. გამიშვლებები წარმოდგენილია ცივისწყების თიხნარებისა და კონგლომერატების მორიგეობით, რომლებიც ინტენსიურ გამოფიტვას განიცდიან. გამოფიტული მასალა გრავიტაციული ზემოქმედებით გროვდება მდინარის კალაპოტში, რაც წყალმოვარდნების პერიოდში ღვარცოფული ნაკადის სახით გადაადგილდებიან ქვემოთ.

მდინარე საზრდოობს თოვლის, წვიმისა და გრუნტის წყლებით. თოვლის წყალი მდინარის საზრდოობაში უმნიშვნელო როლს ასრულებს. მდინარის ჩამონადენი აღინიშნება მხოლოდ აუზის ზედა ზონაში. აუზის შუა და ქვემო ზონაში მდინარის კალაპოტი წლის ხანგრძლივი დროის მანძილზე მშრალია.

მდინარე შრომისხევის სიგრძე სამოდერნიზაციო გზის გადაკვეთამდე 14,0 კმ, საერთო ვარდნა 952 მ, საშუალო ქანობი 68,0 ‰, წყალშემკრები აუზის ფართობი კი 28,3 კმ²-ია.

მდინარე **კისისხევი** სათავეს იღებს ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე, მთა ცივის (1991,1 მ) სამხრეთ-დასავლეთით 1,5 კმ-ში 1850 მეტრის სიმაღლეზე და ერთვის მდ. ალაზნის მარჯვენა მხრიდან. მდინარის აუზის ზედა ზონა მთიანია, რომელიც სოფ. წინანდლის ქვემოთ იცვლება ალაზნის ველით. მთიანი ზონის გელოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებენ ქვიშაქვები, მერგელები და ძველი

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

კონგლომერატები, ალაზნის ველი კი აგებულია ახალი ალუვიური დანალექებით. აუზში გავრცელებულია ტყის ყომრალი, მთა-მდელოს და მდელოს კარბონატული ნიადაგები. მცენარეული საფარი წარმოდგენილია ხშირი ფოთლოვანი ტყით და ბუჩქნარით. სოფელ წინანდლის ქვემოთ აუზის ტერიტორია ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით.

მდინარის ხეობა სათავედან სოფ. წინანდლამდე V-ეს ფორმისაა, სოფ. წინანდალთან ყუთისმაგვარი, ალაზნის ველზე კი არამკაფიოდ არის გამოხატული. ხეობის ფსკერი სათავეებში ვიწროა, ქვემოთ განივრდება და სოფ. წინანდალთან 400 მეტრს აღწევს. ამ მიდამოებში მდინარის ციცაბო ნაპირების სიმაღლე 40-50 მეტრის ფარგლებში მეყვობს. აღნიშნული ციცაბო და მაღალი ნაპირები ადვილად ემორჩილებიან გამოფიტვას, რაც ხელს უწყობს მდინარის კალაპოტში უხვი მყარი მასალის დაგროვებას და ღვარცოფული ნაკადების ფორმირებას.

მდინარე საზრდოობს თოვლის, წვიმისა და გრუნტის წყლებით. თოვლის წყალი მდინარის საზრდოობაში მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. მდინარის წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება გაზაფხულის წყალდიდობით და ზაფხულ-შემოდგომის წყალმოვარდნებით. წყალმცირობის პერიოდში მდინარის ჩამონადენი აღინიშნება მხოლოდ ზედა და შუა დინებაში, ქვემოთ მდინარის ნაკადი იკარგება ალუვიურ განფენებში და მშრალია.

წყალდიდობისა და წყალმოვარდნების პერიოდში მდინარეს ღვარცოფული ნაკადის სახით გამოაქვს დიდი რაოდენობის მყარი მასალა, რაც გროვდება კალაპოტის შევიწროვებულ ადგილების (სარკინიგზო და სამანქანო ხიდები, ზემო ალაზნის მაგისტრალური არხის დიუკერი) ზევით, რის გამო მისი კალაპოტი მაღლდება და იწვევს წყლის გადასვლას დაბალ ნაპირებზე.

მდინარე კისისხევის სიგრძე სამოდერნიზაციო გზის გადაკვეთამდე 27,8 კმ, საერთო ვარდნა 1342 მ, საშუალო ქანობი 48,3 ‰, წყალშემკრები აუზის ფართობი კი 106 კმ²-ია.

მდინარე **თელავისრიყე** სათავეს იღებს ცივ-გომბორის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე 1795 მეტრის სიმაღლეზე და ერთვის მდ. ალაზანს მარჯვენა მხრიდან. მდინარის ხეობა მდებარეობს ცივ-გომბორის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე მდინარეების კისისხევისა და მანანარას აუზებს შორის. მისი წყალგამყოფის ნიშნულები იცვლება 814 მეტრიდან 1812 მეტრამდე. ხეობის ფსკერის სიგანე იცვლება 5-10 მეტრიდან 65-80 მეტრამდე. ხეობის ფერდობები სათავეებში ციცაბო და ძლიერ ეროზირებულია, რაც დამახასიათებელია ცივ-გომბორის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებზე არსებული ყველა მდინარისთვის. 1600 მეტრიდან 1075 მეტრამდე მდინარის ხეობა ვ-ს ფორმისაა, ქვემოთ განივრდება და დარეგულირებული კალაპოტის დასაწყისამდე ტრაპეციულ ფორმას იძენს.

მდინარის კალაპოტი ზომიერად კლაკნილი და ძირითადად დაუტოტავია. ქ. თელავის ტერიტორიიდან მისი კალაპოტი დარეგულირებულია მონოლითური ბეტონით, რომელიც ქ. თელავის ქვემოთ გასწორხაზოვნებულია და გაერთიანებულია მანანარასა და ვარდისუბნისხევის კალაპოტებთან. შესართავისკენ იგი იტოტება და მისი კალაპოტი შევსებულია მდინარის მიერ ჩამოტანილი მძლავრი ალუვიური მასალით, რომელშიც იკარგება მდინარის ჩამონადენი. მდინარის დარეგულირებული კალაპოტი წლის ხანგრძლივი დროის მანძილზე მშრალია.

აღსანიშნავია, რომ ქ. თელავის ღვარცოფული ნაკადებისგან დაცვის მიზნით, მდინარის კალაპოტში, ქალაქიდან მოცილებით, დაახლოებით 2 კმ-ში და მის ზევით ყოველ 250-300 მეტრში მოეწყო ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიეროკვლევით ინსტიტუტში შექმნილი ღვარცოფის დამჭერი სამი ნაგებობა. აღსანიშნავია, რომ სამივე ნაგებობა დღეისთვის კარგ ტექნიკურ მდგომარეობაშია.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მდინარე თელავისრიყეს სიგრძე სამოდერნიზაციო გზის გადაკვეთამდე 12,0 კმ, საერთო ვარდნა 1271 მ, საშუალო ქანობი 105,9 ‰, წყალშემკრები აუზის ფართობი კი 24,7 კმ²-ია.

სხვა მცირე მდინარეებისა და ხევების გეოლოგიური პირობები და წყლიანობის რეჟიმი იდენტურია ზემოთ აღწერილი მდინარეების, ამიტომ მათი დეტალური დახასიათების მოყვანა არ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად.

წყლის მაქსიმალური ხარჯები

თელავი-გურჯაანის სამშენებლო გზის გადამკვეთი მდინარეები და ხევები შეუსწავლელია ჰიდროლოგიური თვალსაზრისით. ამიტომ, მათი წყლის მაქსიმალური ხარჯები საპროექტო კვეთებში დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია „კავკასიის პირობებში მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის საანგარიშო ტექნიკურ მითითებაში“.

აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული მეთოდი წყლის მაქსიმალური ხარჯების 15-18%-ით მაღალ მნიშვნელობებს იძლევა, ვიდრე СНиП2.01.14-83-ში („Определение расчетных Гидрологических Характеристик“) მოცემული ზღვრული ინტენსივობის ფორმულა, რომელიც გამოყვანილია ყოფილი სსრ კავშირის მდინარეებისთვის გასული საუკუნის 60-იან წლებში. ზღვრული ინტენსივობის ფორმულა არ ითვალისწინებს ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე კლიმატის გლობალურ ცვლილებებს და მასთან დაკავშირებულ ნალექების გაზრდილ ინტენსივობას, რაც შესაბამისად აისახება ამ ფორმულით მიღებული ხარჯების დაბალ სიდიდეებზე. კლიმატის გლობალური ცვლილებების ფონზე ნალექების გაზრდილი ინტენსივობისა და შესაბამისად მაქსიმალური ხარჯების გაზრდილი მაჩვენებლების გათვალისწინებით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება წყლის მაქსიმალური ხარჯების საანგარიშო სიდიდეების დადგენის შესახებ ტექნიკურ მითითებაში მოცემული მეთოდით. აღნიშნული მეთოდი კარგად აპრობირებულია საქართველოს პირობებში და პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე აკამყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

„კავკასიის პირობებში მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის საანგარიშო ტექნიკურ მითითებაში“ მოცემული მეთოდის თანახმად, წყლის მაქსიმალური ხარჯების სიდიდეები იმ მდინარეებზე და ხევებზე, რომელთა წყალშემკრები აუზის ფართობი არ აღემატება 300 კმ²-ს, იანგარიშება ფორმულით, რომელსაც შემდეგი სახე გააჩნია

$$Q = R \cdot \left[\frac{F^{2/3} \cdot K^{1,35} \cdot \tau^{0,38} \cdot \bar{i}^{0,125}}{(L + 10)^{0,44}} \right] \cdot \Pi \cdot \lambda \cdot \delta \quad \text{მ}^3/\text{წმ}$$

სადაც R – რაიონული პარამეტრია. მისი მნიშვნელობა აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში მიღებულია 1,15-ის ტოლი;

F – წყალშემკრები აუზის ფართობია საპროექტო კვეთში კმ²-ში;

K – რაიონის კლიმატური კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობა აიღება სპეციალური რუკიდან; τ

– განმეორებადობაა წლებში;

\bar{i} – მდინარის ან ხევის კალაპოტის განონასწორებული ქანობია ერთეულებში სათავიდან საპროექტო კვეთამდე;

L – მდინარის ან ხევის სიგრძეა სათავიდან საპროექტო კვეთამდე კმ-ში;

Π – ხევის აუზში არსებული ნიადაგის საფარველის მახასიათებელი კოეფიციენტი. მისი მნიშვნელობა აიღება სპეციალური რუკიდან და შესაბამისი ცხრილიდან;

λ – აუზის ტყიანობის კოეფიციენტი, რომლის სიდიდე იანგარიშება გამოსახულებით

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

$$\lambda = \frac{1}{1 + 0,2 \cdot \frac{F_t}{F}}$$

აქ F_t – აუზის ტყით დაფარული ფართობია %-ში

δ – აუზის ფორმის კოეფიციენტი. მისიმნიშვნელობა მიიღება გამოსახულებით

$$\delta = 0,25 \cdot \frac{B_{max}}{B_{sas}} + 0,75$$

სადაც B_{max} – აუზის მაქსიმალური სიგანეა კმ-ში;

B_{sas} – აუზის საშუალო სიგანეა კმ-ში. მისი მნიშვნელობა მიიღება დამოკიდებულებით $B_{sas} = \frac{F}{L}$;

იმ მცირე ხეების წყლის მაქსიმალური ხარჯების გაანგარიშებისას, რომელთა წყალშემკრები აუზის ფართობები ნაკლებია 5კმ²-ზე, ზემოთ განხილულ ფორმულაში დამატებით შედის წყალშემკრები აუზის ფართობების შესაბამისი, სპეციალურად დამუშავებული ქვემოთ მოყვანილი კოეფიციენტები

F კმ ²	<1	1	2	3	4	5
K^1	0.70	0.80	0.83	0.87	0.93	1.00

სამშენებლო გზის გადამკვეთი ხეების წყლის მაქსიმალური ხარჯების საანგარიშოდ საჭირო მორფომეტრიული ელემენტების მნიშვნელობები, დადგენილი 1:25000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით, ასევე ზემოთ მოყვანილი ფორმულით გაანგარიშებული 200 წლიანი, 100 წლიანი, 50 წლიანი, 20 წლიანი და 10 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯების სიდიდეები, მოცემულია ქვემოთ, №6.3.-1 ცხრილში.

ხეების გარდა სამოდერნიზაციო გზის გადაკვეთაზე გვხვდება მცირე მონაკვეთები, რომლებსაც არ გააჩნიათ ჩამოყალიბებული კალაპოტი, რის გამო მათი მაქსიმალური ხარჯების ანგარიში ზევით მოყვანილი ფორმულით შეუძლებელია. ამიტომ, მათი ფართობებიდან ჩამომდინარე წყლის მაქსიმალური რაოდენობა დადგენილია მის მეზობლად არსებული, დაახლოებით იმავე წყალშემკრები აუზის ფართობის მქონე ხევის მაქსიმალური ხარჯების მოდულებით. 1:25000 მასშტაბის სქემაზე ასეთი ფართობები აღნიშნულია I-ით. ბაკურციხე-წნორის საპროექტო გზის გადამკვეთი ხეების წლის მაქსიმალური ხარჯები მ³/წმ-ში

ცხრილი №6.3-1

ხევის დასახლება და №	F კმ ²	L კმ	i კალ.	λ	δ	K	Π	K^1	მაქსიმალური ხარჯები მ ³ /წმ-ში				
									$\tau = 200$ წელს	$\tau = 100$ წელს	$\tau = 50$ წელს	$\tau = 20$ წელს	$\tau = 10$ წელს
ხევი №1	0.56	1.32	0.0576	.96	1.16	5.50	0.87	0.70	11.3	9.40	7.22	5.10	3.92
ხევი №2	1.85	2.55	0.0608	0.98	1.13	5.50	0.87	0.82	21.1	17.6	13.5	9.55	7.35
ხევი №3	7.06	6.30	0.0736	0.96	1.13	5.50	0.87	–	56.5	47.1	36.2	25.6	19.6
ხევი №4	1.88	3.27	0.0703	0.98	1.14	5.50	0.87	0.82	22.7	18.9	14.5	10.2	7.89
ჭერემისხევი №5	103	28.1	0.0392	0.86	1.00	5.50	1.00	–	197	164	126	89.0	68.4
ხევი №6	0.67	1.66	0.0458	0.96	1.06	5.50	0.87	0.70	8.36	6.97	5.36	3.78	2.91
ფართობი 6 ¹	0.21	–	–	–	–	–	–	–	2.36	1.96	1.51	1.06	0.82
ხევი №7	1.85	3.18	0.0846	0.98	1.09	5.50	0.87	0.82	20.8	17.3	13.3	9.39	7.22
ხევი №8	1.19	2.71	0.0841	0.98	1.09	5.50	0.87	0.81	15.5	12.9	9.92	7.00	5.38
ხევი №9	2.41	4.24	0.0842	0.90	1.10	5.50	0.87	0.85	23.0	19.2	14.8	10.4	8.00

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ფართობი 9 ^l	0.55	–	–	–	–	–	–	–	4.14	3.45	2.65	1.87	1.44
წილიანა №10	10.0	7.97	0.0649	0.91	1.16	5.50	1.00	–	75.2	62.7	48.2	34.0	26.2
ფართობი 10 ^l	0.65	–	–	–	–	–	–	–	4.89	4.08	3.13	2.21	1.70
მღვრიეხევი №11	17.1	14.0	0.0642	0.89	1.07	5.50	1.00	–	85.4	71.2	54.7	38.6	29.7
ფართობი 11 ^l	0.28	–	–	–	–	–	–	–	3.15	2.61	2.01	1.41	1.09
ხევი №12	0.53	1.50	0.0307	0.99	1.05	5.50	0.87	0.70	7.00	5.83	4.48	3.16	2.43
ხევი №13	0.19	1.00	0.0520	0.99	1.07	5.50	0.87	0.70	3.91	3.26	2.50	1.77	1.36
ხევი №14	1.10	3.44	0.0683	0.98	1.19	5.50	0.87	0.81	15.2	12.7	9.76	6.89	5.30
ხევი №15	0.26	0.95	0.0589	0.96	1.07	5.50	0.87	0.70	4.44	3.70	2.84	2.01	1.54
ხევი №16	0.78	1.58	0.0664	0.95	1.03	5.50	0.87	0.70	9.36	7.80	6.00	4.23	3.26
წილიანახევი №17	11.7	7.92	0.0893	0.92	1.14	5.50	1.00	–	86.5	72.1	55.4	39.1	30.1
ფართობი 17 ^l	0.17	–	–	–	–	–	–	–	1.93	1.58	1.22	0.86	0.66
ხევი №18	1.36	3.30	0.0530	0.95	1.11	5.50	0.87	0.81	15.5	12.9	9.92	7.00	5.38
შრომისხევი №19	28.3	14.0	0.0680	0.85	1.15	5.50	1.00	–	124	103	79.2	55.9	43.0
ხევი №20	0.28	0.87	0.0345	0.98	1.12	5.50	0.87	0.70	5.00	4.17	3.20	2.26	1.74
ხევი №21	0.75	1.61	0.0497	0.99	1.00	5.50	0.87	0.70	8.89	7.41	5.70	4.02	3.09
ხევი №22	1.33	3.12	0.0320	0.97	1.07	5.50	0.87	0.81	14.2	11.8	9.07	6.40	4.92
ხევი №23	1.32	2.25	0.0631	0.97	1.11	5.50	0.87	0.81	16.4	13.7	10.5	7.43	5.72
აკურისხევი №24	8.14	6.20	0.0814	0.88	1.16	5.50	1.00	–	68.3	56.9	43.7	30.9	23.7
ფართობი 25 ^l	0.23	–	–	–	–	–	–	–	2.61	2.14	1.65	1.16	0.89
ხევი №25	0.79	1.63	0.0448	0.98	1.07	5.50	0.87	0.70	9.60	8.00	6.15	4.34	3.34
ვანთისხევი №26	20.4	14.6	0.0682	0.85	1.21	5.50	1.00	–	104	86.4	66.4	46.9	36.1
ფართობი 26 ^l	0.08	–	–	–	–	–	–	–	0.91	0.74	0.57	0.40	0.31
ხევი №27	2.29	4.70	0.0670	0.98	1.18	5.50	0.87	0.84	24.6	20.5	15.8	11.1	8.56
ხევი №28	0.37	1.41	0.0489	0.99	1.00	5.50	0.87	0.70	5.57	4.64	3.57	2.52	1.94
ხევი №29	0.54	1.22	0.0524	0.98	1.03	5.50	0.87	0.70	7.43	6.19	4.76	3.36	2.58
ხევი №30	0.18	0.88	0.0557	0.98	1.00	5.50	0.87	0.70	3.53	2.94	2.26	1.60	1.23
ხევი №31	0.32	0.80	0.0538	0.98	1.02	5.50	0.87	0.70	5.29	4.41	3.39	2.39	1.84
ბუშეთისხევი №32	7.51	8.49	0.0819	0.93	1.13	5.50	1.00	–	62.9	52.4	40.3	28.4	21.9
პატარახევი №33	6.55	6.67	0.0854	0.94	1.14	5.50	1.00	–	61.6	51.3	39.4	27.8	21.4
ფართობი 33 ^l	0.11	–	–	–	–	–	–	–	1.25	1.02	0.78	0.55	0.43
ხოდაშნისხევი №34	2.26	3.52	0.0619	0.98	1.17	5.50	0.87	0.84	24.8	20.7	15.9	11.2	8.64
ფართობი 34 ^l	0.06	–	–	–	–	–	–	–	0.68	0.56	0.42	0.30	0.23
ხევი №35	0.31	0.80	0.0488	0.98	1.07	5.50	0.87	0.70	5.35	4.46	3.43	2.42	1.86
დოლიაურისხევი №36	8.86	7.60	0.0758	0.93	1.14	5.50	1.00	–	71.8	59.8	46.0	32.4	25.0
ხევი №37	0.38	0.90	0.0444	0.98	1.10	5.50	0.87	0.70	6.22	5.18	3.98	2.81	2.16
კისისხევი №38	106	27.8	0.0483	0.84	1.20	5.50	1.00	–	242	202	155	110	84.3
ხევი №39	0.44	1.02	0.0402	0.99	1.08	5.50	0.87	0.70	6.70	5.58	4.29	3.03	2.33
ხევი №40	0.76	1.40	0.0264	0.98	1.05	5.50	0.87	0.70	8.66	7.22	5.55	3.92	3.01
შაქარანთხევი №41	1.58	2.90	0.0331	0.98	1.05	5.50	0.87	0.81	16.0	13.3	10.2	7.22	5.55
ხევი №42	0.71	1.38	0.0427	0.98	1.00	5.50	0.87	0.70	8.39	6.99	5.37	3.79	2.92
ფართობი 42 ^l	0.15	–	–	–	–	–	–	–	1.70	1.39	1.06	0.75	0.59
ხევი №43	2.67	5.11	0.0697	0.96	1.15	5.50	0.87	0.85	26.2	21.8	16.8	11.8	9.10

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ჭუნასხევი №44	3.08	4.66	0.0753	0.96	1.09	5.50	0.87	0.87	28.6	23.8	18.3	12.9	9.93
სათლიანისხევი №45	12.5	8.63	0.0839	0.87	1.18	5.50	0.87	–	75.1	62.6	48.1	34.0	26.1
ფართობი 45 ¹	0.11	–	–	–	–	–	–	–	1.25	1.02	0.78	0.55	0.43
სვიანათხევი №46	3.27	5.62	0.0799	0.94	1.17	5.50	0.87	0.88	31.0	25.8	19.8	14.0	10.8
ფართობი 46 ¹	0.12	–	–	–	–	–	–	–	1.36	1.11	0.85	0.60	0.47
ხრუკასხევი №47	7.05	9.35	0.0910	0.90	1.25	5.50	0.87	–	55.8	46.5	35.7	25.2	19.4
ხევი №48	1.51	2.90	0.0517	0.98	1.08	5.50	0.87	0.82	17.0	14.2	10.9	7.70	5.93
ხევი №49	8.12	7.10	0.0747	0.91	1.18	5.50	0.87	–	60.2	50.2	38.6	27.2	21.0
ხევი №50	0.26	0.60	0.0583	0.98	1.01	5.50	0.87	0.70	4.64	3.87	2.97	2.10	1.62
ხევი №51	1.02	1.60	0.0550	0.98	1.06	5.50	0.87	0.70	11.6	9.66	7.42	5.24	4.03
ფართობი 51 ¹	0.08	–	–	–	–	–	–	–	0.91	0.74	0.57	0.40	0.31
ხევი №52	3.39	4.15	0.0600	0.99	1.15	5.50	0.87	0.88	33.1	27.6	21.2	15.0	11.5
თელავისრიყე №53	24.7	12.0	0.1059	0.86	1.19	5.50	1.00	–	130	108	83.0	58.6	45.1

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) საპროექტო გზის გადამკვეთი ჭერემისხევი (№5), მღვრიხევი (№11), შრომისხევი (№19), ვანთისხევი (№26), ბუშეთისხევი (№32), კისისხევი (№38), სათლიანისხევი (№45), ხრუკასხევი (№47) და თელავისრიყე (№53), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ღვარცოფული ხასიათისაა. მათი და მათი შენაკადების ხეობების მნიშვნელოვანი ფართობები გაშიშვლებულია, რის გამოც ადგილი აქვს გრავიტაციული პროცესების (ქვათაცვენა, ნაშვავები, მეწყერები და სხვა) ინტენსიურ გამოვლინებებს და ხეობის ფსკერზე დიდი მოცულობის მყარი მასალის დაგროვებას. ეს უკანასკნელი წყალმოვარდნების გავლის პროცესში წარმოადგენს ნაკადის მყარი მასალით ინტენსიურად შევსების წყაროს, რის შედეგად კალაპოტის გრძივი ქანობების მაღალი მნიშვნელობის პირობებში წყალმოვარდნის ნაკადები ზღვრულად იტვირთება მყარი ნაშალი მასალით და წარმოიქმნება ორთაზა ნაკადები, ანუ ღვარცოფები.

მსგავს ნაკადებში მყარი ნატანის ზღვრული მოცულობა (მოცულობითი კონცენტრაცია) $\beta_z = 0,20-0,25$ აღწევს. ჩვენ შემთხვევაში, აღნიშნული მდინარეების β_z -ის მნიშვნელობა, ადრე ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე, მიღებულია 0,20-ის ტოლი, რაც ღვარცოფული ნაკადის კონცენტრაციისთვის ტოლი იქნება $\beta_s = \frac{\beta_z}{1 + \beta_z} = \frac{0.20}{1 + 0.20} = 0.17$

აქედან, ორთაზა ანუ ღვარცოფული ნაკადის ხარჯი ტოლი იქნება

$$Q_s = Q_w \cdot \frac{1}{1 - \beta_s} \text{ მ}^3/\text{წმ}$$

სადაც Q_w - წყლის საანგარიშო უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯია მ³/წმ-ში;

აღნიშნული მდინარეების ღვარცოფული ნაკადების მაქსიმალური ხარჯები სამოდერნიზაციო გზის გადაკვეთაზე

ცხრილი №6.3-2 ღვარცოფული ნაკადების მაქსიმალური ხარჯები მ³/წმ-ში

ხევის დასახელება და №	τ წელი	P%	Q_w - წყლის მაქს. ხარჯი	Q_s - ღვარცოფის მაქს. ხარჯი
	200	0.5	197	236


თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ჭერემისხევი №5	100	1	164	197
	50	2	126	151
	20	5	89.0	107
	10	10	68.4	82.1
მღვრიესხევი №11	200	0.5	85.4	102
	100	1	71.2	85.4
	50	2	54.7	65.6
	20	5	38.6	46.3
შრმისხევი №19	10	10	29.7	35.6
	200	0.5	124	149
	100	1	103	124
	50	2	79.2	95.0
ვანთისხევი №26	20	5	55.9	67.1
	10	10	43.0	51.6
	200	0.5	104	125
	100	1	86.4	104
ბუშეთისხევი №32	50	2	66.4	80.0
	20	5	46.9	56.3
	10	10	36.1	43.3
	200	0.5	62.9	75.5
კისისხევი №38	100	1	52.4	62.9
	50	2	40.3	48.4
	20	5	28.4	34.1
	10	10	21.9	26.3
სათლიანისხევი №45	200	0.5	242	290
	100	1	202	242
	50	2	155	186
	20	5	110	132
ბრუკიასხევი №47	10	10	84.3	101
	200	0.5	75.1	90.1
	100	1	62.6	75.1
	50	2	48.1	57.7
თელავისრიყე №53	20	5	34.0	40.8
	10	10	26.1	31.3
	200	0.5	55.8	67.0
	100	1	46.5	55.8
	50	2	35.7	42.8
	20	5	25.2	30.2
	10	10	19.4	23.3
	200	0.5	130	156
	100	1	108	130
	50	2	83.0	99.6
	20	5	58.6	70.3
	10	10	45.1	54.1

ღვარცოფული ნაკადების მაქსიმალური ხარჯები, მოცემული №6.3-2 ცხრილში, მიღებულია საანგარიშო სიდიდეებად ჩუმლაყი-თელავის სამოდერნიზაციო გზის გადაკვეთაზე.

ზემოთ მოყვანილ №6.3-1 ცხრილში მოცემული მდინარეების, ხეობისა და ფართობების ნუმერაცია დატანილია 1:25000 მასშტაბის ტოპოგრაფიულ რუკაზე.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება



6.4 ბიოლოგიური გარემო

ფლორა

საკვლევი ტერიტორიის ზოგადი გეოგრაფიული დასახიათება ასეთია, ის მოიცავს კახეთის რეგიონის, თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას. ღერეფის სიგრძე 30 კმ-ია და მას აქვს ჩრდილო დასავლეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთიდან მიმართულება. გეოგრაფიულად ის მდებარეობს მდინარე ალაზნის დაბლობზე და მისი რელიეფი ვაკეს წარმოადგენს.

საკვლევი არეალის ჰიფსომეტრიული აპლიტუდა არ არის მაღალი რაც გამოწვეულია მისი ვაკე რელიეფით და მერყეობს ზღვის დონიდან 694 მ დან 356 მდე. სიმაღლებრივი ამპლიტუდის სიმცირე განაპირობებს მცენარეული ტიპების შედარებით ერთგვაროვნებას. გეობოტანიკური თვალსაზრისით საკვლევი არეალი მიეკუთნება აღმოსავლეთ საქართველოს გეობოტანიკური არის, ივერიის ბარის ოლქის, კახეთის ბარის გეობოტანიკურ რაიონს.

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს რომ საკვლევი ფართობი მთლიანად ანთროპოგენული წნეხის ქვეშაა და ხასიათდება განვითარებული ინფრასტრუქტურის არსებობით. პირველადი ბუნებრივი მცენარეულობა საკვლევ არეალზე არ არსებობს. საკვლევი არეალის დიდი ნაწილი გადის რკინიგზის სიგრძეზე, ხოლო ნაწილი გადის სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე, არეალის მცირე ნაწილი კვეთს დასახლებულ პუნქტებს, ესენია თელავის მუნიციპალიტეტი-სოფელი ვარდისუბანი, ე. თელავი, სოფელი ნასამხრალი, კონდოლი, წინანდალი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი-სოფლები კალაური, ვაზისუბანი, მუკუზანი, ახალსოფელი და როგორც აღინიშნა საკვლევი არეალი მეტად ერთფეროვანია ბოტანიკური თვალსაზრისით, ბუნებრივი მცენარეულობა წარმოდგენილია მეორადი რუდერალური და სტეპის მცენარეულობით, ასევე გზის პირებზე და რკინიგზის გასწვრივ წარმოდგენილია კაკლის ხეები რომლებსაც მოსახლეობა იყენებს ეკონომიკური მიზნების გამო ამასთან, ეს სახეობა საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი როგორც მონყვლადი სახეობა.

როგორც კვლევის მიმოხილვაში აღინიშნა, ტერიტორია საკმაოდ მონოტონურია ბოტანიკური თვალსაზრისით, ბუნებრივი მცენარეულობა წარმოდგენილია მეორადი რუდერალური და სტეპების მცენარეებით, ასევე გზებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების კიდეებზე წარმოდგენილია კაკლის ხეები, რომლებიც იყენებს მოსახლეობა ეკონომიკურ მიზნებით. გარდა ამისა, ეს სახეობა შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა.


ადგილზე ხის რამდენიმე ენდემური სახეობა არსებობს.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

როგორც ზემოთ აღინიშნა, არეალი მოიცავს ქვემო კახეთის რეგიონს, ალაზნის დაბლობის მარჯვენა ნაწილს. დერეფანი მთლიანად ვაკე რელიეფით არის წარმოდგენილი.

საკვლევი არეალის კლიმატი ერთგვაროვანია და მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო ზომიერ კლიმატს, ნალექების საშუალო რაოდენობა 650-800მმ ია.

საკვლევი არეალის საწყისი/ნულოვანი წერტილის კოორდინატია X 537712 -Y 4641716 სიმაღლე ზღვის დონიდან 692 მ, ეს ადგილი წარმოადგენს ე.წ. ვარდისუბნის წრის იმ მონაკვეთს საიდანაც ქ. თელავისა და სოფელ გულგულის დამაკავშირებელი გზა იწყება. დერეფნის ბოლოს წერტილია სოფელ ჩუმლაყთან მდინარე ფაფრისევის კალაპოტის კიდებზე, რკინისზის ხიდზე, რომლის კოორდინატებია: X 564625 Y 4624652 4641716 სიმაღლე ზღვის დონიდან 380 მ. ამ ორ წერტილს შორის ფლორისტიკული შემადგენლობა ასეთია: წივანა (*Festuca valensiaca*). ურო (*Botriochloa icsheamum*); ფარსმანდუკი (*Achillea millenofolium*); ცახცახა (*Briza elatior*); ისლი (*Carex schkuhi*); ჭახრაკაული (*Cerinth minor*); სათითურა (*Dachylis glomerata*); გვირილა (*Dorincium herbaceum*), ძირწითელა (*Echium rubrum*), ნარი (*Erungium biberschteinanum*), წივანა (*Festuca valensiaca*), ქაფუნა (*Filipendula vulgaris*), მიწავაშლა (*Helianthemum nummularium*), კრაზანა (*Hupericum perforatum*), მზიურა (*Inula aspera*), სელი (*Linum tenuifolium*), ესპარცეტი (*Onobrychis cyrii*), ლოტუსი (*Lotus caucasicus*), Jurinea blanda, მრავალძარღვა (*Plantago lanceolata*), წიწნაური (*Pytogala trancaucasica*), მარწყვა ბალახი (*Potentilla recta*), ურაშა (*Poterium polygonatum*), ფამფარულა (*Schorzoneria biebersteinii*), სალბი (*Salvia nemorosa*), ფოლოო (*Scabiosa georgica*), დედაფუტკარა (*Stachys atherocachyx*), კუტი ბალახი (*Teucrium nuthense, T. Polium*), ბექთქონდარა (*Thymus tiflisciens*) გარდა ამ მცენარეებისა აღინიშნა აგრეთვე მდელოს და რუდერალური ფლორის ელემენტები ცხვირის სატეხელა (*Adonis aestivalis*); რძიანა (*Euphorbia stricta*); ყანის რეზედა (*Reseda lutea*); იონჯა (*Medicago sativa*); ყვითელი ძიძო (*Melulotus officinalis*) არჯაკელი (*Lathyrus sphaerius*) ბუჩქისძირა (*Anagallis arvensis*); ქვათესლა (*Lithospermum arvense*); ხვართქლა (*Convolus cantabrica*); ქერიფქლა (*Verbascum phleoides*); ოროვანდი (*Archtium ssp.*); მინდვრის ია (*Viola arvensis*); ჯადვარი (*Orchis morio*); ბაია (*Ranunculus repens*) ყანის სანთელა (*Melampyrum arvense*); პირწმინდა (*Ajuga chia*), საძოვრები დეგრადირებულია და დასარეველიანებულია. საძოვრების დიდ ნაწილზე განვითარებულია ქვათესლა (*Lithospermium arvense*) ალაგ ალაგ აუზანი (*Artemisia ssp.*) გარდა ამ სახეობებისა საძოვრებზე აღინიშნა ქერიფქლა (*Verbascum phleoides*); კურდღლისფრჩხილა (*Lotus caucasicus*) და წივანა (*Festuca valensiaca*), დასარეველიანებულ მონაკვეთებზე ალაგ ალაგ ფონს ქმნის (*Erigeron anuus*).



სურათი: 6.4-1

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მერქნიანი მცენარეებიდან აღსანიშნავის თეთრი აკაცია (*Robinia pseudoacacia*); გლედისია (*Gleditsia triacanthos*); თუთა (*Morus alba*); ჭერამი (*Prunus armeniaca*); ტყემალი (*Prunus cerasifera*); კვრინჩხი (*Prunus spinosa*); ასკილი (*Rosa canina*); მაყვალი (*Rubus sp.*), ძეძვი (*Paliurus spina cristii*). და სხვა.

სასოფლო სამეურნეო სავარგულების და რკინიგზის იმ მონაკვეთების სიგრძეზე რომელიც დასახლებულ პუნქტებთან ახლოს მდებარეობს მოსახლეობას დარგული აქვს ვაკლის ხეები. ვიზუალური შეფასებით მისი რაოდენობა მერყეობს 200 დან 250 ეგზემპლარამდე.

სოფელ ახალსოფლის მიდამოებში დერეფნის სიახლოვეს აღინიშნა ფიჭვის (*Pinus sp.*) 30-40 ეგზემპლარია. მისი კოორდინატებია X 561364 Y 4628445.

ფაუნა

რეგიონის ბუნება ლიტერატურული წყაროების მიხედვით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიძლება მოიძებნოს ცხოველთა სახეობები: არჩვი, მგელი, მელა, ტურა, ტახი, კურდღელი, სინდიოფალა, მემინდვრია, ჩვეულებრივი თაგვი, ვირთხა და ა.შ. არსებობს ფრინველის უამრავი სახეობა. თევზების შემდეგი სახეობები გვხვდება მდინარეებში: კობრი, მბრწყინავქაცვიანი თევზი, კარჩხალი, ჭანარი, ლოქო, ჭანარი, მურწა, გველგესლა და ა.შ.

ტყის დიდი ნაწილი გაჩეხილია შეშის მოპოვების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის გავლენა უარყოფითად აისახება ტერიტორიაზე, იგი მაინც ხელსაყრელი თავშესაფარია ცხოველებისათვის. მდინარის სიახლოვე, ვაკე რელიეფი, ქვეტყეში - ღია და დაბურული ადგილები შესაფერისად არის მორგებული აქ მოხინაღრე სხვადასხვა სახეობის ცხოველებისათვის.

საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებული ძუძუმწოვრების გამოვლენა ვერ მოხერხდა, არ იქნა აღმოჩენილი ვერც ცხოველის კვალი, ექსკრემენტების ან სხვა ნიშნების პოვნა. ადგილობრივების თქმით, იქ არსებობს უამრავი მგელი - *Canis lupus*, ტურა - *Canis aureus*, ფიჭვის კვერნა - *Martes martes*, პატარა რაოდენობით სინდიოფალა - *Mustela nivalis*, მელა - *Vulpes vulpes*, მაჩვი - *Meles meles*, ევროპული ზღარბი - *Erinaceus concolor*, კავკასიური თხუნელა - *Talpa caucasica*, ტყის პატარა თაგვი - *Sylvaemus uralensis*; თოვლის დროს ადგილობრივ მოსახლეობას უნახავს შველი - *Capreolus capreolus* და ტახი - *Sus scrofa*. მაღალი ანთროპოგენური დატვირთვისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ინტენსიურად ხდება მიმდებარე სახნავი მიწების კულტივირება და მყუდროების დარღვევის ფაქტორი მაღალია, პროექტის არეალი მიმზიდველი არ არის ზემოთ დასახელებული მგრძობიარე სახეობებისთვის. ტერიტორია თავისთავად ხელსაყრელია მხოლოდ მცირე ძუძუმწოვრებისთვის: ზღარბისთვის - (*Erinaceus concolor*), კავკასიური თხუნელასთვის - (*Talpa caucasica*), ტყის პატარა თაგვისთვის - (*Sylvaemus uralensis*);

ფრინველები: კვლევის შედეგად დაფიქსირდა შემდეგი სახეობების ფრინველების გავრცელება რეგიონში: პატარა მყივანა - (*Aquila pomarina*), შვეარდენი - (*Falco biarmicus* VU), ჩვეულებრივი კირკიტა - (*Falco tinnunculus*), ძერა - (*Milvus migrans*), ტყის ბუ - (*Strix aluco*), დიდი ჭრელი კოდალა - (*Dendrocopos major*), პატარა ჭრელი კოდალა - (*Dendrocopos minor*), ჩხიკვი - (*Garrulus grandarius*), ჩვეულებრივი გუგული - (*Cuculus canorus*), ჩვეულებრივი შაშვი - (*Turdus merula*), ქედანი - (*Columba palumbus*), დიდი წიწნია - (*Parus major*), ევრაზიული ნიბლია - (*Troglodytes troglodytes*), ჩვეულებრივი სკვინჩა - (*Fringilla coelebs*), კაჭკაჭი - (*Pica pica*), ჭილყავი - (*Corvus frugilegus*), ყვავები - (*Corvus cornix*), თოლია - (*Larus sp.*), ოფოფი - (*Upupa epops*), ევროპული კვირიონი - (*Merops apiaster*), მწყერი - (*Coturnix coturnix*), და ა.შ. გურჯაანი (ჩუმლაყი) - თელავის საავტომობილო გზის მონაკვეთზე საველე სამუშაოების დროს გამოიკვეთა ფრინველთა შემდეგი სახეობები: ჩხიკვი, შაშვი, ულვაშიანი წიწნია, კაჭკაჭი; მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწების ტერიტორიაზე - მტრედი, ჭილყავი, ყვავი. დიდი ზომის მტაცებელი ფრინველების (განსაკუთრებით

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

წითელი ნუსხის სახეობების) ჰაბიტატი მნიშვნელოვნად არის შეზღუდული მოცემულ ტერიტორიაზე და ისინი არ სახლობენ აქ. თელავი-ურჯაანის (ჩუმლაყის) გზის მონაკვეთი არ წარმოადგენს მნიშვნელოვან სამიგრაციო კორიდორს ფრინველებისთვის და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთი ფრინველი მოხვდება ამ ტერიტორიაზე.

შემდეგი სახეობები უნდა აღინიშნოს ამ რეგიონში გავრცელებული **ამფიბიებისგან**: მწვანე გომბეშო – (*Bufo viridis*), ჩვეულებრივი გომბეშო – (*Bufo bufo*), კავკასიური ჯვაროსანა – (*Pelobates caucasicus*), და ასევე ტყის ბაყაყი – (*Rana rididunda*), რომელთათვისაც ხელსაყრელი საარსებო პირობებია შექმნილი პროექტის ტერიტორიაზე. მდ. ალაზნისა და სხვა მნიშვნელოვანი წყლის ობიექტებიდან მნიშვნელოვანი დამორებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ამფიბიების პოპულაციები დიდი არ უნდა იყოს პროექტის ტერიტორიაზე. ამიტომაც, რომ მათი მომპოვებელი ცხოველების რაოდენობა მცირეა.

თევზი. მდინარე ალაზანში თევზის სახეობების შესახებ ინფორმაცია ეფუძნება ლიტერატურულ მონაცემებსა და ინტერვიუებს ადგილობრივ თემებთან და მეთევზეებთან. მტკნარი წყლების თევზები ფართოდ გავრცელებულია მდინარე ალაზნის მონაკვეთში, რომელიც ესაზღვრება პროექტის ტერიტორიას. მდინარე ალაზანი ზეალმაველი დინების მთის მდინარეა, რომელიც დახრილობის მიხედვით წარმოადგენს კალმახის ეკოსისტემურ ზონას, სადაც ფართო კალაპოტიანი და ნელი დინების მდინარეებისთვის დამახასიათებელი თევზი არის გავრცელებული. მდინარე ალაზანში დაფიქსირდა თევზის შემდეგი სახეობები: ალაზნის ტობი – (*Ghondrostoma nasus*), მბრწყინაქვაცვიანი თევზი – (*Barbus mursa*), ჩვეულებრივი კობრი – (*Cyprinus carpio*), ჭანარი – (*Barbus capito*), სევანის ხრამული – (*Varicorhinus capoeta*), მურწა – (*Barbus barbatus*), ღუნაის თაღლითა – (*Chalcalburnus chalcoides*), კარჩხალი – (*Leuciscus cephalus*), თაღლითა – (*Alburnus filippi*), ნაფოტა – (*Rutilus rutilus*), მდინარის ღოჯა – (*Gobius cephalarges*), ჩვეულებრივი კობრი – (*Cyprinus carpio*), ჭანარი – (*Barbus capito*), ლოქო – (*Silurus glanis*), კალმახი (*Salmo fario*), (ბინადრობს მდინარის ზედა ნაწილში) და ა. შ. ლიტერატურულ წყაროებსა და ადგილობრივი მეთევზეების ინტერვიუებზე დაყრდნობით ზემოქმედების ზონაში არ არსებობს მდინარის კალმახის ჰაბიტატები (ჩადინების ნაკადის პუნქტის ქვემოთ).

უხერხემლო ცხოველები: უხერხემლო ცხოველების შემდეგი ჯგუფები წარმოდგენილია საკვლევი უბნის ფარგლებში: ნემატოდები – (*Nematoda*, *Oligocheta*), წურბელები – (*Hirudinea*), მოლუსკები – (*Mollusca*), კიბოსებრნი, არახნიდები და მწერები – (მწერი)

6.5 დაცული ტერიტორიები

საკვლევი დერეფნის მიმდებარე ტერიტორიაზე არანაირი დაცული ტერიტორია არ არსებობს.

საპროექტო გზის ტერიტორია დასაწყისში ქალაქ თელავთან ცივ-გომბორის ქედის მცენარეული მრავალფეროვნება როგორც სახეობრივი შემადგენლობით ასევე არსებული თანასაზოგადოებების სტრუქტურით მჭირდოთ არის დაკავშირებული როგორც კახეთის კავკასიონის ასევე ცენტრალური კავკასიონის საშუალო მთიანი ზონასთან და გარკვეულ წილად ზემოდ დასახელებულ ორ ზონას შორის გარდამავალი პოზიცია უკავია.

ცივ-გომბორის ქედი ჩრდილო დასავლეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთის მიმართულებით არის გადაჭიმული და მისი სიგრძე დაახლოებით 100 კმ ია.

გეობოტანიკური თვალსაზრისით ის მოქცეულია აღმოსავლეთ საქართველოს გეობოტანიკური არის, კახეთის გეობოტანიკური რაიონში. ქედი ხასიათდება საშუალო მთიანი რელიეფით და ტერიტორიის 95% დაფარულია ტყეებით, მხოლოდ თხემურ და კიდევ რამდენიმე მონაკვეთზე წარმოდგენილია მეორეული

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

სუბალპური მდებლობით. მცენარეულობის გავრცელების დაკავშირებულია ფერდობების ექსპოზიციასთან: მაგ ჩრდილო/შიდა კახეთისკენ მიქცეული/ ფერდობები უფრო ტენიანია და შესაბამისად დიდი გავრცელება აქვს წიფელს/*Fagus orientalis*/, მნიშვნელოვანია ასევე ცრხილის/*C arpinus caucasica*/წილი. სხვა ტყის შემქნელი სახეობებიდან აღსანიშნავია მინდვრის ნეკერჩხალი, იფანი, ქორაფი, ქართული მუხა, მაღალმთის მუხა და სხვა. უნდა აღინიშნოს რ ომ ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო ფერდობზე, რამოდენიმე ტენიან ადგილსამყოფელში/ღრმა ხეობებში აღნიშნულია კოლხურის ფლორის ელემენტები და კოლხური ტიპის ტყის თანასაზოგადოებები მაგ კისისხევის ხეობაში, სათლიანის ხეობაში და სხვა. სამუხაროდ დღეს ცივ-გომბორის ქედი განიცდის ადამიანის მხრიდან. ქედის კალთების ძირი მჭიდროდ არის დასახლებული და ასევე სრულიად ათვისებულია სასოფლო სამეურნეო სავარგულებით და ფერმებით.

საკვლევი არეალის მიმდებარედ, ცივ გომბორის ქედის შესაბამისი მონაკვეთი წარმოადგენს ყველაზე მეტად ათვისებულ და უკვე დეგრადირებულ ტყის და მეორეული ტყე-ველის გავრცელების არეალს შეიძლება ითქვას რომ კონსერვაციული ღირებულების მცენარეთა სახეობები და თანასაზოგადოებები არ არსებობს. ზონა წარმოდგენილია დასარეგულირებელი და დეგრადირებული საძოვრებით, მეორადი დაბალი წარმადობის ტყის მონაკვეთებით, მეორეული ველებითა და რუდერალური მცენარეულობით.

როგორც ბერნის კონვენციის საკონტრაქტო მხარემ, საქართველომ განსაზღვრა რიგი საკანდიდატო არეალებისა, რომლებიც გვერდზე უნდა გადაიდოს ეროვნული "ზურმუხტის ქსელის" ფარგლებში, - ეკოლოგიური ქსელისა, რომელიც შედგება განსაკუთრებული კონსერვაციის ინეტერესის არეალებისაგან (ASCIs). ეს სპეციალური კონსერვაციის ინეტერესის არეალები (ASCIs) წარმოადგენენ არეალებს, რომელთაც გააჩნიათ ნიშანდობლივი ღირებულება, რომელსაც გააჩნია პოტენციური ხელი შეუწყოს ან აღადგინოს სახეობები და ჰაბიტატები კონსერვაციის ხელსაყრელ სტატუსამდე, განსაკუთრებით ქვემოთ ჩამოთვლილისთვის:

- საფრთხის ქვეშ მყოფი, ენდემური და მიგრაციული სახეობები, მკაცრად დაცული ბერნის კონვენციით;
- საფრთხის ქვეშ მყოფი და სამაგალითო ჰაბიტატების სახეობები, აგრეთვე სხვადასხვა ჰაბიტატის სახეობების მოზაიკა;
- მიგრირებადი სახეობები, რომლებიც ევროპის ქვეყნების საერთო მემკვიდრეობაა.

ბერნის კონვენციის მონაწილე ქვეყნების მონაწილეობით განსაზღვრული განსაკუთრებული კონსერვაციის ინეტერესის არეალები (ASCIs) წარმოადგენს ისეთ არეალებს, რომლებიც მეცნიერული შეფასებით აკმაყოფილებს სახეობებისა და ჰაბიტატების კონსერვაციის კრიტერიუმებს. ეს ის შემთხვევებია, როდესაც:

- სახეობები და ჰაბიტატები საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი გავრცელების მასშტაბის, მრავალფეროვნების და კონსერვაციის განსაკუთრებული საჭიროებების მიხედვით ამ ტერიტორიებზე;
- ეს ტერიტორიები მოიცავს ჰაბიტატის ტერიტორიისა და სახეობების პოპულაციის მნიშვნელოვან პროპორციებს საერთო ეროვნულ რესურსებთან შედარებით.

საპროექტო ტერიტორია სიახლოვედ გადის და არ კვეთავს "ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ" (ბერნის) კონვენციის შესაბამისად შექმნილ "ზურმუხტის ქსელის" შეთავაზებულ საიტს (გომბორი - GE000027). საავტომობილო გზების დეპარტამენტის მონაცემებით თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყის) საპროექტო გზა ქალაქ თელავთან არის სიახლოვეს დაახლოებით 10-15მ დაშორებით აღნიშნულ საკანდიდატო ტერიტორიასთან და შემდგომ მანძილი შორდება.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

6.6 სოციო-ეკონომიკური სიტუაცია

6.6.1 ზოგადი

თელავის მუნიციპალიტეტი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის მხარეში. მისი ფართობია 1095 კვ. კმ. მას ჩრდილოეთით და დასავლეთით ესაზღვრება ახმეტის მუნიციპალიტეტი (ფართობი 2208 კვ.კმ.), ჩრდილო-აღმოსავლეთით დაღესტნის რესპუბლიკა, აღმოსავლეთით ყვარლის მუნიციპალიტეტი (ფართობი 1000 კვ.კმ.), სამხრეთ-აღმოსავლეთით გურჯაანის მუნიციპალიტეტი (ფართობი 846 კვ.კმ.) და სამხრეთ-დასავლეთით საგარეჯოს მუნიციპალიტეტი (ფართობი 1491 კვ.კმ.).

1917 წლამდე თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა თბილისის გუბერნიის თელავის მაზრაში, 1930 წლიდან კი ჩამოყალიბდა ცალკე რაიონად. მას 2006 წლიდან ეწოდა „მუნიციპალიტეტი“, ხოლო 2014 წლიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო ქალაქი „თელავი“. იგი კახეთის მხარის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს. მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი კალთის ძირას და ალაზნის ვაკეზე - ზღვის დონიდან 550-800 მ, თბილისიდან 158 კმ. მანძილზე. ქალაქად გამოცხადდა 1801 წელს.

თელავის მუნიციპალიტეტში 30 დასახლებული პუნქტია, მათ შორის სოფლები: ლაფანყური, ნაფარეული, სანიორე, ფშაველი, ართანა, ლეჩური, ლალისყური, თეთრი წყლები, პანტიანი, იყალთო, ვარდისუბანი, რუისპირი, ყარაჯალა, გულგულა, კურდღელაური, შალაური, ნასამხრალი, კისისხევი, კონდოლი, წინანდალი, ქვემო ხოდაშენი, ბუშეთი, ვანთა, აკურა.

საპროექტო საავტომობილო მაგისტრალის სიახლოვეს განლაგებულია თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლები: კონდოლი, აკურა.

სოფელი კონდოლი მდებარეობს ალაზნის ვაკეზე მდინარე „კისისხევის“ მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 460 მეტრზე, თელავიდან 6 კილომეტრში.

სოფელი აკურა მდებარეობს გომბორის ქედის აღმოსავლეთ ფერდობის ძირში, მდინარე ვანთისხევის ნაპირზე 12 კმ. თელავიდან, და 60 კმ-ში თბილისიდან.

გურჯაანი არის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული კახეთის მხარეში. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე შედიოდა თბილისის გუბერნიის თელავის მაზრაში, 1921 წლიდან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით იგი შედიოდა თელავის მაზრაში, 1930 წლიდან კახეთის ოლქში წარმოდგენდა დამოუკიდებელ რაიონს, შემდეგ ცალკე რაიონად ჩამოყალიბდა და ამჟამად მუნიციპალიტეტს წარმოადგენს.

გურჯაანის მუნიციპალიტეტს საზღვრავს ხუთი ადმინისტრაციული მუნიციპალიტეტი: დასავლეთით - საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-აღმოსავლეთით - სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო-დასავლეთით - თელავის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით - ყვარლის მუნიციპალიტეტი, ხოლო აღმოსავლეთით - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი. კახეთის მხარის ფარგლებში გურჯაანის მუნიციპალიტეტი ყველაზე პატარა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია. მისი ფართობია 846,0 კმ². სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 39 430 ჰა უკავია, ხოლო ტყით დაფარული საერთო ფართი შეადგენს 27 730 ჰა-ს. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი გურჯაანი.

საპროექტო საავტომობილო მაგისტრალის სიახლოვეს განლაგებულია გურჯაანის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლები: ჩუმლაყი (მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ მთისწინეთზე).

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ზღვის დონიდან 420 მეტრი, გურჯაანიდან 4 კილომეტრი) და ველისციხე (მდებარეობს ალაზნის ვაკეზე, მდინარე ჭერმისხევის ნაპირას, ზღვის დონიდან 380 მეტრზე, გურჯაანიდან 11 კილომეტრში).

6.6.2 მოსახლეობა

2017 წლის მონაცემებით (საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ოფიციალური ვებ გვერდის მონაცემებით) თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 71000 ადამიანს (რაც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 1.9% შეადგენს), მაშინ, როდესაც 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად, ოფიციალური მონაცემებით, თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენდა 38 721 ადამიანს.

საქართველოს მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები											
	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრისათვის (ათასი კაცი)	4 394.7	4 382.1	4 385.4	4 436.4	4 469.2	4 497.6	4 483.8	4 490.5	3 713.7	3 720.4	3 718.2

მათ შორის თელავის მუნიციპალიტეტში: (რაც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 1.9% შეადგენს)

წელი	მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრისათვის (ათასი კაცი)
2007	70.4
2008	70.0
2009	69.8
2010	70.5
2011	71.0
2012	71.2
2013	70.9
2014	70.9
2015	58.3
2016	38.7
2017	38.6

2017 წლის მონაცემებით (საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ოფიციალური ვებ გვერდის მონაცემებით) თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 70000 ადამიანს (რაც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 1.8% შეადგენს), მაშინ, როდესაც 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად, ოფიციალური მონაცემებით, თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენდა 54 337 ადამიანს.

საქართველოს მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები											
	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრისათვის (ათასი კაცი)	4 394.7	4382.1	4 385.4	4 436.4	4 469.2	4 497.6	4483.8	4490.5	3713.7	3 720.4	3 718.2

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მათ შორის გურჯაანის მუნიციპალიტეტში:	
წელი	მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრისათვის (ათასი კაცი)
2007	70.5
2008	70.2
2009	69.9
2010	69.9
2011	69.9
2012	69.7
2013	69.2
2014	69.0
2015	54.3
2016	53.9
2017	53.6

შენიშვნა: აღნიშნული მონაცემები ეფუძნება 2014 წლის 5 ნოემბრის საყოველთაო აღწერის შედეგებს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ მონაცემებს და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ოფიციალური ვებ გვერდის მონაცემებს.

დასაქმება

ოფიციალური მონაცემებით, 2017 წლის 1 იანვრისთვის კახეთის რეგიონში არის რეგისტრირებული 651 392 ეკონომიკური სუბიექტი, ხოლო უმუშევრობის დონე 2016 წლის უკანასკნელი მონაცემებით 11.8 %-ია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ამ რეგიონში მოსახლეობის უმეტესობა თვითდასაქმებულია. ასეთია ძირითადად სოფლის მოსახლეობა, ვისაც საკუთრებაში ან სარგებლობაში აქვს საკმარისი რაოდენობის მიწის ნაკვეთი (დაახლოებით 1 ჰა). ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობების მიხედვით კახეთის რეგიონში 2006-2016 წლების მონაცემებით შემდეგია:

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	214.9	208.0	205.3	206.9	196.0	195.0	199.7	196.4	196.3	192.0	192.7
დასაქმებული	201.0	197.1	186.2	184.1	174.2	177.6	186.6	183.9	186.2	180.7	182.3
დაქირავებული	46.3	42.0	44.3	48.0	44.8	41.8	44.2	47.2	45.6	53.2	49.7
თვითდასაქმებული	154.6	155.0	141.5	136.0	129.3	135.8	142.4	136.6	140.6	127.4	132.5
გაურკვეველი	0.1	0.0	0.4	0.1	0.1	0.0	0.0	0.1	0.0	0.1	0.1
უმუშევარი	13.9	10.9	19.1	22.8	21.8	17.4	13.1	12.5	10.1	11.3	10.4
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	90.7	78.7	86.7	86.7	81.0	82.7	78.4	73.4	76.4	77.1	71.6
უმუშევრობის დონე (პროცენტებში)	6.5	5.3	9.3	11.0	11.1	8.9	6.5	6.4	5.2	5.9	5.4
აქტიურობის დონე (პროცენტებში)	70.3	72.5	70.3	70.5	70.8	70.2	71.8	72.8	72.0	71.4	72.9
დასაქმების დონე (პროცენტებში)	65.8	68.7	63.8	62.7	62.9	64.0	67.1	68.2	68.3	67.1	69.0

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

საპროექტო საავტომობილო გზის სიახლოვეს მდებარე სოფლების მოსახლეობა ძირითადად თვითდასაქმებულია. უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია. სოფლებში არსებული სავენახე მეურნეობები, როგორც წესი, ეკუთვნით ღვინისმწარმოებელ კომპანიებს. მართალია აღნიშნული კომპანიები ასაქმებენ ადგილობრივ მოსახლეობას, მაგრამ არა იმ რაოდენობით, რომ სოფლის მაცხოვრებლებს არ დასჭირდეთ დამატებითი შემოსავლის მოძიება. როგორც წესი, ეს შემოსავალი გამოიხატება საავტომობილო გზის პირას ვაჭრობაში. ადგილობრივ მოსახლეობას ძირითადად გასაყიდად გამოაქვს საკუთარ მიწის ნაკვეთებზე მოყვანილი პროდუქცია. ამასთან, გზის პირზე განთავსებულია რამდენიმე საზოგადოებრივი კვების ობიექტი.

მრეწველობა

კახეთის რეგიონში წამყვანი დარგია მევენახეობა, ამ კუთხით გამონაკლისი არც თელავის და გურჯაანის მუნიციპალიტეტებია. განვითარებულია აგრეთვე მებაღეობა, მარცვლეულის წარმოება, მებოსტნეობა, ეთერზეთოვანი კულტურების, ხორცისა და რძის წარმოება. მნიშვნელოვანი საწარმოებია ღვინის ქარხნები, კვების და მსუბუქი მრეწველობის ობიექტები. მოსახლეობის ძირითადი შემოსავლის წყარო არის მევენახეობა, თუმცა სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების უმრავლესობა წარმოადგენს კერძო კომპანიების საკუთრებას ან აღნიშნულ კომპანიებს გრძელვადიან მფლობელობაში აქვთ მიწის დიდი ფართობები და ეწევიან ღვინის წარმოებას. ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი დასაქმებულია საწარმოებში, მაგრამ მაინც ესაჭიროებათ დამატებითი შემოსავალი.

მუნიციპალიტეტის სამრეწველო საწარმოებიდან აღსანიშნავია „შუმი“-ს ღვინის ქარხანა, რომელიც მდებარეობს თელავსა და სოფელ კონდოლს შორის, ასევე დიდ ტერიტორიაზე ამ კომპანიის მიერ გაშენებული ვენახებიც.

არ შეიძლება არ აღინიშნოს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მუკუზანში მდებარე ვენახები (ზღვის დონიდან 450 მ-ზე) გურჯაანიდან 12 კმ-ში ამ ადგილისა და სოფლის სახელწოდების წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა ვერსიები არსებობს: გადმოცემის თანახმად, ირანის შაჰს - შაჰ-აბას I-ს მუკუზანი ისე გაუნადგურებია და გადაუწვავს, რომ სოფელში შემოსულ მეფე გიორგის უთქვამს: „სპარსელებს მუკუზალიც არ დაუტოვებიათ“. შესაძლოა სწორედ აქედან მოდის ამ ადგილის სახელწოდებაც. ღვინო "მუკუზანი" 1888 წლიდან იწარმოება. კარგ "მუკუზანს" უნდა ქონდეს 10.5-12.5% ალკოჰოლი და მჟავიანობის 6.0-7.0% ტიტრაცია. ამ ლეგენდარულ ქართულ ღვინოს სხვადასხვა წლებში მოპოვებული აქვს მრავალი საერთაშორისო მედალი. იგი გამოირჩევა მუქი წითელი ფერით, სურნელში იგრძნობა მუხისა და კენკროვანის ტონები. მუკუზანს უხდება ტრადიციული ქართული ტკბილეული და შემწვარი ხორცისგან მომზადებული კერძები.

თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში არის მოქმედი ხე-ტყის დამამუშავებელი რამდენიმე მცირე საწარმო, რომელიც განლაგებულია ასევე მცირე ტერიტორიებზე, თუმცა დიდი დატვირთვით ეს საწარმოები ამჟამად არ მუშაობენ.

მოსახლეობის ძირითადი შემოსავლის წყარო მაინც თვითდასაქმებაა. არიან ოჯახები, რომლებსაც ძალზე დიდი ტერიტორიები აქვთ საკუთრებაში და მოყავთ საზამთრო დიდი რაოდენობით. ადგილობრივი მოსახლეობა ვაჭრობს ძირითადად ხილით (ზაფხულში) და ნიორით, გოგორით და სხვ. (ზამთარში). ისინი ამარაგებენ როგორც ადგილობრივ სავაჭრო ობიექტებს სეზონური ნაწარმით, ასევე პროდუქცია გააქვთ შედარებით დიდი ქალაქებში, თუმცა აღნიშნული საქმიანობა სეზონურია და მთელი წელი სტაბილურ შემოსავალს არ იძლევა. ამასთან, კახეთის რეგიონში ხშირი გვალვების გამო მოსახლეობას უჭირს მომდევნო წლისთვის რაიმე პროგნოზის გაკეთება შემოსავლის კუთხით, აქედან გამომდინარე, მოსახლეობა ცდილობს დასაქმდეს კერძო სექტორში სტაბილური შემოსავლის მიღების მიზნით, რაც არც თუ ისე ადვილია რეგიონში.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

კახეთის რეგიონში მრავლად არის მცენარეთა მოვლის საშუალებების მაღაზიები (ძირითადად თელავის მუნიციპალიტეტში). ასეთები არის თითქმის ყველა სოფელში, ზოგან რამდენიმეც, თუმცა კლიენტთა სიმცირის გამო ხშირად მეპატრონეები არ არიან ადგილზე, რომ გამვლელებს საჭიროების შემთხვევაში გაუჭიონ მომსახურება. როგორც ჩანს აღნიშნული ობიექტები გათვლილია ადგილობრივ მოსახლეობაზე და მუშაობს მოთხოვნის შესაბამისად.

ძირითად შემოსავალს, როგორც უკვე აღინიშნა, მაინც წარმოადგენს თვითდასაქმება, რაც ძირითადად გამოიხატება გარე ვაჭრობაში, საავტომობილო გზის პირას. თელავის მუნიციპალიტეტის გარე მოვაჭრეთა უმრავლესობა ზამთრის პერიოდის დადგომისთანავე იწყებს ჩურჩხელების გაყიდვას, რაც ძირითადად გათვლილია გამვლელებზე. თუმცა მცირე ბიზნესის ან რაიმე სანარმოს სახით აღნიშნული „ბიზნესი“ ჩამოყალიბებული არ არის მითითებულ ტერიტორიაზე.

საპროექტო დერეფნის სიახლოვეს რაიმე სანარმოო ობიექტები განთავსებული არ არის. ზოგ ადგილებში შესაძლებელია საავტომობილო გზამ გაიაროს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე, რომლებზეც გაშენებულია ახალგაზრდა ვენახები.

სოფლის მეურნეობა

პირუტყვისა და ფრინველის სულადობა კახეთის რეგიონში, წლის ბოლოსათვის (ათასი სული)

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა (კამეჩის ჩათვლით)	97.0	87.5	89.2	82.8	87.2	94.1	105.7	123.2	110.0	110.6	97.2
ფურისა და ფურკამეჩის სულადობა	52.3	43.9	49.3	48.2	47.3	49.4	53.9	63.0	58.0	60.7	49.3
ღორის სულადობა	46.8	7.4	10.4	22.8	14.6	15.3	25.5	35.3	30.1	27.3	25.5
დედა ღორის სულადობა	10.2	1.2	2.5	4.6	2.5	5.3	7.2	8.2	5.8	5.9	5.1
ცხვრის სულადობა	266.1	313.9	300.2	269.4	276.0	294.3	368.5	468.6	494.1	474.4	482.0
დედა ცხვრის სულადობა	176.8	196.2	174.6	181.4	188.2	199.2	262.6	335.8	388.2	327.4	369.3
თხის სულადობა	11.8	14.4	14.3	15.7	14.3	16.1	16.2	20.8	16.9	13.8	23.3
დედა თხის სულადობა	7.4	9.8	9.7	10.7	9.0	11.1	10.9	13.6	11.5	8.6	17.3
ყველა სახის ფრინველის რაოდენობა (ათასი ფრთა)	878.7	804.8	1,004.4	1,088.5	1,088.0	1,025.4	945.4	1,117.2	1,177.5	1,201.7	1,186.8
ფუტკრის ოჯახების რაოდენობა (ათასი სკა)	28.6	41.7	57.4	52.9	39.0	37.3	34.4	46.9	35.7	45.4	45.4

შენიშვნა: 2006-2015 წლების გამოკვლევების შერჩევის ბაზის ძირითად წყაროს წარმოადგენდა 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ხოლო 2016-2017 წლების გამოკვლევების შერჩევის ბაზა განახლდა და დაეფუძნა 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერას. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2014-2017 წლების მაჩვენებლების შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა 2014 და 2015 წლების მონაცემების გადაანგარიშება. შესაბამისად, 2014-2017 წლების მონაცემები შესადარისი არ არის 2006-2013 წლების მონაცემებთან.

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება კახეთის რეგიონში (ათასი ტონა)

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ხორცის წარმოება, სულ	12.2	10.5	8.8	8.3	7.8	7.3	7.9	9.1	9.8	10.6	9.6
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება	4.7	3.3	3.0	4.1	2.5	2.5	2.5	3.0	2.5	2.5	3.1
ღორის ხორცის წარმოება	3.3	2.7	1.2	0.9	1.8	1.5	2.2	3.2	3.7	3.8	2.5
ცხვრისა და თხის ხორცის წარმოება	2.9	3.1	3.3	1.8	2.1	1.9	1.3	1.4	2.3	2.6	2.6

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ფრინველის ხორცის წარმოება	1.3	1.4	1.3	1.5	1.4	1.4	1.8	1.3	1.2	1.5	1.3
რძის წარმოება (მლნ. ლიტრი)	40.0	40.9	42.6	39.5	42.2	45.2	46.6	54.3	56.0	60.1	53.7
ფურისა და ფურკამეჩის რძის წარმოება (მლნ. ლიტრი)	37.4	37.9	40.0	36.9	39.5	42.3	43.2	49.5	50.6	54.8	48.5
ცხვრისა და თხის რძის წარმოება (მლნ. ლიტრი)	2.6	3.0	2.6	2.6	2.7	2.9	3.4	4.8	5.4	5.3	5.2
კვერცხის წარმოება (მლნ. ცალი)	45.0	60.5	67.9	65.0	60.4	83.0	85.0	87.6	92.2	101.4	115.9
მატყლის წარმოება (ათასი ტონა)	0.7	0.8	0.8	0.8	0.6	0.8	0.8	0.9	1.2	1.4	1.1
თაფლის წარმოება (ათასი ტონა)	0.3	0.3	0.4	0.1	0.5	0.4	0.5	0.6	0.6	0.7	0.8

შენიშვნა: აღნიშნულ ცხრილზე ვრცელდება პირველი ცხრილის შენიშვნა.

როგორც ცხრილებიდან ჩანს კახეთის რეგიონში საკმაოდ განვითარებულია მეცხოველეობა, თუმცა თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში, საავტომობილო დერეფნის სიახლოვეს არ არის რაიმე ფერმერული მეურნეობები. როგორც აღინიშნა ამ მიდამოებში მოსახლეობის შემოსავლის დიდი ნაწილი სწორედ სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციით ირჩენს თავს. ახალი საავტომობილო გზის სიახლოვეს (აკურა, კონდოლი, ველისციხე, ჩუმლაყი), ძირითადად მოსახლეობას მონყობილი აქვს გარე ვაჭრობის დახლები, რომლებზეც ყოფიან საქონლისა და ღორის ხორცს. აქ ფაქტიურად არ არსებობს გადამამუშავებელი მრეწველობა და საშუალო ან/და მსხვილი ტიპის მეურნეობები. გარე მოვაჭრეები ძირითადად ამარაგებენ ადგილობრივ მოსახლეობას, იშვიათად არის შემთხვევები, როცა გზაზე გამვლელი საქართველოს მოქალაქე ან ტურისტი ყიდულობს გზის პირას არსებულ სავაჭრო დახლზე ხორცსა თუ სხვა სამურნეო ნაწარმს.

ტურიზმი

მუნიციპალიტეტების ეკონომიკაში მნიშვნელობანი ადგილი უჭირავს ტურიზმს. ამას ხელს უწყობს მის ტერიტორიაზე არსებული სოფელი წინანდალი, რომელიც მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთის ძირას, ზღვის დონიდან 560 მ. თელავიდან 10 კილომეტრში. სოფელი ცნობილია იმით, რომ აქ მდებარეობს ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი და XIX საუკუნის უნიკალური ღვინის მარანი. ასევე თელავთან ახლოს მდებარეობს სასტუმრო „შატო მერე“, რომელიც მრავლად მასპინძლობს უცხოელ ტურისტებს თუ ქართველ დამსვენებლებს. ასევე კახეთის რეგიონში და კონკრეტულად თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში მრავლად არის ძველი ისტორიული თაძრები და სამონასტრო კომპლექსები, რომლებიც იწვევს ტურისტების ინტერესს სიძველისა და არქიტექტურული ღირებულების გამო. თუმცა საპროექტო არეალი ტურისტული თვალსაზრისით ნაკლებად საინტერესოა და ღირებული. აქ არ გადის ტურისტული მარშრუტები და წარმოდგენილი არ არის საერთაშორისო მნიშვნელობის ისტორიულ-კულტურული ძეგლები და ტურისტული ობიექტები (თაძრები, სახლმუზეუმები, სასტუმრო, რესტორნები, და სხვ.).

6.7 ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 34 სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, 7 საშუალო პროფესიული, 33 ბიბლიოთეკა, 2 თეატრი (ვაჟა-ფშაველას სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრი) და 2 მუზეუმი (ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი), 5 სამუსიკო სკოლა. ასევე აქ მდებარეობს ბევრი ხუროთმოძღვრების ძეგლი, რომლებიდანაც აღსანიშნავია იყალთოს სამონასტრო კომპლექსი, რომელიც დაარსებულია ერთ-ერთი ასურელი მამის ზენონ იყალთოელის მიერ VI საუკუნეში. ასევე ძველი შუამთის

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მონასტერი, რომლის კომპლექსში შედის V საუკუნის ბაზილიკა, გუმბათოვანი და მცირე გუმბათოვანი ეკლესია. XVI საუკუნეში ძველი შუამთის მონასტერი დაცარიელდა. მის მახლობლად კახთა მეფის ლევან II -ის მეუღლემ თინათინ გურიელის ასულმა დააარსა შუამთის ახალი მონასტერი. სოფელ კისისხევში დგას უძველესი (VI-VII სს) ღვთისმშობლის ეკლესია. სოფელ აკურას მიდამოებშია მამადავითის მონასტერი. სოფელ რუისპირში ასევე შემონახულია ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში 32 სახელმწიფო და 1 არასახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, 1 საშუალო პროფესიული და 1 უმაღლესი სასწავლებელი (თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის კახეთის ფილიალი სოფ. ბაკურციხეში), 34 ბიბლიოთეკა, 5 თეატრი და 5 მუზეუმი. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემორჩენილია საკმაოდ ბევრი ისტორიულ არქიტექტურული ძეგლი. მათგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია VIII-IX სს გურჯაანის ყველაწმინდა. მნიშვნელოვანია ასევე ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი ყველაწმინდის მონასტერი, რომელიც მდებარეობს სოფელ ვაჩნაძიანიდან რამდენიმე კმ-ის მოშორებით. სოფელ ვეჯინთან ახლოს დგას ციხესიმაგრე, რომელიც რიყის ქვითაა აგებული. ციხის შიგნით რამდენიმე ეკლესიაა, რომელთაგან აღსანიშნავია აღდგომის ამაღლებისა და წმინდა მარიამის ეკლესიები. სოფელ კარდანახში შემონახულია XIII ს. საბაწმინდის ეკლესია. ჭერემთან ახლოს დგას ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი „წვერდაბალი“, აქვეა ნაქალაქარი. ასევე გურჯაანის მუნიციპალიტეტშია ვაზისუბნის სამნავიანი ბაზილიკა, მონასტერი „სანავირე“ და სხვა.

მიუხედავად თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში მდებარე უამრავი ისტორიულ-კულტურული ძეგლისა, საპროექტო დერეფნის მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის წარმოდგენილი არცერთი ისტორიული ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი. უახლოესი ისტორიული ძეგლი განთავსებულია სოფელ აკურაში, რომელიც საპროექტო ზონიდან საკმაოდ მოშორებით არის და პროექტს მათზე ზეგავლენა არ ექნება.

7. გარემოზე ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები

წინამდებარე გზმ მოიცავს მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზების დროს დადებითი და უარყოფითი გარემოსდაცვითი, სოციალური და კულტურული ზემოქმედების იდენტიფიკაციასა და გაზომვას. იგი დაფუძნებულია საწყის ინფორმაციაზე, საპროექტო დოკუმენტებზე და წინასწარ განსაზღვრულ შეფასების რაოდენობრივ და ხარისხობრივ კრიტერიუმებზე.

7.1 ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე

7.1.1 ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება მშენებლობის ეტაპზე

მშენებლობის ფაზაზე საპროექტო არეალში წარმოდგენილი იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების სხვადასხვა ტიპის წყაროები.

გაფრქვევის სტაციონალური წყაროები შეიძლება იყოს სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო, ბეტონის კვანძი. მათი ფუნქციონირების შემთხვევაში ატმოსფერული ჰაერის მთავარი დამაბინძურებელი იქნება არაორგანული მტვერი. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების მოძრავი წყაროები იქნება სამშენებლო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები (ბულდოზერები, ექსკავატორები, სატვირთო მანქანები და სხვ.). არაორგანული მტვერის გაფრქვევას ასევე ადგილი ექნება ინტენსიური მიწის სამუშაოების და ინერტული მასალების/ფუჭი ქანების მართვის პროცესში.

სამშენებლო სამუშაოების მოსახურებისათვის გამოყენებული იქნება შესაბამისი სამშენებლო ინფრასტრუქტურა, რომელთა მოწყობა დაგეგმილია მშენებლობის ფაზაზე. სამშენებლო ინფრასტრუქტურა მოიცავს: ბეტონის კვანძს, სანვავით გასამართ პოსტს შესაბამისი რეზერვუარებით, საშემდებლო დანადგარებს, სამსხვრევ-დამხარისხებელ საამქროს, სატვირთო მანქანების სადგომს, დიზელის რეზერვუარებს და ლენტურ ტრანსპორტიორს და სხვა.

აღნიშნულის შესაბამისად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროები წარმოდგენილი იქნება ორგანიზებული და არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროების სახით. სახელდობრ: ორგანიზებული წყარო-ცემენტის სილოსები და სანვავის რეზერვუარები. არაორგანიზებული სატვირთო მანქანების სადგომი, სამსხვრევ-დამხარისხებელ საამქრო და ლენტური ტრანსპორტიორი. წინამდებარე თავში აღწერილია ემისიები დასახლებული პუნქტის მახლობლად ბანაკის განთავსების შემთხვევაში (უარესი სცენარი).

ბეტონის საწარმოო საამქრო

ბეტონის საწარმოო საამქრო გათვალისწინებულია მყარი და გადასატანი ბეტონის მასის დასამზადებლად. იგი წარმოადგენს ასანყობ სტაციონარულ ნაგებობას. ნაგებობის კომპლექსში შედის: ბეტონმემრევი, ინერტული მასალების მიწოდების სისტემა, პნევმოსისტემა, ავტომატური მართვის სიტემა და ოპერატორის კაბინა.

ბეტონმემრევი შედგება შიდა ამწე მოწყობილობების, ასევე ტრანსპორტიორებისა და ლენტური კონვეიერებისაგან, რაც უზრუნველყოფს ინერტული მასალების ავტომატურ მიწოდებას.

ინერტული მასალების დოზირების სისტემა შედგება შემგროვებელი ბუნკერისა და ავტომატური დოზატორისაგან. დოზატორი აღჭურვილია ზუსტი დოზირებისა და მიწოდების სისტემით, რაც უზრუნველყოფს ბეტონის მასის ავტომატურ კორექტირებას.

წყლისა და დანამატის (იმყოფება თხევად ფაზაში) მიწოდების სისტემა მოიცავს დამაბალანსებელ კამერას, რაც უზრუნველყოფს ზუსტ განზავებას. სისტემა აღჭურვილია ანტიკოროზიული სატუმბი მოწყობილობით.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მართვის სისტემა ავტომატურია. გააჩნია თანამედროვე კომპიუტერული კონტროლერი, რაც უზრუნველყოფს ავტომატურ მართვას ბეტონის მომზადების პროცესში, ასევე წყლის რაოდენობის ავტომატურ კორექტირებას.

სილოსებში ცემენტის ჩატვირთვა (აღჭურვილია ქსოვილის ფილტრით), ტრანსპორტირება და ცემენტის მასის მომზადება განხორციელდება ჰერმეტიკულად დაცულ პირობებში, რაც შეამცირებს ატმოსფეროს დაბინძურებას.

ბეტონის დამამზადებელი საწარმოები (ბეტონის კვანძი) გამოირჩევიან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მცირე მოცულობით, რადგან ბეტონის დამამზადების პროცესი ბუნებრივად ტენიანი ინერტული მასალებისა და ცემენტის შერევის შემდეგ ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს სველი მეთოდით.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროებს წარმოადგენენ შემდეგი ტექნოლოგიური პროცესები და დანადგარები:

ინერტული მასალების დამუშავება, სატვირთო ავტომობილების სადგური, დიზელის რეზერვუარი, ლენტური ტრანსპორტიორები და ცემენტის სილოსები.

ფაქტიური ტენიანობა ხრეშისა მერყეობს 9-10%-ის ფარგლებში, ხოლო ქვიშის > 10% .

საწარმოში დამონტაჟდება 2 ცემენტის სილოსი-საერთო მოცულობით 100 ტ.(აღჭურვება სათანადო ფილტრით). ღია საწყობები ქვიშისა და ხრეშისათვის (თვითუელის ფართი- 300 მ²);

ლენტური ტრანსპორტიორების საერთო სიგრძე-20მ; სიგანე-1,0მ.

ემისიის გაანგარიშება შესრულებულია სახარჯი მასალების მაქსიმალური მნიშვნელობებისათვის. ბეტონის მიღების რეცეპტურა (1მ³-ისათვის) შემდეგია: ქვიშა- 650კგ; ხრეში-1100 კგ; ცემენტი-420 კგ;

ბეტონშემრევის მაქსიმალური საპასპორტო წარმადობა შეადგენს 50 მ³/სთ-ს. მაქსიმალური წლიური სავარაუდო წარმადობა ორცვლიანი მუშაობისას (16 სთ) შეფასებულია 4000 სთ/წელ. მუშაობის პირობებისათვის. წლიური გამომუშავება შესაბამისად იქნება: 50 მ³/სთ * 4000სთ/წელ = 200,0ათ.მ³/წელ.

ცემენტის მიღება მოხდება უშუალოდ მომწოდებლებისაგან. ინერტული მასალების მიღება მოხდება ლიცენზირებული კარიერებიდან, გამომდინარე წლიური წარმადობიდან განსაზღვრულია მასალების მაქსიმალური ხარჯი:

$$\text{ქვიშა- } 0,65\text{ტ} \times 50 \text{ მ}^3/\text{სთ} \times 4000\text{სთ}/\text{წელ} = 130 \text{ ათ.ტ}/ \text{წელ.}$$

(ქვიშის ტენიანობა აღემატება 3%-ს, შესაბამისად ემისია არ გაიანგარიშება).

$$\text{ხრეში- } 1,10 \text{ ტ} \times 50 \text{ მ}^3/\text{სთ} \times 4000\text{სთ}/\text{წელ} = 220 \text{ ათ.ტ}/ \text{წელ. [55 ტ/სთ]}$$

$$\text{ცემენტი- } 0,420\text{ტ} \times 50 \text{ მ}^3/\text{სთ} \times 4000\text{სთ}/\text{წელ} = 84 \text{ ათ.ტ}/ \text{წელ. [21 ტ/სთ]}$$

აღნიშნული პროდუქციის მისაღებად საწარმოში დამონტაჟდება შესაბამისი მოწყობილობები და მოწყობა შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურა.

საბაზო ტიპური ტექნოლოგიური სქემის შესაბამისად, ავტოდამტვირთველი პანდუსის მეშვეობით გადაიტანს ქვიშასა და ხრეშს სახარჯ ბუნკერებში (4 ბუნკერი ზომებით 3 x 3 მ), რის შემდეგაც დობირების სისტემის საშუალებით და ლენტური კონვეიერების გავლით იგი მიეწოდება ბეტონის კვანძს. პარალელურად მისაღები ბეტონის მარკის შესაბამისად კომპიუტერული სისტემა არეგულირებს ინგრედიენტების შესაბამის პროპორციას (ქვიშა, ხრეში, ცემენტი,) და აგზავნის შემრევ აგრეგატში. საათური

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

საპროექტო წარმადობა 80 მ3/სთ. მომზადებული ბეტონი მიემართება ბეტონმზიდებით საბოლოო მომხმარებლებთან.

ემისიის გაანგარიშება ღიზელის რეზერვუარიდან (გ-1)

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს წარმოადგენენ რეზერვუარის სასუნთქი სარქველი ნავთობპროდუქტის შენახვისას (მცირე სუნთქვა) და ჩატვირთვისას (დიდი სუნთქვა). კლიმატური ზონა-3.

დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშება შესრულებულია [10]-ს შესაბამისად. დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 7.1.-1

ცხრილი 7.1-1 დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ერთჯერადი ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
333	დიჰიდროსულფიდი (გოგირდწყალბადი)	0,0000091	0,0000005
2754	ალკანები C12-C19 (ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19)	0,0032575	0,0001714

საწყისი მონაცემები გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 7.2.

ცხრილი 7.1.-2 საწყისი მონაცემები გამოყოფის გაანგარიშებისათვის

პროდუქტი	რ-ბა წელიწადში, ტ/წელ		რეზერვუარის კონსტრუქცია	ტუმბოს წარმადობა, მ3/სთ	რეზერვუარის მოცულობა, მ3	რეზერვუარების რ-ბა	ერთდროულობა
	ბშშ	ბგშ					
ღიზელის საწვავი. ჯგ. A. სითხის ტემპერატურა ახლოსაა ჰაერის ტემპერატურასთან	312	312	მინისზედა ვერტიკალური. ექსპლოატაციის რეჟიმი - "საწყავი". ემისიის შემზღუდავი სისტემა-არ არის.	30	25	2	+

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ.

ნავთობპროდუქტების ორთქლის მაქსიმალური ემისია გაიანგარიშება ფორმულით:

$$M = (C1 \cdot K_{maxp} \cdot V_{max4}) / 3600, \text{ გ/წმ};$$

ნავთობპროდუქტების ორთქლის წლიური ემისია გაიანგარიშება ფორმულით:

$$G = (Y2 \cdot B_{03} + Y3 \cdot B_{ВП}) \cdot K_{maxp} \cdot 10^{-6} + G_{xp} \cdot K_{HP} \cdot N, \text{ ტ/წელ}.$$

სადაც: Y2, Y3 – საშუალო კუთრი ემისია რეზერვუარიდან შესაბამისად წლის განმავლობაში შემოდგომა-ზამთრის და გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდებისათვის, გ/ტ. მიიღება დანართი 12-ის მიხედვით.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

В03,ВВП – სითხის რ-ბა, რომელიც ჩაიტვირთება რეზერვუარში შემოდგომა-ზამთრის და გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდებისათვის, ტ.

Кmaxр - ცდით მიღებული კოეფიციენტი, მიიღება დანართ 8-ს მიხედვით.

Гхр - ნავთობპროდუქტების ორთქლის ემისია ერთ რეზერვუარში შენახვისას, ტ/წელ; მიიღება დანართ 13-ის მიხედვით.

КНП -ცდით მიღებული კოეფიციენტი, მიიღება დანართ 12-ს მიხედვით.

N - რეზერვუარების რ-ბა.

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

დიზელის სანავაგი

$$M = 3,92 \cdot 0,1 \cdot 30 / 3600 = 0,0032667 \text{ გ/წმ};$$

$$G = (2,36 \cdot 312 + 3,15 \cdot 312) \cdot 0,1 \cdot 10^{-6} + 0 \cdot 0,0029 \cdot 2 = 0,0001719 \text{ ტ/წელ};$$

333 დიჰიდროსულფიდი (გოგირდწყალბადი)

$$M = 0,0032667 \cdot 0,0028 = 0,0000091 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,0001719 \cdot 0,0028 = 0,0000005 \text{ ტ/წელ};$$

2754 ალკანები C12-C19 (ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19)

$$M = 0,0032667 \cdot 0,9972 = 0,0032575 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,0001719 \cdot 0,9972 = 0,0001714 \text{ ტ/წელ};$$

ემისიის გაანგარიშება ცემენტის მიმღები სილოსიდან (გ-2)

ბეტონის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი მდგომარეობს ცემენტის ცემენტმზიდისა და პნემატური მეთოდით სილოსში ჩატვირთვაში და შემდგომ იქიდან მის დობირებულ მინოდებაში ჭიანჭინული მეთოდით სასწორის გავლით უშუალოდ მიქსერში, სადაც წინასწარ ხდება ქვიშის, და ლორღის, წყლისა და ქიმიკატის (პლასტიფიკატორის) კომპონენტებით შევსება დადგენილი რეცეპტურის შესაბამისად.

საწარმოს მონაცემებით წლის განმავლობაში სილოსში უნდა მიენოდოს 84,0 ათ.ტ ცემენტი.

სილოსი აღჭურვილია სტანდარტული ქსოვილიანი ფილტრით, საპასპორტო ეფექტურობით-99,8%. (მცირე ზომის სახელოებიანი ქსოვილის ფილტრი, მარკა KΦE-C, ე.წ. „სასილოსე ფილტრები“, განკუთვნილია სილოსების ჭარბი წნევის ასპირაციისათვის. რეგენერაცია შეკუმშული აირით. გაფილტრული მტვერი ბრუნდება უკან სილოსში. ფილტრის სიგრძე 1 მეტრი. ჰაერის ხარჯის დიაპაზონი 300-1000მ3/სთ. ფილტრაციის ფართი-5-200 მ2.

[7]-ს მიხედვით ცემენტის მტვრის წლიური გამოყოფა იქნება $84000 \text{ ტ} \times 0,8 \text{ კგ/ტ} \times 10^{-3} = 67,2 \text{ ტ/წელ};$ ქსოვილიანი ფილტრის საპასპორტო ეფექტურობის გათვალისწინებით ემისია იქნება:

$$67,2 \text{ ტ/წელ} \times (1-0,998) = 0,1344 \text{ ტ/წელ}.$$

მაქსიმალური წამური ემისიის გაანგარიშება:

ერთი ცემენტმზიდის საშუალო ტვირთამწეობაა 30 ტნ, დაცლის დრო 1სთ. (3600 წმ); ცემენტის მტვრის წამური გამოყოფა იქნება $30 \text{ ტ} \times 0,8 \text{ კგ/ტ} \times 103 / 3600 \text{ წმ} = 6,667 \text{ გ/წმ};$

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ქსოვილიანი ფილტრის ეფექტურობის გათვალისწინებით გვექნება: $6,667 \text{ გ/წმ} \times (1-0,998) = 0,014 \text{ გ/წმ}$.

უშუალოდ ბეტონშემრევი წარმოადგენს ყველა მხრიდან დახურულ სისტემას და მას არ გააჩნია კავშირი ატმოსფერულ ჰაერთან, შესაბამისად ატმოსფეროში მტვერის გამოყოფას ადგილი არა აქვს.

(ბეტონშემრევეზე დამონტაჟებული დრეკადი მილი მიერთებულია ზედა ბუნკერთან და მასალების ჩატვირთვის მომენტში წარმოქმნილი მტვერი მიემართება უკან.)

გაანგარიშებული ემისია

კოდი	ნივთიერების დასახელება	%	მასა (გ/წმ)	მასა (ტ/წელ)
2908	არაორგანული (ცემენტის) მტვერი	100	0,014	0,1344

ემისიის გაანგარიშება ლენტური ტრანსპორტიორიდან (გ-3)

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [11]

ტრანსპორტირება ხორციელდება ღია კონვეიერული ლენტების საშუალებით, სიგანით-1 მ. საერთო სიგრძე შეადგენს 20 მეტრს. ქარის საანგარიშო სიჩქარეები შეადგენს, მ/წმ: 0,5 ($K3 = 1$); 4,5 ($K3 = 1,2$). საშუალო წლიური ქარის სიჩქარე 4,5 ($K3 = 1,2$)

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 7.1-3.

ცხრილი 7.1-3. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მეთოდის მიხედვით

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2908	ღორღი	0,0054178	0,0780163

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 7.1-4.

ცხრილი 7.1-4. საწყისი მონაცემები

მასალა	პარამეტრები	ერთდროულობა
ღორღი	მუშაობის დრო-4000სთ/წელ; ტენიანობა 10%-მდე. ($K5 = 0,1$). ნაწილაკების ზომა-50-10მმ. ($K7 = 0,5$). კუთრი ამტვერება-0,0000045 კგ/მ ² *წმ.	+

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ.

შენიშნული ნაწილაკების ჯამური მასის ემისია, რომელიც წარმოიქმნება მასალის ტრანსპორტირებისას ღია ლენტური კონვეიერიდან, განისაზღვრება ფორმულით:

$$MK = 3,6 \cdot K3 \cdot K5 \cdot WK \cdot L \cdot I \cdot \gamma \cdot T, \text{ ტ/წელ};$$

სადაც:

$K3$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს ;

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

K5 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

WK - ლენტური ტრანსპორტიორიდან კუთრი ამტვერება, კგ/მ²*წმ;

L - ლენტური ტრანსპორტიორის სიგანე, მ.

I - ლენტური ტრანსპორტიორის სიგრძე, მ.

γ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის დანვრილმარცვლოვანებას;

T - მუშაობის წლიური დრო, სთ/წელ;

მაქსიმალური ერთჯერადი ემისიარომელიც წარმოიქმნება მასალის ტრანსპორტირებისას ღია ლენტური კონვეიერიდან, განისაზღვრება ფორმულით:

$$M'K = K3 \cdot K5 \cdot WK \cdot L \cdot I \cdot \gamma \cdot 103, \text{ გ/წმ};$$

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

$$M'29080.5 \text{ მ/ც} = 1 \cdot 0,1 \cdot 0,0000045 \cdot 20 \cdot 1 \cdot 0,5 \cdot 103 = 0,0045148 \text{ გ/წმ};$$

$$M'29084.5 \text{ მ/ც} = 1,2 \cdot 0,1 \cdot 0,0000045 \cdot 20 \cdot 1 \cdot 0,5 \cdot 103 = 0,0054178 \text{ გ/წმ}$$

$$M2908 = 3,6 \cdot 1,2 \cdot 0,1 \cdot 0,0000045 \cdot 20 \cdot 1 \cdot 0,5 \cdot 4000 = 0,0780163 \text{ ტ/წელ.}$$

ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობისას, რომელიც ხორციელდება შეწონილი ნივთიერებების გამოყოფით ისეთ შენობებში, რომლებიც არ არის აღჭურვილი საერთო მიმოცვლითი ვენტილაციით(გაფრქვევა ფანჯრის ან კარების გასასვლელიდან), ან გამწოვი სისტემის არ არსებობისას, მყარი კომპონენტების გაფრქვევის გაანგარიშებისას ატმოსფერულ ჰაერში, მიზანშეწონილია მავნე ნივთიერებების გამოყოფის გაანგარიშების მაჩვენებლის კორექტირება კოეფიციენტით- 0,4.

ემისიის კორექტირებისას გაანგარიშებული მრავლდება 0,4 კოეფიციენტზე:

არაორგანული მტვერი:

$$0,0054178 \times 0,4 = 0,002167 \text{ გ/წმ};$$

$$0,0780163 \times 0,4 = 0,0312 \text{ ტ/წელ.}$$

ემისიის გაანგარიშება ინერტული მასალების სამსხვრევიდან (გ-4)

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [7]. ნედლეულის წარმოებისას მტვრის ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტები შეადგენს სათანადოდ:

პირველადი და მეორადი მსხვრევისას: ა) მშრალი მასალის - 0,14 კგ/ტ, ბ) სველი მასალის - 0,009 კგ/ტ;

ტექნიკური პროცესიდან გამომდინარე მადნის დამუშავება მიმდინარეობს სველი მეთოდით. ამრიგად გაანგარიშებაში გამოყენებულია კოეფიციენტი 0,009 კგ/ტ

$$350 \text{ 000 ტ/წ} \times 0,009 \text{ კგ/ტ} \div 1000 = 3,15 \text{ ტ/წელ}$$

$$3,15 \text{ ტ/წელ} \div 16 \text{ სთ/დღ} \div 250 \text{ დღ/წ} \div 3600 \times 1000000 = 0,21875 \text{ გ/წმ}$$

ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობისას, რომელიც ხორციელდება შეწონილი ნივთიერებების გამოყოფით ისეთ შენობებში, რომლებიც არ არის აღჭურვილი საერთო მიმოცვლითი ვენტილაციით(გაფრქვევა ფანჯრის ან კარების გასასვლელიდან), ან გამწოვი სისტემის არ არსებობისას,

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მყარი კომპონენტების გაფრქვევის გაანგარიშებისას ატმოსფერულ ჰაერში, მიზანშეწონილია მავნე ნივთიერებების გამოყოფის გაანგარიშების მაჩვენებლის კორექტირება კოეფიციენტით- 0,4.

ემისიის კორექტირებისას გაანგარიშებული მრავლდება 0,4 კოეფიციენტზე:

არაორგანული მტვერი:

$$0.21875 \times 0,4 = 0,0875 \text{ გ/წმ};$$

$$2,52 \times 0,4 = 1,26 \text{ ტ/წელ.}$$

ემისიის გაანგარიშება სამშენებლო-მანქანიდან(ექსკავატორი) (გ-5)

დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს წარმოადგენს საგზაო-სამშენებლო მანქანების ძრავები მუშაობისას დატვირთვისა და უქმი სვლის რეჟიმში. გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [4,5]. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები საგზაო-სამშენებლო მანქანებიდან მოცემულია ცხრილში 7.1-5.

ცხრილი 7.1-5. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები საგზაო-სამშენებლო მანქანებიდან

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
301	აზოტის დიოქსიდი (აზოტის (IV) ოქსიდი)	0,0327924	0,0018888
304	აზოტის (II) ოქსიდი	0,0053272	0,0003068
328	ჭვარტლი	0,0045017	0,0002593
330	გოგირდის დიოქსიდი	0,00332	0,0001912
337	ნახშირბადის ოქსიდი	0,0273783	0,001577
2732	ნახშირწყალბადების ნავთის ფრაქცია	0,0077372	0,0004457

გაანგარიშება შესრულებულია საგზაო-სამშენებლო მანქანების (სსმ) სამუშაო მოედნის გარემო ტემპერატურის პირობებში. სამუშაო დღეების რ-ბა-300.

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 7.1-6.

ცხრილი 7.1-6. გაანგარიშების საწყისი მონაცემები

უქმი სვლის რეჟიმზე, წთ;	სსმ, რ-ბა	ერთი მანქანის მუშაობის დრო							მუშა დღეების რ-ბა
		დღეში, სთ				30 წთ-ში, წთ			
		სულ	დატვირთვის გარეშე	დატვირთვით	უქმი სვლა	დატვირთვის გარეშე	დატვირთვით	უქმი სვლა	
მუხლუხა სსმ, სიმძლავრით 61-100 კვტ (83-136 ცხ.დ)	1 (1)	16	6,4	6,933	2,667	12	13	1	250

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ:

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

i-ური ნივთიერების მაქსიმალური ერთჯერადი ემისია ხორციელდება ფორმულით:

$$G_i = \sum_{k=1}^k (m_{DB} ik \cdot t_{DB} + 1,3 \cdot m_{DB} ik \cdot t_{HAГP.} + m_{XX} ik \cdot t_{XX}) \cdot N_k / 1800, \text{ გ/წმ};$$

სადაც,

$m_{DB} ik$ – k-ური ჯგუფისათვის i-ური ნივთიერების კუთრი ემისია მანქანის მოძრაობისას დატვირთვის გარეშე, გ/წთ;

$1,3 \cdot m_{DB} ik$ – k-ური ჯგუფისათვის i-ური ნივთიერების კუთრი ემისია მანქანის მოძრაობისას დატვირთვით, გ/წთ;

$m_{DB} ik$ – k-ური ჯგუფისათვის i-ური ნივთიერების კუთრი ემისია მანქანის მოძრაობისას უქმი სვლის რეჟიმზე, გ/წთ;

t_{DB} – მანქანის მოძრაობის დრო 30 წთ-იან ინტერვალში დატვირთვის გარეშე, წთ;

$t_{HAГP.}$ – მანქანის მოძრაობის დრო 30 წთ-იან ინტერვალში დატვირთვით, წთ;

t_{XX} – მანქანის მოძრაობის დრო 30 წთ-იან ინტერვალში უქმი სვლის რეჟიმზე, წთ;

N_k – k-ური ჯგუფის მანქანების რ-ბა, რომლებიც მუშაობენ ერთდროულად 30 წთ-იან ინტერვალში.

i-ური ნივთიერების ჯამური ემისია საგზაო მანქანებიდან გაიანგარიშება ფორმულით:

$$M_i = \sum_{k=1}^k (m_{DB} ik \cdot t'_{DB} + 1,3 \cdot m_{DB} ik \cdot t'_{HAГP.} + m_{XX} ik \cdot t'_{XX}) \cdot 10^{-6}, \text{ ტ/წელ};$$

სადაც,

t'_{DB} – k-ური ჯგუფის მანქანების მოძრაობის ჯამური დრო დატვირთვის გარეშე, წთ;

$t'_{HAГP.}$ – k-ური ჯგუფის მანქანების მოძრაობის ჯამური დრო დატვირთვით, წთ;

t'_{XX} – k-ური ჯგუფის მანქანების მოძრაობის ჯამური დრო უქმი სვლის რეჟიმზე, წთ;

დამაბინძურებელ ნივთიერებათა კუთრი ემისია საგზაო-სამშენებლო მანქანების მუშაობისას, მოცემულია ცხრილში 7.1-7.

ცხრილი 7.1-7. დამაბინძურებელ ნივთიერებათა კუთრი ემისია საგზაო-სამშენებლო მანქანების მუშაობისას, გ/წთ

საგზაო-სამშენებლო მანქანების (სსმ) ტიპი	დამაბინძურებელი ნივთიერება	მოძრაობა	უქმი სვლა
მუხლუხა სსმ, სიმძლავრით 61-100 კვტ(83-136 ცხ.ძ)	აზოტის დიოქსიდი (აზოტის (IV) ოქსიდი)	1,976	0,384
	აზოტის (II) ოქსიდი	0,321	0,0624
	ჯვარტლი	0,27	0,06
	გოგირდის დიოქსიდი	0,19	0,097
	ნახშირბადის ოქსიდი	1,29	2,4
	ნახშირწყალბადების ფრაქცია ნავთის	0,43	0,3

დამაბინძურებელ ნივთიერებათა წლიური და მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

$$G_{301} = (1,976 \cdot 12 + 1,3 \cdot 1,976 \cdot 13 + 0,384 \cdot 5) \cdot 1 / 1800 = 0,0327924 \text{ გ/წმ};$$

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

$$M301 = (1,976 \cdot 1 \cdot 1 \cdot 6,4 \cdot 60 + 1,3 \cdot 1,976 \cdot 1 \cdot 1 \cdot 6,93333 \cdot 60 + 0,384 \cdot 1 \cdot 1 \cdot 2,666667 \cdot 60) \cdot 10^{-6} = 0,0018888 \text{ ტ/წელ};$$

$$G304 = (0,321 \cdot 12 + 1,3 \cdot 0,321 \cdot 13 + 0,0624 \cdot 5) \cdot 1/1800 = 0,0053272 \text{ გ/წმ};$$

$$M304 = (0,321 \cdot 1 \cdot 1 \cdot 6,4 \cdot 60 + 1,3 \cdot 0,321 \cdot 1 \cdot 1 \cdot 6,93333 \cdot 60 + 0,0624 \cdot 1 \cdot 1 \cdot 2,666667 \cdot 60) \cdot 10^{-6} = 0,0003068 \text{ ტ/წელ};$$

$$G328 = (0,27 \cdot 12 + 1,3 \cdot 0,27 \cdot 13 + 0,06 \cdot 5) \cdot 1/1800 = 0,0045017 \text{ გ/წმ};$$

$$M328 = (0,27 \cdot 1 \cdot 1 \cdot 6,4 \cdot 60 + 1,3 \cdot 0,27 \cdot 1 \cdot 1 \cdot 6,93333 \cdot 60 + 0,06 \cdot 1 \cdot 1 \cdot 2,666667 \cdot 60) \cdot 10^{-6} = 0,0002593 \text{ ტ/წელ};$$

$$G330 = (0,19 \cdot 12 + 1,3 \cdot 0,19 \cdot 13 + 0,097 \cdot 5) \cdot 1/1800 = 0,00332 \text{ გ/წმ};$$

$$M330 = (0,19 \cdot 1 \cdot 1 \cdot 6,4 \cdot 60 + 1,3 \cdot 0,19 \cdot 1 \cdot 1 \cdot 6,93333 \cdot 60 + 0,097 \cdot 1 \cdot 1 \cdot 2,666667 \cdot 60) \cdot 10^{-6} = 0,0001912 \text{ ტ/წელ};$$

$$G337 = (1,29 \cdot 12 + 1,3 \cdot 1,29 \cdot 13 + 2,4 \cdot 5) \cdot 1/1800 = 0,0273783 \text{ გ/წმ};$$

$$M337 = (1,29 \cdot 1 \cdot 1 \cdot 6,4 \cdot 60 + 1,3 \cdot 1,29 \cdot 1 \cdot 1 \cdot 6,93333 \cdot 60 + 2,4 \cdot 1 \cdot 1 \cdot 2,666667 \cdot 60) \cdot 10^{-6} = 0,001577 \text{ ტ/წელ};$$

$$G2732 = (0,43 \cdot 12 + 1,3 \cdot 0,43 \cdot 13 + 0,3 \cdot 5) \cdot 1/1800 = 0,0077372 \text{ გ/წმ};$$

$$M2732 = (0,43 \cdot 1 \cdot 1 \cdot 6,4 \cdot 60 + 1,3 \cdot 0,43 \cdot 1 \cdot 1 \cdot 6,93333 \cdot 60 + 0,3 \cdot 1 \cdot 1 \cdot 2,666667 \cdot 60) \cdot 10^{-6} = 0,0004457 \text{ ტ/წელ}.$$

ერთციცხვიანი ექსკავატორის მუშაობისას მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$M = Q_{ექს} \times E \times K_{ექს} \times K_1 \times K_2 \times N/T_{ექს}, \text{ გ/წმ, სადაც:}$$

$Q_{ექს}$ = მტვრის კუთრი გამოყოფა 1მ³ გადატვირთული მასალისგან, გ/მ³ [4,8]

E - ციცხვის ტევადობა, მ³ [0,7-1]

$K_{ექს}$ -ექსკავაციის კოეფიციენტი. [0,91]

K_1 - ქარის სიჩქარის კოეფ. ($K_1=1,2$);

K_2 - ტენიანობის კოეფ. ($K_2=0,2$);

N -ერთდროულად მომუშვე ტექნიკის რ-ბა (ერთეული);

$T_{ექს}$ -ექსკავატორის ციკლის დრო, წმ. [30]

$$M = Q_{ექს} \times E \times K_{ექს} \times K_1 \times K_2 \times N/T_{ექს} = 4,8 \cdot 1 \cdot 0,91 \cdot 1,2 \cdot 0,2 \cdot 1/30 = 0,035 \text{ გ/წმ}.$$

ერთციცხვიანი ექსკავატორის მუშაობისას მტვრის ჯამური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$G = M \times 3600 \times T \times 10^{-6} = 0,035 \times 3600 \text{წმ} \times 16 \text{სთ} \times 250 \text{დღ} \times 10^{-6} = 0,504 \text{ტ/წელ}.$$

ემისიის გაანგარიშება სამშენებლო-მანქანიდან(ბულდოზერი) (გ-6)

აირადი ნივთიერებების გაფრქვევა იდენტურია რაც ექსკავატორის, ხოლო შენონილი ნაწილაკების მაქსიმალური ემისია გაიანგარიშება შემდეგნაირად:

$$G = (Q_{ბულ} \times Q_{სიმ} \times V \times K_1 \times K_2 \times N)/(T_{ბც} \times K_{გკ}), \text{ გ/წმ};$$

სადაც:

$Q_{ბულ}$ – მტვრის კუთრი გამოყოფა 1ტ. გადასატანი მასალისგან, გ/ტ -0,74

$Q_{სიმ}$ - ქანის სიმკვრივე (ტ/მ³-1,6).

K_1 - ქარის სიჩქარის კოეფ. ($K_1=1,2$);

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

K2 - ტენიანობის კოეფ. (K2=0,2);

N-ერთდროულად მომუშავე ტექნიკის რ-ბა (ერთეული);

V _ პრიზმის გადაადგილების მოცულობა (მ3) 3,5

Tბც _ ბულდოზერის ციკლის დრო, წმ, 80.

Kგკ - ქანის გაფხვიერების კოეფ. (Kგკ -1,15)

$$G = (Q_{ბულ} \times Q_{სიმ} \times V \times K1 \times K2 \times N) / (T_{ბც} \times K_{გკ}) = 0,74 \times 1,6 \times 3,5 \times 1,2 \times 0,2 \times 1 / (80 \times 1,15) = 0,011 \text{ გ/წმ}$$

ბულდოზერის მუშაობისას მტვრის ჯამური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$G = M \times 3600 \times T \times 10^{-6} = 0,011 \times 3600 \times 16 \text{ სთ} \times 250 \text{ დლ} \times 10^{-6} = 0,1584 \text{ ტ/წელ.}$$

ემისიის გაანგარიშება ინერტული მასალების შენახვა-დასაწყობებიდან (გ-7)

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [8,9]

დასაწყობება

ფხვიერი მასალების გადატვირთვა ხორციელდება ჩამტვირთავი სახელოს გარეშე. ადგილობრივი პირობები-საწყობი ღია ოთხივე მხრიდან. (K4 = 1). მასალის გადმოყრის სიმაღლე-1,0 მ. (B = 0,5) ზალპური ჩამოცლა ავტოთვითმცლელიდან ხორციელდება 10 ტ-ზე მეტი ოდენობით. (K9 = 0,1). ქარის საანგარიშო სიჩქარეები, მ/წმ: 0,5 (K3 = 1); 4,5 (K3 = 1,2). ქარის საშუალო წლიური სიჩქარე, 4,5 მ/წმ: (K3 = 1).

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 7.1-8.

ცხრილი 7.1-8. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მეთოდის მიხედვით

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2908	არაორგანული მტვერი სილიციუმის ორჟანგის შემცველობით 70-20%	0,0586667	0,00084

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში ცხრილი 7.1-9.

ცხრილი 7.1-9. გაანგარიშების საწყისი მონაცემები

მასალა	პარამეტრი
ინერტული მასალა	გადატვირთული მასალის რ-ბა: G ₄ = 88 ტ/სთ; G _{წლ} = 350000ტ/წელ. მტვრის ფრაქციის მასური წილი მასალაში: K1 = 0,04. მტვრის წილი, რომელიც გადადის აეროზოლში: K2 = 0,02. ტენიანობა >10% (K5 = 0,1). მასალის ზომები 50-10 მმ (K7 = 0,5).

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ:

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$MFP = K1 \cdot K2 \cdot K3 \cdot K4 \cdot K5 \cdot K7 \cdot K8 \cdot K9 \cdot B \cdot G4 \cdot 106 / 3600, \text{ გ/წმ}$$

სადაც,

K1 -მტვრის ფრაქციის (0-200მკმ) წონითი წილი მასალაში;

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

- K2 - მტვრის წილი (მტვრის მთლიანი წონითი წილიდან), რომელიც გადადის აეროზოლში (0-10მ კმ);
- K3 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს;
- K4 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე ზემოქმედებისაგან, ამტვერების პირობებს;
- K5 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;
- K7 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;
- K8 - შემასწორებელი კოეფიციენტი სხვადასხვა მასალისათვის გრეიფერის ტიპის გათვალისწინებით, სხვა ტიპის გადამტვირთავი მონწყობილობების გამოყენებისას $K8 = 1$;
- K9 - შემასწორებელი კოეფიციენტი ზალპური ჩამოცლისას ავტოთვითმცლელიდან.
- B - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გადმოყრის სიმაღლეს;
- G₄ – ცვლადსატვირთი მასალის რ-ბა სთ-ში, (ტ/სთ).

მტვრის ჯამური წლიური ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$ПГР = K1 \cdot K2 \cdot K3 \cdot K4 \cdot K5 \cdot K7 \cdot K8 \cdot K9 \cdot B \cdot G_{04}, \text{ ტ/წელ}$$

სადაც,

G₀₄ - გადასატვირთი მასალის წლიური რ-ბა, ტ/წელ;

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

$$M_{29080.5\text{მ/წმ}} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 1 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 88 \cdot 106 / 3600 = 0,0488889 \text{ გ/წმ};$$

$$M_{2908 4,5 \text{ მ/წმ}} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 1,2 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 88 \cdot 106 / 3600 = 0,0586667 \text{ გ/წმ};$$

$$П_{2908} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 1,2 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 350 = 0,00084 \text{ ტ/წელ}.$$

შენახვა

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [8,9]. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 7.1-10.

ცხრილი 7.1-10. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2908	არაორგანული მტვერი სილიციუმის ორჟანგის შემცველობით 70-20%	0,0055915	0,0911493

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება ფხვიერი მასალის შენახვისას ხორციელდება ფორმულით:

$$MXP = K4 \cdot K5 \cdot K6 \cdot K7 \cdot q \cdot F_{\text{раб}} + K4 \cdot K5 \cdot K6 \cdot K7 \cdot 0,11 \cdot q \cdot (F_{\text{пл}} - F_{\text{раб}}) \cdot (1 - \eta), \text{ გ/წმ}$$

სადაც,

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

K4 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე ზემოქმედებისაგან, ამტვერების პირობებს;

K5 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

K6 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილს;

K7 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;

Fpaн - ფართი გეგმაზე, რომელზედაც სისტემატიურად მიმდინარეობს დასაწყობების სამუშაოები, მ2

FПл - ამტვერების ზედაპირის ფართი გეგმაზე, მ2;

q - მტვრის კუთრი ამტვერების მაქსიმალური სიდიდე, გ/(მ2*წმ);

η - გაფრქვევის შემცირების ხარისხი მტვერდამხშობი სისტემის გამოყენებისას.

კოეფიციენტ K6 -ის მნიშვნელობა განისაზღვრება ფორმულით:

$$K6 = F_{\text{макс}} / F_{\text{Пл}}$$

სადაც,

Fмакс - საწყობის მაქსიმალურად შევსებისას დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის ფაქტიური ფართი საწყობის მაქსიმალურად შევსებისას, მ2;

მტვრის კუთრი ამტვერების მაქსიმალური სიდიდე განისაზღვრება ფორმულით: $q/(m^2 \cdot \text{წმ})$;

$$q = 10^{-3} \cdot a \cdot U_b, \text{ გ}/(m^2 \cdot \text{წმ});$$

სადაც,

a და b – ემპირიული კოეფიციენტებია, რომლებიც დამოკიდებულია გადასატვირთი მასალის ტიპზე; U_b - ქარის სიჩქარე, მ/წმ.

მტვრის ჯამური წლიური ემისიის გაანგარიშება ფხვიერი მასალის შენახვისას ხორციელდება ფორმულით:

$$ПXP = 0,11 \cdot 8,64 \cdot 10^{-2} \cdot K4 \cdot K5 \cdot K6 \cdot K7 \cdot q \cdot F_{\text{Пл}} \cdot (1 - \eta) \cdot (T - T_d - T_c) \text{ ტ}/\text{წელ};$$

სადაც,

T – იმასალის შენახვის საერთო დრო განსახილველ პერიოდში (დღე);

Td - წვიმიან დღეთა რიცხვი;

Tc - მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი;

საანგარიშო პარამეტრები და მათი მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 7.1-11.

ცხრილი 7.1-11. საანგარიშო პარამეტრები და მათი მნიშვნელობები

საანგარიშო პარამეტრები	მნიშვნელობები
გადასატვირთი მასალა: ინერტული მასალა ემპირიული კოეფიციენტები, რომლებიც დამოკიდებულია გადასატვირთი მასალის ტიპზე;	a = 0,0135 b = 2,987
ადგილობრივი პირობები-საწყობი ღია ოთხივე მხრიდან	K4 = 1
მასალის ტენიანობა 10%-მდე	K5 = 0,1
დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილი	K6 = 600 / 400 = 1,5

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

საანგარიშო პარამეტრები	მნიშვნელობები
მასალის ზომები – 500-100 მმ	K7 = 0,5
ქარის საანგარიშო სიჩქარეები,მ/წმ	U' = 0,5; 4,5
ქარის საშუალო წლიური სიჩქარე,მ/წმ	U = 4,5
გადატვირთვის სამუშაოების ზედაპირის მუშა ფართი, მ2	Fраб = 20
ამტვერების ზედაპირის ფართი გეგმაზე, მ2	Fпл = 400
ამტვერების ზედაპირის ფაქტიური ფართი გეგმაზე, მ2	Fмакс = 600
მასალის შენახვის საერთო დრო განსახილველ პერიოდში, დღ.	T = 366
წვიმიან დღეთა რიცხვი	Tд = 70
მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი	Tс = 31

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

ინეტრული მასალა

$$q_{29080.5} \text{ მ/წმ} = 10^{-3} \cdot 0,0135 \cdot 0,52 \cdot 987 = 0,0000017 \text{ გ/(მ}^2 \cdot \text{წმ)};$$

$$M_{29080.5} \text{ მ/წმ} = 1 \cdot 0,1 \cdot 1,5 \cdot 0,5 \cdot 0,0000017 \cdot 20 +$$

$$+ 1 \cdot 0,1 \cdot 1,5 \cdot 0,5 \cdot 0,11 \cdot 0,0000017 \cdot (400 - 20) = 0,0000079 \text{ გ/წმ};$$

$$q_{2908} \text{ 4,5 მ/წმ} = 10^{-3} \cdot 0,0135 \cdot 4,52 \cdot 987 = 0,0012064 \text{ გ/(მ}^2 \cdot \text{წმ)};$$

$$M_{2908} \text{ 4,5 მ/წმ} = 1 \cdot 0,1 \cdot 1,5 \cdot 0,5 \cdot 0,0012064 \cdot 20 +$$

$$+ 1 \cdot 0,1 \cdot 1,5 \cdot 0,5 \cdot 0,11 \cdot 0,0012064 \cdot (400 - 20) = 0,0055915 \text{ გ/წმ};$$

$$q_{2908} = 10^{-3} \cdot 0,0135 \cdot 4,52 \cdot 987 = 0,0012064 \text{ გ/მ}^2 \cdot \text{წმ};$$

$$P_{2908} = 0,11 \cdot 8,64 \cdot 10^{-2} \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 1,5 \cdot 0,5 \cdot 0,0012064 \cdot 400 \cdot (366 - 70 - 31) = 0,0911493 \text{ ტ/წელ}$$

სულ, გადაყრა+შენახვა (2908) იქნება:

გ/წმ: დასაწყობება+შენახვა	0,0586667	0,0055915	∑ 0,06425
ტ/წელ: დასაწყობება+შენახვა	0,00084	0,0911493	∑ 0,091989

ემისიის გაანგარიშება ღიზელის გენერატორიდან (50 კვტ) (გ-8)

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [8]. სტაციონარული ღიზელ-გენერატორის ექსპლოატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში ნამუშევარ აირებში გამოიყოფა მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერებები.

მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გასაანგარიშებლად გამოიყენება ღიზელ-გენერატორის დანადგარის მონაცემები ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით (საექსპლოატაციო სიმძლავრე), ხოლო წლიური ემისიის გაანგარიშებისათვის -საწვავის წლიური ხარჯი.

დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 7.1-12.

ცხრილი 7.1-12. დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ერთჯერადი ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
301	აზოტის დიოქსიდი (აზოტის(IV) ოქსიდი)	0,0457778	0,688
304	აზოტის ოქსიდი (II)	0,0074389	0,1118
328	ჭვარტლი	0,0027778	0,04285
330	გოგირდის დიოქსიდი	0,0152778	0,225
337	ნახშირბადის ოქსიდი	0,05	0,75
703	ბენზ(ა)პირენი	0,0000001	0,0000008
1325	ფორმალდეჰიდი	0,0005972	0,00855
2732	ნახშირწყალბადების ნავთის ფრაქცია	0,0142917	0,2143

საწყისი მონაცემები გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 7.1-13.

ცხრილი 7.1-13. გაანგარიშების საწყისი მონაცემები

მონაცემები	სიმძლავრე, კვტ	საწვავის ხარჯი, ტ/წელ	კუთრი ხარჯი, გ/კვტ*სთ	ერთდროულობა
ჯგუფი A. მწარმოებელი: ევროგაერთიანების ქვეყნები, აშშ, იაპონია. საშუალო სიმძლავრის, (Ne < 73,6 კვტ; n = 1000-3000 ბრუნი/წთ). რემონტამდე.	50	50	250	+

მაქსიმალური ემისია i-ური დამაბინძურებელი ნივთიერებისა სტაციონარული დიზელ-გენერატორიდან განისაზღვრება ფორმულით:

$$M_i = (1 / 3600) \cdot e_{Mi} \cdot P_{\Sigma}, \text{ გ/წმ};$$

სადაც: e_{Mi} - ემისია i-ური დამაბინძურებელი ნივთიერებისა დიზელ-გენერატორიდან ნომინალური რეჟიმის პირობებში, გ/კვტ*სთ;

P_{Σ} - დიზელ-გენერატორის საექსპლოატაციო სიმძლავრე, კვტ.

$(1 / 3600)$ – გადათვლის კოეფიციენტი სთ-დან წამებზე.

წლიური ჯამური ემისია i-ური დამაბინძურებელი ნივთიერებისა დიზელ-გენერატორიდან განისაზღვრება ფორმულით:

$$W_{\Sigma i} = (1 / 1000) \cdot q_{\Sigma i} \cdot GT, \text{ ტ/წელ}$$

სადაც: $q_{\Sigma i}$ - ემისია i-ური დამაბინძურებელი ნივთიერებისა დიზელ-გენერატორიდან 1 კვ. საწვავზე გაანგარიშებით, გ/კვტ;

GT -დიზელ-გენერატორის წლიური საწვავის ხარჯი, ტ/წელ;

$(1 / 1000)$ –გადათვლის კოეფიციენტი კვ. დან ტონებზე.

დიზელ-გენერატორის ნამუშევარი აირების ხარჯი განისაზღვრება ფორმულით:

$$G_{OF} = 8,72 \cdot 10^{-6} \cdot b_{\Sigma} \cdot P_{\Sigma}, \text{ კვ/წმ};$$

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

სადაც: b_{Σ} - სანვაის კუთრი ხარჯი ძრავის საექსპლოატაციო რეჟიმზე, გ/კვტ*სთ.

დიზელ-გენერატორის ნამუშევარი აირების მოცულობითი ხარჯი განისაზღვრება ფორმულით:

$$Q_{OG} = G_{OG} / \gamma_{OG}, \text{ მ}^3/\text{წმ}$$

სადაც: γ_{OG} - ნამუშევარი აირების კუთრი წონა, რომელიც განისაზღვრება ფორმულით:

$$\gamma_{OG} = \gamma_{OG}(t=0^{\circ}\text{C}) / (1 + T_{OG} / 273), \text{ კგ}/\text{მ}^3$$

სადაც: $\gamma_{OG}(t=0^{\circ}\text{C})$ -ნამუშევარი აირების კუთრი წონა 0°C -ზე, $\gamma_{OG}(t=0^{\circ}\text{C}) = 1,31 \text{ კგ}/\text{მ}^3$;

T_{OG} -ნამუშევარი აირების ტემპერატურა, K.

ატმოსფერულ ჰაერში გამომუშავებული გაზების ორგანიზებული კუთრი გაფრქვევისას სტაციონალური დიზელის მონწყობილობებიდან (სიმაღლე) 5მ-მდე, ტემპერატურის მნიშვნელობა შეიძლება მიღებული იყოს 450°C ტოლად, ხოლო კუთრზე 5-დან 10 მ-მდე 400°C ტოლად.

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

აზოტის დიოქსიდი (აზოტის (IV) ოქსიდი)

$$M = (1 / 3600) \cdot 3,296 \cdot 50 = 0,0457778 \text{ გ}/\text{წმ};$$

$$W_{\Sigma} = (1 / 1000) \cdot 13,76 \cdot 50 = 0,688 \text{ ტ}/\text{წელ};$$

აზოტის ოქსიდი (აზოტის(II) ოქსიდი)

$$M = (1 / 3600) \cdot 0,5356 \cdot 50 = 0,0074389 \text{ გ}/\text{წმ};$$

$$W_{\Sigma} = (1 / 1000) \cdot 2,236 \cdot 50 = 0,1118 \text{ ტ}/\text{წელ};$$

ჭვარტლი

$$M = (1 / 3600) \cdot 0,2 \cdot 50 = 0,0027778 \text{ გ}/\text{წმ};$$

$$W_{\Sigma} = (1 / 1000) \cdot 0,857 \cdot 50 = 0,04285 \text{ ტ}/\text{წელ};$$

გოგირდის დიოქსიდი

$$M = (1 / 3600) \cdot 1,1 \cdot 50 = 0,0152778 \text{ გ}/\text{წმ};$$

$$W_{\Sigma} = (1 / 1000) \cdot 4,5 \cdot 50 = 0,225 \text{ ტ}/\text{წელ};$$

ნახშირბადის ოქსიდი

$$M = (1 / 3600) \cdot 3,6 \cdot 50 = 0,05 \text{ გ}/\text{წმ};$$

$$W_{\Sigma} = (1 / 1000) \cdot 15 \cdot 50 = 0,75 \text{ ტ}/\text{წელ};$$

ბენზ(ა)პირენი

$$M = (1 / 3600) \cdot 0,0000037 \cdot 50 = 0,0000001 \text{ გ}/\text{წმ};$$

$$W_{\Sigma} = (1 / 1000) \cdot 0,000016 \cdot 50 = 0,0000008 \text{ ტ}/\text{წელ};$$

ფორმალდეჰიდი

$$M = (1 / 3600) \cdot 0,043 \cdot 50 = 0,0005972 \text{ გ}/\text{წმ};$$

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

$$W\Theta = (1 / 1000) \cdot 0,171 \cdot 50 = 0,00855 \text{ ტ/წელ};$$

ნახშირწყალბადების ნავთის ფრაქცია

$$M = (1 / 3600) \cdot 1,029 \cdot 50 = 0,0142917 \text{ გ/წმ};$$

$$W\Theta = (1 / 1000) \cdot 4,286 \cdot 50 = 0,2143 \text{ ტ/წელ};$$

ნამუშევარი აირების მოცულობითი ხარჯი მოცემულია ქვემოთ.

$$GO\Gamma = 8,72 \cdot 10^{-6} \cdot 250 \cdot 50 = 0,109 \text{ კგ/წმ.}$$

5 მეტრამდე სიმაღლეზე, $TO\Gamma = 723 \text{ K (450 } ^\circ\text{C)}$:

$$\gamma O\Gamma = 1,31 / (1 + 723 / 273) = 0,359066 \text{ კგ/მ}^3$$

$$QO\Gamma = 0,109 / 0,359066 = 0,3036 \text{ მ}^3/\text{წმ}$$

5-10 მეტრამდე სიმაღლეზე, $TO\Gamma = 673 \text{ K (400 } ^\circ\text{C)}$:

$$\gamma O\Gamma = 1,31 / (1 + 673 / 273) = 0,3780444 \text{ კგ/მ}^3$$

$$QO\Gamma = 0,109 / 0,3780444 = 0,2883 \text{ მ}^3/\text{წმ}$$

ემისიის გაანგარიშება სამშენებლო-მანქანიდან (თვითმცლელი) (გ-9)

გათბობისას და მოძრაობისას ტერიტორიაზე, აგრეთვე უქმი სვლის რეჟიმში მუშაობისას. გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები ავტოლამტვირთველიდან მოცემულია ცხრილში 7.1-14.

ცხრილი 7.1-14. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები ავტოტრანსპორტიდან

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
301	აზოტის დიოქსიდი (აზოტის (IV) ოქსიდი)	0,0032889	0,0086669
304	აზოტის (II) ოქსიდი	0,0005344	0,0014084
328	ჭვარტლი	0,0001583	0,0004172
330	გოგირდის დიოქსიდი	0,0008333	0,002196
337	ნახშირბადის ოქსიდი	0,0097778	0,0257664
2732	ნახშირწყალბადების ნავთის ფრაქცია	0,0044444	0,011712

გაანგარიშება შესრულებულია საგზაო-სამშენებლო მანქანების სადგომიდან გარემო ტემპერატურის პირობებში. საგზაო-სამშენებლო მანქანების გარბენი სადგომიდან გამოსვლისას შეადგენს 0,1 კმ-ს, სადგომში შესვლისას -0,1 კმ. უქმი სვლის რეჟიმში ძრავის მუშაობის ხანგრძლივობა სადგომიდან გამოსვლისას-2 წთ, დაბრუნებისას-0 წთ. სამუშაო დღეთა რ-ბა-250. მათ შორის: გარდამავალი-250 დღე. საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 7.1-15.

ცხრილი 7.1-15. გაანგარიშების საწყისი მონაცემები

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მანქანის ტიპი	ავტომანქანების მაქსიმალური რაოდენობა				ეკოკონტროლი	ერთდროულობა
	სულ	დღის განმავლობაში გამოსვლა / შესვლა	გამოსვლა 1 სთ-ში	შესვლა 1 სთ-ში		
სატვირთო, 1994 წლამდე. 16ტ. ღიზელი	10	10	5	5	-	+

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ:

i-ური ნივთიერების ემისია ერთი k-ური ტიპის მანქანიდან ტერიტორიიდან გამოსვლისას M1ik და დაბრუნებისას M2ik ხორციელდება ფორმულებით:

$$M1ik = m\Pi P ik \cdot t\Pi P + mL ik \cdot L1 + mXX ik \cdot tXX 1, \text{ გ}$$

$$M2ik = mL ik \cdot L2 + mXX ik \cdot tXX 2, \text{ გ}$$

სადაც $m\Pi P ik$ – i-ური ნივთიერების კუთრი ემისია k-ური ჯგუფის ავტოს ძრავის შეთბობისას, გ/წთ.

$mL ik$ – i-ური ნივთიერების კუთრი ემისია k-ური ჯგუფის ავტოს მოძრაობისას 10-20კმსიჩქარით, გ/კმ.

$mXX ik$ – i-ური ნივთიერების კუთრი ემისია k-ური ჯგუფის ავტომანქანის მუშაობისას უქმი სვლის რეჟიმზე, გ/წთ.

$t\Pi P$ - ძრავის გათბობის დრო, წთ.

L1, L2 - ავტომანქანის გარბენი სადგომის ტერიტორიაზე, კმ;

tXX 1, tXX 2 - ძრავის მუშაობა უქმი სვლის რეჟიმზე სადგომის ტერიტორიიდან გასვლისას და შემოსვლისას, წთ;

ეკოლოგიური კონტროლის განხორციელებისას ავტომანქანის კუთრი ემისია მცირდება, ამიტომ ემისიის მაჩვენებლები უნდა გადაანგარიშდეს ფორმულით:

$$m'\Pi P ik = m\Pi P ik \cdot Ki, \text{ გ/წთ};$$

$$m''XX ik = mXX ik \cdot Ki, \text{ გ/წთ};$$

სადაც: Ki – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს i-ური

დამაბინძურებელი ნივთიერების შემცირებას ეკოლოგიური კონტროლის ჩატარებისას.

i-ური დამაბინძურებელი ნივთიერების ჯამური ემისია იანგარიშება ცალ ცალკე წლის ყოველი პერიოდისათვის ფორმულით:

$$Mij = \sum_{k=1}^n \alpha B (M1ik + M2ik) Nk \cdot DP \cdot 10^{-6}, \text{ ტ/წელ};$$

სადაც αB - სადგომიდან გამოსვლის კოეფიციენტი;

Nk - ერთდროულად მომუშავე k-ური ჯგუფის ავტომანქანების რ-ბა საანგარიშო პერიოდში.

DP - სამუშაო დღეთა რ-ბა საანგარიშო პერიოდში –(თბილი, გარდამავალი, ცივი);

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

j – წლის პერიოდი (T - თბილი, Π - გარდამავალი, X - ცივი); წლის ცივ და გარდამავალ პერიოდებში ემისიის მახასიათებლების გავლენა გაითვალისწინება მხოლოდ სადგომიდან გამომავალი ავტომანქანებისათვის, რომლებიც დგანან ღია სადგომებზე.

საერთო ჯამური წლიური ემისიის M_i საანგარიშოდ ერთი დასახელების ნივთიერებების ემისია ჯამდება წლის პერიოდების მიხედვით

$$M_i = M_{Ti} + M_{\Pi i} + M_{Xi}, \text{ ტ/წელ;}$$

i-ური დამაბინძურებელი ნივთიერების მაქსიმალური ერთჯერადი ემისია G_i იანგარიშება ფორმულით:

$$G_i = \sum_{k=1}^k (M_{1ik} \cdot N^k + M_{2ik} \cdot N''k) / 3600, \text{ გ/წმ;}$$

სადაც $N^k, N''k$ – k-ური ჯგუფის ავტომობილების რ-ბა, რომლებიც გამოდიან სადგომიდან და შედიან სადგომში ერთ საათში.

მიღებული G_i -ის შედეგებიდან შეირჩევა მაქსიმალური სხვადასხვა ჯგუფის მანქანების მოძრაობის ერთდროულობის გათვალისწინებით.

დამაბინძურებელ ნივთიერებათა კუთრი ემისია ძრავის გათბობისას, გარბენისას, უქმი სვლის რეჟიმზე, ეკოკონტროლის დროს ემისიის შემცირებისას K_i , აგრეთვე ემისიის შემცირებისას პანდუსზე მოძრაობისას მოყვანილია ცხრილში 7.1-16.

დამაბინძურებელ ნივთიერებათა კუთრი ემისია სატვირთო მანქანებისაგან, რომელთა ბაზაც ანალოგიურია ავტოტრანსპორტისა, მოცემულია ცხრილში 7.1-16.

ცხრილი 7.1-16. დამაბინძურებელ ნივთიერებათა კუთრი ემისია

ტიპი	დამაბინძურებელი ნივთიერება	გათბობა, გ/წთ			გარბენი, გ/კმ			უქმი სვლაგ/წთ	ეკოკონტროლი K_i
		T	Π	X	T	Π	X		
სატვირთო, ტვირთამწეობა-8-16ტონა, ღიბელის ძრავზე									
	აზოტის დიოქსიდი (აზოტის (IV) ოქსიდი)	0,408	0,616	0,616	2,72	2,72	2,72	0,368	1
	აზოტის (II) ოქსიდი	0,0663	0,1	0,1	0,442	0,442	0,442	0,0598	1
	ჯვარტლი	0,019	0,0342	0,038	0,2	0,27	0,3	0,019	0,8
	გოგირდის დიოქსიდი	0,1	0,108	0,12	0,475	0,531	0,59	0,1	0,95
	ნახშირბადის ოქსიდი	1,34	1,8	2	4,9	5,31	5,9	0,84	0,9
	ნახშირწყალბადების ფრაქცია ნავთის	0,59	0,639	0,71	0,7	0,72	0,8	0,42	0,9

ძრავის გათბობის დრო ჰაერის ტემპერატურასთან და მანქანის შენახვის პირობებთან დამოკიდებულებით მოცემულია ცხრილში 7.1-17.

ცხრილი 7.1-17. ძრავის გათბობის დრო, წთ

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპი	ძრავის გათბობის დრო, წთ ჰაერის ტემპერატურის გათვალისწინებით, წთ						
	>5°C	+5..-5°C	-5..-10°C	-10..-15°C	-15..-20°C	-20..-25°C	<-25°C
სატვირთო, გამოშვება-1994 წლამდე, ტვირთამწეობა-8-16ტონა, დიზელის ძრავზე	4	6	12	20	25	30	30

მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური ემისიის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ:

$$M1 = 0,408 \cdot 4 + 2,72 \cdot 0 + 0,368 \cdot 1 = 2 \text{ გ;}$$

$$M2 = 2,72 \cdot 0 + 0,368 \cdot 1 = 0,368 \text{ გ;}$$

$$M301 = (2 + 0,368) \cdot 366 \cdot 10 \cdot 10^{-6} = 0,0086669 \text{ ტ/წელ;}$$

$$G301 = (2 \cdot 5 + 0,368 \cdot 5) / 3600 = 0,0032889 \text{ გ/წმ.}$$

$$M1 = 0,0663 \cdot 4 + 0,442 \cdot 0 + 0,0598 \cdot 1 = 0,325 \text{ გ;}$$

$$M2 = 0,442 \cdot 0 + 0,0598 \cdot 1 = 0,0598 \text{ გ;}$$

$$M304 = (0,325 + 0,0598) \cdot 366 \cdot 10 \cdot 10^{-6} = 0,0014084 \text{ ტ/წელ;}$$

$$G304 = (0,325 \cdot 5 + 0,0598 \cdot 5) / 3600 = 0,0005344 \text{ გ/წმ.}$$

$$M1 = 0,019 \cdot 4 + 0,2 \cdot 0 + 0,019 \cdot 1 = 0,095 \text{ გ;}$$

$$M2 = 0,2 \cdot 0 + 0,019 \cdot 1 = 0,019 \text{ გ;}$$

$$M328 = (0,095 + 0,019) \cdot 366 \cdot 10 \cdot 10^{-6} = 0,0004172 \text{ ტ/წელ;}$$

$$G328 = (0,095 \cdot 5 + 0,019 \cdot 5) / 3600 = 0,0001583 \text{ გ/წმ.}$$

$$M1 = 0,1 \cdot 4 + 0,475 \cdot 0 + 0,1 \cdot 1 = 0,5 \text{ გ;}$$

$$M2 = 0,475 \cdot 0 + 0,1 \cdot 1 = 0,1 \text{ გ;}$$

$$M330 = (0,5 + 0,1) \cdot 366 \cdot 10 \cdot 10^{-6} = 0,002196 \text{ ტ/წელ;}$$

$$G330 = (0,5 \cdot 5 + 0,1 \cdot 5) / 3600 = 0,0008333 \text{ გ/წმ.}$$

$$M1 = 1,34 \cdot 4 + 4,9 \cdot 0 + 0,84 \cdot 1 = 6,2 \text{ გ;}$$

$$M2 = 4,9 \cdot 0 + 0,84 \cdot 1 = 0,84 \text{ გ;}$$

$$M337 = (6,2 + 0,84) \cdot 366 \cdot 10 \cdot 10^{-6} = 0,0257664 \text{ ტ/წელ;}$$

$$G337 = (6,2 \cdot 5 + 0,84 \cdot 5) / 3600 = 0,0097778 \text{ გ/წმ.}$$

$$M1 = 0,59 \cdot 4 + 0,7 \cdot 0 + 0,42 \cdot 1 = 2,78 \text{ გ;}$$

$$M2 = 0,7 \cdot 0 + 0,42 \cdot 1 = 0,42 \text{ გ;}$$

$$M2732 = (2,78 + 0,42) \cdot 366 \cdot 10 \cdot 10^{-6} = 0,011712 \text{ ტ/წელ;}$$

$$G2732 = (2,78 \cdot 5 + 0,42 \cdot 5) / 3600 = 0,0044444 \text{ გ/წმ.}$$

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ატმოსფერულ-ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში მოსალოდნელია მავნე ნივთიერების ემისია, რომლის მაქსიმალური ერთჯერადი და საშუალო დღეღამური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები მოცემულია ცხრილში 7.1-18

ცხრილი 7.1-18. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

№	მავნე ნივთიერების დასახელება	კოდი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზ.დ.კ) მგ/მ3	
			მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღეღამური
1	აზოტის დიოქსიდი	301	0,2	0,04
2	აზოტის ოქსიდი	304	0,4	0,06
3	ჭვარტლი	328	0,15	0,05
4	გოგირდის დიოქსიდი	330	0,5	0,05
5	გოგირდწყალბადი	0333	0,008	-
6	ნახშირბადის ოქსიდი	337	5,0	3,0
7	ბენზ(ა)პირენი	0703	-	0,000001
8	ნახშირწყალბადების ნავთის ფრაქცია	2732	1,2	-
9	ნაჯერი ნახშირწყალბადები (ალკანები C12-C19)	2754	1,0	-
10	შენონილი ნაწილაკები	2902	0,5	0,15
11	არაორგანული მტვერი: 70-20% SiO2	2908	0,3	0,1

ატმოსფერულ-ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში

ზემოთ აღნიშნული მონაცემებით ჩატარდა გაბნევის ანგარიში მიხედვით. გაბნევის ანგარიშში მონაწილეობა მიიღო 11-მა ინდივიდუალურმა ნივთიერებამ 4-მა ჯამური ზემოქმედების ჯგუფმა და 1-მა არასრული ჯამური ზემოქმედების ჯგუფმა ზღვ-ს კრიტერიუმები მიღებულია მიხედვით.

ცხრილი 7.1-19. საანგარიშო არეალი -საანგარიშო მოედნები

№	ტიპი	მოედნის სრული აღწერა				სიგანე (მ)	ბიჯი (მ)		სიმაღლ. (მ)	კომენტარი
		შუა წერტილის კოორდინატები, I მხარე (მ)		შუა წერტილის კოორდინატები, II მხარე (მ)			X	Y		
		X	Y	X	Y		X	Y		
1	მოცემული	-800	-100	800	-100	800	100	100	2	

საანგარიშო წერტილები

№	წერტილის კოორდინატები (მ)		სიმაღლ. (მ)	წერტილ. ტიპი	კომენტარი
	X	Y			
1	535,00	288,00	2	500 მ-ნი ზონის საზღვარზე	ჩრდ.აღმ
2	578,00	-36,00	2	500 მ-ნი ზონის საზღვარზე	აღმ.
3	36,00	-524,00	2	500 მ-ნი ზონის საზღვარზე	სამხრ.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

4	-535,00	3,00	2	500 მ-ნი ზონის საზღვარზე	დას.
5	-263,00	176,00	2	წერტილი დასახლებული ზონისუახლოესი დასახლება 1 საზღვარზე	
6	-364,00	-210,00	2	წერტილი დასახლებული ზონისუახლოესი დასახლება 2 საზღვარზე	

მაგნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მიღებული შედეგების ანალიზი

შემაჯამებელ ცხრილში მოცემულია საკონტროლო წერტილებში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაციები ზღვ-ნილებში.

ცხრილი 7.1-20. საკონტროლო წერტილებში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაციები ზღვ-ნილებში

მაგნე ნივთიერების დასახელება	მაგნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის წილი ობიექტიდან	
	უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე	500 მ რადიუსის საზღვარზე
აზოტის დიოქსიდი	0,19	0,09
აზოტის ოქსიდი	0,02	0,0072
ჭვარტლი	0,03	0,01
გოგირდის დიოქსიდი	0,02	0,0067
გოგირდწყალბადი	0,0012	0,00005
ნახშირბადის ოქსიდი	0,0072	0,0033
ბენზ(ა)პირენი	0,0043	0,0016
ფორმალდეჰიდი	0,0074	0,0028
ნახშირწყალბადების ნავთის ფრაქცია	0,0087	0,004
ნაჯერი ნახშირწყალბადები (ალკანებიC12-C19)	0,0034	0,0014
შენონილი ნაწილაკები	0,04	0,02
არაორგანული მტვერი: 70-20% SiO ₂	0,37	0,13
არასრული ჯამური ზემ. ჯგუფი 6009(301+330	0,13	0,06
ჯამური ზემოქმედების ჯგუფი 6043 (330 +333)	0,0074	0,0013
ჯამური ზემოქმედების ჯგუფი 6046 (337+2908)	0,37	0,13

განგარიშების შედეგების ანალიზით ირკვევა, რომ მშენებლობის პროცესში მიმდებარე ტერიტორიების ატმოსფერული ჰაერის ხარისხი როგორც 500 მ-ნი ნორმირებული ზონის მიმართ, აგრეთვე უახლოესი დასახლებული ზონების მიმართ არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს.

შემარბილებელი ღონისძიებები - მშენებლობის ფაზა

მშენებლობის პროცესში ზემოქმედების შემცირების მიზნით გატარდება შემდეგი შამარბილებელი ღონისძიებები:

სამუშაო დღეებში მშრალ და ქარიან ამინდში ოთხ საათში ერთხელ არაასფალტირებული გზის ან გაშიშვლებული გრუნტის საფარიანი ტერიტორიების მორწყვა;

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ჩართული ძრავით მანქანის უქმად გაჩერების აკრძალვა;

ტერიტორიის გარეთ მოძრაობისას, განსაკუთრებით დასახლებული პუნქტების მახლობლად - ოპტიმალური სიჩქარის დაცვა;

მანქანების და სამშენებლო ტექნიკის გამართულობის უზრუნველყოფა;

მანქანების ბორბლების სარეცხის მოწყობა, მანქანის სამუშაო მოედნების დატოვებისას საბურავების გარეცხვა;

სატვირთო მანქანებით ფხვიერი მასალის/ნარჩენების გადატანისას მისი ბრეზენტით დაფარვა;

ბეტონის წარმოების ობიექტების განლაგება დასახლებული პუნქტებიდან არანაკლებ 300 მ-ის მანძილზე (ქარის მიმართულებით);

კონტრაქტორის პერსონალს ჩაუტარდება ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე.

შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფა საავტომობილო გზების დეპარტამენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შეფასება: ექსპლუატაციის ფაზა

ავტომობილებიდან გამოყოფილი გამონაბოლქვის რაოდენობა დამოკიდებულია მათ ტექნიკური გამართულობის ხარისხზე, სატრანსპორტო ნაკადში მძიმე სატვირთო ავტომანქანების პროცენტულ წილზე, სანჯავის ხარისხზე და სიჩქარეზე. მოძველებულ ავტომობილებს სანჯავის მოხმარება დაბალი ეფექტურობა ახასიათებთ, შესაბამისად წვის თანაპროდუქტების ემისია ასეთი მანქანებიდან მაღალია. სიჩქარის მატებისას იზრდება სანჯავის ხარჯი, რაც მეტი დამაბინძურებლების ემისიას იწვევს.

მაგისტრალის საკვლევი მონაკვეთის მოდერნიზაციის შემდეგ სიჩქარის დასაშვები ზღვარი ბორცვიან და მთიან ტერიტორიაზე შესაბამისად 100კმ/სთ და 80კმ/სთ იქნება. (სიჩქარის ზღვრები შეესაბამება დღეში 8000 ერთეულზე მეტი მანქანის გამტარუნარიანობის საერთაშორისო მნიშვნელობის გზისთვის დანესებულ საქართველოს სტანდარტს). გაზრდილი გამტარუნარიანობა გამოიწვევს სატრანსპორტო ნაკადების ზრდას და შესაბამისად უფრო მაღალ ემისიებს.

ზემოქმედების შესაფასებლად შესრულდა ზემო ბაკურციხე-წნორის გზის მონაკვეთზე ტრანსპორტის მოძრაობისას გაფრქვეული დამაბინძურებლების (CO, NO₂, და PM) დისპერსიის მოდელირება.

ახალი ტრასა გადის ხაშურის ჩრდილოეთით, ძირითადად სასოფლო ლანდშაფტზე. აქედან გამომდინარე, დამაბინძურებელ ნივთიერებათა ფონური კონცენტრაციები ნულის ტოლად იქნა მიჩნეული (წყარო: ფონური კონცენტრაციები იმ ქალაქებისათვის და დასახლებული პუნქტებისათვის, სადაც არ ტარდება დაკვირვებები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე) და არ არის გათვალისწინებული დისპერსიის მოდელირებაში.

მოდელირების შედეგებმა ცხადყო, რომ CO, NO₂ და PM კონცენტრაციები არ გადააჭარბებს მაქსიმალურად დასაშვებ სიდიდეებს და მათთან შედარებით უმნიშვნელოდ დაბალი იქნება. დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციების გაანგარიშება გზის საზღვრებიდან 5 და 50მ -ის დაშორებისთვის ჩატარდა. მოდელირების შედეგები მოცემულია ცხრილში 7.1-21.

ცხრილი 7.1-21. მოდელირებული კონცენტრაციები

	მოდელირებული კონცენტრაციები (30 წთ ერთჯერადი მაქსიმუმი)
--	---

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

		CO, მგ/მ3		NO2,მგ/მ3		PM10, მგ/მ3	
		მანძილი გზიდან		მანძილი გზიდან		მანძილი გზიდან	
		5 მ	50 მ	5მ	50მ	5 მ	50მ
(კმ 142)	5.5 – 6.6	1.6 – 2.1	10 – 15	4 – 6	3.0 – 5.0	0	
	100 კმ/სთ	3.5 – 4.5	0.8 – 1	8 – 10	2 – 3	1.0	0

7.1.2 ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება ექსპლუატაციის ეტაპზე

შემარბილებელი ღონისძიებები - ექსპლუატაციის ფაზა

მოდელირების შედეგები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჰაერის დაბინძურების შემარბილებელი ღონისძიებების გატარება ბაკურციხე-წნორის მონაკვეთზე საჭირო არ არის. თუმცა მიზანშეწონილია დასახლებულ პუნქტთან ახლოს მწვანე საფარის შენარჩუნება. სარემონტო და ტექნომსახურების სამუშაოების წარმოებისას, დაცული იქნება მშენებლობის ეტაპისთვის შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები.

შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფა საავტომობილო გზების დეპარტამენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

შემარბილებელი ღონისძიებები: მშენებლობის ფაზა

საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოების პროცესში უნდა გატარდეს შემარბილებელი ღონისძიებები ატმოსფერულ ჰაერში მტვრის და წვის პროდუქტების ემისიების შემცირების მიზნით:

ემისიის სტაციონალური წყაროების (მაგ. ბეტონის კვანძი, ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი) განლაგდება მოსახლეობიდან მაქსიმალურად დაშორებით და ისინი აღიჭურვება შესაბამისი ფილტრებით;

საცხოვრებელი ზონების სიახლოვეს სატრანსპორტო ოპერაციების და მოძრაობის სიჩქარეების შეზღუდვა;

მანქანა დანადგარების ძრავების უქმ რეჟიმში ექსპლუატაციის შეზღუდვა;

მუდმივად გაკონტროლდება გამოყენებული მანქანების ტექნიკური მდგომარეობა.

ადვილად ამტვერებადი მასალების ტრანსპორტირების პროცესში მაქსიმალურად გამოყენებული იქნება სატვირთო ავტომობილების ბრეზენტით გადატარვის მეთოდი;

საჭიროა მოძრაობის სიჩქარეების დაცვა და ამტვერებადი მასალების სათანადო მართვა მტვრის გავრცელების შესამცირებლად. მტვრის ემისიების შემცირების ეფექტური გზა შეიძლება იყოს სამოძრაო გზების პერიოდული მორწყვა მშრალ ამინდებში;

ოპერირების ფაზა

ჩატარებული შეფასებების თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ საავტომობილო გზის მონაკვეთის ექსპლუატაციით მნიშვნელოვნად არ გაიზრდება მტვრისა და ემისიების დონე. თუმცა, ეს პარამეტრები საჭიროებს პერიოდულ გაზომვას და თუ დაფიქსირდა მათი მიუღებელი ზომით გაზრდა, საჭირო გახდება

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება. საერთო ჯამში, მცენარეულობის შენარჩუნება გზის სამშენებლო ღერეფანში წარმოადგენს მტვრის კონტროლის ეფექტურ საშუალებას.

7.2 ზემოქმედება ხმაურზე და ვიბრაციაზე

7.2.1 მშენებლობის ფაზა

მშენებლობის ეტაპზე ხმაურის და ვიბრაციის სავარაუდო წყაროები იქნება:

სამშენებლო ბანაკებზე მოქმედი ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო, ბეტონის და ასფალტბეტონის კვანძების ფუნქციონირება;

სამშენებლო ტექნიკის და დანადგარების ფუნქციონირება;

სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება.

მშენებლობისას სავარაუდოდ გამოყენებული ძირითადი ტექნიკური საშუალებების ხმაურის მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 7.2.-1.

ცხრილი 7.2.-1 სამშენებლო მანქანა დანადგარების ხმაურის დონეები

მანქანა-დანადგარები	ხმაურის დონე (დბ) წყაროდან 10-15 მ-ში
გზის სამშენებლო მასალების მწარმოებელი ობიექტების დანადგარ მექანიზმები (სამსხვრევი, ცხაური, შემრევი და სხვ.)	100 და მეტი
ხიმინჯების სამაგრი	100 და მეტი
ბულდოზერი	90
ექსკავატორი	88
ავტოთვითმცლელი	85
ბეტონმემრევი მანქანა	85
პნევმატური ჩქაუჩი	88
პნევმატური მონყობილობები	85
ამწე	88
კომპრესორი	81

მშენებლობის პროცესში ზემოქმედების შემცირების მიზნით გატარდება შემდეგი შამარბილებელი ღონისძიებები:

ხმაურის წარმოქმნილი წყაროები მოთავსდება რეცეპტორებიდან (საცხოვრებელი სახლები) ოპტიმალურ მანძილზე. (დაცული იქნება დაცვის ზონის საზღვრები 300მ, 500მ შესაბამისად ასფალტის და ბეტონის კვანძებიდან)

გაკონტროლდება მანქანების, სამშენებლო ტექნიკის და აღჭურვილობის ტექნიკური გამართულობა.

აიკრძალება ჩართული ძრავით მანქანების უქმად გაჩერება და უქმად გადაადგილება.

საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებული იქნება დროებითი ხმაურჩამხშობი ეკრანები.

დაცული იქნება სამუშაო საათების ხანგრძლივობა. ღამის საათებში სამუშაო არ იწარმოებს.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

აიკრძალება სიგნალი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უსაფრთხოებისთვის აუცილებელია.

დაცული იქნება ტერიტორიის გარეთ მანქანების მოძრაობის შეთანხმებული მარშრუტი.

მაქსიმალურად იქნება შენარჩუნებული მცენარეული საფარი (რაც ბუნებრივ ხმაურდამცავ ბარიერს შექმნის).

პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება პირადი დაცვის საშუალებებით. იმ უბნებზე, სადაც სამუშაოების წარმოებისას ადგილი ექნება ხმაურის დონის გადაჭარბებას - პერსონალი გამოიყენებს ყურსაცმებს;

კონტრაქტორის პერსონალს ჩაუტარდება ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე.

შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფა საავტომობილო გზების დეპარტამენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

7.2.2 ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება ექსპლუატაციის ფაზაზე

გზის ექსპლუატაციის ეტაპზე ანსხვავებენ ორი ტიპის ხმაურს. ესენია:

მანქანის ძრავებით გამოწვეული ხმაური და

საბურავის გზასთან ხახუნით წარმოქმნილი ხმაური (გასათვალისწინებელია, რომ ბეტონის საფარი ზრდის ხმაურის დონეს დაახლოებით 3 დბა-თი ასფალტო-ბეტონის საფართან შედარებით.)

პროექტის თანახმად ბაკურციხე-წნორი გზის მონაკვეთზე დაწესდება მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა 80კმ/ს- გორაკიან რელიეფზე.

ხმაურის გაზრდილი დონის და გზის მახლობლად მცხოვრებ მოსახლეობაზე ხმაურით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების შესაფასებლად ჩატარდა ხმაურის დისპერსიის გრძელვადიანი მოდელირება. ხმაურის მოდელირება მოხდა სატრანსპორტო ნაკადის საპროგნოზო მონაცემების საფუძველზე.

ბაკურციხე-წნორის გზა გვერდს უვლის დასახლებულ პუნქტებს და დაშორებულია საცხოვრებელი სახლებიდან (არ იგულისხმება განსახლებას დაქვემდებარებული რამდენიმე საცხოვრებელი სახლი) ამიტომ, როგორც შედეგებმა ცხადჰყო, მომატებული ხმაური არ მოახდენს ზემოქმედებას ადგილობრივ თემზე.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხმაურის დისპერსიის გრძელვადიანი პროგნოზი შეიძლება არ იყოს ზუსტი ვინაიდან ყველა ზემოქმედების ფაქტორის წინასწარ განჭვრეტა რთულია. მაგალითად, გათვლები განხორციელდა ამჟამად არსებული საავტომობილო პარკის ხმაურის ემისიის ფაქტორის გათვალისწინებით. ცხადია, საპროგნოზო პერიოდში საქართველოს ეკონომიკაში პოზიტიური ცვლილებები მოხდება, შესაბამისად გაიზრდება ახალი მანქანების პროცენტული წილი და შემცირდება მათ მიერ გამოწვეული ხმაურის დონეები.

შემარბილებელი ღონისძიებები - ექსპლუატაციის ფაზა

ექსპლუატაციის პროცესში ზემოქმედების შემცირების მიზნით გატარდება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

გზის საფარს დროულად ჩაუტარდება რემონტი

შენარჩუნებული იქნება მცენარეული საფარი გზის გაყოლებებზე.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

სარემონტო სამუშაოებისას დაცული იქნება მშენებლობის ეტაპისთვის დადგენილი მოთხოვნები (შემარბილებელი ღონისძიებები).

შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფა საავტომობილო გზების დეპარტამენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

7.3 გეოლოგიური გარემოს ცვლილება და მოსალოდნელი ზემოქმედებები

7.3.1 მშენებლობის ფაზა

როგორც გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერით ნაწილში აღინიშნა საპროექტო დერეფანი გადის საკმაოდ ადვილ რელიეფურ პირობებში. მშენებლობის ფაზაზე არ არის მოსალოდნელი რაიმე სახის საშიში გეოლოგიური პროცესების გააქტიურება. გზის ახალი დერეფნის ვაკისის მომზადება, საგზაო-საინჟინრო ნაგებობებისათვის საძირკვლების მოწყობა და ფუჭი ქანების სათანადო მართვა არ გამოიწვევს საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარებას.

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების საბოლოო ანგარიშის და შპს გეოტექსერვისის მიერ მომზადებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის (დანართი 6) შედეგად საპროექტო ტერიტორიაზე არ იქნა რაიმე სახის საშიში გეოლოგიური პროცესები.

შემარბილებელი ღონისძიებები - მოსამზადებელი და მშენებლობის ფაზა

უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების ან შერბილების მიზნით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

დროებითი ბერმების, ქანობის დრენაჟის, პერიმეტრზე სადრენაჟე არხების, სალექარის და სხვ მოწყობა. (კუევეტები და ბერმები საშუალებას იძლევიან აცილებულ იქნას დატბორვა და გზის წარეცხვა, ამცირებენ ეროზიას, წყლის დაგუბებას და იძლევიან ზედაპირული ჩამონადენის არინების საშუალებას.)

მოწყობილი ფერდობის სტაბილიზაციის ღონისძიებების გატარება (მაგ. ჰიდროთესვა, თუ ამის აუცილებლობა გამოვლინდა, მექანიკური საშუალებების გამოყენება).

კონტრაქტორის პერსონალს ჩაუტარდება ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე.

ცხრილში მოცემულია ზოგიერთი შესაძლო პრობლემა და მის გადასაჭრელად ნაგარაუდები გზა:

პრობლემა	პრობლემის გადაწყვეტა
ზედაპირული ჩამონადენი ქმნის ფერდობის ეროზიის რისკს.	ორი ქმედების კომბინაცია - წყალსარინი არხების მოწყობა და ფერდობის გამაგრება (დამცავი საფარის გამოყენება)
ნალექიან ამინდში ვაკისის გარე ზედაპირის (რომელიც ჩვეულებრივ ნაკლებად არის დატკეპნილი) მომატებული ტენშემცველობის ზრდის ფერდი ჩამოიშალოს რისკს.	დატკეპნა, დროებითი ეკრანების გამოყენება

სამუშაოს მსვლელობის პროცესში ინარმოებს მუდმივი მონიტორინგი ეროზიული პროცესების დროული გამოვლენის და პრობლემაზე რეაგირების უზრუნველსაყოფად.

შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფა საავტომობილო გზების დეპარტამენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

7.3.2 ექსპლუატაციის ფაზა

იმის გათვალისწინებით, რომ დეტალური დიზაინი არ არის მომზადებული და დეტალური გეოტექნიკური და საინჟინრო გეოლოგიური კვლევები არ არის ჩატარებული, აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ ოპერირების ეტაპზე ზემოქმედება ნაკლებ სავარაუდოა. საპროექტო გზის მონაკვეთზე არ აღინიშნება სენსიტიური უბნები, შესაბამისად გატარდება მხოლოდ ფერდობების სტაბილურობის მონიტორინგი (ვიზუალური დათვალიერება). რაიმე საეჭვო ნიშნების დაფიქსირებისას მოხდება დაუყოვნებლივი რეაგირება - პრობლემის მიზეზის დადგენა და რისკის თავიდან აჩილების ღონისძიებების გატარება.

სარემონტო სამუშაოებისას დაცული იქნება მშენებლობის ეტაპისთვის დადგენილი მოთხოვნები (შემარბილებელი ღონისძიებები).

შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფა საავტომობილო გზების დეპარტამენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

7.4 ზემოქმედება წყლის გარემოზე

7.4.1 ცვლილება და დაბინძურების რისკები მშენებლობის ეტაპზე

ზედაპირული წყლების პოტენციური დაბინძურების მიზეზებად შეიძლება ჩაითვალოს სანვავის/ზეთების ნანვეთი სამშენებლო ტექნიკიდან/მანქანებიდან (ავარიული სიტუაციების შემთხვევების ჩათვლით), არაშესატყვისად მართული თხევადი/მყარი ნარჩენები და სამშენებლო მასალა, დაბინძურებული ზედაპირული ჩამონადენი, ზედაპირული წყლების მოსიღვა მიწის სამუშაოების დროს, დაბინძურებული ზედაპირული ჩამონადენი, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის დროს საპროექტო ტერიტორიაზე არ აღმჩნდა გრუნტის წყალი. აქედან გამომდინარე ზემოქმედება მოხდება მხოლოდ მდინარეებისა და მშრალი ხევების სიახლოვეს ზედაპირული წყლების.

ზემოქმედების რისკები შედარებით მაღალია სამშენებლო ბანაკებთან და იმ უბნებზე, სადაც სამუშაოების წარმოება მოხდება მდინარის კალაპოტში ან მის მახლობლად. წინასწარი დიზაინის მომზადების შემდგომ განისაზღვრება მდინარეში ხიმიწების დამონტაჟება ხიდების მშენებლობის დროს. სათანადო გარემოსდაცვითი მენეჯმენტის პირობებში ზედაპირული წყლების დაბინძურების ალბათობა დაბალია.

საერთო ჯამში გზის მშენებლობის გავლენა წყლის გარემოზე შეიძლება შეფასდეს როგორც დაბალი. ზემოქმედება დროებითი და შექცევადი ხასიათის იქნება. შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში კი გაუტოლდება ნოლს.

შემარბილებელი ღონისძიებები - მშენებლობის ფაზაზე

უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების ან შერბილების მიზნით პროექტის განხორციელების უბნებზე საქმიანობა განხორციელდება შემდეგი გარემოსდაცვითი/უსაფრთხოების ღონისძიებების გათვალისწინებით:

ტერიტორიაზე სანვავის ავზის არსებობის შემთხვევაში ის განთავსდება მდინარის ნაპირიდან არა უმცირეს 100 მ-ის მანძილზე. ავზი მოთავსდება ბერმებით ან მიწაყრილებით დაცულ ტერიტორიაზე საჭიროების შემთხვევაში ავარიული დაღვრების შეჩერების მიზნით. ავარიული დაღვრა დაუყოვნებლივ იქნება შეკავებული და გაინმინდება აბსორბენტი მასალის გამოყენებით;

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ადგილზე ტექნიკის რემონტი/ტექნიკური მომსახურება და გამართვა შეზღუდული იქნება. უპირატესობა მიენიჭება ტერიტორიის გარეთ მდებარე კერძო/კომერციულ ტექნომსახურების ობიექტების გამოყენებას. თუ ამის საშუალება არ არის, ტერიტორიის ფარგლებში გამოყოფილი იქნება სპეციალური ტერიტორია და/ან მოეწყობა მეორადი შემოღობვა შემთხვევითი დაღვრის შესაკავებლად. ტერიტორია შეირჩევა სადრენაჟე სისტემებიდან და ზედაპირული წყლის ობიექტებისგან მოშორებით (არანაკლებ 100მ დაშორებით);

სამშენებლო უბნებზე რეგულარულად შემოწმდება მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობა. ყველა დაზიანება დაუყოვნებლივ შეკეთდება. ტერიტორიაზე შემოსული მანქანები შემოწმდება, დაზიანებული ტექნიკა სამშენებლო უბანზე არ დაიშვება;

სანვაის/ზეთის გამოცვლის დროს დაღვრილი მასალის შესაგროვებლად გამოყენებული იქნება შემკრები. მცირე გაუონვის შემთხვევაში - მოხდება აბსორბენტი მასალის გამოყენება;

მანქანის ბორბლების სარეცხი აღიჭურვება წყალშემკრებით და სალექარით. მანქანების ნარეცხი წყლის შეგროვების ავზი გასუფთავებული არა უგვიანეს მისი 75%-ით შევსებისა;

უპირატესობა მიენიჭება მანქანების რეცხვას ტერიტორიის გარეთ კომერციულ სამრეცხაოებში. ადგილზე რეცხვის საჭიროების შემთხვევაში მოეწყობა ბერმებით დაცული, მყარსაფარიანი მოედანი. ტერიტორიას ექნება ქანობი წყლის შეგროვების გაადვილების და აორთქლების გასამარტივებლად. წყლის ჩაშვება გარემოში არ მოხდება;

გაუნმენდავი წყლის ჩაშვება ზედაპირულ წყლებში მკაცრად აიკრძალება;

ცემენტით დაბინძურებული წყლის ჩაშვება თავიდან იქნება აცილებული, რათა არ მოხდეს pH აწევა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს წყლის გარემოს მდგომარეობის გაუარესება;

სამშენებლო მასალა და ნარჩენები დასაწყობდება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული ეროზია და ნარეცხვა. ზედაპირული ჩამონადენის არინებისთვის მოეწყობა სადრენაჟე არხები;

ჩამონადენი წყლის დაბინძურების შემცირების მიზნით, გზის, მაგისტრალისა და ხიდის მშენებლობისას გატარდება ჩამონადენი წყლის კონტროლის ღონისძიებები. მოეწყობა წყალარინების სისტემა. ყველა პოტენციურად დაბინძურებული უბანი დაცული იქნება ჩამონადენის შეღწევისგან და დაბინძურების გარემოში გადატანისგან, ნარჩენების და მასალის განთავსების უბნები დაცული იქნება ნარეცხვისგან და გაფანტვისგან.

დაცული იქნება ნიადაგზე ზემოქმედების შემცირებისთვის დაწესებული ღონისძიებები და ნარჩენების მართვის რეკომენდაციები.

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ჩამონადენი წყლის დაბინძურება, გზის საფარის მოწყობის სამუშაოები მოხდება მხოლოდ მშრალ ამინდში;

მიწის სამუშაოების უბნებზე განოყენებული იქნება სედიმენტების კონტროლის საშუალებები (მაგ. თივის ბარიერები. ხრეშიანი ტომრები). ღია გრუნტი დაცული იქნება ნარეცხვისგან. ნაყარი მიწის დასაცავად გამოყენებულ უნდა იქნას ნიადაგის სტაბილიზაციის საუკეთესო პრაქტიკა, როგორცაა მულჩი, მიწის კულტივატორები, პოლიმერული ან ეროზიის საწინააღმდეგო საფარი;

კონტრაქტორის პერსონალს ჩაუტარდება ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე.

შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფა საავტომობილო გზების დეპარტამენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

7.4.2 ცვლილება და დაბინძურების რისკები ექსპლუატაციის ეტაპზე

ზედაპირული და გრუნტის წყალზე ზემოქმედება გზის ექსპლუატაციის/ტექნომოსახურების ფაზაზე შესაძლებელია მოხდეს

გზის მიმდინარე რემონტის დროს საწვავ-საპოხი მასალის მდინარეში მოხვედრისას;

საგზაო ავარიის შედეგად (იგულისხმება ავარიის შემთხვევაში ქიმიური ნივთიერებების ან საწვავის/ზეთის დაღვრა) დამაბინძურებლის მდინარეში ჩაღვრის შემთხვევაში;

მძიმე მეტალებით, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული დაბინძურებული ზედაპირული ჩამონადენის მდინარეში მოხვედრისას;

არასათანადო მართვის გამო მასალის და/ან ნარჩენი მასალის და ნარჩენების მდინარეში ჩაყრისას;

გზაზე/გზისპირებზე დაყრილი ნაგვის (ზედაპირული ჩამონადენით ან ქარით წყალში გადატანისას).

გრუნტის წყლის დაბინძურება შესაძლებელია მოხდეს დაბინძურების გრუნტში ინფილტრაციის შედეგად ან დაბინძურების ზედაპირული წყლიდან გრუნტის წყალში მოხვედრის შედეგად.

შემარბილებელი ღონისძიებები - ექსპლუატაციის ფაზა

უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება/შერბილება შესაძლებელი იქნება ქვემოთ აღწერილი გარემოებების გათვალისწინებით და შემდეგი ღონისძიებების გატარებით.

ავარიული სიტუაციების რისკი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი გზაზე უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებით.

პროექტის შესაბამისად, მინიმუმამდეა დაყვანილი დრენირებული წყლის ზედაპირულ წყლის ობიექტებში ჩაშვების შესაძლებლობა.

სამშენებლო მასალის და ნარჩენების დაუდევარი მართვის გამო დაბინძურების რისკი აცილებული იქნება სამშენებლო სამუშაოების ეტაპისთვის განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით.

მოხდება გზის და გზისპირა ზოლის დასუფთავება (ნაგვის გატანა).

მდინარის კალაპოტთან ან მდინარეში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების წყლის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების თავიდან აცილების/წყლის გარემოს დაცვის ეფექტური საშუალება საშუაოს სწორი დაგეგმვა იქნება. კერძოდ, სარემონტო სამუშაოებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი:

გზის საფარის დაგება მოხდება მხოლოდ მშრალ ამინდში, ჩამონადენის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად;

დაზიანებული საფარის ან ორმოების შეკეთების დროს მოხდება სანიაღვრე სადრენაჟე სისტემის შესასვლელების და ლიუკების დაცვა ბლოკირებისგან, გზის საფარის შეკეთებისას ეროზიის და ნატანის კონტროლი შეკეთების უბნებიდან ჩამონადენის შესამცირებლად, შემკრებების და ადსორბენტების გამოყენება მასალის გაუონვის და ტექნიკიდან ნაწვეთის შესაზღუდად.

გრძელვადიან პერსპექტივაში, ევროკავშირთან ასოცირების რეკომენდაციების გათვალისწინებით სატრანსპორტო საშუალებების ასაკთან და ტექნიკური მდგომარეობის დაკავშირებული რეგულაციების

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

გამკაცრების და სანვავის ხარისხის გაუმჯობესების შედეგად შემცირდება გარემოზე ზემოქმედების 'ხარისხი'.

სარემონტო და ტექნომსახურების სამუშაოების წარმოებისას, დაცული იქნება მშენებლობის ეტაპისთვის შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები.

შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფა საავტომობილო გზების დეპარტამენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

7.5 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერებაზე და ხარისხზე

7.5.1 ნიადაგზე ზემოქმედება მშენებლობის ეტაპზე

მშენებლობის დროს შესაძლო ზემოქმედება ნიადაგზე ძირითადად დაკავშირებული იქნება გასხვისების ზოლის მომზადების, სამშენებლო ბანაკების და სამუშაო უბნების მოწყობის დროს ნაყოფიერი ნიადაგის დაზიანება-დაკარგვასთან; მანქანებიდან და/ან სანვავის საცავიდან (ბანაკის ან სამშენებლო მოედანზე არსებობის შემთხვევაში) სანვავის/ზეთის დაღვრისას ნიადაგის დაბინძურებასთან, ნარჩენებით ნიადაგის დაბინძურებასთან, ღია გრუნტის წყლის ან ქარისმიერ ეროზიასთან, ბუნებრივი ღრენაჟის პირობების შეცვლისას ტერიტორიის დატბორვისას ნიადაგის დაჭაობებასთან.

მოსამზადებელი სამუშაოების პროცესში გასხვისების ზოლის და სამუშაო უბნების ტერიტორიებზე მოიხსნება ნაყოფიერი ნიადაგი (ტექნიკური პროექტის ავტორების მონაცემებით - ნიადაგის ზედა, ნაყოფიერი ფენის სისქე 0.1 და 0.2მ შორის მერყეობს). ნიადაგის დასაწყობების ტერიტორია შეირჩევა გარემოსდაცვითი ნორმების და გარემოს პირობების გათვალისწინებით. ტერიტორია შეთანხმდება გარემოსდაცვის უწყებასთან. კერძო მფლობელობაში მყოფი ნაკვეთის/ნაკვეთების გამოყენების შემთხვევაში დროებით სარგებლობაში მიწის ალების კომპენსაცია განისაზღვრება განსახლების გეგმის შესაბამისად.

ნაყარის სიმაღლის და დახრის კუთხის არასწორი შერჩევისას ნაყარის ჩამოიშალის, ნიადაგის გაფანტვის და ტექნიკის მოძრაობისას დატკეპნა-დაბინძურების გამო ნაყოფიერი ნიადაგი შეიძლება დაზიანდეს ან მოხდეს მისი ხარისხის გაუარესება.

გასხვისების ზოლის გარეთ ნიადაგის ნაყოფიერებაზე და ხარისხზე გავლენა საპროექტო უბნების საზღვრების და სამოძრაო მარშრუტის დარღვევის შემთხვევაში ტერიტორიის გარეთ ნიადაგის დატკეპნამ და სანვავის/ზეთების დაღვრამ შეიძლება გამოიწვიოს.

ფერდობებიდან მცენარეული საფარის მოხსნის შემთხვევაში არსებობს ფერდობის სტაბილურობის დაკარგვის რისკი. ამ პროცესს ხელს უწყობს ღია გრუნტის ატმოსფერული ნალექების მიმართ ექსპოზიცია. ნაყოფიერ ფენაზე ქვენიადაგის ჩამოშლის შედეგად ხდება ნაყოფიერი ფენის დაკარგვა. რადგან ჩამოშლილი მიწის მოხსნის შემთხვევაშიც კი, ქვენიადაგის ნაყოფიერ ნიადაგთან შერევისას უკანასკნელის ხარისხი უარესდება.

შემარბილებელი ღონისძიებები - მშენებლობის ფაზა

ნიადაგზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების ან შესუსტების მიზნით გათვალისწინებულია შემდეგი:

მაქსიმალურად იქნება შენარჩუნებული მცენარეული საფარი;

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ნაყოფიერი ნიადაგის ფენის დაკარგვის პრევენციის მიზნით, ნიადაგი მოიხსნება და განთავსდება დროებით ნაყარში ტერიტორიის რეკულტივაციისას

ნაყარისთვის შერჩეული ტერიტორია შეთანხმდება გარემოსდაცვით უწყებასთან;

ნაყარი არ მოეწყობა ზედაპირული წყლის ობიექტის მახლობლად, წარეცხვის თავიდან აცილების მიზნით;

ნაყოფიერი ნიადაგის ფენის ხარისხის შენარჩუნებისთვის, მოხსნისას არ მოხდება მისი შერევა ქვენიდაგთან.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა მოხდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ მთავრობის რეგულაციით (#424, 2013 წლის 31 დეკემბერი) განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ასევე გათვალისწინებული იქნება ნაყოფიერი ნიადაგის ეფექტური მართვის პრაქტიკული გამოცდილება (იხ. დანართი 3).

მოხსნილი ნაყოფიერი ნიადაგის ფენის დასაწყობდება ქვენიდაგის და სხვა მასალისგან განცალკევებით;

ნაყარის მოწყობისას დაცული იქნება უსაფრთხო ქანობი, მოხდება ზედაპირული ჩამონადენი წყლის არინება; სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ნაყარის სიმაღლე არ გადააჭარბებს 2 მეტრს;

ნიადაგის დატკეპნა თავიდან აცილების მიზნით მკაცრად იქნება დაცული სამოძრაო გზების, ბანაკების/სამშენებლო მოედნების საზღვრები;

სამშენებლო სამუშაოების/ზემოქმედების დასრულებისთანავე მოხდება მწვანე საფარის აღდგენა;

საწვავის დროებითი ავზი (არსებობის შემთხვევაში) განთავსდება ბერმებით ან ნაყარით შემოფარგლულ, გაუმტარი საფარის მქონე ტერიტორიაზე. დაღვრილი სითხე დაუყოვნებლივ „შეკავდება“, ტერიტორია დამუშავდება აბსორბენტის გამოყენებით;

შეიზღუდება სამშენებლო მოედანზე მანქანების შეკეთება/ტექნიკური მომსახურება და/ან საწვავით გამართვა. უპირატესობა მიენიჭება სამშენებლო მოედნის გარეთ არსებულ კომერციულ პუნქტებს. თუ ეს შეუძლებელია, და ტექნომსახურება/ საწვავით გამართვა ადგილზე აუცილებელი, ამისთვის გამოყენებული იქნება სათანადოდ აღჭურვილი სპეციალური უბანი. ტერიტორია დაცული იქნება შემთხვევითი დაღვრის გავრცელებისგან (მეორადი შემოღობვა, მყარი საფარი და სხვ.). ადგილზე მომარაგებული იქნება აბსორბენტი და ნაწვეთის შემკრები;

რეგულარულად შემონმდება სამშენებლო მოედანზე მომუშავე მანქანები და დანადგარები. დაზიანების და საწვავის/ზეთის ჟონვის დაფიქსირებისას დაუყოვნებლივ მოხდება დაზიანების შეკეთება. დაზიანებული მანქანები სამუშაო მოედანზე არ დაიშვებიან;

უპირატესობა მიენიჭება სამშენებლო მოედნის გარეთ არსებული კომერციული სამრეცხაოს მომსახურების გამოყენებას. თუ მანქანის რეცხვა ადგილზე იქნება საჭირო ამისთვის შერჩეული ტერიტორია ბერმებით შემოიღობება, მას ექნება გარკვეული დახრილობა ჰქონდეს წყლის შეგროვების და აორთქლების გაადვილებისთვის;

მოეწყობა ნარჩენების შეგროვების და მასალის დასაწყობების ტერიტორიებიდან წყლის არინების სისტემები წარეცვის გამოსარიცხად;

კონტრაქტორის პერსონალს ჩაუტარდება ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე;

დაცული იქნება ნარჩენების მართვის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების (ავარიული დაღვრა) გეგმების მოთხოვნები;

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ზედაპირული წყლის ობიექტში წყლის ჩაშვება არ მოხდება. რელიეფზე წყლის გაშვება მოხდება მხოლოდ სათანადო დონემდე განმედილის (TPH 0.3 მგ/ლ და შენონილი ნაწილაკები 30მგ/ლ) შემდეგ. გაშვება არ მოხდება ეროზიისადმი მიდრეკილ ტერიტორიაზე და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად გამოყენებულ მიწაზე.

ექსკავირებული გრუნტის მოცულობის და მუდმივი მიწაყრილების გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად წარმოქმნილი და ჭარბი ექსკავირებული მასალა გამოყენებული იქნება პროექტის საჭიროებებისათვის. საჭიროების შემთხვევაში, მოძიებული იქნება სხვა პოტენციური მომხმარებლები.

შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფა საავტომობილო გზების დეპარტამენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

7.5.2 ექსპლუატაციის ეტაპი

გზის ოპერირება ჩვეულებრივ ინვესტ გზის გაყოლებაზე მიმდებარე ვიწრო ზოლის ნიადაგის მძიმე მეტალებით დაბინძურებას. ნიადაგში მოხვედრილმა დაბინძურებამ შეიძლება ხელი შეუშალოს მცენარეული საფარის განვითარებას და გაზარდოს ეროზიის რისკი. ნიადაგზე ზემოქმედება შესაძლოა გამოიწვიოს სადრენაჟე სისტემის ბლოკირებამ, რაც შეიძლება წყლის შეტბორვის და ეროზიის მიზეზი გახდეს.

გზის ექსპლუატაციის დროს გარკვეული ზემოქმედება დაკავშირებულია ნარჩენებით დანაგვიანებასთან.

შემარბილებელი ღონისძიებები - ექსპლუატაციის ფაზა

ეროზიული პროცესების ან დატბორვის თავიდან ასაცილებლად მოხდება სადრენაჟე სისტემის მდგომარეობის მონიტორინგი და სისტემის განმედა მათი ბლოკირება თავიდან ასაცილებლად.

ნიადაგის დაბინძურების ერთ-ერთ შემარბილებელ ზომად ფიტორემედიაცია შესაძლებელია იქნას გამოყენებული.

გზის ექსპლუატაციის დროს, ნარჩენებით დაბინძურების მართვა საკმაოდ რთულია, ვინაიდან ამ შემთხვევაში, დაბინძურების წყაროს - გზით „მოსარგებლეები“ წარმოადგენენ. ზემოქმედების შერბილება მოხდება საზოგადოების ინფორმირებით და ცნობიერების ამაღლებით, მოხდება გზის და გზისპირა ზოლის დასუფთავება, მოეწყობა ნაგვის კონტეინერებით აღჭურვილი გაჩერების/სამომსახურეო კუნძულები.

სარემონტო სამუშაოებისას დაცული იქნება მშენებლობის ეტაპისთვის დადგენილი მოთხოვნები (შემარბილებელი ღონისძიებები).

შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფა საავტომობილო გზების დეპარტამენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

7.6. ზემოქმედება მცენარეულ საფარზე

7.6.1 მცენარეულ საფარზე ზემოქმედება მშენებლობის ეტაპზე

მცენარეული საფარი/ფლორა

გზისა და სხვა ხაზოვანი სტრუქტურების გავლენა მცენარეულ საფარზე დაკავშირებულია:

გასხვისების ზოლში მცენარეული საფარის მოცილებასთან;

მტვრის ზემოქმედებასთან მცენარეულ საფარზე;

ნიადაგის დატკეპნასთან და დაბინძურებასთან - რამაც შეიძლება დააზიანოს არსებული მცენარეული საფარი და ხელი შეუშალოს მის/ახლის ზრდას. ინვაზიური სახეობების გავრცელებასთან;

მცენარეული საფარის მოხსნის შედეგად ეროზიული პროცესების წარმოქმნასთან;

მიწის ზედაპირის ხელოვნური საფარით შეცვლასთან - რის შედეგადაც იკარგება მცენარეული საფარისთვის 'ხელმისაწვდომი' ფართობები.

მცენარეული საფარის დაზიანება შესაძლებელია ტრანსპორტის მოძრაობისთვის შერჩეული მარშრუტის და სამუშაო უბნების საზღვრების დაუცველობის შემთხვევაში; სამშენებლო მასალისა და ნარჩენების დასაწყობებისას; დროებითი კონსტრუქციების/სამუშაო უბნების მოწყობისას.

ნაყარის არასწორი გეომეტრიის (ფერდობის დახრის დიდი კუთხე) შემთხვევაში ის შეიძლება ჩამოიშალოს და დააზიანოს მცენარეული საფარი მის საზღვრებს გარეთ არსებულ ტერიტორიაზე. იგივე შედეგი შეიძლება მოყვეს ფერდობებიდან მცენარეული საფარის მოხსნას. მცენარეული საფარის დაკარგვის გამო გააქტიურებული ეროზიის შედეგად ჩამოშლილმა მასამ შესაძლებელია მიმდებარე ტერიტორიაზე ნაყოფიერი ნიადაგის და მცენარეული საფარის დაზიანება გამოიწვიოს.

მცენარეულ საფარზე უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება იქონიოს ნაყოფიერი ნიადაგის დაკარგვამ, თუ მისი მართვა არ მოხდა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების წესების დაცვით.

პროექტი ძირითადად გავლენას მოახდენს სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და მცენარეულ საფარზე გასხვისების ზოლში.

ზემოქმედების აღწერა გზის მონაკვეთების მიხედვით ქვემოთაა მოცემული.

ალაზნის ვაკე თითქმის მთლიანად ათვისებულია. პირველადი მცენარეულობა მხოლოდ ალაზნის პირა ნაწილშია შემორჩენილი ჭალის ტყის ფრაგმენტების სახით. ნარგავ-ნათესებისაგან თავისუფალ სივრცეებზე გავრცელებულია ტყესტეპის მცენარეულობა. სადაც ერთმანეთს ცვლის ბუჩქნარებისა და ტყის შემდგომო ბალახეული ცენოზები. გომბორის ქედის მთისწინეთი შემოსილია ძიძვით, ჯაგრცხილით, კუნელით, ასკილით, შავჯაგათი და სხვა.

მოცემული ტრანსექტი წარმოადგენს კაკლის ხის (*Juglans regia* L.) ჰაბიტატს, რომელიც შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში. ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნე არსებული გზა გაჰყავდათ საბჭოთა კავშირის დროს, რის შემდეგაც მას იყენებენ ადგილობრივი ფერმერები თავიანთ სახნავ-სათეს მიწებთან მისასვლელად, რამაც გზის პირებზე ინვაზიური სახეობების გავრცელება გამოიწვია.

იმის გამო, რომ ტრანსექტი მდებარეობს კულტივირებულ და სახნავ-სათეს ტერიტორიებზე, ლოკალურ ფერმერებს უწევდათ ხშირი გადაადგილება მოცემულ გზებზე, რამაც გამოიწვია ორი ინვაზიური მერქნიანი მცენარის გამრავლება. ესენია *Ailanthus altissima* და *Robinia pseudoacacia*.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ვინაიდან არ ხდებოდა კონტროლი ინვაზიურ სახეობებზე, მოხდა მათი ფართოდ გავრცელება საიტზე. როგორც ცნობილია, ინვაზიური სახეობები თავს იჩენს დაზიანებულ ჰაბიტატებზე, როგორცაა გზის პირი, სადაც ადგილობრივ ფლორას ნაკლებად შეუძლია კონკურენციის განწევა, ინვაზია სწრაფი ტემპითა და მოცულობით იზრდება, მრავლდება და შემდგომში სრულიად დომინირებს. ამას გარდა, საიტის უმეტესი ნაწილი დაფარულია ისეთი ბუჩქნარით, როგორებიცაა Rubus sp. და Rosa sp.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მდებარეობს რამოდენიმე ადგილობრივი მერქნიანი სახეობა.

მცენარეულ საფარზე მოსალოდნელია ირიბი ხასიათის ზემოქმედებაც. ასე მაგალითად: სამშენებლო მასალების ნარჩენებით მიმდებარე ტერიტორიების დაბინძურება; მშენებლობის პროცესში ნიადაგის დაზიანება/დატკეპნა, ნავთობპროდუქტების დაღვრა; ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიები. ასეთი ზეგავლენების შედეგად მცენარეული საფარის ბუნებრივი ფუნქციონირების აღდგენას შეიძლება რამდენიმე წელი დასჭირდეს, რაც ეკოსისტემებზე უარყოფით გავლენას იქონიებს.

მშენებლობის პროცესში, მცენარეულ საფარზე მავნე ზემოქმედებების თავიდან აცილების, გამოსწორებისა და კომპენსაციის მიზნით, უნდა შეიქმნას გარემოს დაცვის მონიტორინგის მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც განახორციელებს სამიზნე ტერიტორიების მონიტორინგს გარემოს სხვა კომპონენტებთან ერთად.

მშენებლობის ეტაპზე მცენარეულ საფარზე ზემოქმედება შეიძლება ჩაითვალოს როგორც დაბალი.

შემარბილებელი ღონისძიებები - მოსამზადებელი სამუშაოების და მშენებლობის ფაზა

უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების ან შერბილების მიზნით პროექტის განხორციელების უბნებზე საქმიანობა განხორციელდება შემდეგი გარემოსდაცვითი/ უსაფრთხოების ღონისძიებების გათვალისწინებით:

მშენებლობის დროს მცენარეული საფარის გაუმართლებელი დაზიანება „მოსაზღვრე“ ტერიტორიაზე აცილებული იქნება მისასვლელი გზების, მანქანა/დანადგარების სადგომების, სამშენებლო ბანაკების საზღვრების მკაცრი დაცვით.

აკრძალული იქნება დადგენილი მარშრუტიდან გადახვევა და მცენარეული საფარის დაზიანება.

გასხვისების ზოლისა და სამუშაო ტერიტორიის საზღვრები მკაცრად იქნება დაცული, რათა თავიდან იქნეს აცილებული.

უზრუნველყოფილი იქნება ტექნიკის გამართულობა - ემისიის, დაღვრების თავიდან ასაცილებლად.

გამოყენებულ იქნება მტვრის ემისიების შემცირების ღონისძიებები, როგორცაა სამშენებლო მასალების, მოჭრილი გრუნტის ზედაპირის და ნარჩენების დაფარვა, ქარისმიერი ეროზიისა და გაფანტვისგან მათი დაცვის მიზნით; სამშენებლო მასალების მზიდი სატვირთო მანქანების სიჩქარის შეზღუდვა, ფხვიერი მასალის ტრანსპორტირებისას მისი ბრეზენტით დაფარვა, დიდი სიმაღლიდან მასალის გადმოტვირთვის თავიდან აცილება. საჭიროებისამებრ, გრუნტის საფარიანი უბნების (საქმიანი ეზოს, სამშენებლო ბანაკი) მორწყვა მტვრის წარმოქმნის საწინააღმდეგოდ;

ნაყარის მოწყობისას, მასალის ფრაქციის გათვალისწინებით, განისაზღვრება და დაცული იქნება ნაყარის გეომეტრია (ნაყარის ფერდების დახრის კუთხე).

დაცული იქნება ნარჩენების (საშიშროების კლასის შესაბამისი) და მასალის მართვის წესები.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

დროებითი და მუდმივი სარგებლობისთვის გამოყენებული უბნების მიმდებარედ მაქსიმალურად იქნება შენარჩუნებული მცენარეული საფარი.

გზის დერეფანში ჩატარდება საკომპენსაციო დარგვა. (გზის გაყოლებაზე დარგვის პროცესში დაცული იქნება უსაფრთხოების მოთხოვნები. დარგვა მოხდება ისე, რომ მცენარეულმა საფარმა არ შეზღუდოს ხილვადობის მანძილი. გათვალისწინებული იქნება ზრდასრული ხის დიამეტრი იმისთვის, რომ ხის ვარჯი არ 'გადაეფაროს' სავალ ნაწილს.).

კონტრაქტორის პერსონალს ჩატარდება ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე.

შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფა საავტომობილო გზების დეპარტამენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

7.6.2 მცენარეულ საფარზე ზემოქმედება ექსპლუატაციის ეტაპზე

ფლორაზე პირდაპირი ზემოქმედება მაგისტრალის ექსპლუატაციის ფაზაზე მოსალოდნელი არ არის. ირიბი ზემოქმედება დაკავშირებული შეიძლება იყოს ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეულ მტვერთან და გამონაბოლქვთან, დაბინძურებული ზედაპირული ჩამონადენის ზემოქმედებასთან (გზის საფარიდან ჩატანილმა დამაბინძურებლებმა შესაძლოა ზემოქმედება იქონიოს მწვანე საფარის განვითარებაზე და ნიადაგის ორგანიზმებზე).

სარემონტო სამუშაოებისას დაცული იქნება მშენებლობის ეტაპისთვის დადგენილი მოთხოვნები (შემარბილებელი ღონისძიებები).

შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფა საავტომობილო გზების დეპარტამენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

ექსპლუატაციის ფაზა

ფლორაზე პირდაპირი ზემოქმედება გზის ექსპლუატაციის ფაზაზე მოსალოდნელი არ არის. ირიბი ზემოქმედება დაკავშირებული შეიძლება იყოს ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეულ მტვერთან და გამონაბოლქვთან, დაბინძურებული ზედაპირული ჩამონადენის ზემოქმედებასთან (გზის საფარიდან ჩატანილმა დამაბინძურებლებმა შესაძლოა ზემოქმედება იქონიოს მწვანე საფარის განვითარებაზე და ნიადაგის ორგანიზმებზე).

სარემონტო სამუშაოებისას დაცული იქნება მშენებლობის ეტაპისთვის დადგენილი მოთხოვნები (შემარბილებელი ღონისძიებები).

7.7. ზემოქმედება ცხოველთა სამყაროზე

7.7.1 ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედება მშენებლობის ეტაპზე

ცხოველთა სამყარო: გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში გარეული ცხოველებიდან გხვდება შველი, მურა დათვი, მგელი, მელა, ტურა, ტყის კატა, კურდღელი, ევროპული ზღარბი, კავკასიური თხუნელა, მაჩვი, ენოტი, წავი დასხვა. მღრღნელებიდან ჩვეულებრივი თაგვი, მემინდვრია, რუხი ვირთაგვა. ჭალის ტყეებში ტყის ძილგუდა. ბევრია როგორც ვაკის, ისე მთებისთვის დამახასიათებელი ფრინველი.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ხობხის, კურდღლის, გარეული ღორისა და შვლის დაცვისა და მომრავლების მიზნით შექმნილია სამონადირეო მეურნეობა: ინაბოტისა და ლელის ალაზანზე.

ჩატარდა საველე გასვლა საპროექტო გზის ტერიტორიაზე, იქ არსებული ცხოველების სახეობების დასადგენად. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტერიტორია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გადის. იგი მოკლებულია ველურ მცენარეულ საფარს. შესაბამისად, აქ ნანახი არ იქნა ცხოველთა მრავალფეროვნება. არ იქნა ნანახი მსხვილი ძუძუმწოვრების არსებობის ფაქტები. დაფიქსირდა მინდვრის თაგვების რამდენიმე სორო. მოსახლეობის ინფორმაციით იშვიათად შესაძლოა ნანახი იქნას მაჩვი (Meles meeus). აგრეთვე ბოლო დროს მომრავლდა მტაცებელი ცხოველები - მგელი და ტურა. თუმცა მათი არსებობის კვალი ვერ იქნა დაფიქსირებული. ფრინველთა ბუდეები ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა. დაფიქსირდა ქორი (Accipiter gentiles) ფრენისას. ნანახი იქნა მწყერის (Coturnix coturnix), ბელურას (Passer montanus), რუხი ყვავის (Carvus carone) გუნდები. ქვეწარმავლები ტერიტორიაზე ნანახი არ ყოფილა, თუმცა მოსახლეობის ინფორმაციით აქ შესაძლოა იყოს ჩვეულებრივი ანკარა (Nartix natrix). ასევე არ იქნა ნანახი ამფიბიებიც, გარდა ერთეული ჩვეულებრივი ბაყაყისა.

უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო გზა კვეთს რამდენიმე მშრალ მცირე ხევს, სადაც წყლის არ არსებობის გამო თევზი არ არის. ამ ადგილებში ნანახი იქნა მხოლოდ ბაყაყის ერთი სახეობა.

მდინარე ფაფრისხევიში შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ მურწა (Barbus mursa) და ჭანარი (Barbus capito).

ცხოველთა სახეობებზე ზემოქმედება უნდა შეფასდეს როგორც დაბალი მნიშვნელობის. მიუხედავად ამისა, საჭიროა სამშენებლო სამუშაოების წარმართვა შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების პირობებში, ასევე მშენებლობის დასრულების შემდგომ სარეკულტივაციო სამუშაოები, გარკვეულწილად შეამსუბუქებს ზემოქმედებას. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ გარკვეული სახის ზემოქმედების წყაროები (სამშენებლო ბანაკები, ტექნიკა, მშენებელი პერსონალი) აღარ იარსებებს, რაც ხელს შეუწყობს ზოგიერთი სახეობის დაბრუნებას ძველ საბინადრო ადგილებში.

შემარბილებელი ღონისძიებები - მშენებლობის ფაზა

ფაუნაზე ზემოქმედების შემარბილებლად შესრულდება შემდეგი:

მცენარეული საფარი მაქსიმალურად იქნება შენარჩუნებული;

ფრინველებისთვის სენსიტიურ პერიოდში გაზაფხული-ზაფხული (აპრილიდან ივლისამდე) ხეების მოჭრა თავიდან იქნება აცილებული;

ხმაურისა და ვიბრაციის დონე შემცირდება მანქანა /დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფის გზით.

მანქანის სიგნალი აიკრძალება (გარდა უსაფრთხოებისთვის აუცილებელი შემთხვევებისა) ცხოველთა შემოფოთების თავიდან ასაცილებლად;

გამოყენებულ იქნება მტვრის ემისიების შემცირების ღონისძიებები, როგორცაა სამშენებლო მასალების, მოჭრილი გრუნტის ზედაპირის და ნარჩენების დაფარვა, ქარისმიერი ეროზიისა და გაფანტვისგან მათი დაცვის მიზნით; სამშენებლო მასალების მზიდი სატვირთო მანქანების სიჩქარის შეზღუდვა, ფხვიერი მასალის ტრანსპორტირებისას მისი ბრეზენტით დაფარვა, დიდი სიმაღლიდან მასალის გადმოტვირთვის თავიდან აცილება. საჭიროებისამებრ, გრუნტის საფარიანი უბნების (საქმიანი ებოს, სამშენებლო ბანაკი) მორწყვა მტვრის წარმოქმნის საწინააღმდეგოდ;

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ექსკავირებული გრუნტის განთავსების ადგილის მოწყობა მდინარის აქტიური კალაპოტიდან არანაკლებ 100მ-ის დაშორებით;

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მდინარის მახლობლად სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებას. საფრთხის შემცველი საქმიანობის (სანვაგით გამართვა, ავტომანქანების/ტექნიკის მომსახურება) მოხდება ტერიტორიის გარეთ (უპირატესობა მიენიჭება ტერიტორიის გარეთ, კომერციულ ობიექტებზე გამართვას და ტექნომსახურებას). გადაუღებელი საჭიროების შემთხვევაში ამ მიზნისთვის გამოიყოფა და სათანადოდ მოწყობა მყარსაფარიანი მოედანი (ზედაპირული წყლის ობიექტიდან არა ნაკლებ 100 მ-ის მანძილზე მოშორებით);

უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების, მათ შორის საყოფაცხოვრებო და სახითათო, სწორი მართვა, რათა არ მოხდეს მათი გაფანტვა და/ან მდინარეში მოხვედრა. ნარჩენების დროებითი განთავსების უბანი ზედაპირული წყლის ობიექტიდან არა უმცირეს 100 მ-ის მანძილზე იქნება განთავსებული;

სანვაგის/ნავთობ პროდუქტების საცავის, არსებობის შემთხვევაში ის აღიჭურვება მეორადი შემოღობვით - მოწყობა გაუმტარი საფარი და ტერიტორიის გაუმტარი შემოზღინვა (საცავის მოცულობის გათვალისწინებით) ბერმის გარეთ ტერიტორიის დაბინძურების და/ან ზედაპირული ჩამონადენით გადატანის თავიდან ასაცილებლად;

დაღვრის შემთხვევაში მოხდება დაბინძურების ლოკალიზაცია და განმედა დაბინძურების გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

თხრილების ან ორმოების შემოიღობება ცხოველების ჩავარდნის/დაზიანებისგან დასაცავად. დიდი ზომის ცხოველებისთვის (მსხვილფეხა საქონელი) გამოყენებული იქნება მკვეთრი ფერის ლენტი, მცირე ზომის ცხოველებისთვის - მეტალის, პლასტიკის ან სხვა მასალის ფარები/ღობა. მიუხედავად ამ ღონისძიებისა, სამუშაო ცვლის დასრულების შემდეგ თხრილში ჩაიდება ფიცრის ნატეხი ან ტოტები შემთხვევით ჩავარდნილი მცირე ზომის ცხოველისთვის ამოსვლის საშუალების მისაცემად.

გრუნტის უკუჩაყრამდე აუცილებლად მოხდება თხრილების დათვალიერება.

შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფა საავტომობილო გზების დეპარტამენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

7.7.2 ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედება ექსპლუატაციის ეტაპზე

გზის ექსპლუატაციის ფაზაზე ფაუნაზე ზემოქმედება ძირითადად მოიცავს:

საგზაო ავარიებით გამოწვეული ცხოველთა დაღუპვას;

ხმაურთან დაკავშირებულ შეშფოთებისა და სტრესს;

ბარიერების ეფექტს (ურთიერთკავშირის შემცირება);

განათებულობის ცვლილებას;

მტვრის, საბურავების და სამუხრუჭე ხუნდების ცვეთის ნაწილაკების, სანვაგის/ზეთის (მაგ.ავტოსაგზაო შემთხვევის გამო) და სხვა შედეგად ირიბ ზემოქმედებას, ბიოაკუმულაციის შედეგად მიღებული ქრონიკული ხასიათის დაბინძურების ჩათვლით.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გზის ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ პირდაპირ ზემოქმედებას ინტენსიური სატრანსპორტო მოძრაობით გამოწვეული ხმაური წარმოადგენს. რაც, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული გავლენას მოახდენს ფრინველების და ცხოველთა სამყაროს სხვა წარმომადგენლების ხმოვანი სიგნალით კომუნიკაციაზე.

აღსანიშნავია გზისპირა ნაგვის საკითხი. როგორც უკვე იქნა აღნიშნული, ნაგავმა, მისი ცუდად მართვის შემთხვევაში შეიძლება მიიზიდოს მცირე ზომის ცხოველები და გახდეს მათთვის „ხაფანგი“. სივარეტის ნამწვებსა და ფილტრებს ფრინველები ხშირად საკვებისგან ვერ არჩევენ.

მინათსარგებლობის ფორმის შეცვლა შეამცირებს საძოვრებისა და სახნავ-სათესი მიწების ფართობებს.

პროექტით გათვალისწინებული ხილების მხედველობაში მიღებით, ბარიერის ეფექტი დაბალი იქნება.

შემარბილებელი ღონისძიებები ექსპლუატაციის ეტაპზე:

ექსპლუატაციის ეტაპზე აუცილებელია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

ჰაბიტატის ფრაგმენტაციით გამოწვეული ზემოქმედების შემცირების მიზნით გათვალისწინებული უნდა იყოს გადასასვლელების მოწყობა გზის ქვეშ;

გზის გასწვრივ დაგროვილი ნარჩენების რეგულარული შეგროვება;

მცენარეებისა და ხეების დარგვა და მოვლა შესაბამის ზონებში მცენარეული საფარის ზიანის საკომპენსაციოდ;

გზის მომსახურების (სარემონტო) სამუშაოების წარმოებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემარბილებელი ღონისძიებები (რომლებიც შემუშავებულია მშენებლობის ეტაპისთვის), რაც შეამცირებს მავნე ნივთიერებების ემისიასა და წყლის დაბინძურებას.

7.8 ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება

7.8.1 ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება მშენებლობის ეტაპზე

ვიზუალური ზემოქმედება მშენებლობის ფაზაზე ძირითადად დაკავშირებული იქნება სამუშაო უბანზე მანქანა/დანადგარებისა და ხალხის მუშაობასთან, საიტზე და მის გარეთ სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობასთან, დროებითი ობიექტების მოწყობასთან (მანქანების სადგომი, მასალისა და ნარჩენების განთავსების ადგილები, ბანაკი, კარიერები), გზისა და ხილების მშენებლობის მონაკვეთებთან. სამუშაოების უმეტესობა დასახლებული პუნქტებისგან დაშორებით იწარმოებს.

ვინაიდან გზა ხაზოვან სტრუქტურას წარმოადგენს, სამშენებლო სამუშაოები ყოველთვის არ იქნება „კონცენტრირებული“ ერთ ადგილას. ამიტომ, ვიზუალური „შენახების“ წყარო „მოძრავი“ იქნება. გზის ბოლო მონაკვეთზე სამუშაოები ძირითადად მიწის ქვეშ განხორციელდება, თუმცა სამუშაოების ხანგრძლივობა პორტალის ტერიტორიებზე უფრო დიდი იქნება.

ლანდშაფტურ-ვიზუალური ზემოქმედება ასევე გამოწვეული იქნება გამონამუშევარი გრუნტის დროებითი სანაყაროებით. მნიშვნელოვანი ვიზუალური ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, ვარგისი მასალა გამოყენებული იქნება მშენებლობის პროცესში. განისაზღვრება სხვა პოტენციური მომხმარებლები. სამუშაოების დასრულებისას გამონამუშევარი მასალს/გრუნტი სავარაუდოდ მთლიანად იქნება გატანილი ტერიტორიიდან.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამუშაოების დასრულების შემდეგ დაზიანებული ადგილების (გრუნტის კარიერების, კონტრაქტორის მიერ მასალის მოპოვებაზე ლიცენზიის ალების შემთხვევაში) რეკულტივაციას. მასალის მოპოვების ლიცენზიის პირობებთან, რაც რეკულტივაციის ვალდებულებასაც მოიცავს.

შემარბილებელი ღონისძიებები - მშენებლობის ფაზა

- მაქსიმალურად იქნება შენარჩუნებული მცენარეული საფარი;
- დაცული იქნება სამშენებლო უბნებისა და სამოძრაო გზების საზღვრები;
- ტერიტორიაზე დადგმული ნაგვის ყუთებს ექნებათ სახურავი;
- აიკრძალება ნარჩენების ტერიტორიაზე დაყრა;
- დაცული იქნება ნარჩენების ტერიტორიიდან გატანის გრაფიკი;
- მშენებელი კონტრაქტორი ვალდებული იქნება სამუშაო დღის ბოლოს მოაწესრიგოს (დააღაგოს) ტერიტორია;
- შემუშავდება და შეთანხმდება რეკულტივაციის გეგმა;
- სამშენებლო სამუშაოების წარმოების შემდეგ მოხდება დარღვეული ტერიტორიების მდგომარეობის აღდგენა საწყისთან მიახლოებულ მდგომარეობამდე (რეკულტივაციის გეგმის შესაბამისად).
- შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფა საავტომობილო გზების დეპარტამენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

7.8.2 ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება ექსპლუატაციის ეტაპზე

ექსპლუატაციის ეტაპზე ვიზუალური ზემოქმედების ძირითად წყაროს საავტომობილო ტრანსპორტის გადაადგილება წარმოადგენს. არსებული ფონური მდგომარეობის მხედველობაში მიღებით (ხშირ შემთხვევაში საცობების წარმოქმნა, საავტომობილო სიტუაციები და სხვ.) გზის ექსპლუატაცია გარკვეულწილად დადებით ზემოქმედებას გამოიწვევს. ლანდშაფტური კომპონენტების აღდგენას ხელს შეუწყობს გზის დერეფნის მომიჯნავედ ხე-მცენარეების დარგვა-გახარება. დროთა განმავლობაში, ახალი ინფრასტრუქტურის არსებობა შეგუებადია და ვიზუალური ცვლილებით გამოწვეული დისკომფორტი მოსახლეობისთვის ნაკლებად შემანუხებელი გახდება. ზემოქმედება შეიძლება ჩაითვალოს როგორც დაბალი მნიშვნელობის.

ექსპლუატაციის ფაზა

ექსპლუატაციის ეტაპზე ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების შერბილების მნიშვნელოვანი ღონისძიებაა საპროექტო დერეფნის მომიჯნავე ადგილების გამწვანება და მათი მოვლა-პატრონობა.

7.9 სამშენებლო ბანაკები

სამშენებლო ბანაკისთვის ადგილის შერჩევა მოხდება შესაბამისი ტერიტორიის არსებობის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს მძიმე ტექნიკის გასაჩერებელ ადგილს, საწყობებს და

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

სახელოსნოებს, კომუნიკაციების და მალაზიების ხელმისაწვდომობას, და სენსიტიური ადგილებიდან დაშორების. სამშენებლო ბანაკის საბოლოო ადგილს სამშენებლო კონტრაქტორი შეარჩევს, საგზაო დეპარტამენტის თანხმობით. სამშენებლო ბანაკების ტერიტორიას მშენებელი კონტრაქტორი ან აიღებს იჯარით სახელმწიფოსგან, ან შეიძენს ან ასევე იჯარით არებს კერძო პირისგან, მიწის ექსპროპრიაცია ასეთ შემთხვევებში დაუშვებელია.

სამშენებლო ბანაკებისათვის განკუთვნილი ტერიტორიის შერჩევისათვის საჭირო მოთხოვნები დამოკიდებული იქნება ადგილზე გაგზავნილ სამუშაო ძალასა და მობილიზებული ტექნიკის ოდენობაზე. გასხვისების დერეფნის საზღვრებში ბანაკის განთავსებისთვის საჭირო ტერიტორია ვერ მოიძებნება და კონტრაქტორი იძულებული იქნება იჯარით შეისყიდოს მიწა კერძო მინამთმფლობელებისგან.

სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე განთავსებული იქნება ოფისები, სახელოსნოები და სასაწყობო ეზო, აგრეთვე სხვა სახის დანესებულებები, მათ შორის ნავთობის შენახვისათვის საჭირო ტერიტორია. სამშენებლო ბანაკის განთავსებისათვის ტერიტორიის შერჩევა ჯერ არ დასრულებულა.

პოტენციური ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად კონტრაქტორს მოეთხოვება შემდეგი გეგმების ანუ სამუშაოების წარმოების გეგმების მომზადება:

საქართველოს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული მუშათა ბანაკების მოწყობისა და ოპერირების სტანდარტები და ნორმატიული აქტები. IFC სამუშაო სტანდარტები 2 (PS2) სამუშაო ძალისა და სამუშაო პირობების შესახებ როგორც მინიმუმ, ითვალისწინებს მუშების ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

სამუშაო ბანაკის განლაგების გეგმა უსაფრთხოების ყველა იმ ზომის აღწერის ჩათვლით, რომელიც შემოთავაზებულია მიმღებ გარემოზე (ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე, ნიადაგებზე, ატმოსფერულ ჰაერზე, ადამიანების დასახლებებზე) პოტენციური საზიანო ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად;

ნარჩენების მართვის გეგმა, რომელშიც შედის სანაგვე ურნების უზრუნველყოფა, ნარჩენების რეგულარულად შეგროვება და გადაყრა ჰიგიენური ნორმების დაცვით, ასევე იმის უზრუნველყოფა, რომ სხვადასხვა ტიპის ნარჩენების (მაგ., საყოფაცხოვრებო ნარჩენი, ნახშირი საბურავები და სხვ.) განთავსების შემოთავაზებული უბნები აკმაყოფილებდეს მოქმედ ეროვნულ რეგულაციებს და

აღჭურვილობის ტექნიკური მომსახურების უბნებისა და ზეთებისა და საზეთ-საპოხი მასალების დასაწყობების უბნების აღწერილობა და გეგმა, უახლოეს წყალსატევამდე მანძილის მითითებით. სანავისა და ქიმიური ნივთიერებების დასაწყობების უბნები წყალსატევებიდან უსაფრთხო მანძილზე უნდა მდებარეობდეს. ეს უბნები უნდა იყოს შემოფარგლული და უნდა ჰქონდეთ ჰერმეტიკული იზოლაცია დაღვრილი მასალის შესაკავებლად და ნიადაგისა და წყლის დაბინძურებისგან დასაცავად;

თემის განვითარება - მუშების ბანაკის ზემოქმედება ადგილობრივ დასაქმებაზე, ადგილობრივი დასაქმებისა და შემოსავლების გაზრდის შესაძლებლობა საქონლისა და მომსახურების ადგილზე უზრუნველყოფით;

საზოგადოების საჭიროებები - საზოგადოების საჭიროებების გამოვლენისა და დაკმაყოფილების გზები ისეთი სპეციფიკური ინფრასტრუქტურის გამოჩენასთან დაკავშირებით, როგორცაა ტელეკომუნიკაცია, წყლის სანიტარული ნორმები, საავტომობილო გზები, ჯანდაცვა, განათლება, სახლის მოწყობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხოება - გადამღები დაავადებების გაზრდის რისკი, კორუფცია, აკრძალული ნივთიერებებით (ნარკოტიკებით, ალკოჰოლით - მუსულმანების შემთხვევაში) ვაჭრობა, წვრილმანი დანაშაული და სხვა სახის კანონდარღვევები, საგზაო შემთხვევები;

საზოგადოების სოციალური და კულტურული ერთიანობა - ტერიტორიაზე სხვადასხვა კულტურული და რელიგიური მიმდინარეობების მრავალრიცხოვანი უცხოელი მუშების, ხშირად - მამაკაცების - არსებობით

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

გამონვეული ზემოქმედების შერბილების მეთოდები, შემოსავლის მიღების შესაძლებლობებზე წვდომის შეცვლის გამო სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურებში შესაძლო ცვლილების შერბილების გზები;

ამ გეგმებს დაამტკიცებს ინჟინერი სამშენებლო სამუშაოების დანყებამდე.

მუშებისა და ადგილობრივი თემებისთვის განხორციელება ინფორმირებულობისა და ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამები. პროგრამები მოიცავს ინფორმაციას სანიტარული ნორმების, ჯანმრთელობის რისკების, შიდსის პრევენციის და სამუშაოს უსაფრთხოების ზომების შესახებ. ზედამხედველი და საგზაო დეპარტამენტი ზედმინევენით მონიტორინგს გაუწევს აღნიშნულის განხორციელებას სამშენებლო კომპანიის მიერ.

7.10 ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე

გურჯაანი (ჩუმლაყი) - თელავის ასაქცევი გზის საპროექტო მონაკვეთი ტერიტორიულად მდებარეობს თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში. მონაკვეთი იწყება სოფ. ჩუმლაყიდან გაივლის გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას, გრძელდება თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მთავრდება თელავში.

არსებული წინასწარი პროექტის მიხედვით, საპროექტო ზონაში არ არის განლაგებული ბევრი ობიექტი და ინფრასტრუქტურული შენობა-ნაგებობებზე. აქედან გამომდინარე პროექტს პირდაპირი ზეგავლენა არ ექნება არცერთ მნიშვნელოვან ობიექტზე, მისი საპროექტო ზონაში არარსებობის გამო. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებსა და ზოგიერთი მონაკვეთის სიახლოვეს განლაგებულ კერძო მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობებს (საცხოვრებელ სახლებს), პროექტის დაზუსტების დროს დადგინდება თუ რა სახის ზემოქმედებას განიცდიან ისინი და გახდება თუ არა საჭირო გამოსყიდვის პროცედურები.

აღნიშნულ მონაკვეთზე არსებული ავტომაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულია რამდენიმე კვების ობიექტი, პატარა მაღაზიები (მცენარეთა მოვლის საშუალებების და საკვები პროდუქტების) და ინდივიდუალური მოვაჭრეები - ისინი წარმოადგენენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებიც სეზონურად ვაჭრობენ მათ მიერ მოყვანილი მოსავლით. სწორედ ეს მოვაჭრეები განიცდიან ზეგავლენას ახალი ასაქცევი გზის მშენებლობის დასრულების შემდეგ, ვინაიდან არსებულ გზაზე აღარ იქნება ინტენსიური მოძრაობა, გზა განიტვირთება და ის სეგმენტი, რომელზეც გათვლილია მათ მიერ წარმოებული პროდუქციის გასაღება ნაკლებად იმოძრავეს არსებულ გზაზე. პროექტის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად არ შემცირდება კერძო სახლებთან არსებული მისასვლელი გზების რაოდენობა. ძირითადი სოციალური საკითხები, რომლებიც უნდა იქნეს განხილული პროექტის დეტალური დიზაინის შემუშავების ეტაპზე, შემდეგია: (ა) მცირე და კერძო ბიზნესი (ბ) მისასვლელი გზები (გ) საცხოვრებელი სახლები და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები.

მცირე და კერძო ბიზნესი

პროექტის განხორციელებას პირდაპირი ზეგავლენა ექნება მაგისტრალის მიმდებარედ განთავსებულ კვების ობიექტებზე, ბენზოგასამართ სადგურებზე და ინდივიდუალურ მოვაჭრეებზე, რომელთა სამუშაო სეზონურია და შეადგენს წელიწადში 3-4 თვეს, რა დროსაც ისინი ყიდიან მათ მიერ მოყვანის პროდუქციას,

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ხოლო დანარჩენ თვეებში ცდილობენ სეზონური ხილის ან/და სხვა პროდუქტის რეალიზაციას. ნოემბერში საპროექტო მონაკვეთის მიმდებარედ დაფიქსირდა 30 ინდივიდუალური მოვაჭრე, რომელთაგანაც გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 26-მა საკუთარი სურვილის შესაბამისმა, ხოლო ოთხმა უარი განაცხადა ნებისმიერ შეკითხვაზე.

გამოკითხვით დადგინდა, რომ მათი რაოდენობა ბევრად მეტია (დაახლოებით 2-3 ჯერ). ისინი ძირითადად მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლები არიან და ვაჭრობენ მათ მიერ მოყვანილი მოსავლით და სანოვაგით (ხილი, ჩურჩხელა, გოგრა, ნიორი და სხვ.).

სურ. N1. შეხვედრები გარე მოვაჭრეებთან



გარე მოვაჭრეთა უმრავლესობა თქვამს, რომ მათ მნიშვნელოვანი ზიანი მიადგებათ ალტერნატიული გზის მშენებლობის შემდეგ, თუმცა ახალი და კარგი გზის არსებობის წინააღმდეგი არაფერ არის. ვინაიდან არსებულ გზაზე შემცირდება ავტოტრანსპორტის ნაკადი და მნიშვნელოვნად განიტვირთება მოძრაობა, გარე მოვაჭრეებს, რა თქმა უნდა „კლიენტურა“ შემცირდებათ. მათთვის აზრს დაკარგავს ასევე ახალი გზის პირას გადასასვლელსა სავაჭროდ, ვინაიდან იგი მნიშვნელოვნად არის დაშორებული მათი სახლებიდან და იქაც იგივე რაოდენობის ტრანსპორტი იმოძრაებს, რაც არსებულ გზაზე, აქედან გამომდინარე, მათთვის ზარალის მიყენება გარდაუვალია.

გამოკითხვა ასევე ჩატარდა სავაჭრო ობიექტების მფლობელებთან და მათ თანამშრომლებთან. გამოკითხვის ეტაპზე ასევე ყველა დაინტერესებულ პირს მიეცა ინფორმაცია დაგეგმილი პროექტის შესახებ და გაეცა პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე. იმ სავაჭრო ობიექტების მესაკუთრეები, რომლებიც განთავსებულია სოფლების შუაგულში მოხარულები არიან ახალი პროექტით, ვინაიდან სოფლის გზაზე მოძრავი სატვირთო მანქანები და ინტენსიური მოძრაობა აზიანებს მათ საცხოვრებელ სახლებს და ისინი ძირითადად მუშაობენ ადგილობრივ მოსახლეობაზე და გამვლელი ავტოტრანსპორტის მძღოლები იშვიათად სარგებლობენ მათი მომსახურებით.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

(სურ. N2.3.4. შეხვედრები მალაზიების მფლობელებთან)



შენიშვნა: კერძო ბიზნესის მფლობელთა უმრავლესობამ უარი განაცხადა როგორც ბიზნეს საქმიანობის, ასევე პირად ფოტო გადაღებაზე.

არიან ისეთებიც (ძირითადად თონეების მესაკუთრეები), რომლებიც საერთოდ არ არიან დააინტერესებული ახალი პროექტით. მათი აზრით არანაირი მნიშვნელობა არ ექნება ახალ გზას, როგორც მუშაობაც ქონდათ, ისევე ისეთი ექნებათ.

რაც შეეხება ბენზინგასამართ სადგურებზე მომუშავეთა და მცირე ბიზნესის მფლობელთა აზრს (ავეჯის მალაზიები, საყოფაცხოვრებო მალაზიები) - ისინი, ფიქრობენ, რომ მათი ბიზნესი დაზარალდება არსებულ გზაზე მოძრაობის ინტენსივობის შემცირების გამო.

სოციალური კვლევის მოკლე ანალიზი

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ჩატარებული წინასწარი სოციალური კვლევის ეტაპზე გამოიკითხა 28 კერძო და იურიდიული პირი, რომელთაც აქვთ ბიზნესი არსებული საავტომობილო გზის მიმდებარედ, 28-დან 2 პირი (7%) წარმოადგენს იურიდიულ პირს, ხოლო 26 (98%) კერძო პირს. გამოკითხულთა რაოდენობა სავარაუდოდ, გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში არსებული ბიზნესის მწარმოებლების 20%-ია. გამოკითხულ იურიდიული პირები ფლობენ ავეჯის მაღაზას და კვების პროდუქტების მაღაზას. რაც შეეხება ინდივიდუალურ მოვაჭრეებს, მათგან 4 ვაჭრობს ხორციით, ხოლო დანარჩენი - მათ მიერ მოყვანილი სოფლის მეურნეობის პროდუქციით და სანოვაგით (გოგრა, ნიორი, ხილი, ჩურჩხელა და სხვა). დეტალური სოციალური კვლევა ჩატარდება, პროექტის განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპზე.

გამოკითხული პირების 100% ეთნიკურად ქართველია და ცხოვრობს მიმდებარე სოფლებში.

გამოკითხული 26 კერძო მოვაჭრიდან 4 მოვაჭრისთვის (15%) აღნიშნული ბიზნესი წარმოადგენს შემოსავლის ერთადერთ წყაროს. 20 მათგანი (77%) დამატებით იღებს პენსიას, ხოლო დანარჩენ 2 მოვაჭრეს (8%) გააჩნია შემოსავლის სხვა წყაროც.

რაც შეეხება 2 იურიდიულ პირს, ორივესთვის მათი ბიზნესი წარმოადგენს შემოსავლის ერთადერთი წყაროს.

პროექტის საერთო მიზანს მიწისა და აქტივების შესყიდვასთან დაკავშირებით წარმოადგენს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობისთვის (ზმქ პირებისთვის) დახმარების განწესება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი საცხოვრებელი პირობები მინიმუმ პროექტის განხორციელების არსებულ დონეზე.

კარგი პრაქტიკის დანერგვა იქნება, თუ გარე მოვაჭრეებს ექნებათ საშუალება შევიდნენ მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ფართებში და ორგანიზებულად, არა ღია ცის ქვეშ შეძლონ თავიანთი პროდუქციის რეალიზაცია. აღნიშნულ ღონისძიებას სასარგებლო დატვირთვა ასევე მიეცემა, თუ გარე მოვაჭრეთათვის სპეციალურად მოწყობილი ობიექტი განთავსდება არსებულ საავტომობილო გზასა და საპროექტო გზას შორის, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოძრაობის ინტენსივობის შემცირებას აღარ ექნება ზემოქმედება მათი „კლიენტურის“ შემცირებაზე. მათი პროდუქცია ხელმისაწვდომი იქნება როგორც არსებულ გზაზე მოძრავი ავტომანქანებისთვის, ასევე ახალ გზაზე მოძრავი ავტომობილებისთვის.

გარდა ამისა, აუცილებელია კონკრეტული პრინციპების გათვალისწინება, ისეთების, როგორცაა:

- გზის მშენებლობის განხორციელება საცხოვრებელი უბნებიდან მაქსიმალურად მოშორებით, ადამიანების ფიზიკური გადაადგილების შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე შემცირების მიზნით და ისეთი მარშრუტების შერჩევა, რომლის განხორციელებაც საჭიროებს კერძო და საზოგადოების საკუთრებაში არსებული პროდუქტიული სასოფლო-სამეურნეო მიწების მინიმალური მასშტაბით შექენას;
- ისეთი საპროექტო სტანდარტების შემუშავება, რომელთა შედეგადაც მინიმუმამდე შემცირდება შებენიერების მიმდებარე ტერიტორიის მინათსარგებლობაზე;
- სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების შემუშავება, წინამდებარე განსახლების პოლიტიკის ჩარჩოთი მოცემული უფლებამოსილების მატრიცის თანახმად, კომპენსაციის გასაცემად: შენებლობის პერიოდში მიწის/ქონების დროებითი დაკარგვის შემთხვევაში, მიწისა და ქონების მუდმივი შექენის შემთხვევაში და დერეფნის მიმდებარე უბანზე მინათსარგებლობის შესაძლო აკრძალვის შემთხვევაში;
- მიწის (ან მიწის სარგებლობის უფლების) შექენა ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო რაც შეეხება სახელმწიფოს უფლებას გამოიყენოს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის ექსპროპრიაციის პროცედურები - აღნიშნული უნდა მოხდეს, მხოლოდ მესაკუთრეებთან (მფლობელებთან) ყველა მელიაციის საშუალების ამონურვის შემდგომ, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

- მშენებლობის დასრულების შემდეგ მიწის პირვანდელი მდგომარეობის მაქსიმალურად აღდგენა, რათა მიწის მფლობელებს/მოსარგებლეებს/მოქირავნებს მიეცეთ იმ საქმიანობის განახლების საშუალება, რომლითაც პროექტის დაწყებამდე იყვნენ დაკავებული;
 - პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისა და საზოგადოებების სრული ინფორმირება პროექტის, მიწის შექმნისა და კომპენსაციის გაცემის შემდგომი პროცედურების შესახებ; ასევე, მათი ინფორმირება მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული უფლებებისა და გასაჩივრების მექანიზმების შესახებ.
 - ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების საჩივრების განხილვა, გადაწყვეტილების მიღება და დაკმაყოფილება მოხდეს სამართლიანად განსახლების პოლიტიკის წინამდებარე ჩარჩოს პრინციპების დაცვით.
 - ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ყველა პირმა, მიუხედავად მისი ქონების იურიდიული სტატუსისა, უნდა მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია, რათა შეძლოს და შეინარჩუნოს საარსებო სახსრები და უზრუნველყოს უკეთესი ცხოვრების დონე, ვიდრე მას ჰქონდა პროექტის განხორციელებამდე. პირებზე, რომლებიც უკანონოდ ფლობენ მიწის ნაკვეთებს, არ გაცემა კომპენსაცია მიწის დაკარგვის გამო, მაგრამ ისინი მიიღებენ კომპენსაციას ისეთი ქონების დაკარგვის გამო, რომელიც მათ შექმნეს საკუთარი სახსრებით და ასევე, შემოსავლის დაკარგვის გამო იმგვარად, რომ მათ გაეწიოთ დახმარება, შეინარჩუნონ საარსებო სახსრები. განსახორციელებელი დეტალური ზომები განისაზღვრება აღწერსა და სოციალურ-ეკონომიკური კვლევის საფუძველზე, რომელიც ჩატარდება განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესში.
 - ზმე პირს ეცნობება პროექტის განხორციელების გრაფიკი და გაენევა კონსულტაცია მიწის შესყიდვასთან და აქტივების დაკარგვასა და დაზიანებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
 - ისეთი აქტივების ზარალი, როგორცაა მაგალითად, მსხმოიარე სასოფლო-სამეურნეო კულტურები და ხეები, ღობეები და ჯიხურები და შემოსავლის დაკარგვა, მათ შორის მოსავლის დაკარგვა, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, ხოლო თუ ასეთი ზარალი გარდაუვალია, მოხდება მისი კომპენსაცია საკუთრების იურიდიული სტატუსის მიუხედავად, RPF დოკუმენტით მოცემული უფლებამოსილების მატრიცის თანახმად.
 - განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავება მოხდება წინამდებარე განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს, მსოფლიო ბანკის OP 4.12 და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პროექტის მარშრუტის ყოველ მონაკვეთზე და გეგმით დეტალურად იქნება განსაზღვრული კომპენსაციის პაკეტი და პროექტის განხორციელების გრაფიკი. რამდენადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს განსხვავებები ბანკის OP 4.12 პოლიტიკასა და საქართველოს კანონმდებლობას შორის ექსპროპორიაციის მეთოდებთან დაკავშირებით, პროექტისთვის საჭირო მიწის ფართობის შექმნა მოხდება მოცემული განსახლების ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული პრინციპებითა და პროცედურებით.
 - შესწავლილ იქნება ბაზარი მიწის, ზემოქმედების ქვეშ მყოფი შენობების სამშენებლო მასალების, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და სხვა საჭირო პროდუქტის საბაზრო ფასების დასადგენად. დადგენილი ფასები გამოყენებული იქნება, როგორც ერთეული ფასები კომპენსაციის მოცულობის დასადგენად. აღნიშნული ღონისძიება საჭიროა იმისთვის, რათა საბაზრო ფასები საშუალებას აძლევდეს ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს, შეიძინონ სანაცვლო მიწა.
 - შემოსავლისა და აქტივების დაკარგვა ანაზღაურება წმინდა გაანგარიშებით გადასახადების, ცვთვისა და სხვა გამოქვითვების გარეშე.
 - განსახლების სამოქმედო გეგმის საბოლოო პროექტი წარედგინება ბანკს, რომელიც დაამტკიცებს მას შესაბამის მონაკვეთებზე სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.
- მიწის შექმნის პროცედურის დეტალები მოცემული იქნება განსახლების სამოქმედო გეგმაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს მათში შემავალი შემდეგი ასპექტები:

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

- კონსულტაცია საწყის ეტაპზე ზმქ პირებთან პროექტისა და ზემოქმედების გასაცნობად
- ზმქ პირების აღწერა, გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური კვლევა
- ზმქ პირების დადგენა და ზემოქმედების სახეების/მასშტაბის გამოვლენა
- საკომპენსაციო პაკეტის მომზადება და განსახლების სამოქმედო გეგმის შედგენა
- ზმქ პირებთან კონსულტაცია
- მოლაპარაკება ზმქ პირებთან და კომპენსაციის გადახდა
- გასხვისების პროცესი უნაყოფო მოლაპარაკების შემთხვევაში.

მისასვლელი გზები

როგორც აღვნიშნეთ, საპროექტო არეალში განთავსებულ სოფლებს არ შეეზღუდებათ მისასვლელი გზები არსებული პროექტის შესაბამისად, ვიანიდან არსებული საავტომობილო გზის თითქმის პარალელურად (არსებული რკინიგზის პარალელურად) მოხდება პროექტის განხორციელება, რა დროსაც გზა გაივლის ორ სოფელზე - აკურა და კონდოლი (მათ მხოლოდ მცირე ნაწილზე), სადაც განლაგებულია რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები. არსებული ავტომაგისტრალის ტექნიკური პარამეტრებიდან გამომდინარე ფეხით მოსიარულებებისათვის ავტომაგისტრალის გადაკვეთა ნებისმიერ წერტილშია შესაძლებელი. აღნიშნული ადგილებს სოფლის მოსახლეობისათვის სოფლის ერთი ნაწილიდან მეორე ნაწილში მოხვედრის შესაძლებლობას. პროექტის განხორციელების შემდეგ სოფლის მოსახლეობას ავტომობილით ავტომაგისტრალზე მოხვედრის საშუალება ექნება მასთან მისასვლელი მცირე გზების მეშვეობით და ცენტრში დაგეგმილი კვანძის მეშვეობით. წინასწარი პროექტიდან გამომდინარე, მოსახლეობა ისევე ისარგებლებს არსებული გზით, როგორც პროექტის განხორციელებამდე სარგებლობა. ამ მხრივ არანაირი შეზღუდვა არ იქნება.

დეტალური პროექტირების ეტაპზე შესაძლოა (როგორც უკვე აღვნიშნეთ) საჭირო გახდეს შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება ზემოქმედების ქვეშ მოთუი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუარესების თავიდან აცილების მიზნით.

სოფელ კონდოლში და სოფელ აკურაში ზეგავლენის ქვეშ მოყოლილი შენობა-ნაგებობები და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები.

ზემოქმედება ინფრასტრუქტურაზე - თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა

არსებული პროექტის შესაბამისად, შესაძლებელია რამდენიმე მცირე (ხე-ტყის გადასამუშავებელ) საწარმოს შეეზღუდოს მისასვლელი გზა. მართალია ისინი არ სარგებლობენ არსებული საავტომობილო გზით და მათი მდგომარეობა შესაძლებელია გაუმჯობესდეს კიდევ, ვინაიდან საწარმოებთან მისასვლელი ასფალტირებული გზა არ არსებობს, ისინი სარგებლობენ მოხრეშილი, სოფლის გზებით ან/და საცალფეხო ბილიკებით.

წვდომის შეზღუდვა ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებზე

გზის მოდერნიზაციის პროცესში შესაძლებელია ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების გამოყენება (მაგალითად კარიერების), თუმცა, საპროექტო უბანზე არ მოიპოვება სასმელი წყალი. საპროექტო დერეფანს მიყვება არხი, რომელიც არ არის უხვწყლიანი და შეულებელი იქნება ასევე, მისი გამოყენებაც. შესაძლებელია რეგიონში გამავალი მდინარეების წყლების გამოყენება, მაგალითად საპროექტო დერეფანთან მდებარე მდ. აკურისხევი და ვანთისხევი. ზოგადად მოსალოდნელი ზემოქმედება ბუნებრივ რესურსებზე უმნიშვნელო იქნება.

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

სატრანსპორტო მოძრაობის შეფერხება პროექტის განხორციელებისას არ არის მოსალოდნელი, აქედან გამომდინარე, ადგილობრივი მოსახლეობის წვდომა რესურსებზე არ შეიზღუდება, გარდა იმ მცირე მოსახლეობისა, რომლებიც შეიძლება მოხვდნენ საპროექტო არეალში. თუმცა ამ შემთხვევაში, მშენებლობის დაწყებამდე საჭირო იქნება ამ მოსახლეობისგან განსახლების პროცედურების გავლა, ან/და განსახლების განხორციელების საჭიროების არარსებობისას საჭირო იქნება სატრანსპორტო ნაკადების სათანადო მართვა.

უსაფრთხოება და ჯანდაცვა

გზის გაუმჯობესების პროცესში პერსონალისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედების რისკები შეიძლება უკავშირდებოდეს გაუთვალისწინებელ შემთხვევებს. სხვა სახის ზემოქმედება, როგორცაა ხმაური, ჰაერის ხარისხის გაუარესება და სხვ., შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში მნიშვნელოვანი არ იქნება.

გაუთვალისწინებელ შემთხვევებში შედის: ავარია, სიმალიდან ჩამოვარდნა, ინციდენტები მანქანა-დანადგარების დამონტაჟებისას და სხვ. ასეთი რისკების თავიდან ასაცილებლად უსაფრთხოების წესების განხორციელებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი

პროექტის განხორციელებით მიღებული სარგებელი გავრცელდება ქვეყნის მთელ მოსახლეობაზე. ადგილი ექნება სატრანსპორტო ნაკადების (მათ შორის სატრანზიტო გადაზიდვების) ზრდას (არსებულ საავტომობილო გზაზე - შემცირებას) და გადაადგილების გამარტივებას, მკვეთრად დაიკლებს უბედური შემთხვევების რისკები. გაიზრდება რეგიონის მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობა. ამასთან ერთად შემცირდება გზის სხვა მონაკვეთებზე დასაქმებულთა უკმაყოფილება სამუშაოების დაკარგვის გამო.

პროექტს დადებითი ზეგავლენა ექნება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაზე. საქართველოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, იგეგმება 70% ადგილობრივი მუშახელის დაქირავება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედება უნდა ჩაითვალოს როგორც დადებითი და საკმაოდ მაღალი მნიშვნელობის.

7.11 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კრიტიკულ ჰაბიტატებზე

პროექტის განხორციელების არეალში დაცული ტერიტორიები არ არის. ბიომრავალფეროვნების კვლევების შედეგად პროექტის უშუალო ზემოქმედების ზონაში რაიმე კრიტიკული ჰაბიტატი არ გამოვლენილა.

7.12 ზემოქმედება ისტორიულ-კულტურულ გარემოზე

შერჩეული ალტერნატივა გვერდს უვლის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, სასათლაოებსა და საკულტო ნაგებობებს.

სამშენებლო ნებართვის ფარგლებში მოპოვებულ იქნება თანხმობა/ნებართვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უწყებიდან. შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს არქეოლოგის მიერ სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ რეგიონს მდიდარი

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

არქეოლოგიური მემკვიდრეობა გააჩნია, შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენის შემთხვევაში ამოქმედდება შესაბამისი პროცედურები.

ექსპლუატაციის ფაზის დროს რაიმე სახის რისკი არ არსებობს.

8. ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის გეგმა

8.1 ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის გეგმა (ბსგმგ)

ბსგმგ-ს შესრულების მნიშვნელოვან და შეიძლება ითქვას აუცილებელ მექანიზმს წარმოადგენს სათანადო გარემოსდაცვითი დოკუმენტების წესრიგში მოყვანა და მუდმივი განახლება.

მშენებელი კონტრაქტორის გამოვლენის და მშენებლობის ორგანიზაციის საკითხების განსაზღვრის შემდგომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ვალდებულია მოამზადოს და შესათანხმებლად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარუდგინოს შემდეგი გარემოსდაცვითი დოკუმენტები:

- ზედაპირულ წყლებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ბლვრულად დასაშვები ჩაშვების (ზღჩ) ნორმების პროექტი (საჭიროების შემთხვევაში);
- ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სტაციონალური წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში (საჭიროების შემთხვევაში);
- ნარჩენების მართვის დეტალური გეგმა;
- საპროექტო დერეფანში მცენარეული საფარის ტაქსაციის შედეგები;
- ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გაცემული სანებართვო პირობებით განსაზღვრული დოკუმენტაცია (აქ შეიძლება იგულისხმებოდეს გარემოსდაცვითი მონიტორინგის ყოველკვარტლური ანგარიშები და სხვ.).

ყველა ჩამოთვლილი დოკუმენტაციის მომზადებისას კონსულტაციებში ჩართული უნდა იყოს მშენებელი კონტრაქტორი.

თავის მხრივ მშენებელთან გაფორმებულ კონტრაქტში ასახული უნდა იყოს, რომ იგი ვალდებულია მშენებლობის დაწყებამდე დამკვეთს წარუდგინოს და შეუთანხმოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია და ჩანაწერები:

- სატრანსპორტო ნაკადების მართვის გეგმა;
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მართვის გეგმა;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;

გარდა ამისა, საქმიანობის განმახორციელებელი (და მისი დავალებით მშენებელი კონტრაქტორი) მშენებლობის პროცესში აწარმოებს და პრაქტიკაში გამოიყენებს შემდეგი სახის ჩანაწერებს:

- შესასრულებელი სამუშაოების პროგრამა და გრაფიკი;
- მშენებლობისთვის საჭირო დანადგარ-მექანიზმების და აღჭურვილობის სია;
- წამოჭრილ გარემოსდაცვით პრობლემებთან დაკავშირებული ჩანაწერები;

თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყი) (30კმ) გზის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

- ჩანაწერები ნარჩენების მართვის საკითხებთან;
- ნარჩენების განთავსების ადგილების წერილობითი აღნიშვნები და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაცემული ნარჩენების ტრანსპორტირების ინსტრუქციები;
- ჩანაწერები საჭირო მასალების მარაგებისა და მოხმარების შესახებ;
- საჩივრების რეგისტრაციის ურუნალები;
- ინციდენტების რეგისტრაციის ურუნალები;
- ანგარიშები მაკორექტირებელი ღონისძიებების შესახებ;
- აღჭურვილობის კონტროლის და ტექნიკური მომსახურების ურუნალები;
- ჩანაწერები მომსახურე პერსონალის ტრენინგების შესახებ.

შემდგომ პარაგრაფებში მოცემულია გზგ პროექტის თითოეული ეტაპისათვის.

8.1.1 ინსტიტუციონალური ჩარჩო და გარემოსდაცვითი ადმინისტრირება

რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (RD) პასუხისმგებელია წარმოებული სამუშაოების გარემოსდაცვით ნორმებთან შესაბამისობის ზოგად კონტროლზე კონტრაქტორის ტექნიკური ზედამხედველის ხარისხიანი მუშაობის უზრუნველყოფის გზით. ამ მიზნის მისაღწევად RD თანამშრომლობს მსოფლიო ბანკთან, უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს პროექტის გარემოსდაცვით ზედამხედველობას.

დეპარტამენტის მიერ განსაზღვრული მონიტორინგზე პასუხისმგებელია სამუშაოს ზედამხედველობაზე. პროექტთან და სამუშაოს ხარისხთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გარდა მონიტორს ევალება კონტრაქტორის მიერ ბსგმგ-ს შესრულებაზე თვალის გადევნება, და დაგეგმილი ქმედებებისგან გადახრის გამოვლენა, იმ გარემოსდაცვითი პრობლემის განსაზღვრა, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს სამუშაოს ნებისმიერ საფეხურზე.

მშენებელი კონტრაქტორი ვალდებულია დაიცვას ბსგმგ და მშენებლობის წესები და ნორმები. კონტრაქტორს შტატში უნდა ჰყავდეს ერთი გარემოსდაცვითი სპეციალისტი ბსგმგ-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რომელსაც ეს მის რეკომენდაციების არსი და პროფესიულად იყენებს შემარბილებელ ღონისძიებებ სკონტრაქტორის ყოველდღიურ საქმიანობაში.

8.2 ბსგმგ-ს განხორციელების ხარჯები

8.2.1 გარემოსდაცვითი შემარბილებელი ზომების ხარჯთაღრიცხვა

ანალოგიური პროექტისთვის ერთეულის ღირებულების საფუძველზე მომზადებული შემარბილებელი ღონისძიებების მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. სრულფასოვანი ხარჯთაღრიცხვა მოცემული იქნება პროექტის სამუშაოების მოცულობის უწყისებში (BoQ).

მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული ვიზუალური დაკვირვების და კონტროლის ხარჯები დაიფარება კონტრაქტორის გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერის ანაზღაურებით. გაზომვებთან (წყლის, ნიადაგის და ჰაერის ხარისხი) დაკავშირებული ხარჯები დამოკიდებულია სამუშაოს შემსრულებელთან დადებული ხელშეკრულების პირობებზე.

ცხრილი 8-1: ბუნებრივი გარემოს მართვის გეგმა

მშენებლობის თემა

ქმედება	გარემოსდაცვითი პრობლემა	შემარბილებელი ღონისძიება	მიახლოებითი ღირებულება (ლარი)	შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი	მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი
ტერიტორიის გასუფთავება	ბალახის და სხვა მცენარეული საფარის მოცილება, ბუჩქების ხეების მოჭრა	გადასარგავი ან მოსაჭრელი ხეების იდენტიფიკაცია. ხიდების მშენებლობის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მდინარის ჭალის და ფერდობების მცენარეების დაცვას. • აუცილებლობის გარეშე ხის მოჭრის ან დაზიანების დაუშვებლობა. მცენარეული საფარის შესაძლებლობის დაგვარად მაქსიმალური შენარჩუნება. • ყოველი მოჭრილი ხე კომპენსირებული უნდა იყოს 3 იგივე სახეობის მცენარის დარგვით. • სამუშაოს დასრულების შემდეგ ტერიტორიის რეკულტივაცია.	ღირებულება განისაზღვრება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მისი ტიპის მიხედვით.	მშენებელი კონტრაქტორი	საგზაო დეპარტამენტი საზღვამხედველო კომპანია
სხვადასხვა სამშენებლო საქმიანობა	ზემოქმედება ფაუნაზე (შემთხვევითი სიკვდილი, შემცირება, დაკარგვა ან საცხოვრებელი ადგილების იზოლაცია და ა.შ.)	<ul style="list-style-type: none"> • თხრილები ან ორმოები, ასეთი არსებობის შემთხვევაში, შემოღობილი ან დაცული უნდა იყოს ფაუნის სახეობების ხაფანგში მოხვედრისა და დაზიანების თავიდან ასაცილებლად. თუ აღნიშნული ზომების მიუხედავად, მცირე ზომის ცხოველები მაინც ხვდებიან მათში, ცვლის დასრულების შემდეგ, ფიცრები ან საშუალო ზომის ტოტები უნდა უზრუნველყოფილი იქნას, რათა ცხოველებს მიეცეს გაქცევის საშუალება. ორმოები და თხრილები უნდა შემონმდეს მანამ სანამ დაინყება მათი შევსება; • განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფრინველებს გაზაფხულ-ზაფხულში (აპრილი-ივლისი), ფრინველებისთვის ყველაზე სენსიტიურ სეზონის დროს; • თევზის კვირითის ყრის სეზონის დროს მშენებლობა მდინარის კალაპოტში ან მის მახლობლად უნდა იქნას აცილებული. • კაღების მომზადება კარგი პრაქტიკაში 	დამატებითი ხარჯები არ არის საჭირო.	სკ	სგდ
მინის სამუშაოები და სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოები	ეროზია, და ა.შ.	<ul style="list-style-type: none"> • არჩეული სანაპირო ზონის ტერიტორიების შერჩევა და ფერდობების სტაბილიზაცია; • სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით ხის ფარის გამოყენება ძალზედ ღრმა ორმოებზე, მაგალითად ხიდის მშენებლობის დროს; • დროებითი ბერძების, ფერდობის დრენაჟის, დროებითი მილების, კონფიგურაციული თხრილების, თხრილების ნიშნების, გადახრების, ნალექების ხაფანგის მოწყობა. 	დამატებითი ხარჯები არ არის საჭირო. დაიფარება სამშენებლო სამუშაოების ბიუჯეტის გათვალისწინებით.	სკ	სგდ

		<ul style="list-style-type: none"> • კადრების მომზადება კარგი პრაქტიკაში 			
<p>მობილიზაცია, მშენებლობა</p>	<p>მინის ზიანი, ბიზნესის/შემომოსავლის ზარალი, მდინარის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა; უსაფრთხოებაზე გავლენა, ხმაურისა და მტვრის ზემოქმედება.</p>	<ul style="list-style-type: none"> • მინის შესყიდვისა და განსახლების გეგმის შემუშავება და განხორციელება • ხმაურის, ემისიის შემარბილებელი ღონისძიებების გატარება • დროებითი დასაქმება 	<p>მინის შექმნის ხარჯები</p>	<p>სკ</p>	<p>სგდ</p>

ოპერირების ფაზა

აქტივობა	რა (პარამეტრის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს?)	სად (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როგორ (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის (განსაზღვრეთ სიხშირე/ხანგრძლივობა?)	რატომ (ხორციელდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ (არის მონიტორინგზე პასუხისმგებელი?)
საგზაო ზედაპირის ნარჩენებისგან დასუფთავება	ნაგავი მოძრავი მანქანების გამო დროულად უნდა იქნეს შეგროვებული და გადაყრილი; მოძრავი საშუალებებით გაჭყლეტილი ცხოველების სხეულების დროული აღება და გატანა.	გზის მონაკვეთი და სავალი ნაწილი	ინსპექტირება	კვარტალში ერთხელ	გზის დანაგვიანების აკრძალვა; საგზაო უსაფრთხოება	საავტომობილო გზების დეპარტამენტი ადგილობრივი მუნიციპალიტეტი
გზის სადრენაჟო სისტემის ფუნქციონირება	სადრენაჟო არხების პერიოდული განმწმენდა შლამისა და ნაგვისგან	სადრენაჟო სისტემა გზის მონაკვეთის გასწვრივ	ინსპექტირება	კვარტალში ერთხელ	გზის დატბორვისა და წყლის დაზიანების თავიდან ასაცილებლად სადრენაჟო სისტემების გამართულობის შენარჩუნება	სგდ ადგილობრივი მუნიციპალიტეტი
შემთხვევითი დაღვრის პრევენცია და დასუფთავება	ავტოსაგზაო შემთხვევების დროს ტვირთის სითხის ან ფხვნილის დაღვრის დროული შეკავება, დეზაქტივაცია და მოშორება	გზაზე და მის შემოგარენში	ინსპექტირება	უბედური შემთხვევის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში	ნიადაგისა და წყლის დაბინძურების პრევენცია	სგდ ადგილობრივი მუნიციპალიტეტი
გზის სარემონტო სამუშაოებისგან ნარჩენების რეგულარული განმწმენდა	სარემონტო სამუშაოებისგან ნარჩენების შეგროვება და დროული გადაგდება განსაზღვრულ ნაგავსაყრელზე	გზაზე და მის შემოგარენში	ინსპექტირება	დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების დასრულების მიზნით	გარემოს დაბინძურების პრევენცია	სგდ ადგილობრივი მუნიციპალიტეტი

10. საზოგადოებრივი კონსულტაცია და საჩივრების განხილვის მექანიზმები

10.1 საზოგადოებრივი კონსულტაციები

საზოგადოებასთან კონსულტაციის პროცესი, რომელიც უნდა განხორციელდეს SLRP III-ს ფარგლებში, უნდა დაიწყოს კონცეპტუალური პროექტირების ადრეულ ეტაპზე. მას შემდეგ, რაც განხორციელდება შემოთავაზებული სამუშაოების გარემოსდაცვითი და სოციალური შემოწმება და მიმოხილვა. წინამდებარე დოკუმენტის პროექტი წარედგინება მსოფლიო ბანკს დასამტკიცებლად. გზმ-ს ანგარიშის საბოლოო პროექტი გაცხადდება საგზაო დეპარტამენტისა და მსოფლიო ბანკის ვებ-გვერდებზე. გზმ-ს მოხსენების დამტკიცების შემდეგ საგზაო დეპარტამენტი ორგანიზებას გაუწევს საზოგადოებრივ საკონსულტაციო შეხვედრას. საჯარო საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი დაერთვება ამ დოკუმენტს.

წინამდებარე გზმ-ს ანგარიშის პროექტის მიწოდების შემდეგ, ის გამოქვეყნდება ქართულ და ინგლისურ ენებზე საგზაო დეპარტამენტის ვებ-გვერდზე და განხილული იქნება დაინტერესებულ მხარეებთან. გზმ-ს ანგარიშის საბოლოო დასკვნა დასრულდება საზოგადოებრივი აზრის დამატებით და დაერთვება კონსულტაციის პროცესის სრული ანგარიში. გზმ-ს ინფორმაციის გამჟღავნების პერიოდის განმავლობაში, ნაბეჭდი ასლები და გზმ-ს არატექნიკური რეზიუმეს ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომი იქნება შემდეგ მისამართებზე:

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა – მისამართი: ნონეშვილის გამზირის №13;

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი – მისამართი: ალ. ყაზბეგის #12, თბილისი ასევე, ESIA-ს ანგარიშის პროექტი და მოგვიანებით - მისი საბოლოო ვერსია ხელმისაწვდომი იქნება შემდეგ ვებ-გვერდებზე ჩამოტვირთვისთვის:

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი: www.georoad.ge

MoEPA ვებ-გვერდი: www.mapa.gov.ge

გზმ-ს ინფორმაციის გამჟღავნების პერიოდში, დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა ექნებათ გამოავაზონ კომენტარები შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართებზე: maya_vashakidze@yahoo.co.uk

10.2 საჩივრების განხილვის მექანიზმი

პროექტის განხორციელებისას შეიძლება წარმოიშვას რამდენიმე საკითხი გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებთან დაკავშირებით და უფლებებთან დაკავშირებული დავების პროცესები პროექტის აქტივობებთან დაკავშირებით. პროექტისთვის შეიქმნება საჩივრების განხილვის მექანიზმი პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მოგვარებლად.

წინამდებარე თავი განსაზღვრავს საჩივრის განხილვის მექანიზმის (GRM) და მისი სტრუქტურისა და შემადგენლობის ჩამოყალიბების პროცედურებს. IA-ს საგარანტიო დანაყოფები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ GRM-ს ჩამოყალიბებაში.

GRM შედგება დროებითი, პროექტისათვის სპეციფიკური დანაყოფებისგან, შექმნილი მუნიციპალურ დონეზე პროექტთან დაკავშირებულ მუნიციპალიტეტებში და IA-ში ჩამოყალიბებული რეგულარული სისტემისგან. საჩივრების განხილვის კომიტეტი (GRCE) შექმნილი მუნიციპალურ დონეზე როგორც პროექტის სპეციფიკური ინსტრუმენტი, რომელიც ფუნქციურ ხასიათს ატარებს მხოლოდ პროექტის განხორციელების პერიოდში. საჩივრების განხილვის კომიტეტი (GRCN) ჩამოყალიბებულია როგორც მუდმივი ფუნქციური არაფორმალური სტრუქტურა IA-ს ფარგლებში, რათა უზრუნველყოს საჩივრების განხილვა, გადაწყვეტილებები და ჩანაწერები.

საჩივრების განხილვის კომისია

საჩივრების განხილვის კომისია (GRCN) იქმნება RDMRDI ხელმძღვანელის ბრძანებით როგორც მუდმივად ფუნქციონალური არაფორმალური სტრუქტურა, RDMRDI-ს ჩართული პერსონალით გარემოს დაცვისა და განსახლების და საჩივრის გადანყვეტილების საკითხებთან დაკავშირებული ყველა დეპარტამენტიდან. ეს მოიცავს უმაღლეს მმართველობას, გარემოსდაცვით და სოციალური დაცვის დანაყოფებს, იურიდიულ დეპარტამენტებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს და სხვა შესაბამის სამსახურებს (IA-ს კონკრეტული სტრუქტურის მიხედვით). GRCN ჩართულია საჩივრის მოგვარების პროცესის მეორე ეტაპზე. ბრძანება ასევე უნდა ითვალისწინებდეს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, აუდიტორების, AP-ს წარმომადგენლები და სხვა პირები შეიძლება ჩაერთონ GRCN- ის მუშაობაში.

საჩივრების განხილვის კომიტეტი

საჩივრების განხილვის კომიტეტი (GRCE) არის არაფორმალური, პროექტის სპეციფიკური საჩივრის განხილვის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრულია საჩივრებისთვის 1-ე ეტაპზე. ეს არაფორმალური ორგანო შეიქმნება თემის დონეზე დაბარალეულ მუნიციპალიტეტში (სოფელი/თემის ავტორიტეტი). GRCE უნდა შეიცავდეს მუნიციპალური LAR ჯგუფის და ადგილობრივი თემების წარმომადგენლებს. საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენელი მუნიციპალურ LAR ჯგუფში კოორდინაციას უნდა უწევდეს GRCE-ს ფორმაციას. ის შემდეგ პასუხისმგებელი იქნება GRC აქტივობების კოორდინაციაზე და შეხვედრების მოწყობაზე (მომწვევი). დამატებით, GRCE უნდა შეიცავდეს სოფლის რწმუნებულს ან მის წარმომადგენელს, AP-ს, ქალ AP-ს (არსებობის შემთხვევაში) წარმომადგენლებს, და შესაბამის ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს მოისმინოს დაბარალეულთა ხმები და უზრუნველყოს მონაწილეობითი გადანყვეტილების მიღების პროცესი.

საგზაო დეპარტამენტის განსახლებისა და გარემოს განყოფილების წარმომადგენელი კოორდინირებას უწევს კომიტეტის მუშაობას და ამავდროულად ის დასახელებულია, როგორც საკონტაქტო პირი, რათა შეავსოს საჩივრები და აწარმოოს საჩივრების შურნალი. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სამოქალაქო სამუშაოების მოიჯარე, ზედამხედველობის კომპანია (ინჟინერი), ისევე, როგორც AP-ები (არაფორმალური შეხვედრების გზით) ინფორმირებული უნდა იყვნენ საკონტაქტო პირის შესახებ და მისი საკონტაქტო დეტალები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ოფისებში ყველა ზემოხსენებული დაინტერესებული პირისთვის.

საკონტაქტო პირი აკრძავს და ინერს საჩივრებს, აცნობებს კომიტეტის წევრებს და საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას პრობლემის არსის შესახებ, რთავს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს დისკუსიებში საჩივრის შემომტანთან, ხელმძღვანელობს მოლაპარაკების პროცესს AP-სთან საჩივრის გადანყვერის პირველ ეტაპზე. საკონტაქტო პირი ამზადებს შეხვედრების ოქმს და ამტკიცებს ხელმოწერებს. თუ საჩივარი გადანყვდება პირველ ეტაპზე საკონტაქტო პირი ჩაინერს საჩივრის დახურვის ფაქტს საკუთარ შურნალში და აცნობებს RDMRDI-ს ხელმძღვანელობას ამის შესახებ წერილობით. თუ მოსარჩელები არ დაკმაყოფილდებიან GRC გადანყვეტილებებით, მათ ყოველთვის შეუძლიათ გადანყვეტილების პროცესის მეორე ეტაპის პროცედურების გამოყენება. ამ შემთხვევაში საკონტაქტო პირი ეხმარება AP-ს ოფიციალური საჩივრის შეტანაში (მოსარჩევე ინფორმირებული უნდა იყოს მისი უფლებებისა და მოვალეობების, საჩივრის შეტანის წესებისა და პროცედურების, საჩივრის ფორმის, საჩივრის წარდგენის პირობების და სხვა შესახებ).

APs ინფორმირებული უნდა იყოს ხელმისაწვდომი GRM-ს შესახებ. ეს შეიძლება მიღწეული იქნას საინფორმაციო კამპანიების განხორციელებით, ბროშურების გავრცელებით (მაგ., საკომუნიკაციო გეგმა), ყველა საკოორდინაციო ცენტრების აქტუალობის ხელშეწყობით და მათთან რეგულარული კომუნიკაციით, საჩივრისთვის მრავალჯერადი შესვლის პუნქტის დაშვებით, საჩივრების შეტანის იოლი ფორმების შემოღებით.

10.3 საჩივრების განხილვის პროცედურები

საჩივრის განხილვის პროცესის ყველა ეტაპის მოკლე აღწერა მოცემულია ცხრილში 10.1.

ცხრილი 10.1. საჩივრის განხილვის პროცესი

ნაბიჯები	მოქმედების დონე	პროცესი
ეტაპი 1 (GRCE დონე)	ნაბიჯი 1: AP-თანაფორმალური მოლაპარაკებები	საჩივარი არაფორმალურად განხილულია GRCE საკონტაქტო პირის მიერ - IA/PIU-ის გარემოს და განსახლების განყოფილება, რომელიც იყენებს ყველა საჭირო ზომას, დავის მშვიდობიანად გადაჭრის მიზნით. ამ ეტაპზე საკონტაქტო პირი ატარებს დისკუსიას მხოლოდ GRCE-ის იმ წევრებს შორის, რომლებსაც აქვთ პირდაპირი ურთიერთობა ამ საკითხთან დაკავშირებით.
	ნაბიჯი 2: AP-თანაფორმალური მოლაპარაკებები საჩივრის მოგვარება GRCE დონეზე	თუ ზეპირი საჩივარი არ მოგვარდება მოლაპარაკებების დროს, GRCE დაეხმარება დაზარალებულ APS-ს, GRCE-თვის საჩივრების ფორმალურ შეტანაში. დაზარალებულმა APS- მა უნდა წარუდგინოს საკუთარი საჩივარი GRCE-ში ჩატარებული მოლაპარაკებების დასრულებიდან 1 კვირის განმავლობაში ან მოგვიანებით, მისი სურვილისამებრ. დაზარალებულმა უნდა წარმოადგინოს თავისი საჩივრის მხარდაჭერი დოკუმენტები. GRCE-ს საკონტაქტო პირი განიხილავს საჩივარს და მოამზადებს საქმის მასალებს GRCE-ს მოსმენისთვის და გადაწყვეტილების მიღებისთვის. ფორმალური მოსმენა გაიმართება GRCE-თან ერთად GRCE-ს საკონტაქტო პირის მიერ დადგენილ ვადაში. მოსმენის დღეს, დაზარალებული AP წარსდგება GRCE-ს წინაშე მუნიციპალიტეტის ოფისში საჩივრის განხილვის მიზნით. წვერი მდივანი ჩაიწერს მომჩივნის განცხადებებს და დაარეგისტრირებს საჩივრის ყველა დეტალს. წვერთა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებები განიხილება როგორც ფინალური GRCE-ს მიერ პირველი ეტაპისთვის. გადაწყვეტილებები გაიცემა საკონტაქტო პირის/კონსულტანტის მიერ და GRCE-ს სხვა წევრები მოაწერენ ხელს. საქმის ჩანაწერი განახლებება და AP მომჩივანს აცნობენ გადაწყვეტილების შესახებ. შეთანხმებული ქმედების განხორციელების შემდეგ, საჩივრის დახურვის ოქმი მომზადებული იქნება საკონტაქტო პირის მიერ. პროტოკოლს ხელს აწერენ GRCE- ის თავმჯდომარე და მოსარჩელე.
ეტაპი 2	ნაბიჯი 3 გადაწყვეტილება ცენტრალური IA/PIU GRCN- დან	თუ რომელიმე დაზარალებული AP უკმაყოფილო დარჩება GRCE-ს გადაწყვეტილებით, შემდეგი ვარიანტი იქნება საჩივრის IA/PIU-ში შეტანა ეროვნულ დონეზე. GRCE უნდა დაეხმაროს მომჩივანს GRCN-ში ოფიციალური საჩივრის შეტანაში (მოსარჩელე ინფორმირებული უნდა იყოს მისი უფლებებისა და მოვალეობების, საჩივრის მიღების წესებისა და პროცედურების, საჩივრის ფორმატის, საჩივრის წარდგენის პირობების, და ა.შ. შესახებ). დაზარალებულმა უნდა წარმოადგინოს თავისი მოთხოვნები, რომლებიც შეესაბამება სამართლებრივ მოთხოვნებს (საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსი). IA-ს GRCN განიხილავს საჩივარს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მითითებული პროცედურების დაცვით. საჭიროების შემთხვევაში, GRCN-ის წვერი მდივნის მიერ დადგენილ ვადაში გაიმართება ოფიციალური მოსმენა. მოსმენის დღეს, დაზარალებული AP წარსდგება GRCN- ს წინაშე IA-ს ოფისში საჩივრის განხილვის მიზნით. საკონტაქტო პირი ჩაიწერს მომჩივნის განცხადებებს და დაარეგისტრირებს საჩივრის ყველა დეტალს. მოსარჩელეს გააცნობენ გადაწყვეტილების შესახებ.
ეტაპი 3	ნაბიჯი 4 სასამართლოს გადაწყვეტილება	თუ IA/PIU-ს გადაწყვეტილება არ დააკმაყოფილებს დაზარალებულ AP-ს, მათ შეუძლიათ განახორციელონ შემდგომი ქმედებები - წარადგინონ მათი საქმე შესაბამისი სასამართლოში (რაიონული სასამართლო). დაზარალებულმა შეიძლება განახორციელოს სამართლებრივი ქმედება არა მხოლოდ კომპენსაციის ოდენობაზე, არამედ ნებისმიერ სხვა საკითხზე, მაგ. კონტრაქტორის მიერ მისი საკუთრების დაზიანება, დაკარგვა ან გამოყენება მისი თანხმობის გარეშე, მიწის/აქტივების გამოყენების შეზღუდვა და ა.შ.

10.4 საჩივრების უურნალი

საჩივრების უურნალი შემუშავდება როგორც GRCE ასევე GRCN დონეზე.

RD წარმომადგენელი ადგილზე (GRCE საბჭოს თავმჯდომარე/საკონტაქტო პირი) შეიმუშავებს და წარმართავს საჩივრების უურნალს. უურნალი შეინახება ადგილზე (IA/PIU-ს ოფისში ან ინჟინრის ოფისში).

საჩივრის უურნალში ჩანაწერები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

მოსარჩელეს სახელი და საკონტაქტო ინფორმაციას

საჩივრის მიღების თარიღი

საჩივრის ფორმა - (ზეპირი ან წერილობითი)

ვის ეხებოდა საჩივარი თავდაპირველად (პროცესის დაწყება)

სარჩელის არსის მოკლე აღწერა

AP-თან და GRCE-თან მოლაპარაკებების ეტაპები, ვადები და მონაწილეები (ეტაპი 1)

შეხვედრების ოქმი

GRCE-ს საბოლოო გადაწყვეტილება (დავის გადაწყვეტის შემთხვევაში, გადაწყვეტილება ეხება საკითხის დახურვას. ხოლო თუ დავა ვერ გადაწყდა, ეს გადაწყვეტილება საჩივრის გადამისამართების პროცესის მეორე ეტაპზე გადადის)

GRCE მიერ გადაწყვეტილების მიღების თარიღი

GRCE-ის დახმარებით AP-ს მიერ მომზადებული დოკუმენტების გადაცემა GRCN-ისთვის ჩანაწერების/დოკუმენტაციის ასლები შეიძლება შენახულ იქნას მუნიციპალიტეტის ოფისში.

11 დასკვნები და რეკომენდაციები

საავტომობილო გზის მშენებლობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლებში შემუშავდა შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები.

ძირითადი დასკვნები:

საპროექტო გზის ღერეფანი გადის დაუსახლებელ ზონაში. შესაბამისად პროექტის განხორციელების შედეგად (გზის მშენებლობა და ექსპლუატაცია) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიებით და ხმაურის გავრცელებით მოსახლეობის შენეების რისკები არ არის მაღალი. ზემოქმედება შედარებით საგულისხმო იქნება ველურ ბუნებაზე;

ნიადაგის საფარის მოხსნა-დასაწყობების სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ სამშენებლო ბაზის ტერიტორიაზე და საპროექტო გზის ღერეფნის მცირე ნაწილზე. ნიადაგზე ზემოქმედების რისკები არ არის მაღალი;

დაგეგმილი საქმიანობა არ გადის დაცულ ტერიტორიებში

საავტომობილო გზის ბუფერი ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, თუმცა ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკი საგულისხმოა, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები გატარება;

პროექტის განხორციელება გარკვეულწილად შეცვლის არსებულ ვიზუალურ- ლანდშაფტურ მდგომარეობას. ზემოქმედების ძირითადი რეცეპტორებია ცხოველთა სამყარო;

პროექტს განხორციელების შედეგად ისტორიულ-კულტურულ ძეგლებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის;

პროექტის განხორციელება მნიშვნელოვან დადებით სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს გამოიწვევს.

12 გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“.

საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის დადგენილება № 42 „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილება „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 24 თებერვლის ბრძანება №38/ნ «გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ».

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 25 აგვისტოს ბრძანება № 1-1/1743 „დაპროექტების ნორმების-„სამშენებლო კლიმატოლოგია“.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება № 435 „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.

Методическое пособие по расчету, нормированию и контролю выбросов загрязняющих веществ в атмосферный воздух», СПб., 2002

Методика проведения инвентаризации выбросов загрязняющих веществ в атмосферу автотранспортных предприятий (расчетным методом). М., 1998.

Расчет выделений загрязняющих веществ выполнен в соответствии с «Методические указания по определению выбросов загрязняющих веществ в атмосферу из резервуаров». Новополюк, 1997 (с учетом дополнений НИИ Атмосфера 1999, 2005, 2010 г.г.).

Методическим пособием по расчету выбросов от неорганизованных источников в промышленности строительных материалов», Новороссийск, 2001; «Методическим пособием по расчету, нормированию и контролю выбросов загрязняющих веществ в атмосферный воздух», СПб., 2005

УПРЗА ЭКОЛОГ, версия 3.00 ФИРМА "ИНТЕГРАЛ" Санкт-Петербург 2001-2005 г.

ნინო მრევლიშვილი, საქართველოს გეოლოგია, თბილისი 1997;

ლ.ი.მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბილისი 1964;

საქართველოს გეოლოგიური რუკა, გ. გუჯაბიძე თბილისი 2003;

დ.უკლება. ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

ტ.საქართველოს სსრ. თბილისი, 1981;

პროექტისთვის შესრულებული გეოტექნიკური კვლევითი სამუშაოების ტექნიკური ანგარიში, შპს ჯეონიუნინინგი, 2015

Девдариани Г.С. 1986. Закавказская депрессия. В кн.: Г. Габриелян (ред.), Физическая География Закавказья. Ереван, изд-во Ереванского гос. Ун-та.

Мусеибов М.А., Назарян Х.Е., Габриелян Г.К., Джакели Х.Г. 1986. Физико-географическое зонирование. В кн.: Г. Габриелян (ред.), Физическая География Закавказья. Ереван, изд-во Ереванского гос. Ун-та.

Владимиров Л.А. и др., „Водный баланс Грузии“, Тбилиси, изд. Мецниереба, 1974 г. Т изд

Водные ресурсы Закавказья. Под ред. Г.Г. Сванидзе и В.Ш. Цомаея- Ленинград, изд. Гидрометеоиздат. 1988 г.

Ресурсы поверхностных вод СССР, том 9, Закавказье и Дагестан, выпуск 1, западное Закавказье. Гидрографическое описание рек, озер и водохранилищ. Под ред. Г.Н. Хмаладзе и В.Ш. Цомае - Ленинград, изд. Гидрометеиздат. 1972 г.

Ресурсы поверхностных вод СССР, том 9, Закавказье и Дагестан, выпуск 1, западное Закавказье. Обобщенные материалы наблюдений на реках, озерах и водохранилищах. Под ред. Г.Н. Хмаладзе - Ленинград, изд. Гидрометеиздат. 1969 г.

Хмаладзе Г.Н. К вопросу о соотношении расходов влекомых и взвешенных наносов. Труды IV всесоюзного гидрологического съезда, том 10. Русловые процессы, Ленинград, изд. Гидрометеиздат. 1976 г, стр. 164-171.

Aarhus Centre Georgia (2008): Guidelines on how to obtain the permit for Environmental Impact Assessment from the Ministry of Environment Protection of Georgia, Updated 7 April, 2008. Tbilisi, Aarhus Centre, Georgia.

World Bank (1999a): Public Consultation in the EA Process: A Strategic Approach, EA Update #26. Washington, DC: World Bank.

World Bank (1999): OP 4.01 - Environmental Assessment, updated in February 2011. Washington, DC: World Bank.

World Bank (2001, updated 2007): Involuntary Resettlement. Operational Policy 4.12. Washington DC: World Bank.

European Commission (1985). Environmental Assessment. Council Directive of 27 June 1985 on the assessment of the effects of certain public and private projects on the environment. 85/337/EEC (Reference: Official Journal NO. L 175 , 05/07/1985 P. 0040 - 0048).

Handbook on Roads and Environment. Permanent weblink: <http://go.worldbank.org/7989W6YJ1>

Climate and Climatic Resources of Georgia. Transactions of Transcaucasian Research Hydrometeorological Institute. Hydrometeorological Publishing House. Leningrad, 1971.

საქართველოს წითელი ნუსხა, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება №303, 2006 წ. 2 მაისი. ბუხნიკაშვილია. 2004. მასალები საქართველოს წერილ ძუძუმწოვართა (Insectivora, Chiroptera, Lagomorpha, Rodentia) კადასტრისათვის. გამ. "უნივერსალი", თბილისი: 144 გვ.

ზ.გურიელიძე, 1996. საშუალო და მსხვილი ძუძუმწოვრები. წიგნში: "საქართველოს ბიომრავალფეროვნების პროგრამის მასალები". თბილისი: 74-82.

კუტუბიძემ. 1985. საქართველოს ფრინველების სარკვევი. თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი: 645 გვ.

ჯანაშვილია. 1963. საქართველოს ცხოველთა სამყარო. ტ. III. ხერხემლიანები. თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი: 460 გვ.

Гаджиев Ф.А. 1986. Животный мир. В кн.: Г. Габриелян (ред.), Физическая География Закавказья. Ереван, изд-во Ереванского гос. Ун-та.

Верещагин Н.К. 1959. Млекопитающие Кавказа. История формирования фауны // Изд. АН СССР, М.-Л. : 703 с.

Мухелишвили Т.А. 1970. Пресмыкающиеся Восточной Грузии. Мецниереба, Тбилиси: 241.

Яблоков А. В., Остроумов С. А. 1985. Уровни охраны живой природы. М.: Наука: 176 с.

ბ.კეცხოველი, ა.ხარაძე, რ.გაგნიძე - „საქართველოს ფლორა“, I –XIV ტომი 1987-1996.

რ. გაგნიძე, მცენარეთა ნომენკლატურული ნუსხა, 2005წ.

დანართი 1: გზის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის გეგმა

1. საკანონმდებლო საფუძველი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყის) გზის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის გეგმას. გეგმა წარმოადგენს ცოცხალ დოკუმენტს და შესაძლებელია საჭიროების მიხედვით მისი კორექტირება.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელია არასახიფათო და ინერტული ნარჩენების, ასევე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. შესაბამისად, შემუშავებულია თელავი-გურჯაანის (ჩუმლაყის) გზის მონაკვეთის პროექტი მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- მიზნები, ამოცანები და განხორციელების გზები;
- ნარჩენების მართვის იერარქია და მიდგომები;
- ინსტიტუციური სისტემა საქართველოში, რომელიც პასუხისმგებელია ნარჩენების მართვაზე და მონიტორინგზე
- ინფორმაცია წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ;
- ინფორმაცია ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ;
- წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირების მეთოდები;
- ნარჩენების დროებითი განთავსება;
- ნარჩენების ტრანსპორტირება;
- ნარჩენების მეორადი გამოყენების ან/და ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული მეთოდოლოგია;
- ინფორმაცია შესაძლო ქვეკონტრაქტორების შესახებ;
- ნარჩენებთან მოპყრობა;
- ნარჩენების მართვის მონიტორინგი

საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1: საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიები

საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია	საავტომობილო გზების დეპარტამენტი
კომპანიის იურიდიული მისამართი	საქართველო 0160, ქ. თბილისი, ალ ყაზბეგის №12
რეგისტრაციის თარიღი	
საიდენტიფიკაციო ნომერი	211343982
ელექტრონული ფოსტა საკონტაქტო პირი საკონტაქტო ტელეფონი საქმიანობის სახე	info@georoad.ge (995 32) 37-05-08 საქართველოში საავტომობილო გზების უსაფრთხოების ხარისხის ამაღლება; მგზავრობის დროის შემცირება სატრანზიტო ნაკადის გაზრდა; საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის რაციონალური მართვა/გაუმჯობესება;

2. მიზნები, ამოცანები და განხორციელების გზები

წარმოდგენილი ნარჩენების მართვის გეგმის ამოცანაა გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, რომელიც მიიღწევა:

ნარჩენების წარმოქმნის და მათი უარყოფითი გავლენის პრევენციით ან შემცირებით;

ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნით;

რესურსების მოხმარებით გამონვეული ზიანის შემცირებით და რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებით.

აღნიშნული ამოცანები მიიღწევა მშენებელი კონტრაქტორის და პროექტის მფლობელის ხელთ არსებული რესურსების (ინფრასტრუქტურული, ადამიანური) სრული მობილიზაციით, რომელთაც უნარი შესწევს შეასრულოს შემდეგი დავალებები:

ნარჩენების მართვის სფეროში ყველა ქმედება განხორციელოს საქართველოს ნარჩენების მართვის პოლიტიკის და ნარჩენების მართვის კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად;

როგორც მშენებლობის, ასევე ოპერირების ეტაპზე შეძლებისდაგვარად თავიდან აიცილოს ან/და შეამციროს ნარჩენების წარმოქმნა

მშენებლობის და ოპერირების ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების იდენტიფიცირება ნარჩენების სახეობების, მასხაიათებლებისა და შემადგენლობის მიხედვით (ნარჩენი რომლის იდენტიფიცირება ვერ განხორციელდება ჩაითვლება სახიფათო ნარჩენად);

ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირებისა და დამუშავების დროს მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს გარემოს დაზიანება, დანაგვიანება და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება;

ნარჩენების ტრანსპორტირების შედეგად ნარჩენებით გარემოს დაზიანების/დანაგვიანების შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება;

ნარჩენები დასამუშავებლად გადასცეს შესაბამის ობიექტს, რომელსაც აქვს სათანადო ნებართვა ან გავლილი აქვს რეგისტრაცია;

აილოს პასუხისმგებლობა და გააკონტროლოს კონტრაქტორისათვის გადაცემული ნარჩენების მართვის პროცესი ნარჩენების სრულ აღდგენამდე ან განთავსებამდე.

იმ შემთხვევაში, თუ მშენებელ კონტრაქტორს ან/და პროექტის მფლობელს არ ყოფნის ან არ გააჩნია რესურსები აღნიშნული მოთხოვნების შესასრულებლად იგი ვალდებულია დამატებით მოიზიდოს ადამიანური რესურსები და/ან განაახლოს ინფრასტრუქტურა.

ინსტიტუციური სისტემა საქართველოში, რომელიც პასუხისმგებელია ნარჩენების მართვაზე და მონიტორინგზე

3. სახელმწიფო სტრუქტურების პასუხისმგებლობა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენს ძირითად უწყებას, რომელსაც ევალება ნარჩენების მართვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და გატარება. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო კომპეტენციებს განეკუთვნება:

ა) ნარჩენების მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

- ბ) ნარჩენების სახელმწიფო აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის წარმოება;
- გ) ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და ბიოდეგრადირებადი მუნიციპალური ნარჩენების სტრატეგიის შემუშავება;
- დ) ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება, მისი განხორციელების კოორდინაცია და ანგარიშის წარდგენა;
- ე) ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საქმიანობებზე ნებართვის გაცემა და რეგისტრაციის წარმოება;
- ვ) ნარჩენების პრევენციის, სეპარირების, ხელახალი გამოყენებისა და რეციკლირების ღონისძიებების ხელშეწყობა;
- ზ) ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სახელმწიფო კონტროლის განხორციელება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, არეგულირებს და აკონტროლებს სამედიცინო ნარჩენების მართვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, არეგულირებს და ზედამხედველობას უწევს ცხოველური ნარჩენების მართვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი შესაბამისი დანესებულება გასცემს ნარჩენების გადაზიდვაზე სატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობას.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად არეგულირებს ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვას.

3.1 შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონების მართვა წარმოადგენს საქართველოს ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხს. საქართველოს მთავრობამ, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონების მართვა განსაზღვრა, როგორც ერთ-ერთი მწვავე პრობლემა და ამ მიზნით დაიწყო არსებული სისტემის რეფორმირება. ამ რეფორმის ფარგლებში, 2012 წლის 24 აპრილს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი სახელმწიფოა. კომპანია მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონების მართვას ახორციელებს მთელი საქართველოს მასშტაბით, ქ. თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა.

კომპანიის მიზანს წარმოადგენს:

- ნარჩენების განთავსების და გადამუშავების შედეგად გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება;
- ნარჩენების წარმოშობის თავიდან არიდება და მინიმუმამდე დაყვანა;
- პოლიგონებზე ნარჩენების, განსაკუთრებით ორგანული და სახიფათო ნარჩენების შემცირება;
- არსებული პოლიგონების რაოდენობის შემცირება და ეტაპობრივად ყველა პოლიგონის დახურვა, რომელიც არ შეესაბამება ევროკავშირის დირექტივას;

- პოლიგონებზე ნარჩენების მდგრადი, გარემოს თვალსაზრისით უსაფრთხო და ეფექტური განთავსება;
- პოლიგონებზე სეპარაციისა და გადამუშავებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მონაცობა;
- თანამშრომლების უსაფრთხოების პირობებით და თანამედროვე სამუშაო გარემოთი უზრუნველყოფა;
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების საქმიანობების ხელშეწყობა მყარი ნარჩენების მდგრადი მართვის სისტემის ასპექტებზე;
- კომპანიასა და მუნიციპალიტეტებს შორის ეფექტური თანამშრომლობის და გამოცდილების გაზიარების სისტემის უზრუნველყოფა;
- მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის სამინისტროებთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან და სხვა უწყებებთან, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ნარჩენების მართვის სისტემის სხვადასხვა ასპექტებზე;
- ევრო კომისიის დირექტივების დაცვა მყარი ნარჩენების მართვის სფეროში.

კომპანიის მისია:

- არსებულ პოლიგონებზე ნარჩენების მიღების გაუმჯობესება;
- კომპანიის საკუთრებაში არსებული პოლიგონების მოწესრიგება და გამართულ საექსპლუატაციო რეჟიმში მოყვანა;
- პოლიგონებზე განსათავსებელი ნარჩენების აღრიცხვის სისტემის სრულყოფა;
- პოლიგონების მართვისას გარემოზე ზემოქმედების, შრომის უსაფრთხოებისა და ადამიანის ჯანმრთელობის გათვალისწინება, ტექნიკური და ინფრასტრუქტურული ზომების ჩათვლით;
- ახალი რეგიონული სანიტარული პოლიგონებისა და გადამტვირთი სადგურების რაოდენობის განსაზღვრა;
- მაღალი რისკის მქონე პოლიგონების რემედიაცია და დახურვა;
- კომპანიის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება ნარჩენების მართვის სხვადასხვა საკითხებზე, ტექნიკური, ეკონომიკური, ადმინისტრატიული და იურიდიული საკითხების ჩართვით;
- ხარჯების ამოღების ეფექტური სისტემის შემუშავება;
- მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის საშუალებით წყაროზე სეპარაციის, გადამუშავებისა და მეორადი გამოყენების მექანიზმების დანერგვის უზრუნველყოფა.

3.2 კერძო სექტორის მონაწილეობა ნარჩენების მართვაში

ნარჩენების მართვის სფეროში სახელმწიფო სტრატეგიის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები ძირითადად უნდა მოხმარდეს არსებული ნაგავსაყრელების რეაბილიტაცია/კონსერვაციას, ხოლო ახალ პოლიგონებზე და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნაზე უნდა იზრუნოს კერძო სექტორმა. ნარჩენების მართვის კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა იმ კერძო კომპანიების რიცხვი, რომელთაც გააჩნიათ სხვადასხვა სახის ნარჩენების მართვის ლიცენზია.

4. ნარჩენების მართვის იერარქია და პრინციპები

საქართველოში ნარჩენების მართვის პოლიტიკა და ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა, ეფუძნება ნარჩენების მართვის შემდეგ იერარქიას:

- პრევენცია;
- ხელახალი გამოყენებისთვის მომზადება;
- რეციკლირება;
- სხვა სახის აღდგენა, მათ შორის, ენერჯის აღდგენა;
- განთავსება.
- ნარჩენების მართვის იერარქიასთან მიმართებით კონკრეტული ვალდებულებების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული:
- ეკოლოგიური სარგებელი;
- შესაბამისი საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის გამოყენების ტექნიკური განხორციელებადობა;
- ეკონომიკური მიზანშეწონილობა.
- ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის გარეშე, კერძოდ, ისე, რომ ნარჩენების მართვამ:
- საფრთხე არ შეუქმნას წყალს, ჰაერს, ნიადაგს, ფლორას და ფაუნას;
- არ გამოიწვიოს ზიანი ხმაურითა და სუნით;
- არ მოახდინოს უარყოფითი გავლენა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით – დასუფლ ტერიტორიებზე და კულტურულ მემკვიდრეობაზე.
- ნარჩენების მართვა ხორციელდება შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:
- „უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღების პრინციპი“ – მიღებული უნდა იქნეს ზომები გარემოსთვის ნარჩენებით გამოწვეული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მაშინაც კი, თუ არ არსებობს მეცნიერულად დადასტურებული მონაცემები;
- პრინციპი „დამბინძურებელი იხდის“ – ნარჩენების წარმოქმნილი ან ნარჩენების მფლობელი ვალდებულია გაიღოს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯები;
- „სიახლოვის პრინციპი“ – ნარჩენები უნდა დამუშავდეს ყველაზე ახლოს მდებარე ნარჩენების დამუშავების ობიექტზე, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებით;
- „თვითუზრუნველყოფის პრინციპი“ – უნდა ჩამოყალიბდეს და ფუნქციონირებდეს მუნიციპალური ნარჩენების განთავსებისა და აღდგენის ობიექტების ინტეგრირებული და ადეკვატური ქსელი.


5. საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობები და მიახლოებითი რაოდენობები

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელი ნარჩენების სახეები და მიახლოებითი რაოდენობები მოცემულია ცხრილში 2. აღსანიშნავია, რომ ნარჩენების მოცემული რაოდენობა მიახლოებითია. ოპერირების ეტაპზე აღნიშნული ნარჩენების რაოდენობა, უმეტეს შემთხვევაში მჭიდროდაა დაკავშირებული სხვადასხვა სარემონტო, პროფილაქტიკური და განმედიითი სამუშაოების ინტენსივობაზე.

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	სახიფათოობის მახასიათებელი	მშენებლობის პერიოდში წარმოქმნილი ნარჩენების მიახლოებითი რაოდენობა	ეესპლუატაციის პერიოდში ტექნიკური მომსახურების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მიახლოებითი რაოდენობა (წლიურად)	განთავსების/აღდგენის ოპერაციები	ბაზელის კონვენციის კოდი
08 01 11*	ნარჩენი საღებავი და ლაქი, რომელიც შეიცავს ორგანულ გამხსნელებს ან სხვა საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს	დიახ	H 6	100-200 კგ	<10 კგ	1. საუკეთესო პრაქტიკა: ნარჩენები ხელშეკრულების საფუძველზე უბრუნდება მწარმოებელს. 2. ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.	Y9
16 06 01*	ტყვიის შემცველი ბატარეები აკუმულატორები	დიახ	H 15	20-30 ერთ	-	ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.	Y31
16 01 03	განადგურებას დაქვემდებარებული საბურავები	არა	-	40-50 ერთ	-	ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.	
16 01 07*	ზეთის ფილტრები	დიახ	H 15	50-60 ერთ	-	ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.	Y31
16 01 17 16 01 18	შავი ლითონები ფერადი ლითონები	არა	-	3-4 ტ	-	ჩაბარდება ჯართის მიმღებ პუნქტებში	Y17
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	-	200 მ3	-	საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება ამისათვის სპეციალური მარკირების მქონე დახურულ კონტეინერებში. სამშენებლო მოედნებზე დაგროვილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე.	
17 05 05*	გრუნტი, რომელიც შეიცავს საშიშ ნივთიერებებს (ნავთობის ნახშირწყალბადებით	დიახ	H 15	წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. დამოკიდებულია დაღვრის		ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.	Y9

	დაბინძურებული ნიადაგი და გრუნტი)			მასშტაბებზე			
11 01 13*	გაპოხვის შედეგად მიღებული ნარჩენები, რომლებიც შეიცავს საშიშ ნივთიერებებს	ღიახ	H 6	30-50 ლ	-	ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.	Y9
17 02 01	ხე	არა		>5000 m ³	-	ნარჩენები განთავსდება ს.ს.ი.პ. „ეროვნულ სატყეო სააგენტოს მიერ მითითებულ ადგილზე და გადაეცემა სააგენტოს შემდგომი მართვისათვის.	
15 02 02*	ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ქსოვილები (სანმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი)	ღიახ	H 15	60-70 კგ	-	ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას	Y9
16 01 19	პლასტმასი	არა		100 კგ		ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას გადამუშავების მიზნით	Y17
08 03 17*	პრინტერის ტონერის /მელანის ნარჩენები, რომელიც შეიცავს საშიშ ნივთიერებებს	ღიახ	H 6	40-50 ერთ	-	ნარჩენები გადაეცემა მომწოდებელს, შემდგომი დამუშავება/აღდგენის მიზნით.	Y31

დანართი 2 – ნიადაგის ზედა ფენის და გრუნტის მენეჯმენტის რეკომენდაციები



ნაყოფიერი ნიადაგის ფენა სამუშაოს დაწყებამდე უნდა მოიხსნას და დროებით დასაწყობდეს რეკულტივაციის ეტაპზე გამოყენებამდე, ნაყოფიერი ფენა იხსნება ექსკავატორით (მისი მთლიანი სისქე) და იტვირთება თვითმცლელზე.

ნაყოფიერი ნიადაგის თვისებების შენარჩუნებისთვის უნდა შეირჩეს სათანადო ტექნიკა და მუშაობის პრაქტიკა. უნდა მოიხსნას დადგენილი სისქის ნიადაგის შრე. მოსახსნელი ფენის სისქე შესაძლებელია აგრეთვე ვიზუალურად, მისი ფერის მიხედვით, განისაზღვროს. ნაყოფიერი შრის სხვა ნიადაგთან შერევა თავიდან უნდა იყოს აცილებული. შერევის

შემთხვევაში ნაყოფიერი ნიადაგის ხარისხი და ნაყოფიერება მცირდება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნაყოფიერი ნიადაგის შენახვას. ნაყოფიერი ნიადაგის ხარისხი/მახასიათებლები და რევეგეტაციის თვალსაზრისით ღირებულება დამოკიდებულია ნიადაგის მოხსნის და შენახვის პირობებზე. მაგალითად, ჟანგბადის შემცირება დასაწყობებულ ნიადაგში აუარესებს მის ხარისხს და ნიადაგის სტრუქტურას, თუ მისი მოხსნა მოხდა გაჯერებულ მდგომარეობაში, ან თუ ნიადაგი დატკეპნილია.

ნაყოფიერი ფენის მართვის უნივერსალური რეკომენდებული პრაქტიკა, რომელიც შეიძლება ყველა საიტზე გავრცელდეს შემდეგია:

წყლით გაჯერებულ ან ძალიან მშრალ მდგომარეობაში მყოფი ნაყოფიერი ფენის მოხსნა არ შეიძლება.

ნაყარის ოპტიმალური სიმაღლე 2მ -ს არ უნდა აღემატებოდეს • ნაყოფიერი ფენის დამუშავება მინიმალური უნდა იყოს.

ნაყოფიერი ფენა არ უნდა იყოს შერეული სხვა მასალასთან (მაგ.ხრეში, ქვა, სხვ.).ნაყოფიერი ფენა დაცული უნდა იყოს ეროზიისგან. • ნაყოფიერი ფენა არ უნდა „დაიმარხოვს“.

ნაყოფიერი ფენა უნდა ინახებოდეს მოხსნის ადგილის მახლობლად, მიწის სამუშაოების დასრულების შემდეგ ზედაპირზე გადანაწილების სიადვილისთვის.


ზედაპირული შრის ხანგრძლივად ნაყარში შენახვა თავიდან უნდა იყოს აცილებული.

ზედაპირის ნაყოფიერი ფენა სამოძრაო გზებისგან, წყლის ობიექტებისგან და დაბინძურების წყაროსგან მოშორებით უნდა განთავსდეს.

დიდი ნაყარის შემთხვევაში ნაყარიდან ან მისი პერიმეტრიდან წყლის არინებისთვის უნდა მოეწყოს დრენაჟი. ხანგრძლივად ნაყარში განთავსების შემთხვევაში ზვინულზე სასურველია მცენარეული საფარის (ბუჩქები, ბალახი) მოწყობა.


არასასურველია ნაყარზე ტრანსპორტის მოძრაობა და დატკეპნა (მშრალ და არაპლასტიურ მდგომარეობაში ნიადაგი უფრო მედეგია დატკეპნისადმი და უფრო ინარჩუნებს თავის სტრუქტურას). მშრალ მდგომარეობაში მოხსნილი და დასაწყობებული ნაყოფიერი ფენის ნაყარის სიმაღლე ჩვეულებრივ 2მ აღწევს. განთავსებისთვის განკუთვნილი ფართობის სიმცირის შემთხვევაში, სიმაღლე მეტიც შეიძლება იყოს. მშრალი არაპლასტიური და სველი პლასტიური ნიადაგის მართვის მეთოდი აღწერილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

მეთოდი 1 – მშრალი არაპლასტიური ნიადაგი



- (a) ნიადაგი იყრება „გორაკებად“ სანაყაროს ტერიტორიის ბოლო წერტილიდან მისასვლელისკენ.
 (b) მთელი ტერიტორია „შევსების“ შემდეგ მუხლუხიანი ტექნიკის (ბულდოზერი ან ექსკავატორი) გამოყენებით ხდება ზვინულების პროფილირება. რაც ქმნის საფუძველს მეორე ფენის დასაყრელად.
 (c) და (d) იგივე გრძელდება ნაყარის დაგეგმილი სიმაღლის მიღწევამდე.
 (e) ნაყარზე ატმოსფერული წყლის დაგროვების თავიდან აცილების მიზნით მუხლუხიანი ტექნიკის საშუალებით ხდება ნაყარის დატკეპნა და ზედაპირის და ფერდების პროფილირება თანაბარი გრადიენტის მისაღებად.

მეთოდი 2 – სველი პლასტიური ნიადაგი



- (a) ნიადაგი ზვინულებად იყრება სანაყაროსთვის შერჩეული ტერიტორიის „ბოლო“ წერტილიდან მისასვლელისკენ
 (b) დაშორება ზვინულებს შორის საკმარისი უნდა იყოს ნაყარის დამუშავებისას გამოყენებული ტექნიკის მოძრაობისთვის. ამ ეტაპზე ნაყარის მაქსიმალური სიმაღლე 2 მ შეიძლება იყოს.
 (c) დატკეპნის თავიდან ასაცილებლად ნაყარზე ტექნიკის მოძრაობა დაუშვებელია. ნაყარის გამოშრობის შემდეგ (როდესაც მინა არაპლასტიური ხდება, რასაც მშრალი და ქარიანი ან თბილი ამინდის პირობებში ჩვეულებრივ რამდენიმე კვირა სჭირდება) ზვინულები „ერთდება“ მუხლუხიანი ექსკავატორის საშუალებით.
 (d) ხდება ნაყარის ზედაპირის პროფილირება და დატკეპნა მუხლუხიანი ტექნიკის (ბულდოზერი ან ექსკავატორი) საშუალებით ატმოსფერული წყლის ინფილტრაციის შესამცირებლად.

მოხსნილი ნაყოფიერი შრის და მიწის სამუშაოების დროს „ზედმეტი“ ნიადაგის დასაწყობების ადგილი გულდასმით უნდა შეირჩეს. რეკომენდაციები მოცემულია ქვემოთ:
 უნდა მოიძებნოს სტაბილური ტერიტორია, რომელიც წყალუხვობის დროს არ ხვდება მდინარის ზემოქმედების რისკის ქვეშ;
 განთავსება არ უნდა მოხდეს ჭალის დერეფანში ან მდინარის 100-წლიან განმეორებადობის ხარჯის კალაპოტის ფარგლებში;
 განთავსება არ უნდა მოხდეს ჭარბტენიან/ჭაობიან ტერიტორიაზე;
 განთავსება არ უნდა მოხდეს არასტაბილურ ფერდობებზე, სადაც დამატებითმა დატვირთვამ შეიძლება მიწის ჩამოშლა გამოიწვიოს. თიხოვანი ან ლამიანი ნიადაგის ჭარბმა რაოდენობამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს ჩამოშლა;
 გამოყენებული უნდა იყოს ფართე, სტაბილური ტერიტორიები (მაგ. ქვის კარიერები, ტერასები);
 განთავსება არ უნდა მოხდეს გრუნტის წყლის გამოსავლების ან სქელი ორგანული შრის მქონე ტერიტორიებზე;
 განთავსება არ უნდა მოხდეს არქეოლოგიური მნიშვნელოვნების მქონე და დაცული/გადაშენების პირას მყოფი მცენარეული საფარის მქონე ტერიტორიებზე;
 ადგილის შერჩევამდე საჭიროა კონსულტაციის გავლა ბიოლოგთან და არქეოლოგთან.

დანართი 3 ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიზნები და ამოცანები

ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიზანია ჩამოაყალიბოს და განსაზღვროს სახელმძღვანელო მითითებები გზის მშენებლობისას დასაქმებული პერსონალისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ტექნოგენურ ავარიებზე და ინციდენტებზე პერსონალის ქმედებების რაციონალურად, კოორდინირებულად და ეფექტურად წარმართვა, პერსონალის, მოსახლეობის და გარემოს უსაფრთხოების დაცვა.

ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის ამოცანებია:

- გზის მშენებლობის დროს მისი სპეციფიკის გათვალისწინებით მოსალოდნელი ავარიული სახეების განსაზღვრა;
- თითოეული სახის ავარიულ სიტუაციაზე რეაგირების ჯგუფების შემადგენლობის, მათი აღჭურვილობის, ავარიულ სიტუაციაში მოქმედების გეგმის და პასუხისმგებლობების განსაზღვრა;
- შიდა და გარე შეტყობინებების სისტემის, მათი თანმიმდევრობის, შეტყობინების საშუალებების და მეთოდების განსაზღვრა და ავარიული სიტუაციების შესახებ შეტყობინების (ინფორმაციის) გადაცემის უზრუნველყოფა;
- შიდა რესურსების მყისიერად ამოქმედება და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რესურსების დადგენილი წესით მობილიზების უზრუნველყოფა და შესაბამისი პროცედურების განსაზღვრა;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების საორგანიზაციო სისტემის მოქმედების უზრუნველყოფა;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების პროცესში საკანონმდებლო, ნორმატიულ და საწარმოო უსაფრთხოების შიდა განაწესის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა ითვალისწინებს საქართველოს კანონების და საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებს.

ავარიული შემთხვევების სახეები

გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობის პროცესში მოსალოდნელი ავარიები შეიძლება პირობითად რამდენიმე ტიპად დაიყოს, ესენია:

- საგზაო შემთხვევები;
- დამაბინძურებლების ავარიული დაღვრის რისკები;
- ხანძარი;
- პერსონალის დაშავება (ტრავმატიზმი).

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ავარიული სიტუაციები შესაძლოა თანმდევნი პროცესი იყოს და ერთი სახის ავარიული სიტუაციის განვითარებამ გამოიწვიოს სხვა სახის ავარიის ინიცირება.

საგზაო შემთხვევები

პროექტის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატვირთო მანქანები და მძიმე ტექნიკა. საზოგადოებრივი სარგებლობის და მისასვლელ გზებზე მათი გადაადგილებისას მოსალოდნელია:

შეტახება გზაზე მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებთან;

შეტახება ადგილობრივ მოსახლეობასთან;

შეტახება პროექტის მუშახელთან;

შეტახება პროექტის სხვა ტექნიკასთან;

შეჯახება ადგილობრივ ინფრასტრუქტურასთან;

საგზაო შემთხვევების მაღალი რისკი დაკავშირებული იქნება სატრანსპორტო საშუალებების და სამშენებლო ტექნიკის შედარებით ინტენსიურ მოძრაობასთან. საგზაო შემთხვევების რისკების მინიმიზაციის მიზნით აუცილებელია რიგი პრევენციული ღონისძიებების გატარება, მათ შორის: მოძრაობის სიჩქარეების შეზღუდვა, გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება, მოძრაობის ოპტიმალური მარშრუტების შერჩევა, მოძრაობის რეგულირება მედროშეების გამოყენებით და სხვა. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტექნიკის გაცილება სპეციალურად აღჭურვილი ტექნიკითა და მომზადებული პროფესიონალური პერსონალით, ეს კი მნიშვნელოვნად შეამცირებს სატრანსპორტო საშუალებების დაჯახებით ან გზიდან გადასვლით გამოწვეულ რისკს.

ნავთობპროდუქტების და ზეთების დაღვრის რისკები

ნავთობპროდუქტების და ზეთების დაღვრის რისკი შეიძლება დაკავშირებული იყოს მათი შენახვის პირობების დარღვევასთან, სატრანსპორტო საშუალებებიდან და ტექნიკიდან სანავისა და ზეთების უონვასთან და სხვ.

ხანძარი

ხანძრის აღმოცენება-გავრცელების რისკები დაკავშირებულია ნავთობპროდუქტების და ზეთების გამოყენების წესების დარღვევასთან, მუშა პერსონალის დაუდევრობასთან. ხანძრების აღმოცენება-გავრცელების პრევენციის მიზნით აუცილებელია სანავ-საპოხი მასალების შენახვის წესების დაცვაზე მკაცრი ზედამხედველობა, სამშენებლო ბაზის ხანძარქრობის საშუალებებით უზრუნველყოფა, პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება ხანძრის პრევენციის და მისი შედეგების ლიკვიდაციის საკითხებზე, ასევე ავარიული სიტუაციის შესახებ შეტყობინების მიწოდების სრულყოფილი სისტემის არსებობა.

მუშახელის დაშავება

გარდა სხვა ავარიულ სიტუაციებთან დაკავშირებული ინციდენტებისა მუშახელის ტრავმატიზმი შესაძლოა უკავშირდებოდეს:

პროექტისთვის გამოყენებულ მძიმე ტექნიკასთან/მანქანებთან დაკავშირებულ ინციდენტებს;

სიმალღებე მუშაობას სადემონტაჟო სამუშაოების შესრულებისას;

მოხმარებული ქიმიური ნივთიერებებით მონამვლას;

დენის დარტყმას ძაბვის ქვეშ მყოფ დანადგარებთან მუშაობისას.

ავარიული სიტუაციების წარმოქმნის ძირითადი პრევენციული ღონისძიებები

სატრანსპორტო შემთხვევების პრევენციული ღონისძიებები:

მოძრაობის ოპტიმალური მარშრუტების შერჩევა და მოძრაობის სიჩქარეების შეზღუდვა;

ტერიტორიაზე გამაფრთხილებელი, ამკრძალავი და მიმითიებელი საგზაო ნიშნების მონყობა;

სპეციალური და არა გაბარიტული ტექნიკის გადაადგილების დროს უზრუნველყოფილი იქნას ტექნიკის გაცილების უზრუნველყოფა სპეციალურად აღჭურვილი ტექნიკითა და მომზადებული პროფესიონალური პერსონალით.

ნავთობპროდუქტების ან ზეთების დაღვრის პრევენციული ღონისძიებები:

ნავთობპროდუქტების და ზეთების შემოტანის, შენახვის, გამოყენების და გატანის პროცედურები უნდა ხორციელდებოდეს მკაცრი მონიტორინგის პირობებში. მუდმივად უნდა მონმდებოდეს შესანახი ჭურჭელის ვარგისიანობა;

პერიოდულად უნდა მონმდებოდეს ზეთშემცველი დანადგარების ტექნიკური გამართულობა;

ნივთიერებების მცირე უონვის ფაქტის დაფიქსირებისთანავე სამუშაოების შეწყვეტა რათა ინციდენტმა არ მიიღოს მასშტაბური ხასიათი.

ხანძრის პრევენციული ღონისძიებები:

პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება ხანძრის პრევენციის საკითხებზე;
ადვილად აალებადი და ფეთქებადსაშიში ნივთიერებების დასაწყობება უსაფრთხო ადგილებში. მათი განთავსების ადგილებში შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების მონაცობა;
ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვა და სამშენებლო ბაზის ტერიტორიაზე ქმედითუნარიანი სახანძრო ინვენტარის არსებობა;
ადამიანის ტრავმატიზმის/დაზიანების პრევენციული ღონისძიებები;
პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება შრომის უსაფრთხოების საკითხებზე;
პერსონალის აღჭურვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
სახიფათო ზონებში შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების მონაცობა;
სპეციალური კადრის გამოყოფა, რომლებიც გააკონტროლებს სამუშაო უბნებზე უსაფრთხოების ნორმების შესრულების დონეს და დაათვიქსირებს უსაფრთხოების ნორმების დარღვევის ფაქტებს.

ინციდენტის საგარეო მასშტაბი

მოსალოდნელი ავარიის, ინციდენტის სალიკვიდაციო რესურსების და საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, ავარიები და ავარიული სიტუაციები დაყოფილია რეაგირების 3 ძირითადი დონის მიხედვით. ცხრილში 7.1. მოცემულია ავარიული სიტუაციების აღწერა დონეების მიხედვით, შესაბამისი რეაგირების მითითებით.

ცხრილი 7.1. ავარიული სიტუაციების აღწერა დონეების მიხედვით

ავარიული სიტუაცია	დონე		
	I დონე	II დონე	III დონე
საერთო	ავარიის ლიკვიდაციისთვის საკმარისია შიდა რესურსები	ავარიის ლიკვიდაციისთვის საჭიროა გარეშე რესურსები და მუშახელი	ავარიის ლიკვიდაციისთვის საჭიროა რეგიონული ან ქვეყნის რესურსების მოზიდვა
სატრანსპორტო შემთხვევები	ადგილი აქვს ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, ინფრასტრუქტურის არაღირებული ობიექტების დაზიანებას. ადამიანთა ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.	ადგილი აქვს ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, ინფრასტრუქტურის ღირებული ობიექტების დაზიანებას. საფრთხე ემუქრება ადამიანთა ჯანმრთელობას.	ადგილი აქვს ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, განსაკუთრებული ღირებულების ინფრასტრუქტურის ან სასიცოცხლო ობიექტების დაზიანებას. არსებობს სხვა სახის ავარიული სიტუაციების პროვოცირების დიდი რისკი.
